რთველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში
®
www.tbiliselebi.ge
№23 (702)
9-15 ივნისი
ფასი 1,50 ლარი



ვისთან დაშორება გაუჭირდა ნანუკა ჟორჟოლიანს და რა მოიგონა მან მარტოობის დასაძლევად
გვ. 11

გვ. 47
რატომ ვერ მეგობრობს ვირ „ვასიასთან“ და ძროხა „ნათიასთან“ გიორგი სუხიტაშვილი და როგორ ცხოვრობს ის მარტო თავის ოთხფეხა მეგობართან, ბურთაზასთან ერთად

გვ. 74
რა ცხოვრებისეული ტკივილები განიცადეს უფროსმა მიშა მესხებმა და რას შეაგუა მამამ წინასწარ უმცროსი მიშა მესხი

გვ. 2
რაში გაიარა მეუღლესთან კონსულტაცია ანუკი ქორქიამ და როდის არის მისთვის საქმეში მიღებული შედეგი ყველაზე „გემრიელი“

ISSN 1987-569X
9 771987 569002



გვ. 79
აპირებენ თუ არა ახლო მომავალში თამთა შედანია და ერეკლე მანგოშვილი ჯვრისწერას და ვისთან ურთიერთობა გახდა „მის საქართველოსთვის“ ყველაზე დიდი სიამოვნება



რისი აღიარება არ უნდოდა პრაღაში თინათინ წულაძეს და რატომ უჭირდა ქოლას შვილთან თბილისიდან პრაღაში კონტაქტი
გვ. 18



გვ. 70
რა აზრისაა გიორგი ჯანელიძე „დაბოლილებზე“ და რა დაასკვნა მან ქუთაისის საგადასახადო სამსახურში ერთთვიანი მუშაობის შემდეგ



როდის არ ამბობს მარიამ სანოგო პოდიუმზე მოშიშვლებულად გამოსვლაზე უარს და რა ოცნებას ვერ აიხდენს ის ვერასდროს
გვ. 23

გვ. 22
როგორ იკვებება დიმიტრი ტატიშვილი სწორად და რა „ავადმყოფობა“ აღმოაჩინა მან საკუთარ თავში

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

**5 თვეზე მეტია, რაც ანუკი ქორქიას ცხოვრებაში განსხვავებული და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი – დედობა დადგა. გიორგი ჩიქოვანი უკვე 5 თვისაა და შეიძლება ითქვას, ამ პატარა და უსაყვარლესმა ვაჟკაცმა უკვე შეძლო, მთელი ოჯახის გადარევა, მათი საკუთარ ნება-სურვილზე ტარება. მშვენიერი ანუკის კარიერაც ბოლო პერიოდში საკმაოდ დატვირთული იყო. ის ერთდროულად ორი შოუს წამყვანი გახლდათ.**

# რაში გაიარა მეუღლესთან კონსულტაცია ანუკი ქორქიამ და როდის არის მისთვის საქმეში მიღებული შედეგი ყველაზე „გემრიელი“

**ანუკი ქორქია**: მგონი, უფრო ჩანდა, რომ ძალიან დატვირთული პერიოდი მქონდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. რადგან თვითონ გუნდმა ძალიან შემიწყო ხელი იმაში, რომ ჩვილი ბავშვი მყავს და რომ არ ვყოფილიყავი ისეთი დატვირთული, როგორი დატვირთულებიც ყველა სხვა დანარჩენი იყო. ამიტომ ერთი სამუშაო დღე მქონდა, ანუ კონკრეტულად შოუს დღე, რადენიმე საათით ადრე მივდიოდი, რომ მოვწესრიგებულიყავი და ასე გავსულიყავი სცენაზე. რადგან ორი შოუ დაემთხვა, ამიტომაც ორი დღე მქონდა დაკავებული. წინა დღეს უკვე სახლში ვმუშაობდი: კომპიუტერში ვათვალირებდი მასალებს.

**– ძალიან მომზადებული იყავი, ისე, როგორც გჩვევია ყველა დეტალს, ნიუანსს აქცევდი ყურადღებას, განსაკუთრებით „ორი ვარსკლავის“ წაყვანისას.**



– მადლობა. აქამდე კი მქონდა ლაივის გამოცდილება, მაგრამ ასეთი ფორმატის შოუ არ წამიყვანია. შევეცადე, ამ ყველაფერს მაქსიმალურად კარგად, სწორად მოვრგებოდი. ყველა გადაცემაზე ვცდილობდი, უფრო და უფრო დამეხვეწა არა მხოლოდ მეტყველება, არამედ ვიზუალური და ინფორმაციული მხარეც. ნელ-ნელა, ალბათ, ყველაფერი უკეთესი იქნება, თუმცა, მგონი, არც ახლაა ცუდი.

**– მოგეწონა ამ ტიპის გადაცემის წამყვანობა?**

– ძალიან მომეწონა, აზარტიც არის, დაძაბული პროცესიც, მაგრამ მე მიყვარს მუშაობა. ზერელედ არაფერს ვაკეთებ. ამიტომ, როცა საქმეში თავით ვარ ჩაფლული, მერე შედეგიც გემრიელია. ძალიან კარგ გუნდში მოვხვდი, კარგად მიმიღეს. შესაბამისად, მეც კმაყოფილი ვარ. როცა გავთხოვდი, ერთი წელი არც მეცალა იმისთვის, რაიმე სერიოზული დამეწყო. ოჯახი საპასუხისმგებლო თემაა. ამიტომ, გათხოვება და თან, დღე და ღამე სამსახურში ყოფნა, არ არის სწორი. არჩევნის წინაშე დავდექი და თავისუფლება ავირჩიე. შემდეგ იყო ორსულობის პერიოდი, ჩვილი ბავშვი, ნელ-ნელა ფორმაში ვდგებოდი, ბავშვიც უკვე წამოჩიტული იყო, „იმედიდან“ რომ შემომთავაზეს წამყვანობა. თავიდან თავი შევიკავე, ვიფიქრე, ძალიან დატვირთული ვიქნებოდი და არ ვიყავი მზად იმისთვის, ბავშვი დიდი ხნით დამეტოვებინა. მაგრამ, მაქსიმალურად შემიწყვეს ხელი, შემომთავაზეს ჩემთვის მისაღები ყველანაირი პირობა და ერთწლიანი კონტრაქტი. ჩემი მხრიდან დასაწუნი და საყოყმანო არაფერი იყო. ამიტომ მივიღე კიდეც გადაწყვეტილება.

**– როდესაც ასეთი შემოთავაზება მიიღე, ალბათ, მეუღლესთანაც გაიარე კონსულტაცია.**

– მეუღლეს გავაცანი პირობები. მანაც იკითხა: თუ შევძლებდი, რომ საქმისთვისაც და ოჯახისთვისაც კარგად გამერთვა თავი. თან, მან იცის, რომ ზერელედ არაფერის კეთება არ მიყვარს. რომ ავუხსენი: კვირაში მხოლოდ ერთი დღე ვიქნები დაკავებული 4-5 საათის განმავლობაში-მეთქი, მან ამაში ვერანაირი ბარიერი ვერ დაინახა. ეს ერთგვარი სტიმულიც იყო იმისთვის, რომ მალე დავბრუნებოდი ჩემს ფორმას და სამუშაო ენერგიით სავსე ვყოფილიყავი. ბავშვის დაბადების შემდეგ ცოტა დაბნეული და ემოციური ხარ. ამ ყველაფრის დაბალანსებაში კი სამსახური გეხმარება და მეც დამეხმარა.

**– გყავს ძიძა?**

– დამხმარე მყავს სამი თვიდან. თავიდან ძალიან რთული იყო: ახალი ნაოპერაციები ვიყავი, ბუნებრივ კვებაზე მყავდა ბავშვი, დღე და ღამე არ ეძინა, სულ ტიროდა, ჩემ გვერდით იყო. რა თქმა უნდა, ჩემი დედამთილი ძალიან მეხმარებოდა, დედაც, ბებიაც, ლიკაც, მეუღლეც, ყველანი მეხმარებოდნენ. მაგრამ, როცა ბავშვი ბუნებრივ კვებაზეა, 20 წუთში ერთხელ შია, გამუდმებით ტირის, თან სულ გინდა, თან გყავდეს. გგონია, რომ შენი სუნი, შენი ენერგია ამშვიდებს. ამიტომ, როცა დღე და ღამე დაუსრულებლად გრძელდება, იფიტები. თორემ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საკუთარი შვილისთვის დრო არ გემეტება და წუწუნებ. უბრალოდ, რაღაც ეტაპზე არ გაქვს იმის ძალა, ამ ყველაფერს გაუმკლავდე. როგორც კი სამ თვეს მივუახლოვდით, ავიყვანე დამხმარე ქალი, რომელიც ისედაც ჩვენს ოჯახში მუშაობდა. ძალიან კარგი, სანდო ადამიანია, კეთილშობილი, ღვთისნიერი პიროვნება. მასთან შვილს რომ ვტოვებ, არ მაქვს იმის შიში, ბავშვს რამე მოაკლდება.

**– როგორი ემოცია გქონდა, როცა პირველად გიორგი სახლში დატოვე?**

– მეგონა, მთელი ქვეყნიერების წინაშე რაღაც დავაშავე, სრულიად შეურაცხადი ვიყავი. ორთვე-ნახევრის იყო, ჩემს საქმეზე გავედი, ნახევარი საათით აქვე, სახლთან. ჩემს მეუღლეს ვეუბნებოდი: თხუნელასავით ვარ, დღის სინათლე თვალს მჭრის-მეთქი. ასე, 3 თვის იყო, როცა უფრო დიდი ხნით დავტოვე და ძალიან გამიჭირდა. ახლაც არ ვტოვებ დიდი ხნით, მაგრამ უკვე მივეჩვიე და ეს ნორმალური გახდა ჩემთვის.



**არავინ ელოდებოდა, რომ ასეთი გიჟი დედა ვიქნებოდი, თუმცა, მე კი ვიცოდი**

**– ბუნებრივ კვებაზე გყავს?**

– სამწუხაროდ, არა. ძალიან პატარა იყო, როდესაც ვირუსი გადავდეთ და ამის გამო საავადმყოფოში მოვხვდით. ნერვიულობის ნიადაგზე გამიშრა რძე, შემდეგ კი დამიბრუნდა, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით და ძლივს მივიყვანე სამ თვემდე. ექიმები კი მეუბნებოდნენ: ასე ნუ ნერვიულობ, ყველა ბავშვი ცივდებაო. მაგრამ, ეს ნერვიულობა შენგან დამოუკიდებელი ემოციაა და სამწუხაროდ, ვერ მოვერიე.

**– გარეგნობით ორივეს გგავთ.**

– ვინც მე მიცნობს, ის ამბობს: კოპიო შენ ხარ, მაგრამ როგორც კი კახას ნახავენ, იძახიან: კოპიო მამამისიაო. ალბათ, ორივეს გვგავს. ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის ხშირად უთქვამთ: თქვენ ერთმანეთს გავხართო, დაახლოებით ერთი სტილის ნაკვთები გვაქვს. თავიდან მეგონა, ძალიან უხასიათო და რთული ბავშვი იყო, რადგან სულ ტიროდა. თუმცა, ალბათ, ყველა დედას ასე ჰგონია, რადგან, სანამ ბავშვს კუჭ-ნაწლავის სისტემა ჩამოუყალიბდება, გარკვეული პრობლემები აწუხებს და მისგან დამოუკიდებლად აქვს ეს უხასიათობა, ჭიჭყინი. ახლა ვერ ვიტყვი, რომ ცუდი ზნის ბავშვია. კარგი ხასიათისაა, უბრალოდ, არ უყვარს ძილი და მიჩვეულია ხელში ყოფნას. თავისით არ იძინებს და წყნარად არ არის, თუ ხელში არ გვიჭირავს. მივხვდით, რომ ძალიან გაგვინებივრებია. ცოცხალი, ცელქი და ჯიუტია. უცებ, რაღაც რომ არ მოეწონება და არ შეუცვლი, ჩვეულებრივი კაცივით ყვირის.

**– როგორი დეიდაა ლიკუნა?**

– არაჩვეულებრივი დეიდაა. ძალიან უყვარს და ბევრს ეთამაშება. სულ მეუბნება: გადაუღე, რა ფოტო და გადმომიგზავნეო. რას აკეთებს, – სძინავს? მიდი რა, გადაუღე ფოტო და გადმომიგზავნე. ასე რომ, მთელი დღე ფოტოების გაცვლაში ვართ.

**– როგორც მივხვდი, ერიდები სოციალურ ქსელებში ბავშვის ფოტოების დადებას ან ტელევიზიაში, ჟურნალების ფურცლებზე მის გამოჩენას.**

– ერთი-ორჯერ გამოვაქვეყნე „ფეისბუქზე“ და მაშინვე ჩავკეტე. ზღვა დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ ბევრმა მითხრა: ჯერ პატარაა, თვალი არსებობს და ასე შემდეგ. ვერ ვიტყვი, რომ არ მჯერა ასეთი რაღაცეების. თუმცა, ისეთი ბედნიერი ვიყავი ამ ბავშვის არსებობით, მინდოდა, ჩემი ემოცია ყველასთვის გამეზიარებინა. ამ ეტაპზე თავი შევიკავე, სანამ არ წამოიჩიტება, ვცდილობ, საჯაროდ არ გამოვაქვეყნო ფოტოები – არც გადაცემაში მიმყავს და არც ჟურნალის ფურცლებზე ვაქვეყნებ.

**– შენც, ალბათ, შეიცვალე დედობის შემდეგ?**

– თითქოს უფრო დასერიოზულებული ხარ, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გაქვს. 25 წლის და 30 წლის ქალი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან ხომ განსხვავდება. თითქოს მეც ამ ერთ წელიწადში 5 წლით გავიზარდე. ოჯახურ ცხოვრებაზეც, რა თქმა უნდა, მოქმედებს ბავშვის დაბადება. ჩვენს შემთხვევაში, ამან უფრო მეტად შეკრა, ძლიერები გავხდით და თითქოს რკინასავით შეგვადუღაბა, ერთ მთლიანობად აღვიქმებით უკვე და არა შეყვარებული წყვილად ან ცოლ-ქმრად.

**ნათია უტიაშვილი**

# საქართველოში პირველი ინდუსტრიული ყავის საწარმო გაიხსნა



*სპეციალურად მედიის წარმომადგენლებისთვის, საქართველოში პირველი ინდუსტრიული ყავის საწარმოს – Cherie-ს პრეზენტაცია გაიმართა. მედიატურის ფარგლებში, ჟურნალისტებმა საწარმოს ტერიტორია და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია დაათვალიერეს. მედიის წარმომადგენლები საწარმოს მუშაობის პროცესს გაეცნენ და ახალი ქართული ყავა დააგემოვნეს.*

*ინფორმაციისთვის, კომპანია Cherie 2012 წლის 21 მარტს დაარსდა. მისი საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ნედლი, მწვანე ყავის იმპორტი, მისი შემდგომი გადამუშავება (გაწმენდა, მოხალვა, დაფქვა, დაფასოება) და რეალიზაცია. კომპანიის საკუთრებაშია უახლესი, ყავის ინდუსტრიაში საუკეთესოდ აღიარებული გერმანული Probat-Werke-ს დანადგარებით აღჭურვილი საწარმო. მწვანე მარცვლის იმპორტი ევროპიდან ხორციელდება, თუმცა, მისი თავდაპირველი მომწოდებელი ქვეყნებია ბრაზილია, კოლუმბია და სხვა.*

ღონისძიებას, მიწვეულ სტუმრებთან ერთად, ეკონომიკის მინისტრის მოადგილეც ესწრებოდა. ქეთევან ბოჭორიშვილი ახალი ინდუსტრიული საწარმოს გახსნას მიესალმა და განაცხადა: „ძალიან გვიხარია, რომ ორწლიანი მუშაობის შედეგად საქართველოში ასეთი მაღალი დონის საწარმო გაიხსნა. ვფიქრობთ, რომ მითი, თითქოს საქართველოში კარგი ყავის დამზადება არ შეიძლება, „ჩერიმ“ დაამსხვრია,“ – განაცხადა ქეთევან ბოჭორიშვილმა.



„ჩვენი კომპანია პირველია, რომელმაც საქართველოში ინდუსტრიული ყავის წარმოება დაიწყო და ქართველ მომხმარებელს უნიკალური ტექნოლოგიით მომზადებული, გამორჩეულად გემრიელი, 100 პროცენტით ნატურალური ყავა შესთავაზა. სამწუხაროდ, საქართველოში მასობრივად იყიდება უხარისხო ყავა. აქედან გაჩნდა იდეა – მომხარებლისთვის მიეწოდებინა ნამდვილი ყავა, რომელიც მათი გემოვნების მიხედვით შეიქმნა, ამაში მდგომარეობს Cherie-ს კონკურენტული უპირატესობაც. ამასთანავე, ჩვენს შეფუთვას აქვს სპეციალური სარქველი, რომლის საშუალებითაც გამოიყოფა ნახშირორჟანგი, შეფუთვაში კი ვერ აღწევს ჟანგბადი, რაც დიდი ხნის განმავლობაში უნარჩუნებს ყავას გემოსა და თავდაპირველ არომატს. პროდუქცია გადის ყველა საჭირო შემოწმებას და სერტიფიცირებულია როგორც მომწოდებლის, ისე ადგილზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. დღესდღეობით Cherie ყავის ყველაზე დიდი მწარმოებელია ქვეყანაში. საწარმოს სრულად დატვირთვის შემთხვევაში, ბაზრის 60 პროცენტის დაკავებას შევძლებთ. აღსანიშნავია ის, რომ საუკეთესო ყავები მზადდება იმ ქვეყნებში, სადაც ყავა არ მოდის. იმისთვის, რომ უმაღლესი ხარისხის ყავა ვაწარმოოთ, არ არის აუცილებელი, ის საქართველოში მოდიოდეს, ამისთვის საჭიროა ის ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც ჩვენი კომპანიის საკუთრებაშია,“ – განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ლომთათიძემ.

ამჟამად Cherie ორი დასახელების ნალექიან ყავას აწარმოებს: „ჩერი – კლასიკი“, რომელიც წარმოადგენს 100 პროცენტით „არაბიკას“ ჯიშის ყავების ნაზავს დახვეწილი გემოთი და, ასევე „ჩერი – ორიგინალი“, რომელიც აზიური „რობუსტასა“ და სამხრეთამერიკული „არაბიკას“ ჯიშის ყავების ნაზავია ძლიერი გემოთი. პროდუქტი გათვლილია საშუალო და მაღალ სამომხმარებლო სეგმენტზე. „ჩერი კლასიკის“ 100-გრამიანი შეფუთვის საშუალო ფასია 3.50, ხოლო „ჩერი – ორიგინალის“ – 2.50 ლარი.

სამომავლოდ დაგეგმილია პროდუქციის ხაზის გაფართოება და 12 დასახელების ყავის გამოშვება. კომპანიაში პროდუქციის ექსპორტზე გატანასაც გეგმავენ.



# მომპარავები

## ანუ როდის არის საბიუჯეტო ფულის ფლანგვა მადლი

ამ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების ბედოვლათობისა თუ სხვა, უფრო ამაღლებულ და საფუძვლიან მიზეზთა გამო, აქამომდე უფლებაშეჩერებულ მერ ბ-ნ უგულავას სასამართლომ ისევ აღუდგინა უფლებამოსილება – უკანონოდ ჰქონდა შეჩერებულიო და, მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ დიდად ვერც ხახვს აჭრიან ყურებზე, თუმცა მილიონების გაფლანგვას ედავებიან (და ჩვენც გვსმენია).

ამის პარალელურად და იმისაც, რომ სალონიკის მერს სამუდამო პატიმრობა უკვე მიუსაჯეს, სხვათა შორის, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის გამო,



სულ ახლახან იტალიის პოლიციამ ვენეციის მერი – ჯორჯო ორსონი გასკვანჩა და, ზედაც, 34 ჩინოვნიკი მიაყოლა. ბრალდება უცვლელია: დიდი ოდენობით ფულის გაფლანგვა.

აწ დაპატიმრებულ სახმოხელეებს ქვეყნიდან 20 მილიონი ევრო გაუტანიათ, მაშინ, როდესაც ეს თანხა ვენეციის წყალდიდობისგან დასაცავი გამაგრებითი სამუშაოებისთვის იყო განკუთვნილი. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ



ეს 20 მილიონი ჩინოვნიკებმა პოლიტიკური პარტიების საქმიანობის დასაფინანსებლად (ანუ საკუთარი სკამების გასამყარებლად) გამოიყენეს.

ვენეციისა და თბილისის მერების საქმეები ტყუპი ძმებივით (გნებავთ, დებივით) ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა არც ევროკავშირსა და არც თეთრ სახლს განგაშის ზარები არ შემოუკრავთ – პოლიტიკური დევნააო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ჩვენს პარტნიორ დასავლეთში, ჯერ ერთი, ამ ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს საერთაოდ არ სცემენ პატივს („ტიპა" – „სავსემ ნე უვაჟაიუტ") და, რაც მთავარია, ნორჩი დემოკრატიის ქვეყნებში ჩინოვნიკების მიერ საბიუჯეტო თანხის პარვა დემოკრატიის სინორჩის ყველაზე ეფექტიანი გამოვლენაა?!

# იდეებ რა ვუყო

## მომენტის მოლოდინში

თუმცა ნაფტალინიდან ამოღებულ მუმიას ჰგავს რაკი ლაპარაკი იცის, თავის მოსაზრებებსაც ხშირ-ხშირად გვაცნობს. ასე მაგალითად, გასულ კვირას „იუჟნაია ოსეტიას" „პრეზიდენტმა" ჯაყო-ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა, რომ „იუჟნაია ოსეტიას" რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება მხოლოდ დროის საკითხია. დროის, ვინაიდან, თითოეულ სეპარატისტში თვლემს ეს იდეა (უცებ ძილში რომ გაიპაროს?!).



მომყავს ციტატა: „პერსპექტივაში ოსეთის გაყოფილი ხალხი უნდა გახდეს ერთიანი (სამწუხაროდ, ჯაყო-ლეონიდი არაფერს ამბობს, როგორ ახერხებდა ეს „ორად გაყოფილი" „ერთიანი" ოსი ხალხი კომუნიკაციების არარსებობის პირობებშიც კი, კავკასიონის ორივე ქედზე ცხოვრებას?! თუმცა ისიცაა, რომ ჯაყოსგან ასეთ რთულ შეკითხვაზე პასუხის ლოდინი ჩვენგან უსამართლობა იქნებოდა)". შესაბამისად, ასკვნის, რომ „ჩვენი (ანუ მათი) ამოცანაა საჭირო მომენტის შერჩევა."

ხოლო, ვიდრე ჯაყო-ლეონიდი მომენტს ელოდება, თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, სულ სხვა მომენტმაც უწიოს, იმას გარდა, რომ რფ-ს, მამამისმა რომ მემკვიდრეობად დაუტოვა, ის მიუერთოს.

# დამტვერვის ძალა

## შეღერებული „ასპირანტები"

მართალია, მარცხი ელანძეა, ისევე, როგორც უნებლიე გამართლება და, თუმცა გერმანიის კანცლერმა უკვე დააიმედა პრ. პუტინი, რომ სექტემბერში საქართველოს „მაფს" არათუ ხელს მოაკიდებინებენ, არც კი დაანახვებენ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი (შესაძლოა, ის ეთანხმება ნიცშეს, სადაც ის ამბობს: როდესაც უბედურებათა კასრი ეცემა, იქ მაინც ყოველთვის რჩება ადგილი იმედისთვის).



ჰოდა, რაკი განწყობილია, ჩვენც გვაიმედებს, რომ საქართველოს „ნატოში" გაწევრიანება „მაფის" გარეშეცაა შესაძლებელი. მომყავს ციტატა: „მაფი" არის ინსტრუმენტი, რომელმაც უნდა მოამზადოს ქვეყანა „ნატოს" წევრობისთვის. ალიანსთან ურთიერთობისთვის ჩვენ გვაქვს ორი მექანიზმი: ერთი – „ნატო"-საქართველოს კომისია, მეორე კი – ეროვნული წლიური გეგმა. საქართველო კრიტერიუმებს გარკვეულწილად უკვე აკმაყოფილებს, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ „ნატოში" გაწევრიანება „მაფის" გარეშეც მოხდეს."

ოღონდ, უნდა ითქვას, რომ ეს მოტივები არახალია ქართული ხელისუფლების შემოქმედებაში: წინამორბედებიც გვარწმუნებდნენ, რომ „მაფზე" მეტიც გვქონდა და ისეთი ასპირანტები ვიყავით, „ნატოს" წევრ ქვეყნებს ამ ორგანიზაციის შექმნის დღიდან სიზმრადაც რომ არ ენახათ!

ჰოდა, თუკი ახლა უკვე „მაფის" გარეშეცაა შესაძლებელი „ნატოს" წევრობა, ვფიქრობ, თუ ასეთი ტემპებით განვაგრძეთ, მალე დემოგრაფიულ პრობლემასაც გადავჭრით, არ დავასახელებ (თავადაც მიხვდებით), იმ აქტის გარეშეც!


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ბაირამობის დასასრული

## შენ რომ ჩემთვის ქვები არ გისვრია

შესაძლოა, იმიტომ, რომ **ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია,** ან იქნებ იმიტომაც, რომ **დედამიწა კვლავაც ქალამნად მიაჩნიათ**: ყოფილი ხელისუფლების **თვალსაჩინო სახეები** (ბ-ნები უგულავა და წიკლაური, ზედაც – ქ-ნი ჩიორა) **მარნეულის საოლქო კომისიის თავმჯდომარეს კაბინეტში შეუცვივდნენ** და **„ნაციონალების“ კანდიდატის არჩევნებიდან მოხსნის ახსნა მოსთხოვეს**. რასაკვირველია, **სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს** (სავარაუდოდ, მოქმედების პათოსი ასეთია: **„შეჩვეულს ნუ გადააჩვევ“,** ოღონდ ისაა, რომ ვერც გადააჩვევ).

**ცესკომ მომხდარი ზეწოლად და საარჩევნო პროცესში უხეშ ჩარევად შეაფასა** (თუმცა პირადად ჩემთვის ჟანრის კლასიკად მაინც 2012 წლის არჩევნებში ხაშურის საარჩევნო უბნიდან სპეცრაზმის მიერ საარჩევნო ყუთების გატაცება რჩება). **შს მინისტრმა კი მოგვახსენა, რომ გამოძიება დამნაშავეებს გამოავლენს,** ოღონდ, მათ **მხოლოდ არჩევნების შემდეგ დასჯის** (მანამდე, **რაკი მორატორიუმია, დაე, იბაირამონო**).

ჩვენ არ ვიცით, **რით დასრულდება ეს კონკრეტული ბაირამობა** (რადგან ეს ჩვენი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ფრიად არასახელმწიფოებრივად მოქმედებდნენ, ვინაიდან, ხაზგასმით იმეორებდნენ: ჩვენი აზერბაიჯანული წარმოშობის კანდიდატიო), თუმცა **ვიცით, რომ მეორე დღეს** ბ-ნმა **უგულავამ ბოდიში მოიხადა.** მომყავს ციტატა: „საღამოს ვნახე ჩემი თავი, თვითონ არ მომეწონა, **ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, ყვირილი და ხმამაღალი საუბარი ლამაზი არ არის**, მაგრამ რას ვიზამთ, ხანდახან ასეც ხდება ხოლმე (ხდება, თურმე – ).“

თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი **უგულავა აქამდეც არაერთხელ მოქცეულა ულამაზოდ** (განსაკუთრებით, როდესაც ძალაუფლების სადავეები ეპყრა), ოღონდ, **ბოდიში წამლადაც არ მოუხდია**, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ხელისუფლებიდან ჩამოშორებას მის პიროვნებაში ძირეული ძვრები მოუხდენია** და, ალბათ, **სრულყოფილების მისაღწევად მისთვის დისტანცირების გაგრძელება ჰაერივით აუცილებელია**?! – **.**

# ჯიბის მშრალი შიმშილი

## პირის გემოს მცოდნენი

**ღვთისა და დემოკრატიის მადლით, ჩვენს ქვეყანაში მაღალ-მაღალ სკამთა ჩინოვნიკების ხელფას-პრემიების შესახებ ინფორმაციის მოპოვება გაცილებით გაიოლდა**. ხოლო, რაკი გაიოლდა, **გულიც უფრო და უფრო დაგვიმძიმდა**.




ასე და ამგვარად, ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტმა გაარკვია, რომ, მაგალითად, **შემოსავლების სამსახურში 2013 წლის განმავლობაში თანამდებობის 12 პირს**, საერთო ჯამში, **514 890 ლარის ოდენობის პრემია აუღია**, თითოეულს – 60 000 ლარის მიდამოებში (**მიყვარს მაძღარი და პირის გემოს მცოდნე ჩინოვნიკები!).**

ზედაც, **ავტოპარკიც განუახლებიათ:** 101 ავტომობილი 148-ით ჩანაცვლდა – საერთო ღირებულება **6 626 858 ლარი**.

ჩვენ, ბუნებრივია, ვცდილობთ, **თავი დავაღწიოთ** იმას, **რასაც ჩვენი სულხან-საბა უწოდებდა „მწუხარებას სხვისა სიხარულსა** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – სხვისი ჯიბის სისავსესა) **ზედა”** და მხოლოდ **იმას ვნაღვლობთ, რომ ამ ჩვენს გამძღარ ჩინოვნიკებს მშიერი მოსახლეობაც მაძღარი არ ეგონოს.**

ასეა თუ ისე, საქართველოს **პრემიერ-მინისტრმა მედიისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არც მინისტრობისა და არც პრემიერობისას პრემია არ მიუღია**. ამის პარალელურად, ბ-ნი ღარიბაშვილის **სახელფასო შემოსავლებიც გასაჯაროვდა** და გაირკვა, რომ **ის ყოველთვიურად 4 250 ლარს იღებდა** (ასეთია მისი თანამდებობრივი სარგო, რაც ზემომოყვანილ პრემიერს მნიშვნელოვნად ჩამორჩება) და იღებს.

აქედან გამომდინარე კი, იბადება კითხვა: **დანარჩენი ჩინოვნიკების ჯიბეებს რა მშრალი შიმშილი შეეყარა?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# დედინაცვალი-რფ

## „მიეცით სეპარატისტებს გზა ფართო“

უკრაინამ **ახალი პრეზიდენტიც აირჩია და მისი პოლიტიკური რუკაც ახლებურია** – ვაი რომ, **ყირიმის გარეშე**, ხოლო, **თუ პრ. პუტინის** გასულ კვირას გავრცელებული **ინტერვიუთი ვიმსჯელებთ**, **უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი კვლავ უკრაინის შემადგენლობაში რჩება**, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.



მეტიც, **რფ-ს პოლიტხელმძღვანელობა**, თურმე, **მზადაა, ითანამშრომლოს უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან** და აღიარებს ახალ პრეზიდენტ პოროშენკოს, თუმცა გმობს სპეცოპერაციას დონბასში **(მოტივით: მიეცით სეპარატისტებს გზა ფართო?!).** შესაბამისად, **სინდისზე აგდებს ბ-ნ პოროშენკოს: „ჯერჯერობით ხელები სისხლში არ აქვს და აქვს უნიკალური შანსი, შეაჩეროს ეს სადამსჯელო ღონისძიებაო.“**

იქვე დასძენს, რომ **რფ არ აპირებს უცხო ტერიტორიების ანექსიას** (ანუ გამოდის, რომ **ყირიმი, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი დაბადებიდან მათია**?!), თუმცა აღნიშნავს, რომ **უკრაინა სუვერენიტეტს, არც მეტი, არც ნაკლები, „ნატოში“ გაწევრიანებით დაკარგავს** (ამიტომაც მივიერთეთ ყირიმი, რომ ამ ისტორიულად რუსულ მიწას ემანდ სუვერენიტეტი არ დაეკარგა „ნატოშიო“).

მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **ყირიმის შეერთებამდე პრ. პუტინი**, ასევე, **აცხადებდა, რომ რფ არ აპირებდა სხვისი ტერიტორიების შეერთებას,** მისი ამჟამინდელი ნათქვამი პირიქითაც შეიძლება, გავიგოთ: **სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის ყოფნა-არყოფნის** (რუსეთსა თუ უკრაინაში) **საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა**.

ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ **რფ-ის თავკაცს არც ის მცირე-მცირე წარმონაქმნები უხსენებია** (ცხინვალის რეგიონის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის სახით), **რომლებმაც, ყირიმის მსგავსად,** შესაძლოა, **მიმართონ დედარუსეთს შერწყმის თხოვნით**, არც ისაა გამორიცხული, **უახლოეს მომავალში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის ის 20 პროცენტი დედინაცვალ-რუსეთის შემადგენლობაში ვიხილოთ**, მით უფრო, რომ **გერმანიის კანცლერმა აგერ უკვე მეორედ აუნთო მწვანე შუქი ჩვენი მეზობლის შეიარაღებულ ძალებს ჩვენზე გამოსასეირნებლად**.

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მოვლენები ისე განვითარდა, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი საპრეზიდენტო სავარძელს ნაადრევად გამოემშვიდობა. თავად აფხაზური საზოგადოების ის ნაწილი, რომლებიც თანაუგრძნობენ პრეზიდენტის პოსტიდან წასვლას, დარწმუნებულები არიან, რომ ეს მათი თავისუფლებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ მომავალი პრეზიდენტი, დიდი ალბათობით, რაულ ხაჯიმბა იქნება, რთული სათქმელია: ეს თავისუფლებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია თუ კიდევ ერთი ნაბიჯია უკან – რუსეთისკენ?! აფხაზეთში შექმნილ ვითარებასა და სამომავლო პერსპექტივებს ებრაელ პოლიტოლოგ აბრაამ შმულევიჩთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# რატომ არის პუტინისთვის რუსული რევოლუციის თავიდან აცილების ერთადერთი გზა აფხაზეთის შეერთება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაცვლოდ

**– პროგნოზირებდით, რომ მსგავსი რამ შეიძლება, მომხდარიყო და ანქვაბს დროზე ადრე დაეტოვებინა პრეზიდენტის სავარძელი?**

– ეს ხომ პირველად არ ხდება?! ამ ტიპის, საკმაოდ ძლიერი მღელვარებები დაახლოებით ერთი წლის წინათაც იყო. ამ პერიოდში, იცით, რომ რუსეთს რამდენიმე მილიარდი რუბლი უნდა გადაეცა, მაგრამ მხოლოდ 2 მილიარდი გადასცა აფხაზეთს, ამიტომ, ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო მსგავისი მღელვარება. ამასთან, აფხაზეთის მოვლენებზე გავლენა მოახდინა უკრაინულმა პროცესებმა, რადგან ის პრობლემები, რაც აფხაზეთშია ძალიან ჰგავს იანუკოვიჩის მმართველობისას უკრაინაში არსებულ პრობლემებს: კორუფცია, კლანური მმართველობა, როდესაც რუსული დახმარების დიდი ნაწილი მცირე რაოდენობის ადამიანების ხელში ხვდება. ამდენად, ამის პროგნოზირება შესაძლებელი იყო. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, როგორია რუსეთის როლი ამ მოვლენებში. ჩვენ გვახსოვს, რომ რუსეთს არ უყვარდა ანქვაბი და მას საკმაოდ დიდი ხანია, უთხრიან ძირს.

**– რატომ არ უყვარდათ?! ყველა ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი არის ან იძულებულია, იყოს პრორუსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ აიღებს ძალაუფლებას. ან ვთქვათ ხაჯიმბა რატომ არ იქნება კორუმპირებული, რა შეუშლის ხელს?**

– საქმე მხოლოდ პრორუსულობა-არაპრორუსულობაში არ არის. გახსოვთ, რომ თავის დროზე რუსეთი მხარს უჭერდა ხაჯიმბას.

**– ჯერ კიდევ ბაღაფშის პირველი არჩევნებისას.**

– ამასთან, მხარს უჭერდა საკმაოდ უხეშად, მაგრამ მაშინ ბაღაფშ-ანქვაბის ტანდემი მოვიდა ხელისუფლებაში. რუსეთი ძალიან ხშირად თავის პოლიტიკაში არ ხელმძღვანელობს რაღაც სტრატეგიით, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ანქვაბი რუსეთში არ უყვარდათ, თუმცა იტანდნენ. საინტერესოა, რა მოხდება, როდესაც ანქვაბი საბოლოოდ წავა და ხაჯიმბა გახდება პრეზიდენტი.



გალის ქართველები შეიძლება, გაყარონ, შეიძლება – დახვრიტონ ან მთვარეზე გაუშვან, როგორც გითხარით, ადამიანები არ არის ფაქტორი რუსეთისთვის

**– თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?**

– ეს, ვფიქრობ, ნათელია და მაშინვე ის ფული, რაც არ იყო გადარიცხული ანქვაბის დროს, გადაირიცხება აფხაზეთში.

**– იმას ამბობთ, რომ რუსეთმა გადარიცხვის შეჩერებით ხელოვნურად გააღვივა საზოგადოების უკმაყოფილება, რომელიც ისედაც უკმაყოფილო იყო ანქვაბით?**

– რუსეთში არის ფინანსური კრიზისი, არ არის ფული, ეკონომიკა რთულ მდგომარეობაშია და ეგრეთ წოდებულ „გაზპრომის" ჩინოვნიკებსაც კი დაუგვიანდათ ხელფასები. შესაძლოა, ფული მართლაც არ იყო და იმიტომ ვერ გადაურიცხეს, მაგრამ იქნებ ეს ხელოვნური გაჭიანურება იყო?! ამას უახლოეს ორ თვეში ვნახავთ, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ფულის არარსებობამ თავისი როლი შეასრულა აფხაზი საზოგადოების უკმაყოფილებაში. საქმე ისაა, ვინ ისარგებლებს ამ უკმაყოფილებით. ვხედავთ, რომ რუსეთმა ისწავლა აფხაზეთში კოლონიალური პოლიტიკა, იმიტომ რომ ის შეცდომები, რაც დაუშვა ბაღაფშის პირველი არჩევნებისას, აღარ გაუმეორებია. რუსეთი დღეს აფხაზეთში ძალიან ნატიფად იქცევა. საერთოდ, არ ჩანს რუსეთის საელჩო, თუმცა ყველაფერს აკონტროლებს, მაგრამ არ ჩანს. ძალიან ინგლისურად მოქმედებს. რა მიზანი აქვს რუსეთს? ეს არის ყველაზე საინტერესო საკითხი, რადგან ყველაფერ ამის უკან რეალურად დგას რუსეთი. უნდა გვახსოვდეს, რომ ანქვაბი თავისი წარმოშობით უცხოა რუსეთისთვის, ის იყო ქართული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. ეს არ იყო სუფთა მოსკოვური სტრუქტურა, ხაჯიმბა იყო „კაგებეშნიკი".

**– და როგორც ამბობენ, „კაგებეს" ყოფილი თანამშრომლები არ არსებობენ.**

– „კაგებე" მკაცრად კონტროლდებოდა მოსკოვის მიერ, ანუ, თუ ანქვაბი დაკავშირებულია თბილისთან, ხაჯიმბა იყო მოსკოვის კაცი. დადის ხმები, რომ მას აქვს „კაგებეს" გენერლის რანგი. ანქვაბი არ იყო კრემლის ბოლომდე მარიონეტი და საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ფიგურასაც წარმოადგენდა.

**– არც ისე ძლიერს, რომ ერთი ვადა მაინც მიეყვანა ბოლომდე.**

– შეუძლებელია ძალაუფლების შენარჩუნება იმ სიტუაციაში, რომელიც აფხაზეთშია, როდესაც ბიუჯეტი მთლიანად მოსკოვის დოტაციაზეა, მიუხედავად ამისა, ის ბოლომდე მართვადი ადამიანი არ იყო. ის ეწინააღმდეგებოდა რკინიგზის გახსნას აფხაზეთის გავლით; ნება არ დართო აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის რუსეთის მოქალაქეებს...

**– რამდენად რეალურია, ამ მოვლენების რუსეთთან შეერთების თხოვნით დასრულება? და აქვს ამას რამე კავშირი 27 ივნისს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან?**

– უკრაინის მოვლენებმა ძალიან საინტერესო რამ აჩვენა: მგონია, პუტინი არ ტყუოდა, როდესაც თქვა, რომ ყირიმში ჯარის შეყვანისა და შეერთების გადაწყვეტილება სპონტანურად მიიღო, რადგან რუსეთი უკრაინის დაშლაზე დიდი ხანია, მუშაობდა. უბრალოდ მათთვის მოულოდნელი იყო მაიდანთან და იანუკოვიჩთან დაკავშირებული მოვლენები და რუსეთი იძულებული გახდა იმპროვიზაციისთვის მიემართა. ეს რუსეთში არსებული მმართველობის ხარისხზე მიუთითებს, რადგან, წესით, ნორმალურ ქვეყანას, მით უმეტეს, ისეთ მძლავრ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, უნდა ჰქონდეს სხვა ვარიანტისთვის მოქმედების გეგმები. რუსებს ასეთი გეგმა არ ჰქონდათ, ეს ნიშნავს, რომ მათი მართვის სისტემა არასტაბილურ ფაზაში გადავიდა. უკრაინის მოვლენებს შეიძლება, ჰქონდეს შემდეგი შედეგები: ჯერ ერთი, პუტინი იძულებული გახდა, დაყრდნობოდა რუსეთის საზოგადოების ნაციონალისტურ ნაწილს, რასაც ის ყოველთვის გაურბოდა და რომელიც ყოველთვის ანტიპუტინური იყო; მეორე – პუტინის ავანტიურამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა რუსულ საზოგადოებაში, რაც ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია უკან დახევა. მან უკვე გამოაცხადა ნოვოროსიის – სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის დაბრუნება. თუ რუსეთი არ შეიჭრა, ადრე თუ გვიან, ეს სეპარატისტული მოძრაობა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში ჩაქრება და რუსეთის საზოგადოება პუტინს ანგარიშს წარუდგენს და ბრალს დასდებს, რომ მან ჩაახშო რუსული რევოლუცია ლუგანსკსა და დონეცკში. რადგან რუსული მედია ამას ასაღებს, როგორც სახალხო ამბოხს უკრაინული ხუნტის წინააღმდეგ. პუტინს უკრაინაში ჯარის შეყვანა არ შეუძლია, მაგრამ ამით უკრაინელებს მისცემს საშუალებას, ჩაახშონ სეპარატიზმი, რაც ნიშნავს, რომ სანაცვლოდ რუსულ საზოგადოებას რაღაც უნდა შესთავაზოს.

**– და ეს არის აფხაზეთის მიერთება?**

– დიახ. რუსები და უკრაინელები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებით, რუსების უმეტესობას უბრალოდ არ ესმის, რა ხდება მაიდანზე. მაიდანი ეს არის თვითორგანიზებული ბარდაკი, ეს შეუძლიათ უკრაინელებს, მაგრამ რუსებს – არა და ამიტომ არ ესმით, რა მოხდა. შესაბამისად, ამის გამეორება მათ არ შეუძლიათ, ეს უცხოა რუსებისთვის, მაგრამ ის, რაც ხდება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში ტიპური რუსული ბუნტია, რაც შეიძლება მოხდეს რუსეთშიც. კიევში შეიკრიბნენ უკრაინელები, გააგდეს პრეზიდენტი და აირჩიეს ახალი; ლუგანსკში შეიკრიბნენ რუსები, ჩამოაგდეს კიევის მიერ დანიშნული ხელმძღვანელი და დანიშნეს თავიანთი. თუ ეს შესაძლებელია დონეცკში, რატომ არ არის შესაძლებელი როსტოვში, ვოლგოგრადსა და მოსკოვში?! ახლა კი გამოვიდა, რომ აფხაზებმაც კი, რომლებიც, უკრაინელებისგან განსხვავებით, კარგები არიან, გააგდეს პრეზიდენტი. ის პრეტენზიები, რაც აფხაზებმა თავიანთ პრეზიდენტს წაუყენეს, შეიძლება, წაუყენო პუტინსაც და, თუ უკრაინელებს ეს შეუძლიათ კიევში, რუსებს – დონეცკსა და ლუგანსკში, აფხაზებს – სოხუმში, რუსებს რატომ არ შეუძლიათ მოსკოვში?! ნებისმიერი ტიპის ევოლუცია ლეგიტიმურია და ამაზე ლაპარაკობენ თვითონ რუსული მედიასაშუალებები. ვფიქრობ, რუსები ამის გაცნობიერებას იწყებენ: მათთვის ძალიან საშიშია, თუ აფხაზეთში მოხდება ასეთი რევოლუცია: ხალხი შეიკრიბება და აირჩევს ახალ პრეზიდენტს, ეს იქნება ძალიან საშიში რუსეთისთვის, პუტინისთვის.

**– ეს ხომ უკვე მოხდა აფხაზეთში?**

– ჯერჯერობით არა, ფინალური წერტილი არ დასმულა.

**– ანქვაბი წავიდა.**

– ეს მაინც დაუსრულებელი ისტორიაა, როდესაც დასრულდება, მაშინ ვილაპარაკოთ. ჯერჯერობით პროცესია და მოსკოვში ფიქრობენ, როგორ მოიქცნენ, რომ ამ მოვლენების უარყოფითი შედეგი აიცილონ თავიდან. ანქვაბის დაბრუნება შეუძლებელია; ამიტომ მეორე ლოგიკური გზაა – ჩართონ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში. თუ გამოვა, რომ აფხაზების გამოსვლის მიზანი იყო პრეზიდენტის ჩამოგდება, იმიტომ რომ უნდოდათ რუსეთთან, მაშინ პუტინისთვის აფხაზეთის მოვლენებს არანაირი უარყოფითი ეფექტი არ ექნება.

**– მაგრამ აფხაზები წინააღმდეგნი არიან რუსეთთან მიერთების?!**

– აფხაზებს თავი დავანებოთ, ერთადერთი ვარიანტი, რომ ამ უარყოფითი შედეგის ნეიტრა-

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

**ფაქტია, რომ მარიხუანის მოხმარებისთვის ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა საკმაოდ მაღალ, მე ვიტყოდი, არაადეკვატურად მაღალ სასჯელს ითვალისწინებს (თუმცა ის არა მომხმარებელთა, არამედ ნარკოტიკებით მოვაჭრეთა წინააღმდეგაა მიმართული. უბრალოდ, მცირე დოზების გამო ხშირად ამ მუხლის ქვეშ მომხმარებლებიც ხვდებიან). აქედან გამომდინარე, საზოგადოების ნაწილი მარიხუანის ლეგალიზაციას ითხოვს, რაც, ექსპერტთა თქმით (რასაც სრულად ვეთანხმები), სრულ კატასტროფას გამოიწვევს. რატომ არის დაუშვებელი მარიხუანის ლეგალიზაცია საქართველოში ამ ეტაპზე და რა საფრთხეს შეიცავს ის სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის, – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორთან, უშიშროების გენერალ-მაიორ ჯემალ ჯანაშიასთან ერთად შევეცდებით.**

# რა სანქციებია გათვალისწინებული ევროკავშირის ქვეყნებში მარიხუანის შენახვა-მოხმარებისთვის და რა შედეგს გამოიღებს საქართველოში 200 000 ნარკომანის არსებობის პირობებში მარიხუანის ლეგალიზაცია

**– როგორ ებრძვიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნარკომანიასა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას?**

– ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკა ემყარება 1961, 1971 და 1988 წლების საერთაშორისო კონვენციებს. ეს სამი კონსტიტუციური დოკუმენტი მარიხუანა-კანაბისის მოხმარება-შენახვას მთელი მსოფლიო საზოგადოების სერიოზულ პრობლემად აცხადებს და მოითხოვს, წევრმა სახელმწიფოებმა მკაცრი ღონისძიებები გაატარონ მისი ნეიტრალიზაციისთვის. მაგალითად, ევროკავშირის სახელმწიფოების კანონმდებლობა მარიხუანა-კანაბისის პირადი მიზნით შენახვა-მოხმარებისთვის, არა მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ანიჭებს უპირატესობას, არამედ აქტიურად იყენებს უფრო მკაცრ სასჯელებსაც. კერძოდ: ლატვიაში კანაფის მცირე ოდენობით შენახვა ან მოხმარება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რის გამოც პირს ეკისრება ჯარიმა 110 ევრომდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღის ვადით. ხოლო პირველი შემთხვევიდან ერთი წლის განმავლობაში გამეორების შემთხვევაში პირი შესაძლოა, დაისაჯოს პატიმრობით 2 წლამდე; ბელგიაში კანაფის შენახვა პირადი მოხმარების მიზნით აკრძალულია; ჩეხეთის რესპუბლიკაში 5 გრამზე მეტი ჰაშიშის შენახვისთვის სისხლისსამარათლებრივი სანქციები გამოიყენება. გერმანიას მკაცრი პოლიტიკა აქვს არჩეული და მარიხუანის ოდენობები განისაზღვრება თითოეული ლანდის კანონმდებლობით. კანაფის შენახვა პირადი მოხმარების მიზნით, სისხლისსამართლებრივად ისჯება პოლონეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში, ფინეთში, ლუქსემბურგში, ნორვეგიასა და შვედეთში. უმკაცრესი მიდგომა აქვს ამ მხრივ ჩვენსავით ორად გახლეჩილ კვიპროსის რესპუბლიკას: კანაბისის მოხმარებისთვის უმკაცრესი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული: თავისუფლების აღკვეთით 2-დან 8 წლამდე.

**– განსაკუთრებით ამ ფონზე ძალიან საინტერესოა ჰოლანდიის გამოცდილება.**

– ნიდერლანდები ცალკე თემაა. ის გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროპაში მარიხუანის გავრცელებისა და სელექცია-გასუფთავება-რაფინირების მამოძრავებელი ღერძია. ხანგრძლივი სელექციის პერიოდში გამოყვანილი ჯიშები 25-28 პროცენტ ტეტრაჰიდროკანაბიოლს შეიცავს. იმ პერიოდში ქვეყანამ 40 ტონა პროდუქცია აწარმოა, რომელიც 50 000-მდე ჰოლანდიელმა საკუთარ სათბურებში მოიყვანა. მოგვიანებით, ტურისტების მოზიდვის მიზნით, მარიხუანის გარკვეული დოზებით – 25 გრამის მოხმარება კაფეებსა და ბარებში დაუშვეს. ესე იგი, მარიხუანა, სამწუხაროდ, მათი ეკონომიკის ნაწილი გახდა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თავიანთი ხაზინის შესავსებად ჰოლანდიამ გაცილებით ადრე, კუნძულ იავაზე სამხრეთ ამერიკული კოკას პლანტაციები გააშენა, თავის ქარხნებში კოკაინის წარმოება ააწყო და მისი უდიდესი ექსპორტიორი გახდა. 1926 წელს ძირითადად ევროპისთვის, 600 ტონა კოკაინი აწარმოა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჰოლანდიას ნოყიერი წინაისტორიული პირობა ჰქონდა, რომ ნარკოტიკებისადმი ლიბერალური დამოკიდებულება ჰქონოდა.

**– სანამ საქართველოში არსებულ პრაქტიკაზე გადავიდოდეთ, მიმოვიხილოთ, რა ვითარებაა ნარკომანიის მხრივ ჩვენთან და ნარკოტიკებისგან რა დოზით დაზიანებული ქვეყანა ვართ?**

– საქართველოში ნარკოტიკული სიტუაცია კვლავ რთულია, ამას მრავალი მიზეზი აქვს. უპირველესად, ამის მიზეზია უკანასკნელ წლებში მხოლოდ რეპრესიულ მეთოდებზე დამყარებული ნარკოსტრატეგია, ასევე, გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა სიძნელეებმა ახალი იმპულსი მისცა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელთა მატებას. შენარჩუნებულია გაახალგაზრდავების ტენდენცია, ნელ-ნელა, მაგრამ მყარად ყალიბდება ქალთა ნარკომანიაც, განსაკუთრებით მარიხუანის მოხმარების მხრივ. დღეს სიღრმისეული კვლევების გარეშეც შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, 10 პროცენტით გაიზარდა და ეგრეთ წოდებული შემდგარი, ანუ ინიექციური ნარკომანების რიცხვი დაახლოებით 40 000-ია, ხოლო ნარკოტიკების პერიოდულად მომხმარებელთა რაოდენობამ 200 000-ს გადააჭარბა. საქართველო ნარკოტიკებით დაზიანებული ქვეყნის კლასიკური ნიმუშია.



**შენარჩუნებულია გაახალგაზრდავების ტენდენცია, ნელ-ნელა, მაგრამ მყარად ყალიბდება ქალთა ნარკომანიაც. განსაკუთრებით მარიხუანის მოხმარების მხრივ**

**– როგორ აფასებთ ნარკოტიკების, კერძოდ, მარიხუანის გამოყენებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმების საკითხს?**

– ეს თემა ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარების ლიბერალიზაციას, ხოლო მარიხუანის მომხარებლისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმებას ეხება. განა არ ვიცით, რომ ნარკოტიკების ინტენსიურად მომხმარებლები ავადმყოფთა კატეგორიას მიეკუთვნებიან და მათ მიმართ საჭიროა არა მხოლოდ რეპრესიული, არამედ სამედიცინო, სოციალური, სამართლებრივი კომპლექსური მექანიზმების შემუშავება?! სწორედ ასეთი მიდგომაა დამკვიდრებული ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მაგრამ იმ სახელმწიფოებში თითოეულ ადამიანზე დღეში საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება: ევროპაში – 60 ევრო: აშშ-ში – 80 დოლარი. ბოლო წლებში აშშ-ის მთავრობამ თითქმის ტრილიონი დოლარი დახარჯა, მაგრამ მხოლოდ ახლა მიაღწია ნარკომომხმარებელთა რაოდენობის დასტაბილურებას და ამის შემდეგ დაიწყეს ფიქრი ლიბერალური ნარკოპოლიტიკის გატარებაზე. ჰოლანდიაში ეს ციფრი 117 ევროა, ჩვენთან კი – მხოლოდ 50 თეთრი. საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ნარკომანთა მკურნალობისთვის საჭირო სამედიცინო დაწესებულებების ქსელი. დეტოქსიკაციური მკურნალობისთვის საჭირო რამდენიმე კლინიკაა, მსურველი კი გაცილებით მეტია. ბოლო 3 წელიწადში მკურნალობის კურსი 300-ზე ცოტა მეტმა ადამიანმა გაიარა, საიდანაც თანხის 40 პროცენტი სახელმწიფომ დააფინანსა, ხოლო დანარჩენი თანხა (1 200-1 500 ლარი) პაციენტებმა დაფარეს. ასეთივე მდგომარეობაა თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც. ვთქვათ, გავაუქმეთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებისთვის. როდესაც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ის მექანიზმები, რაც აუცილებელია შეზღუდვების გასაკონტროლებლად, ეს იმას ნიშნავს, რომ თავიანთ ნებაზე მივუშვათ ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც ევროპაში არსებული მოდელით მუდმივი კონტროლის რეჟიმში უნდა ცხოვრობდნენ.

**– თუ არის ცნობილი, რა შედეგი მოსდევს დეკრიმინალიზაციას? მცირდება თუ იმატებს ნარკოტიკის მომხმარებელთა რაოდენობა?**

– ნაჩქარევი და მოუმზადებელი დეკრიმინალიზაციის კლასიკური ნიმუშია რუსეთის ფედერაცია, სადაც 1992 წლის 12 დეკემბერს რუსეთის სახელმწიფო დუმამ ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გააუქმა. შედეგად, სულ რაღაც, 6 თვეში ამას მოჰყვა ნარკომანიის 100 პროცენტით აფეთქება. დღეს რუსეთი ნარკოტიკებით ერთ-ერთი ყველაზე დაზიანებული ქვეყანაა ევროპის კონტინენტზე და, ბოლო მონაცემებით, ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბა. საპირისპიროა ჩვენს მეზობელ თურქეთში არსებული ვითარება: იქ ნარკოტიკის არასამედიცინო მიზნთი გამოყენება მკაცრად ისჯება, თუმცა 2005 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი უშუალოდ აღარ ახდენს კანაბისის მოხმარების ფაქტების კრიმინალიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ ოპიუმის, ჰეროინის, კოკაინისა და სინთეტიკური სახის ნარკოტიკის მოხმარება მკაცრად ისჯება. მაგრამ ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვა, ითვალისწინებს პატიმრობას 1-2 წლამდე. ამასთან, შესაძლებელია, პირი ჩართული იქნას სარეაბილიტაციო პროგრამაში და მიესაჯოს პირობითი მსჯავრი, ვადით 3 წლამდე. ეს და სხვა მაგალითები მოწმობს, რომ მოქალაქეებმა ადრეული წლებიდანვე უნდა იცოდნენ, რომ ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

**– ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მარიხუანა მეტად უვნებელი ნარკოტიკია და საერთოდ არ არის ნარკოტიკი, რაც, ჩემი აზრით, დიდი ბოროტებაა. ერთია, რომ მარიხუანის მოწევისთვის ადამიანს 8 წლით ციხეში არ უნდა უშვებდნენ, მაგრამ იმის მტკიცება, რომ მარიხუანა უვნებელია, უბრალოდ, დანაშაული მგონია.**

– ჩვენ მუდმივად ვართ მოწმენი გაუთვითცნობიერებელი ხმაურიანი განცხადებების, როდესაც ნარკომანია სოციალურ მოვლენად და ავადმყოფობად ცხადდება, რასაც არცთუ იშვიათად საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები აკეთებენ. მაგალითად, ამას წინათ ერთ-ერთ ტელეარხზე გამომსვლელმა განაცხადა:

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

**სულ ახლახან თბილისში ევროპის 25 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით მსოფლიოში ამ ბოლო დროს გააქტიურებული მიწისძვრებისა და მშენებლობის სეისმოუსაფრთხოების შესახებ სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია გაიმართა. იმის გათვალისწინებით, რომ, სპეციალისტთა თქმით, მეტად საკამათოა თბილისის ახალმშენებლობების სეისმომედეგობა და ძველი შენობების უმეტესობის ექსპლუატაციის ვადაც ამოწურულია, კონფერენციის თემა ჩვენთვის საკმაოდ აქტუალურია. თან, თუ იმასაც დავამატებთ, რომ, მაგალითად, თბილისი 8-ბალიანი მიწისძვრის ზონაშია და ახალმშენებლობებიც გრძელდება. რა სეისმური პრობლემების წინაშე დგას დედაქალაქი და მთლიანად საქართველო (მართალია, დანარჩენ რეგიონებში მაღალსართულიანი სახლები იშვიათობაა, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაა დაწყებული, რომლებიც მიწისძვრამ შესაძლოა, ნაცარტუტად აქციოს). მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ასოციაციის თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე გვესაუბრება.**

# რატომ არ არის თბილისში არსებული არც ერთი სახლი სეისმომედეგი და როგორ ანგრევს ძველ უბნებში ახალი მშენებლობები ძველ შენობებს

**– რომელი იყო ბოლო დროს ყველაზე მასშტაბური მიწისძვრა მსოფლიოში?**

– როგორც კონფერენციაზე გამომსვლელმა ერთ-ერთმა უცხოელმა პროფესორმა აღნიშნა, ყველაზე მსხვერპლიანი და უდიდესი მასშტაბის იყო 2010 წლის ჰაიტის მიწისძვრა, მაგრამ ყველაზე არაბუნებრივი, ერთგვარად მისტიკური იყო. იაპონიაში 2011 წელს მომხდარი ცნობილი მიწისძვრა. მას ცუნამიც დაერთო და ატომური რეაქტორი გამოიყვანა მწყობრიდან, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა. ამ მიწისძვრისა და ცუნამის მისტერია იყო ის, რომ ცუნამების დროს აქამდე არასდროს წარმოშობილა 5 მეტრზე მაღალი სიმაღლის ტალღები, ამჯერად კი 10-მეტრიანი ტალღები მივიღეთ. უნებურად გამახსენდა ჩემ მიერ 2010 წელს აგვისტოში დაწერილი სტატია: „აპოკალიპტური უსტარი საქართველოს მოსახლეობას – ფრთხილად, შევდივართ საერო და სასულიერო კატაკლიზმების ათწლეულში“. ამ წერილში მოყვანილია მოსალოდნელი დამანგრეველი საფრთხეები და იქვეა განხილული გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც თავიდან აგვაცილებს და შეამცირებს მოსალოდნელი მსხვერპლისა და ნგრევის მასშტაბებს.

ამ კონფერენციის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ აქამდე საკითხზე მსუბუქად ვსაუბრობდით და უფრო მკვეთრი ლაპარაკი ყოფილა საჭირო. თანაც, აუცილებელია, სხვებმაც დამიჭირონ მხარი, რადგან ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო და ვერც მე მოვიყვანე. ასეთმა კრიტიკულმა გამოსვლებმა, მაგალითად, ჩვენს მეზობელ სომხეთში შედეგი გამოიღო და იქ დღეს უკვე არსებობს უახლესი სესიმოდამცავი ტექნოლოგიები, როდესაც დედამიწის ქერქიდან წამოსული მაღალბალიანი მიწისძვრების დროს ხდება 2-3 ბალის ჩაქრობა და ამდენად, შენობის კონსტრუქციულ ნაწილს გადაეცემა 2-3 ბალით ნაკლები დარტყმები. არადა, რამდენიმე წლის წინათ სომხეთის სეისმომედეგი მშენებლობის ასოციაციის თავმჯდომარე მიქაელ მელქუმიანი წერდა: 7-ბალიანი მიწისძვრების შემთხვევაში, ერევნისგან არაფერი დარჩება, დაიღუპება, დაახლოებით, 300 000 ადამიანი და დაიგრევა შენობა-ნაგებობების 80 პროცენტიო. წარმოიდგინეთ, ამას ამბობენ სომხეთში, სადაც ჩვენსავით არც მშენებლობის სამინისტრო გაუუქმებიათ და არც სამშენებლო დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. პირიქით, პარლამენტის დადგენილებით, დამატებით შექმნეს უდიდესი უფლებებით აღჭურვილი ახალი სახელმწიფო სტრუქტურა: სომხეთის სეისმური სახელმწიფო დაცვის სამმართველო. ჩვენ კი რა გაგვაჩნია? 8-კაციანი დეპარტამენტი, რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება და არც არაფრის გაკეთების უფლება აქვს. ამის შედეგია ის უბედურებები, რაც დღეს ხდება მშენებლობისას მთელ საქართველოში, განსაკუთრებით, თბილისში, სადაც არ არსებობს არანაირი კანონი. გაეცი „ქეში“ და ქუჩაში, ტროტუარზე, სკვერსა თუ ბაღში რამდენსართულიანი შენობაც გინდა, ააშენე. ღმერთმა არ ქნას, მართლაც რამე მოხდეს, რა დარჩება თბილისიდან 8-ბალიანი მიწისძვრის შემთხვევაში?! დარჩება ერთი დიდი საძმო სასაფლაო და ნახევარი საქართველო აღარ იარსებებს.

**– თუ შეისწავლის ჩვენთან რამე ორგანიზაცია ჰიდროელექსტროსადგურების მშენებლობისას იმ კონკრეტულ გარემოში არსებულ სეისმურ მდგომარეობას?**

– სწორედ ეს მინდა, ვკითხო ენერგეტიკის მინისტრს, ხუდონჰესის აშენებას რომ აპირებთ, ვინ უზრუნველყოფს იმ ჰესს სამეცნიერო-ლაბორატორიული კვლევებით? იცით თუ არა, რომ ენგურჰესის მშენებლობის დაწყებამდე, ადგილზე ჯერ საველე ლაბორატორია მოეწყო, ხოლო თბილისში „ტნისგეიში“ შეიქმნა ბეტონების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შემსწავლელი სპეციალური ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით რუსების მიერ „ბეტონების მეფედ“ წოდებული დიდი მეცნიერი პეტრე წულეისკირი, ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და დამატებით შეიქმნა სპეცბეტონების უნიკალური ლაბორატორია. საერთოდ, ჰესებსა და განსაკუთრებით სეისმურად საშიშ ზონებში განლაგებულ მაღალ კაშხლებს, აუცილებლად სჭირდება მუდმივი სამეცნიერო-ლაბორატორიული კვლევებით უზრუნველყოფა. სწორედ „ტნისგეის“ განადგურების შემდეგ დაიწყო პრობლემები ენგურჰესზე. რადგან აღარ ტარდება სისტემატური კვლევები და სისტემაში დაიწყო დაგუბებული წყლის დანაკარგები, რომელმაც დღეს კატასტროფულ, 30-პროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია. ამისთვის ვერ მიგვიხედია და ახალ თავსატეხს ვიჩენთ?! თან, მაშინ, როდესაც აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე გვაფრთხილებს, რომ კავკასიონის მთელ ქედზე მიმდინარეობს ქანების დაშლა და მოსალოდნელია კატასტროფული, დამანგრეველი მიწისძვრები?! ამიტომ, თუ ხუდონჰესის აშენება გადაწყდება, ჯერ ინვეტსორმა ახალი „ტნისგეი“ უნდა აგვიშენოს.



**სასწრაფოდ უნდა დაიცალოს თბილისი, მოხდეს მოსახლეობის დაბალანსებული განსახლება და რამდენსაც მოვასწრებთ, იმდენით მეტი მცხოვრები დარჩება საქართველოში**

**– მეორე მხრივ, ერთი კვირის წინათ მოხდა ავარია ენგურზე, რის გამოც, ფაქტობრივად, ნახევარი საქართველო გაითიშა. რა დაუშლის სეპარატისტებს ან ოკუპანტებს, რომ ენგურჰესის პარალიზება გამოიწვიონ? არ უნდა გვქონდეს ალტერნატივა ხუდონისა თუ სხვა ჰესის სახით?**

– ამას წინათ, შევხვდი მეცნიერებათა დოქტორს, ჩვენი ასოციაციის წევრს, საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის ხელმძღვანელს – გიორგი სადაღაშვილს, რომელმაც სენსაციური რამ მითხრა: მაქვს გათვლები და მიღებული შედეგებით, მხოლოდ თბილისში თუ განვახორციელებთ ჩემს შეთავაზებას, თანამედროვე ენერგოეფექტიან მშენებლობას, იმდენ ენერგიას დავზოგავთ, რასაც 2 ხუდონჰესი გამოიმუშავებსო. ასეთ უნიკალურ სპეციალისტს რომ ქვეყანა არ მოუსმენს, ის ქვეყანაა?!

**– თბილისი არის 8-ბალიანი მიწისძვრის ზონაში, როგორია დედაქალაქში ძველი და ახალი შენობების სესიმომედეგობა?**

– თბილისში გვაქვს, დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნეში აშენებული შენობები, რომლებიც უკვე ამორტიზებულია და მათი სეისმომედეგობა განსაზღვრული არ არის. ეს ყველაზე დიდი საშიშროების კერაა ჩვენს დედაქალაქში. მეორე – საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენებული სახლები, რომლებიც 7 ბალზეა გათვლილი. 1930-იანი წლებიდან თბილისში უკვე დაწესდა ნორმები და შენდებოდა 7-ბალიანი სეისმომედეგობის მქონე სახლები. საერთოდ, რკინა-ბეტონის შენობების მედეგობის ხანგრძლივობა 100 წელია, ამიტომ თბილისში ბევრი სახლი უკვე უახლოვდება ამორტიზაციის ბოლო ფაზას, რის გამოც მათი სეისმომედეგობა 7 ბალიც აღარ არის. მესამე ტიპის შენობები არის ის, რაც აშენდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში. არც ერთი მათგანის უსაფრთხოება არ არის ლაბორატორიულად შემოწმებული. კარგად ვიცით, როგორ შენდებოდა ეს სახლები: 1990-იან წლებში დაიწყო მასობრივი ფალსიფიკაცია: ბეტონის გაყიდვა დაიწყეს ნახევარ ფასად ცემენტის შემცირების ხარჯზე. ბუნებრივია, ცემენტის შემცირებით ბეტონის სიმტკიცე კატასტროფულად მცირდება. სამწუხაროდ, ჩვენს ასოციაციას არ მიეცა საშუალება, შეგვემოწმებინა თბილისში მშენებარე სახლები. ამის საშუალება არც ერთმა მერმა არ მოგვცა. მხოლოდ ერთხელ, 2004 წელს, როდესაც თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი იყო, მივიღეთ ნებართვა და კომისიასთან ერთად მოვახერხეთ რამდენიმე ობიექტის შემოწმება. 100 პროცენტით დადასტურდა ჩვენი ვარაუდი: არც ერთ მშენებარე თუ აშენებულ კორპუსში ბეტონის სიმტკიცე ნორმას არ შეესაბამებოდა. მეტიც, სიმტკიცე ორჯერ ნაკლები იყო დაშვებულ ნორმაზე. შემოწმების შედეგი იმდენად კატასტროფული იყო, რომ მცხეთის ქუჩაზე აშენებული ერთ-ერთი სახლის დანგრევა მოვითხოვე, მაგრამ ეს საქმეც ჩაიფარცხა და დღეს იმ კორპუსში ხალხი ცხოვრობს. ამ შემოწმებამ დაადასტურა, რომ ათი წლის განმავლობაში მთელი თბილისი ფალსიფიცირებული ბეტონითა და მასალით შენდებოდა. დღეს კი, როცა სეისმური რისკები გაიზარდა და მიწისძვრის საშიშროებაც მეტია, ამ პრობლემას რა ეშველება, აღარ ვიცი! გიგი უგულავამ არც მიგვიღო და არც ჩვენს წერილებს უპასუხა.

**– ერთადერთი იმედია, რომ არ მოხდება 8-ბალიანი მიწისძვრა. საერთოდ, რა პერიოდულობა ახასიათებს ძლიერ მიწისძვრებს?**

– პერიოდულობა ძალიან ძნელი დასადგენია. როგორც ამ კონფერენციაზე ერთ-ერთმა უცხოელმა გამომსვლელმა თქვა, დიდი ალბათობ-

# რა თანხას იხდის ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ყოველწლიურად იპოთეკური სესხის მომსახურებისთვის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და იმავდროულად, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი 1967 წელსაა დაბადებული. 1992 წელს ჩააბარა ან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი მედიცინაში; 1995 წელს – ჩააბარა ან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამჯერად მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში; 1998 წელს ჩააბარა ან დაამთავრა ილინოისის უნივერსიტეტი და მაგისტრის ხარისხი ფინანსებში (ან, რადგან მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში რთული დასადგენია, ჩააბარა თუ დაამთავრა). გიორგი კვირიკაშვილის შრომითი ბიოგრაფია 1993 წელს იწყება „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" დოკუმენტური სავაჭრო ოპერაციების ოფიცრად. 1996 წლისთვის კი ის საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეა. 1996-1997 წლებში Trade Invest Bank - გენერალური დირექტორის მოადგილე იყო. 1998 წელს „გაერთიანებული ქართული ბანკის" ბიზნესის განვითარებისა და ფილიალების ქსელის მართვის დირექტორად და აქტივ-პასივების მართვის განყოფილების დირექტორის მოადგილედაც იმუშავა. 1999 წელს სახელმწიფო კანცელარიაში გადავიდა ფისკალური, მონეტარული და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილედ. 1999-2004 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახდა. 2004 წელს ამჟამინდელი „ტაოპრივატბანკის" აღმასრულებელი მენეჯმენტის კონსულტანტად დაიწყო მუშაობა (2006 წლამდე), 2006 წლის თებერვალში „ქართუ ბანკში" გადავიდა და იქ 2011 წლამდე გენერალურ დირექტორად იმუშავა. 2012 წლის მარტ-ოქტომბერში ამერიკული საკონსულტაციო ფირმა „Lenzie Fisher Hendry LLC" - საფინანსო სექტორის და საპენსიო რეფორმის ექსპერტი იყო; 2012 წლის 25 ოქტომბრიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად დაინიშნა, 2013 წლის 26 ივლისიდან კი ვიცე-პრემიერობაც შეითავსა.



გიორგი კვირიკაშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1999 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც კანცელარიის თანამშრომელმა. ოჯახის წევრებად მიუთითა 1967 წელს დაბადებული მეუღლე მაია ცინაძე და სამი შვილი: 1991 წელს დაბადებული ანა, 1994 წელს დაბადებული ნინო და 1996 წელს დაბადებული ჯემალი. იმხანად ოჯახის ერთადერთ უძრავ ქონებას შეადგენდა 44 000 ლარად ღირებული საცხოვრებელი ბინა თბილისში, რომელიც გიორგი კვირიკაშვილს ეკუთვნოდა. სულ 1998 წლის განმავლობაში გიორგი კვირიკაშვილის სახელფასო შემოსავალმა 2 000 ლარი შეადგინა. ასევე, მიიღო ედმუნდ მასკის სტიპენდია 11 400 აშშ დოლარის ოდენობით. 2000 წელს დეკლარაცია პარლამენტის წევრის ამპლუაში შეავსო და ამავე დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ მის წლიურ შემოსავალს 1999 წელს 2 710 ლარი შეუდგენია. 2001 წლის დეკლარაციაში მისი შემოსავლები მითითებული არ არის. გიორგი კვირიკაშვილმა 2002 წელსაც, როგორც პარლამენტის წევრმა, ისე შეავსო დეკლარაცია. მისი ქონება და ოჯახის წევრთა რაოდენობა უცვლელია, თუმცა, როგორც პარლამენტის წევრს, 2001 წელს 7 980 ლარი აუღია, ხოლო, როგორც ლექტორს – 125 ლარი. 2002 წელს, როგორც პარლამენტის წევრმა, 9 000 ლარი აიღო, როგორც ლექტორმა, ისევ – 125. 2003 წელს მისი, როგორც პარლამენტარის, ხელფასი იგივე დარჩა, თუმცა, როგორც ლექტორმა, ამჯერად 250 ლარი აიღო. 2005 წელს გიორგი კვირიკაშვილი დეკლარაციას ავსებს, როგორც ფინანსთა მინისტრის მრჩეველი, თუმცა დეკლარაციის იმ ფორმაში წინა წლის შემოსავლები მითითებული არ არის.

2012 წელს გიორგი კვირიკაშვილმა დეკლარაცია შეავსო, როგორც ეკონომიკის მინისტრმა. ოჯახში წელს მატება ჰქონიათ – 2007 წელს მეოთხე შვილი ნიკოლოზი შესძენიათ. მათი უძრავი ქონება კი შემდგნაირია: გიორგი კვირიკაშვილის საკუთრებაა ზოვრეთის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი (190 კვ. მ.) და მიწის ნაკვეთი (432 კვ. მ.); საცხოვრებელი სახლი (250 კვ. მ.) და მიწის ნაკვეთი (3 450 კვ. მ.) ქვიშხეთში, საცხოვრებელი ბინა თბილისში, სამგორის რაიონში (54 კვ. მ.). დეპოზიტზე თანხასაც მხოლოდ გიორგი კვირიკაშვილი ინახავს – 20 300 აშშ დოლარს „თი ბი სი ბანკში" და დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფულიც მხოლოდ მას ჰქონდა – 5 500 აშშ დოლარი. 2012 წლის განმავლობაში მან, როგორც „ქართუ ბანკის" გენერალურმა დირექტორმა, 112 000 ლარი აიღო. 2011 წელს აღებული იპოთეკური სესხის მომსახურება 20 850 აშშ დოლარი დაუჯდა. ერთ-ერთი შვილის სწავლის საფასური კი – 7 000 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

ით, საშუალოდ 456 წელიწადში ერთხელ არის მოსალოდნელი ძლიერი მიწისძვრა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი მიწისძვრა 1991 წელს იყო. თუმცა 8-ბალიანი მიწისძვრა კარგა ხანია, საქართველოში არ ყოფილა. მეოცე საუკუნეში იმდენად დიდი მიწისძვრა მოხდა გორში, რომ გორის ციხე დაანგრია და ძალიან დიდი მსხვერპლიც იყო.

**– ფორმალურ ცნობასაც კი არავინ გასცემს, როდესაც ახალი მშენებლობები იწყება?**

– ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიუერთეს. ამდენი წელია, ვწერ, რომ მშენებლობის სამინისტროს გაუქმება იყო უბედურება. ამიტომაც შევქმენით ასოციაცია და უმუშევრად დარჩენილი მშენებლები შემოვიკრიბეთ. მშენებლობა მარტო ის კი არ არის, რასაც უყურებთ და ჩანს, ეს მთელი დარგებია. ჩვენ უდიდესი მეცნიერები გვყავდნენ სამშენებლო დარგში და უდიდესი მიღწევებიც გვქონდა. შენობების სეისმომედეგობას არავინ ამოწმებს. ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე აშენებენ 33-სართულიან 8 საცხოვრებელ კორპუსს. არადა, როდესაც 100-მეტრიან ან უფრო მაღალ შენობას აგებ, მინიმუმ 100 მეტრის სიღრმეზე უნდა შეისწავლო ნიადაგი და წინასწარ გააკეთო გარშემო მდგარი კორპუსების დაგნოსტიკური შემოწმება, რომ ახალმა მშენებლობამ ისინი არ დააზიანოს. უნდა აღირიცხოს ნებისმიერი ბიძგი და რყევა, რაც წარმოიქმნება იმ მშენებლობის დროს, მაგრამ მსგავსი არაფერი გაუკეთებიათ. გინახავთ ქალაქი, ევროპას თავი დავანებოთ, ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომ განვითარების გენერალური გეგმა არ ჰქონოდეს? საერთოდ, არსად ძველ უბნებში მრავალსართულიან სახლებს არ აშენებენ. რადგან, როდესაც 2-3-სართულიან სახლს გვერდში აუშენებ 10 და 16-სართულიან შენობას, ესე იგი, იმ ძველ სახლს ძირს უთხრი. ამან გამოიწვია ის, რომ მთელ თბილისში ამ მაღლივმა შენობებმა დაანგრია მათ გვერდზე მდგომი დაბალი შენობები და ამის გამო არავინ პასუხს არ აგებს. არადა, ეს კერძო საკუთრების ხელყოფაა. ეს ისეთი ძალადობაა კანონზე, მოსახლეობაზე, ადამიანის უფლებებზე, ვინმეს რომ მოუყვე, არ დაგიჯერებს.

**– აბა, როგორ შენდება ეს ახალი სახლები? გეგმისა და ყოველგვარი გამოკვლევების მიხედვით?**

– ისევ იმ მშენებლობას მოვიტან მაგალითად ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე: ვერაფრით მივაღწიეთ, რომ გვენახა კონსტრუქციის სქემა. გიგი უგულავას გამოგონებაა: მშენებლობის დაწყება მხოლოდ არქიტექტურული ნახატით. არადა არქიტექტურული ნახატი პროექტის მხოლოდ 20-25 პროცენტია, მთავარი დანარჩენია, რაც არ არის გაკეთებული. 2013 წელს იძულებული გახდა მერია, პასუხი გაეცათ და გვითხრეს, ინვესტორის მოთხოვნით პროექტის ამ ნაწილს გრიფი „საიდუმლოდ" დავადეთო. ნონსენსია. გამოვკითხე მოსახლეობა: მშენებლობა დაწყებულია და არაფერი შეუსწავლიათ გარშემო.

**– თბილისის რელიეფისთვის უჩვეულო მაღლივი შენობების მშენებლობისას გათვალისწინებულია, თავი დავანებოთ სეისმომედეგობას, რელიეფის თავისებურებები?**

– 2010 წელს პატარა შედეგს მივაღწიეთ: რაკი 2010 წლიდან მთელ მსოფლიოში გაიზარდა სეისმური საფრთხეები, საქართველომაც მიიღო კანონი სეისმოუსაფრთხოების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა ეკონომიკის მინისტრმა. კანონში წერია, რომ შეზღუდულია სართულების ოდენობა, თუ არის კარკასული შენობა. 12 სართულზე ზემოთ არ შეიძლება იმ ტექნოლოგიებით და იმ დაპროექტებით აშენება, როგორც ჩვენთან აშენებენ. სართულიანობა რომ მატულობს, დამატებითი ღონისძიებებია ჩასატარებელი, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და რასაც ჩვენთან არავინ აკეთებს.

**– რამ შეიძლება, გამოასწოროს ვითარება?**

– რაც აშენებულია, იმას უკვე აღარაფერი ეშველება. როგორც ჩემს აპოკალიპტურ წერილში ვწერ: სასწრაფოდ უნდა დაიცალოს თბილისი, მოხდეს მოსახლეობის დაბალანსებული განსახლება და რამდენსაც მოვასწრებთ, იმდენით მეტი მცხოვრები დარჩება საქართველოში. ჩვენ საკმაოდ წინ ვიყავით სეისმოლოგიური მეცნიერების განვითარების დონით, საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი გვეკავა. ახლა კი საერთოდ გამქრალი ვართ მსოფლიო სეისმოლოგიური სკოლების რუკიდან და ეს უდიდესი ეროვნული ტრაგედიაა. საკუთარი ხელით გავანადგურეთ ქართული სეისმოლოგია და მომავალი თაობები დავტოვეთ მოსალოდნელი კატასტროფული დამანგრეველი მიწისძვრების წინაშე. ხელისუფლებას მოსვლისთანავე შევთავაზეთ ამ პრობლემის მოგვარება: კერძოდ, რეგიონული განვითარების სამსახურს უნდა ჩაენაცვლოს ეკონომიკის სამინისტროს მშენებლობის დეპარტამენტი და აღდგეს მშენებლობის სამინისტრო, ისრაელის მოდელის თანახმად.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 200 200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**„ნანუკას შოუ" მალე სატელევიზიო სეზონს ასრულებს და საზაფხულო არდადეგებზე „მიდის". არდადეგებისთვის ემზადება ნანუკაც, რომელიც უკვე ორი წელია, შაბათ-კვირას თბილისში ძნელი დასაჭერია. ამბობს, რომ ეს ორი წელი მის ცხოვრებაში ჟუჟუნა წვიმას ჰგავს. თუმცა, გარეგნულად ამას არ იმჩნევს. იმაზე, რაც ხდება კადრს მიღმა, „ძველ ადგილებზე" დარჩენილ მეგობრებზე, საკუთარი ცხოვრების ყველაზე დიდ ჯადოსნობაზე – ნანუკა ჟორჟოლიანი ჩვეულ სტილში, გულახდილი რესპონდენტის როლში, საკუთარი ცხოვრების ბოლო ორ წელს „გვიმხელს".**

# ვისთან დაშორება გაუჭირდა ნანუკა ჟორჟოლიანს და რა მოიგონა მან მარტოობის დასაძლევად

**ნანუკა ჟორჟოლიანი**: ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდია. ბოლო ორი წელიწადი ჩემთვის ჟუჟუნა წვიმასავითაა – უცებ გამოიდარებს, უცებ ღრუბლები მოგროვდება. მოკლედ, თან მზეა და თან წვიმს. ჩემი ცხოვრების კარგი თუ ცუდი ეტაპები დაკავშირებულია ჩემს შინაგან მდგომარეობასთან. ზოდიაქოს ნიშნით „კირჩხიბი" ვარ – ძალიან დამოკიდებული გარემოს ისეთ უმნიშვნელო დეტალებზეც კი, რასაც სხვები ყურადღებას ვერ აქცევენ და საერთოდაც მიაჩნიათ, რომ იმ დეტალებს ცხოვრებაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ჩემს ხასიათს ხშირად ამინდიც კი განსაზღვრავს. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებს, გარემოცვას. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა გამოცდების ჩაბარება დაიწყეს: როცა გავაცნობიერე ვინ ნამდვილი მეგობარია, ვინ – არა. ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, არა თუ დავკარგე ადამიანები, არამედ შევიძინე. მივიხედ-მოვიხედე და ყველა ისევ იმ ადგილასაა, სადაც იყო ადრე. ვერ ვიტყვი, რომ არ მაქვს ძალიან მძიმე დღეები, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ ეს არ მემჩნევა. შინაგანად კარგად ვარ, ამისთვის კი ბევრი მიზეზი მაქვს. მთავარი ისაა, რომ ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. მე ვარ ადამიანი, რომელიც გამოწვევებს და სიახლეებს ჯანმრთელად ვუყურებ. უფრო მეტიც, რთულ პერიოდებში მაშინვე „ხოდზე" მოვდივარ, ვძლიერდები და გამოსავლის ძებნას ვიწყებ. თითქოს გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. ყველაზე დიდი სპორტული ინტერესი ის არის, რომ ეს გზა ღირსეულად გავიარო. ახლა ისეთი საინტერესო ეტაპი მაქვს, ისეთი საინტერესო, ვერც კი წარმოიდგენთ. საინტერესო არაა, როდესაც ქმარი რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით გყავს და ჩადიხარ მასთან პაემნებზე?



**საინტერესო არაა, როდესაც ქმარი რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით გყავს და ჩადიხარ მასთან პაემნებზე?**

**– დისტანციურ ურთიერთობაში ცხოვრება არ გიჭირს? რატომ არ წახვედი შენც მასთან ერთად თბილისიდან?**

– ჩვენს ცხოვრებაში დისტანციური ურთიერთობა აუცილებელიც კი იყო. ისეთ ოჯახში, სადაც ორი აქტიური სოციალური სტატუსის მქონე ადამიანია, ოჯახი ყოველთვის „დუღს", ხან ასე „დუღს": ხან - ისე. მაგრამ, ეს პროცესი ძალიან საინტერესოა. რვა წელია, რაც მე და ირაკლი ერთად ვართ. ვფიქრობ, რომ რვა წლის შემდეგ, ასეთ დისტანციურ ურთიერთობაში თავისებური რომანტიკაც კი არის. როდესაც ორსამ კვირაში ერთხელ ნახულობ ადამიანს, რომელიც შენთვის ძალიან ძვირფასია, ყველა შეხვედრა დანიშნულ პაემანს ჰგავს. ევროპული პაემანი ადრეც ბევრჯერ გვქონია, მაგრამ ახლა ეს, სულ სხვაა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ წავედი მეც ევროპაში. მე რომ მიმეტოვებინა ის საქმე, რასაც ვაკეთებ, ველარ გამოვადგებოდი ჩემს ქმარს და ჩვენი ოჯახი დაინგრეოდა. ირაკლი ვერ მიიღებდა იმ ნანუკას, რომელსაც ის ევროპაში „ნახავდა", იმად ვერ ვივარგებდი. იმის მიუხედავად, რომ ირაკლი ძლიერი ხასიათის ადამიანია და მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მას უყვარს ნანუკა რისკიანი, თავდაჯერებელი და დამოუკიდებელი. ისეთი, რომელიც მას არ აწუხებს პრობლემებით, რომლებითაც ცოლები ქმრებს აწუხებენ. მე არ ვარ ცოლი, ვისთვისაც ჩვეულებრივი რამაა ძიძის ფულის გამოგზავნა და კართან ლოდინი დილით, რომ ქმარმა ქვითრის ფული გადაიხადოს. მე ყოველთვის ვახერხებ დამოუკიდებლად ცხოვრებას. ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ და ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვინმეს კმაყოფაზე უნდა იყო. იმ მითების მიუხედავად, რაც ჩემი ქმრის ოჯახის ირგვლივ არსებობდა, მე არ გამომიყენებია მათი ფინანსური რესურსი. მე ყოველთვის მქონდა მაღალი შემოსავალი. ჩემი მაქვს ყველაფერი. მე ჩემი სტატუსი მაქვს – არ ვარ ირაკლი კოდუას ცოლი, მე ნანუკა ვარ, ჟორჟოლიანი. შესაბამისად, არც ირაკლი კოდუაა ჩემი ქმარი, თავის სტატუსთან „კავშირში". ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მსიამოვნებს, რომ ის აღარ მუშაობს. ამით ძალიან კარგად ვარ, იმის მიუხედავად, ვიცი, რომ ირაკლი თავისი საქმის პროფესიონალია და ამ საქმის ერთგულებასა და სიყვარულში

**მე ხომ ჩვეულებრივი ვამპირი ვარ, რომ ღამდება, მერე ,,მოდის" ჩემი ენერგია**

ოდიოზური გახადა საკუთარი ფიგურა. მე ამ თემაზე ირაკლისთან ბევრჯერ მიკამათია. მესმის, რომ მან გააკეთა მაქსიმუმი. მეც ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, მაგრამ არასდროს გავაკეთებ სკანდალურ შოუს.

**– გაგიკეთებია, და თან არაერთი.**

– ჩემი ბრალი ხომ არ იყო ლალი მოროშკინამ თაკო ფხაკაძეს რომ ჩანგალი დაარტყა? მე არ გავაკეთებ ნაგიევს, თუ სტუდიაში ვინმე ჩანგლის მოქნევის ხასიათზე დადგება. ეს ჩემი ბრალი ნამდვილად არ არის. ირაკლი სულ მიხსნიდა, რომ მისი პროფესია ჩემი პროფესიისგან განსხვავებული იყო და შესაბამისად, მოუწია, მსხვერპლად გაეღო საკუთარი სახელი და იმიჯი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იმდენად კმაყოფილი ვარ, რომ იქ აღარ მუშაობს, სადაც მუშაობდა, ვფიქრობ, მარტო ამიტომაც ღირდა, ეს ყველაფერი მომხდარიყო.

**– იმ სიტუაციაში, როდესაც ირაკლი კოდუა საქართველოდან წავიდა, შეელიე მარიამსაც, რომელიც სასწავლებლად გაუშვი ევროპაში.**

– ოო, მარიამთან დაშორება ძალიან გამიჭირდა. ირაკლის წასვლიდან ერთი წლის შემდეგ, მარიამიც წავიდა. მთელი ჩემი დრო, ენერგია მასზე მქონდა გადატანილი, უცებ ერთ დღესაც გავიღვიძე და მარიამიც არ იყო ჩემ გვერდით. მარიამი უნდა წასულიყო აქედან ბევრი მიზეზების გამო. უპირველესად, იმ ასაკშია, როცა უნდა იცხოვროს დამოუკიდებლად და გარკვეულ პრობლემებს თვითონაც ექიდაოს. მარიამი სწავლობდა ბუდაპეშტის სკოლაში, წარმატებით ჩააბარა გამოცდები, მოიპოვა დაფინანსება და ახლა მიდის ჰარვარდში, ლიდერშიფის რამდენიმეთვიან კურსზე. მარიამისგან ეს არ გამკვირვებია, შვილის წარმატება ყოფილა ყველაზე დიდი ჯადოქრობა დედისთვის. ამან ისე გამახარა, რომ წითელი ცირკულარიც დამავიწყდა და ყველა ის ბრალიც, რაც ირაკლის ჰქონდა წაყენებული *(იცინის)*. როცა მარიამი წავიდა, ერთ საღამოს შევედი სახლში და აღმოვაჩინე, რომ სულ მარტო ვარ - საბას სძინავს, ძიძას სძინავს და ბუზუც კი არ ყეფს. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მერე გამოვიმუშავე არაჩვეულებრივი რამ – ძილის წინ ყველა მეგობარს ვურეკავ და ვიგებ სად არიან. და სანამ ძილის დრო არ მომდის, იქამდე არ მივდივარ სახლში. მე ხომ ჩვეულებრივი ვამპირი ვარ, რომ ღამდება, მერე „მოდის" ჩემი ენერგია *(იცინის)*.

**– ხან შვილთან ჩადიხარ ევროპაში, ხან ქმართან. შაბათი-კვირა თბილისში არასდროს არ ხარ?**

– ჩემი დაჭერა თბილისში ძალიან რთულია. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, წინა შაბათ-კვირას პირველად დავრჩი თბილისში. ფიზიკურად ხშირი ფრენა ძალიან რთულია, ამიტომაც მაქვს ქრონიკული უძილობა, მაგრამ არა უშავს, ღმერთმა ამაზე მეტი პრობლემა არ მომცეს. ეს შაბათ-კვირა საბასთან ერთად გავატარე, რომელიც ძალიან ბედნიერი იყო. საბა უკვე თვითონაც ხშირადაა ევროპაში. დადის აქეთ-იქით და ამბობს, რომ მამა-თბილისი ჯობია დედა-თბილისს *(იცინის)*.

**– უკვე 17 წელია, ტელესივრცეში ხარ. იყავი აქტიური რეპორტიორი, წლებია, აკეთებ ძალიან რეიტინგულ გადაცემას. რას ფიქრობ, როგორ შეიცვალა შენი პროფესიული სტანდარტი?**

– ჩემს ცხოვრებაში პროფესიული სტანდარტი ბევრჯერ შეიცვალა. ძალიან ბევრჯერ გავუკრიტიკებივარ მაყურებელს. მიკრიტიკებდნენ ყველაფერს, ჩაცმის სტილით დაწყებული, რა ვიცი, ყველაფრით დამთავრებული. მაგრამ, ამ ბოლო დროს თითქოს შეიცვალა რაღაც რაღაცეები და კრიტიკაც უფრო ნაკლებია, მაყურებელმა ის სიახლეები მიიღო, რასაც მათ ვთავაზობდით. ორ შვილს ვფიცავარ, მე ვარ ის გამონაკლისი, ვინც ძალიან ჯანსაღად იღებს კრიტიკას. ჩემი მთავარი სტანდარტი არის ის, რომ მიცემული სიტყვა არასდროს დამირღვევია. ეს ჩემი ცხოვრების ოქროს წესია. ქვეყანაზე ვერ ნახავთ ადამიანს, ვინც გეტყვით, რომ სიტყვა მივეცი და დავარღვიე.

ვფიქრობ, ახლა უფრო ვუთამამდები „რუსთავი 2-ს". ის სიგიჟეები, რაც მქონდა „იმედზე," აქ

(გაგრძელება 78-ე გვერდზე)



მომღერალ **ეთერ კაკულიას** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შეექმნა სერიოზული პრობლემა. მის დასახმარებლად გააქტიურებულია სატელეფონო ნომერი, სადაც ზარის ღირებულება ერთი ლარია.

ვისაც გაქვთ დახმარების სურვილი, შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე ჯერჯერობით მაგთის აბონენტებმა **0901900991,** მადლობას გიხდით თანადგომისათვის.

# რატომ არის პუტინისთვის რუსული რევოლუციის თავიდან აცილების ერთადერთი გზა აფხაზეთის შეერთება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაცვლოდ

(მე-6 გვერდიდან)

ლიზება მოხდეს, არის აფხაზეთის ჩართვა რუსეთის შემადგენლობაში, რომ რაღაცნაირად მოინელოს რუსმა საზოგადოებამ ლუგანსკის და დონეცკის მოვლენები.

**– ეჭვი მაქვს, ეს ცხინვალის რეგიონის მიერთებით დასრულდება.**

– მაგრამ ის ნაკლებად ცნობილია და ნაკლები წონაც აქვს.

**– არ გამოდგება ამ თამაშისთვის?**

– „იუჟნაია ოსეტია" არ განიხილება მნიშვნელოვან მოთამაშედ. მთავარია, აფხაზურმა რევოლუციამ არ შეუშალოს პუტინს ხელი. აფხაზეთის მიერთებით გამოვა, რომ შავი ზღვის საკურორტო ზონა, სოჭი, ყირიმი, სოხუმი, ისევ რუსეთთანაა. მინი საბჭოთა კავშირის აღდგენა გამოდის.

**– აქვს ამას კავშირი ჩვენ მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან?**

– ხელმოწერა მოხდება, როცა მოხდება, მაგრამ მერკელმა თქვა, რომ მაფს საქართველო ვერ მიიღებს.

**– დიახ და მან უკვე მეორედ აუნთო „მწვანე" რუსეთს ჩვენს დასარბევად.**

– თუ მაინც მოხდება, ეს დარტყმა იქნება პუტინისთვის და ის მზად უნდა იყოს. ამას გარდა, „იუჟნაია ოსეტიასა" და აფხაზეთის მიერთება გაართულებს საქართველოს ინტეგრაციას დასავლეთში. დასავლეთში კიდევ ერთხელ დაფიქრდება, ჰქონდეს თუ არა საქმე რუსეთთან. რატომ არ აკეთებდა ამას რუსეთი ადრე? იმიტომ რომ მოსკოვს ეშინოდა დასავლეთის სანქციების, მაგრამ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ მიხვდა, რომ არაფრის არ უნდა ეშინოდეთ. რუსები უკვე ღიად ლაპარაკობენ ორივეს მიერთებაზე, რაც ადრე არ ყოფილა, ახლა პროცესი მიდის.

**– მაგრამ აფხაზებს არ უნდათ?**

– ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია.

**– როგორ?**

– რუსეთის იმპერიამ ძალიან კარგად გადაჭრა ეს პრობლემა, ისინი თითქმის არასდროს უწევდნენ ანგარიშს თავიანთ მოსახლეობას. თუ ისინი მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას, მათთვის აფხაზების ფაქტორი უკანასკნელ როლს შეასრულებს.

**– ტექნიკურად როგორ არის შესაძლებელი ეს?**

– რუსეთის მმართველი ელიტის წევრისთვის ხალხები უბრალოდ არ არსებობს. 100 000 აფხაზისთვის გამოდგება რუსული სახელმწიფოს მიერ საუკუნეების განმავლობაში ნაცადი მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკა. ისინი ამ ინსტრუმენტს ყოველთვის წარმატებით იყენებდნენ. ჩეჩნებსაც არ უდოდათ რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ...

**– ამას ნახევარი ჩეჩნეთი შეაწყდა.**

– აფხაზების გაწყვეტაც შეიძლება, უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ ვიმეორებ, თუ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსეთისთვის აუცილებელია თავის შემადგენლობაში აფხაზეთის ჩართვა და აფხაზეთში ეს საკითხი, როგორც მინიმუმ, განიხილება, „ეფესბე" და რუსეთის შეიარაღებული ძალები მიიღებენ დავალებას, გადაწყვიტონ ეს პრობლემა: ან თაფლაკვერის მეთოდს გამოიყენებენ, აფხაზურ არა მხოლოდ ელიტას დაჰპირდებიან ბევრ რამეს და არაფერს გაუკეთებენ, მათხარისთვის კი არის „ეფესბე", რომელსაც არ დავიწყებია მუშაობა სხვანაირად მოაზროვნეებთან. ერთი სიტყვით, რუსეთს საკმარისი ბერკეტები აქვს აფხაზების გასანეიტრალებლად.

**– ცნობილია, რომ ანქვაბთან ოპოზიციის დაპირისპირების ერთ-ერთ მიზეზი გალელი ქართველების თემაა. მათ რა როლი აქვთ ამ თამაშში: გამოყრიან, დატოვებენ, უფლებებს აჰყრიან?**

– შეიძლება გამოყარონ, შეიძლება – დახვრიტონ ან მთვარეზე გაუშვან, როგორც გითხარით, ადამიანები არ არის ფაქტორი რუსეთისთვის. ჩემი აზრით, თუ რუსეთმა გადაწყვიტა „იუჟნაია ოსეტიას" და აფხაზეთის მიერთება, ეს საკითხი გადაწყდება ერთ თვეში. თვალშისაცემია, რომ ძალიან სწორად მოქმედებენ ის ადამიანები, რომლებიც რუსული მხრიდან აფხაზეთ-საქართველოს მიმართულებით მუშაობან: ასოცირების შეთანხმებაზე ხელის მოწერის გამო ზედმეტი ხმაურის ატეხვა არ იყო მომგებიანი რუსეთისთვის. ამაზე პასუხი არის აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიის" ანექსია, ამისთვის საქართველო უნდა დასჯილიყო!

**ნინო ხაჩიძე**

# რა სანქციებია გათვალისწინებული ევროკავშირის ქვეყნებში მარიხუანის შენახვა-მოხმარებისთვის და რა შედეგს გამოიღებს საქართველოში 200 000 ნარკომანის არსებობის პირობებში მარიხუანის ლეგალიზაცია

(მე-7 გვერდიდან)

რა კარგი იქნებოდა, მოვწევდით მეგრულ ან სვანურ კანაფსო. თითქოს მიზანმიმართულად აჩვევენ ამ მოსაზრებას საზოგადოებას. სხვათა შორის, ცივილიზებულ სივრცეში ამ ტიპის განცხადებები კანონით ისჯება. მეორე მხრივ, ქართველმა ერმა საუკუნეების განმავლობაში გაუძლო უცხოტომელთა შემოსევებსა და ბატონობას, რომელთა კულტურისა და იტორიის ნაწილი იყო თრიაქის მოწევა და ეს მავნე ჩვევა მაინც ვერ დანერგეს ჩვენს სამშობლოში. დღეს, სამწუხაროდ, საპირისპირო სურათი გვაქვს. არ შეიძლება, სიცხადე არ შევიტანოთ ეგრეთ წოდებული „რბილი ნარკოტიკის", მარიხუანის ტერმინოლოგიაში. ევროპაში ის უკვე რევიზიას განიცდის: რადგან მრავალწლიანი სელექციის შედეგად გამოყვანილია „რბილი ნარკოტიკის", მარიხუანის ახალი ჯიშები, რომლებშიც ტეტრაჰიდროკანაბიოლის შემცველობა 20 პუნქტს აჭარბებს და 25-28-ს უტოლდება. ის ორგანიზმზე თითქმის ეგრეთ წოდებული მძიმე ნარკოტიკების – ოპიუმის, ჰეროინის, კოკაინის შესაბამის ზემოქმედებას იწვევს. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჩაატარა კვლევა პროფესორმა გაბინმა და დაადგინა, რომ მარიხუანის ყოველი მე-5, მე-6 მომხმარებელი მძიმე ნარკოტიკზე, ოპიუმსა და ჰეროინზე გადადის. მეტიც, როგორც ცნობილი ექსპერტი გელა ლეჟავა ამბობს, დღეს ეს მაჩვენებელი უკვე ყოველი მესამე, მეოთხეა.

**– ძალიან საინტერესოა მარიხუანის ლეგალიზაციის შემთხვევაში მისი ღირებულების თემა.**

– რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, იბადება კითხვა: სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმა რა ფასად უნდა მიჰყიდოს მომხმარებელს ეს ნარკოტიკული ნივთიერება?

თუ მარიხუანის გასაყიდი ფასი კანონიერ ბაზარზე მაღალი იქნება, მაშინ მომხმარებელი ეგრეთ წოდებულ შავ ბაზარს მიმართავს. თუ სახელმწიფო თავის ფასს დაიყვანს არალეგალური ბაზრის დონეზე, მაშინ ვაჭრები თავიანთ ფასს არ შეცვლიან. ასევე, ნაკლებ სარწმუნოა ჰიპოთეზა, რომ, თუ სახელმწიფო საკმაოდ დაბალ გასაყიდ ფასს დააწესებს, მაშინ ვაჭრები ვერ შეძლებენ მის მაღალ ფასად გაყიდვას. მეორე მხრივ, ფასების შემცირებით სახელმწიფომ შესაძლოა, მომხმარებელთა მკვეთრი ზრდა გამოიწვიოს, ყოველ შემთხვევაში, ღარიბთა შორის მაინც. კიდევ ერთი მწვავე საკითხია შემდეგი: დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დავდგებით ახალი პრობლემების წინაშე. უმთავრესი კი ის არის, რომ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა არალეგალურად დაიწყებს მოპოვებას, რათა არ გადაიხადონ მარიხუანის შესყიდვისთვის თანხა. დაიწყება კანაფის დათესვა-კულტივირება ან სახელმწიფომ იაფფასიანი პროდუქტის იმპორტი უნდა დაიწყოს. გვაქვს საშიში მაგალითები, თუ როგორ აქცევს ნარკოტიკებზე მიჯაჭვული უამრავი ადამიანი ნაკოტიკების კომერციის არენად საზოგადოებას. ჩემი პესიმისტური პროგნოზით, ამ შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ დიდი რაოდენობით მაღალი ტეტრაჰიდროკანაბიოლის შემცველობის მარიხუანის ნათესებს. ცნობილი ფორმულაა: მარიხუანის დეკრიმინალიზაცია უდრის ბაზარს პლუს მარიხუანის უკანონო ნათესები. არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა. ჩვენს ახლომდებარე აზიაში ოპიუმისა და კანაფის უდიდესი მარაგებია. ყაზახეთსა და ყირგიზეთში კანაფს რამდენიმე ასეულ ათასი ჰექტარი უჭირავს. ყაზახეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და ყირგიზეთში ოპიუმის, ყაყაჩოს პლანტაციებს რამდენიმე ათას ჰექტარამდე ტერიტორია უჭირავს, ხოლო რუსეთში – ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტი. სამწუხაროდ, ჩვენი საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით რუსეთთან, მეტად მყიფედაა დაცული. ნაკლებადაა შემოვლითი გზების პრობლემა, მაგრამ გვაქვს უკონტროლო ტერიტორიები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით, საიდანაც უამრავი შემოვლითი გზაა და რამდენსაც უნდათ, იმდენ ნარკოტიკს შემოიტანენ. შესაბამისად, ჩვენ არა მხოლოდ ნარკოტიკების ტრანზიტი გვემუქრება, არამედ, მეზობელი დიდი ქვეყნების სპეციალური ოპერატიული სამსახურების მიერ ნარკოტიკის მიზანმიმართულად შემოტანის პროვოცირებაც.

**ნინო ხაჩიძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

**ჩვენი რესპოდენტი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილ-ია, რომელიც ექსკლუზიურად მოგიყვებათ ძალიან საინტერესო ამბებს თავის საქმიანობასა და ცნობილ პიროვნებებზე.**

# როგორ აღმოჩნდა მაია ნიკოლეიშვილის ბავშვობის მეგობრის გული მისი მიკროსკოპის ქვეშ და რა შოუ მოუწყო მას სააკაშვილის ხალხმა

**– ქალბატონო მაია, ვიცი, ძალიან ცუდ პერიოდს გახსენებთ, მაგრამ თუ საზოგადოებას მაია ნიკოლეიშვილის ინტერვიუს ვთავაზობთ, მაშინ ამ ინტერვიუში აუცილებლად უნდა იყოს ნახსენები 2006 წლის 6 სექტემბერიც. მოდი, საუბარი აქედან დავიწყოთ. იმ დროისთვის თქვენ იყავით იგორ გიორგაძის პარტია „სამართლიანობასთან" ალიანსში მყოფი მოძრაობა „ანტისოროსის" თავმჯდომარე. სააკაშვილის ხელისუფლებამ თქვენ და 12 პირს, მათ შორის გიორგაძის ნათესავს – მაია თოფურიას, ბრალი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში წაგიყენათ. მალე, 10 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ, თავისუფლდებით. დანარჩენი პირები კი ციხეში რჩებიან. აქვე აღვნიშნავ, რომ იმ დროს ერთ-ერთი ბრალდებული კოკა კვინიკაძე პრესაში აცხადებს, რომ ეს თორმეტი კაცი თქვენი ჩვენების საფუძველზე მოხვდნენ ციხეში. თავად კი, თქვენმა პროკურორმა მეუღლემ გიხსნათ. რა მოხდა რეალურად და რა კვალი დატოვა ამან თქვენს ცხოვრებაში?**



**ყველაზე კარგი და კომფორტული ჩემთვის იყო, შევიდოდი აბაზანა-ტუალეტში, კარს ჩავკეტავდი, წყალს მოვუშვებდი, შუქს ჩავაქრობდი და აბაზანაში ვიწექი. ქუჩაში არ გავდიოდი, ქალაქი ჩემთვის აბსოლუტურად უცხო და მტრული იყო**

– იძულებული ვიყავი, წამეკითხა ის, რაც მომიტანეს. მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა სიმართლესთან, ანუ ეს იყო ზეწოლით მიცემული აღიარებითი ჩვენება. 2012 წელს განცხადებით მივმართე საქართველოს მთავარ პროკურორს და მოვითხოვე სისხლის სამართლის საქმის გადახედვა, რომლის მიხედვითაც მე და სხვა 12-მა პირმა თითქოსდა ჩავიდინეთ დანაშაული – სახელმწიფოს ღალატი ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების გზით. ეს იყო ყველაზე საშინელი პერიოდი ჩემი და ჩემი შვილების ცხოვრებაში. სამი დღე ვიყავი დაკავებული. ის სამი დღე ხდებოდა პიროვნების დაშლა, ყველა შესწავლილი ჰყავდათ, იცოდნენ, ვისთან როგორი მოპყრობა შეიძლებოდა. ფიზიკური ზემოქმედება, ძირითადად, მამაკაცებთან იყო. მებრძოლების ღირსება ფიზიკური ძალადობით ინგრეოდა და ჩემი – სხვანაირად. მთელი ცხოვრება ვამბობ: ჩემი დასკვნები მართალია, მილიონი რომ დამიდო, ტყუილ დასკვნას არ დავწერ. ეს იყო ჩემი სიამაყე, ჩემი პიროვნების ნაწილი და ამ დროს მოაქვთ ფურცელი, რომელზეც რაღაც აბსურდი წერია და მე ეს უნდა ვაღიარო. ჩემი მოკვლა აღარ იყო საჭირო. მე ჩემით ვკვდებოდი, დავდიოდი და ვამბობდი: ამის შემდეგ როგორ ვიცხოვრო ამქვეყნად. იქიდან გამოსულს ერთი წელი, ადამიანებთან კონტაქტი არ მქონდა, მეგობრების ნახვა არ შემეძლო. ყველაზე კარგი და კომფორტული ჩემთვის იყო – შევიდოდი აბაზანა-ტუალეტში, კარს ჩავკეტავდი, წყალს მოვუშვებდი, შუქს ჩავაქრობდი და აბაზანაში ვიწექი. ქუჩაში არ გავდიოდი, ქალაქი ჩემთვის იყო აბსოლუტურად უცხო და მტრული. რომ დაღამდებოდა, მანქანას მოაყენებდნენ და მხოლოდ მაშინ შემეძლო ცოტა ხნით გავლა. ბევრს ვკითხულობდი და მეუფე სერაფიმთან ვურთიერთობდი. ჩემი სიკვდილი შეაჩერა მეუფე სერაფიმმა. აღსარება ვუთხარი და შემდეგ ვეზიარე. დავიწყე ფსიქოლოგიის შესწავლა. ერთწლიანი კურსი გავიარე. ვხვდებოდი, რომ ეს საჭიროა გადარჩენისთვის, მერე თვითონ შევძელი ფსიქოლოგთან მევლო.

**– როგორ მოხდა თქვენი აყვანა და კონკრეტულად რა ეწერა დასკვნაში?**

– მშობლების აგარაკზე ვიყავი. დილის ხუთ საათზე, სიბნელეში, მოვიდნენ ფორმაში ჩაცმული ნიღბიანები (მე და ბავშვს ერთ საწოლში გვეძინა). ვიღვიძებ და ვხედავ, თავზე ნიღბიანები მადგანან, ავტომატი აქვთ მოშვერილი და ეს ავტომატი ანათებს. ბუნებრივია, ყაჩაღები მეგონა. ერთი, რაც ვთქვი – ბავშვი არ შემიშინოთ-მეთქი. რომ თქვეს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან ვართო, ცოტა ამოვისუნთქე. თურმე, ყაჩაღები არ ყოფილან და არ დაგვხოცავენ-მეთქი. ჯერ ერთი, რაში სჭირდებოდა ჩემს აყვანას ოცდაათი კაცი, გამქცევი ვიყავი, ცეცხლს გავხსნიდი, თუ რას მოვიმოქმედებდი? ერთი კი, გულწრფელად ვუთხარი მადლობა, რომ ჩხრეკის დროს, არაფერი ჩამიდეს. მეუბნებიან, რომ ბრალი მედება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში. საბრალდებო დასკვნაში ისეთი რაღაცეები ეწერა... თურმე სამასი შეიარაღებული კაცი უნდა მომეგროვებინა, ბურჯანაძე უნდა მოგვეკლა. თუმცა, არ ვიცი, რას ვერჩოდით ამ ბურჯანაძეს. შემდეგ, ოქრუაშვილი, სააკაშვილი უნდა ჩამოგვეგდო... 2006 წლის 6 სექტემბერს ყოფილ ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკში, მოდულის შენობასთან ახლოს, არანორმალური შოუ მოაწყვეს: კასკიანი, ავტომატიანი ადამიანები იდგნენ, რიგრიგობით შევყავდით, გარშემო უამრავი ხალხი, ტელეკამერები ტრიალებდა. ვერ ვხდებოდით, რა ხდებოდა ჩვენს თავს, ვერტმფრენები დაფრინავდნენ. პრაქტიკულად, ეს იყო სერიოზული ზეწოლა ჩემს ოჯახზე.

**– ალბათ, ბევრ კითხვას უსვამდით საკუთარ თავს – რა უნდოდათ თქვენგან სინამდვილეში, რას უკავშირდებოდა ეს ყველაფერი?**

– ჟვანიას საქმეს უკავშირდებოდა, რად უნდა ამას ლაპარაკი. სამწუხაროდ, დიდი შეცდომა დავუშვი, რომ პოლიტიკაში წავედი. ეს არ უნდა გამეკეთებინა და მე ამას დღემდე უპატიებელ შეცდომად მივიჩნევ. არ მქონდა ამის გამოცდილება, მაგრამ ჩემი სურვილი არ იყო, ეს თავისთავად მოხდა. მოვლენები დაერთო ერთმანეთს. ალბათ, უნდა გამეაზრებინა.

**– უკაცრავად, ჟვანიას საქმეს უკავშირდებაო, ამწუთას მითხარით...**

იმ დღესვე გამოვეხმაურე ვანო მერაბიშვილის განცხადებას, რომელმაც თქვა, რომ ვითომ ეს იყო CO-თი მოწამვლა. დილის რვა საათზე ამ დასკვნის დადება, იყო უკანონობა ანუ, პირადპირი დაკვეთა ერთი მარტივი მიზეზით – ამ დროისთვის ლაბორატორიული კვლევა ჩატარებული ვერ იქნებოდა და გამორიცხული იყო, მერაბიშვილს ასე, უაპელაციოდ ეთქვა რა იყო სიკვდილის მიზეზი. ძალიან კარგად ვიცი, რომ რესპუბლიკურის სასექციოში არ არის ის აპარატი, რომელმაც შეიძლება CO დაადგინოს. ჯერ კიდევ გაკვეთა არ იყო დამთავრებული, ექსპერტები აცხადებენ, რომ კონცენტრაცია CO-სი ოცი პროცენტიაო. იმ საღამოს ვთქვი, CO-ს კონცეტრაცია არ არის სწორი – უნდა იყოს სამოცი და მეტი. მეორე დღეს ოფიციალური ექსპერტიზის შედეგები შეცვალეს და გამოაცხადეს, რომ უსუპოვისა და ჟვანიას სისხლში CO სამოცი და მეტი პროცენტია. ანუ, მათი ძირითადი ვერსია იმდღესვე ეჭვქვეშ დადგა. ოჯახმა არ მომმართა – რომ მოემართა, ვიტყოდი იმას, რასაც ვნახავდი და დარწმუნებული ვარ, დღეს მე თქვენს წინაშე არ ვიჯდებოდი. ალბათ, უფალმა დამიფარა. შემთხვევითი სულაც არ არის ლევან სამხარაულის სიკვდილი, იმიტომ რომ, ეს ბიჭი ვახო კომახიძის ფილმის გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოკლეს.

**– ამის შემდეგ, ალბათ, სხვა პრობლემებიც შეგექმნათ, თუნდაც სამსახურთან დაკავშირებით.**

– ორი წელი ვიარე პრობაციაში. კვირაში ერთხელ მივდიოდი, ხელს ვაწერდი და მოვდიოდი. აქ, ჩვენთან უბანში, ერთი კრიმინალური ავტორიტეტია და იცინოდა: მე თვეში ერთხელ ვაწერ ხელს და მაია ჩემზე საშიშია, კვირაში ერთხელ დადისო. ექვსი წელი არ მიმუშავია. ერთადერთი სარგებელი, რაც ვნახე ნაციონალური ხელისუფლებისგან, ეს იყო მერიის უფასო ინგლისურის კურსები. ცოტა ვიგრძენი, რომ ესე იგი ამ ქვეყანაში კიდევ რაღაც ვარ, რაღაცის უფლება მაქვს. ოღონდ, ორჯერ გავიარე კონკურსი, როგორც წესი, ერთხელ გადიან. რამდენჯერმე ვცადე კერძო სტრუქტურებში სამსახური, რომ მარტო წიგნების კითხვაში არ ვყოფილიყავი. თუ გქონდა ეს დამღა, როგორც ებრაელებს საკონცეტრაციო ბანაკში, მერე სულ ასე დადიოდი. ვამბობდი, ოღონდ სამუშაო მქონდეს და არასოდეს ვიტყვი – დავიღალე-მეთქი. ახლა უამრავი სამუშაოა და რომ წავიწუწუნებ, მახსენდება პირობა, რომელიც ჩემს თავს მივეცი. თბილისში დავამთავრე ინსტიტუტი, ხუთი წელი ლენინგრადში ვიმუშავე. იქ შევისწავლე სასამართლო მედიცინა, შემდეგ დავბრუნდი და ვმუშაობდი სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროში, სადაც ჩაჩუა და გეჯაძე იყვნენ მოადგილეები. იმდენად განსხვავებული იყო რუსული და ქართული ექსპერტიზა, რომ მართალი გითხრათ, ჩემთვის დამოუკიდებელი ექსპერტობა უფრო მისაღები იყო, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობა. მერე კიდევ ერთხელ მომიწია სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობა სააკაშვილის დანიშვნით, რომლის შესახებაც არაფერი ვიცოდი. დაწერილ ბრძანებაზე მივედი სამუშაოდ. ეს იყო იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის დირექტორობა, ყველანაირი ექსპერტიზა შედიოდა – კრიმინალისტიკური, ბალისტიკური... შემდეგ ისევ დამოუკიდებელ ექსპერტიზაში წავედი.

**– როგორ გახდით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი?**

– ძალიან მინდოდა ქირურგობა, მაგრამ მაშინ ვიღაც უნდა ჩარეულიყო. მახსოვს, მინისტრის მოადგილესთან შევედი და ვუთხარი, არ შემიძლია, თერაპევტი ვიყო, რაღაც არანორმალურად მინდა ქირურგობა-მეთქი. რომ არ გაგანაწილოთ ქირურგიაში, თავს მოიკლავო? არა, თავს არ მოვიკლავ-მეთქი და წამოვედი. იმ ადამიანმა ვერ გაიგო, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ჩემთვის. მერე ლენინგრადში წავედი. მაშინაც რთული პერიოდი იყო. პირველი ოჯახი დამენგრა, შვილი მყავდა. მინდოდა, გავშორებოდი აქაურობას, ოღონდ მაშინ მქონდა საშუალება, სადმე წავსულიყავი და ცხოვრება

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

**ლადო ბედუკაძეს საკუთარი თავი ბარიერად ექცა – იმ სკანდალური ისტორიის შემდეგ, რასაც ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა, ხმაურიანი „მეციხოვნის“ ირგვლივ სკანდალს სკანდალი მოჰყვა. ამბობს, რომ ყველაფერი ისე დალაგდა, რომ მისი პრეცენდენტი არავინ აღარ გაიმეოროს. ამ ისტორიამ მისი ცხოვრება ორად გაყო – დღეს ის უკვე აღარც მწვავე განცხადებებს ერიდება და არც იმის თქმას, თუ როგორ გართულდა მისი ცხოვრება მას შემდეგ, რაც „შაჰიდის ქამრით აიფეთქა თავი“.**

# რა ვერ დაუვიწყა ლადო ბედუკაძეს მეუღლემ და რისთვის აიფეთქა მან თავი

**ლადო ბედუკაძე:** არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ერთი წლის წინ დავაფუძნე, ფორმალობას დაემსგავსა, რის გამოც საქმიანობა შევწყვიტეთ. თავიდან ენერგიულად დავიწყე, ორი ბრიფინგიც ჩავატარე რეჟიმისგან დაზარალებულებზე, რათა უფრო მეტად გამომეაშკარავებინა იმ რეჟიმის სახე და აქ დამთავრდა ყველაფერი – როცა ფინანსები არ გაქვს, სამომავლო გეგმებზეც ვერ ფიქრობ. მეგობარმა დამითმო ოფისი, მაგრამ, მალევე დავცალე. ერთი ბიზნესმენიც ვერ გამოჩნდა საქართველოში, რომ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა დაეფინანსებინა. რაც შეეხება გრანტებს, როცა გრანტს იღებ, მაშინვე ხდები სხვისი დავალებების შემსრულებელი, რისი სურვილიც მე არ მქონდა. იმ საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობა, ვინც საქართველოში მუშაობს, რეზიდენტები არიან ჩვენთან, მე კი ამაზე წასვლის სურვილი არ მქონდა. სამასამდე არასამთავრობო ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, მაგრამ, ორი-სამი თუ ჩანს აქტიურად – ის, ვინც გრანტებს იღებს და დავალებებსაც ასრულებს. ვინ დაიჯერებს, რომ თინა ხიდაშელი არ აძლევს „საიას" დირექტივებს? „საია" მისი იარაღია ამ ხელისუფლების წინააღმდეგ.

**– ბოლო პერიოდში საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებთ სოციალურ ქსელებშიც.**

– დიახ, და, ასევე, რამდენიმე გაზეთში ვაქვეყნებ წერილებს, რომლებიც ეძღვნება კონკრეტულ ადამიანებს. შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ ქსელებში ვცხოვრობ, სტატუსებში გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას დღევანდელი ვითარების მიმართ. მე არ ვმალავ იმ იმედგაცრუებას, რაც არის ხალხში ახალი ხელისუფლების მიმართ და ამით ძალიან სარგებლობს მეორე მხარე, „ნაცმოძრაობა", რომელსაც მე არ აღვიქვამ პოლიტიკურ ძალად. ეს არის სექტა პოლიტიკური ელემენტებით. ჩემთვის მიუღებელია ყბადაღებული კოჰაბიტაციის პროცესი. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, გერმანიაში ფაშიზმს კი არ დაამხობდნენ და ნიურნბერგის პროცესს კი არ მოაწყობდნენ, კოჰაბიტაციაში შევიდოდნენ მათთან. ის განცხადებები, რომ ვიღაც ჭკვიანი იყო და ამიტომ დატოვეს თანამდებობაზე, არ არის სწორი. ჩემი სასამართლოს ამბავი ავიღოთ – „ოცნებაც" ამბობს, რომ მე, თურმე, დამნაშავე ვარ, მაგრამ შემიწყალეს. მიმიფურთხებია მათი შეწყალებისთვის, დამაპატიმრონ, დამაკავონ, არავისი შესაწყალებელი არაფერი არ მჭირს.

**– როგორც ჩანს, თავადაც ძალიან იმედგაცრუებული ხართ. რას ელოდით იმ გუნდისგან, რომლის ხელისუფლებაში მოსვლაშიც დიდი წვლილი მიგიძღვით?**

– მე მინდა შეგისწოროთ ნათქვამი. ეს მოსაზრება საზოგადოებაშიც არსებობს, ამიტომაც გეტყვით ჩემს აზრს – მე არ მიმიძღვის ლომის წილი ამ გუნდის ხელისუფლებაში მოსვლაში. ჩემი ნაბიჯი – საპყრობილიდან კადრების გამოტანა – იყო ჩემი გადაწყვეტილება; ჩემი სურვილი იყო, ფარდა ჩამომეხსნა იმ რეჟიმისთვის და გამომეჩინა მათი სახე. როცა მე დავუკავშირდი რამდენიმე ადამიანს, მათგან მოხდა დაკავშირება მათთან, ვინც დღეს უკვე პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენს საქართველოში. იმ ყველაფერს, რაც მოხდა, ვერ მივაწერ ჩემს განსაკუთრებულ დამსახურებას. ერთ ფაქტს გეტყვით: ის, რომ დღეს საპყრობილეებში ერთ წელიწადში გარდაცვლილი პატიმრების რიცხვი 142-დან 30-მდე შემცირდა, იმ ხალხის მიღწევაა, ვინც უარი თქვა წინა ხელისუფლების რეჟიმზე, თუმცა, არც ოცდაათი გარდაცვლილია ცოტა, თუკი პატიმართა დღევანდელ რაოდენობას გავითვალისწინებთ. ერთ-ერთი მთავარი პროგრესი, რასაც ამ ხელისუფლებამ მიაღწია და რასაც ყველა ვხედავთ, ისაა, რომ აღარ არსებობს პოლიტიკური დაკვეთა ზედა ეშელონებიდან. დღეს ძალიან ბევრი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში, კოჰაბიტაციის ქარიშხალმა ხალხს, მათ შორის მეც, იმედის სიო ჩაგვიქრო. არ მინდა, პოლიტიკური განცხადებები გავაკეთო, მაგრამ, ხომ არის საზოგადოებაში ეჭვი, რომ ეს არის ამერიკის დაკვეთა და დავალება, თუნდაც ის, რომ დღეს ქვეყანას თავზე აზის „რესპუბლიკური პარტია," რომელიც ისეთივე ბოროტი ძალაა, როგორც „ნაციონალური მოძრაობა?!." მე ღიად ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას.

**– ციხეები ახსენეთ, სადაც თქვენ წლების განმავლობაში მუშაობდით. სულ ახლახან ეს სისტემა დიდ სკანდალში აღმოჩნდა უზარმაზარი პრემიების გამო.**



**მიმიფურთხებია მათი შეწყალებისთვის, დამაპატიმრონ, დამაკავონ, არავისი შესაწყალებელი არაფერი არ მჭირს**

– სააკაშვილის რეჟიმის დროსაც არ გამიგია ასეთი ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელებს ამხელა ხელფასები აეღოთ, პრემიაზე არავინ საუბრობს, იქ პრემიებიც იყო გამოწერილი. იმ წლებში ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ძალიან მაღალი, რეკორდული ხელფასი ჰქონდა მარეგულირებელი კომიისიის ხელმძღვანელს, რაც იმ დროსაც არაერთი მითქმა-მოთქმის თემა ხდებოდა. როგორი რთულიც არ უნდა იყოს სამსახური, ასეთი მაღალი ხელფასის გაცემა მიუღებელია. მესმის, რომ ძალიან რთულია იმ სისტემაში მუშაობა, მაგრამ იქ ხუთი ათასი კაცი მუშაობს და, მარტო ის რამდენიმე კაცი იმსახურებდა ამხელა ხელფასს?! იმ ორი ადამიანის გათავისუფლებით „დაადასტურეს" მათ საკუთარი დამოკიდებულება – ის ორნი არ არიან ზონდერები, მე მათ პირადად ვიცნობ. დამიკავშირდა

## იმდენმა ხალხმა მიღალატა ამ ორ წელიწადში, არავის აღარ ვენდობი

ის კაცი, გაოგნებულია მომხდარით.

**– ანუ, კვლავ გაქვთ კონტაქტები ციხესთან, რომელსაც ახალი ადმინისტრაცია მართავს?**

– თვითონ მიკავშირდება ის ხალხი. თერთმეტი წელი ვიმუშავე ამ სისტემაში, ექვსი დაწესებულება გამოვიცვალე სხვადასხვა პოზიციით, იქ არის ხალხი, ვინც ჩემს დროსაც მუშაობდა ამ სისტემაში, მათთან დღემდე მაქვს კავშირები. ძალიან ბევრი პატიმარი მწერს სოციალურ ქსელებში: ზოგი მადლობას მიხდის, ზოგი რას მახსენებს და ზოგიც – რას. მართლა ისე კი არაა, როგორც ჩემი მტრები მივრცელებენ ხმებს. ერთხელ მერვე დაწესებულებაში კარანტინში მამაო ჩავიყვანე, წარმოიდგინეთ: სავსე კარანტინი და მამაო – ნაკურთხი წყლით, რომელიც პატიმრებს ლოცავდა. ამას ისეთი ამბავი მოჰყვა, მელაძემ სასტიკი საყვედური გამომიცხადა.

**– დღეს რას საქმიანობთ?**

– დღეს უმუშევარი ვარ. 18 წლის ასაკიდან ვმუშაობ, შესაბამისად, დღეს ჩემთვის ყველაზე რთულია უმუშევრად ყოფნა. 1994 წელს გავხსენი შრომის წიგნაკი. მაშინ არსებობდა დიპლომატიური წარმომადგენლობის დაცვის პოლიცია. ოთხი საელჩო გვებარა, მე ჩინეთის საელჩოს დაცვაში ვიყავი. პოლიციიდან სასჯელაღსრულების სისტემაში გადავედი, იქაც უამრავ პოზიციაზე მომიწია მუშაობა. 2001 წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობდი, მე თვითონ ვინახავდი ჩემს ოჯახს. დღეს არც მე ვმუშაობ, არც ჩემი მეუღლე. ორ შვილს ძალიან ბევრი რამ სჭირდება, რასაც იმ ადამიანის დახმარებით ვახერხებ, ვისზეც ბევრჯერ მითქვამს – ყოველთვიურად თამაზ ელიზბარაშვილი მიხდის 1 000 ლარს ხელფასის სახით, უკვე მერიდება მისი. სწორედ თამაზი იყო ის პიროვნება, ვინც უზრუნველყოფდა ჩემს საცხოვრებელ ხარჯებს ბელგიაში, როცა ბევრი ბინის გამოცვლა მომიხდა. დღეს კი ბევრი იბრალებს, რომ მე და ჩემს ოჯახს გვეხმარებოდა, მაგრამ, ეს მართლა ასე კი არაა. ვიცი, შეიძლება, ვიღაცამ თქვას – ეს რომ ფულზე საუბრობსო. იმ ორი მილიონის ლეგენდა ხომ ისე გაახმაურეს, ყველას დააჯერეს. ერთი „საროჩკა" მაქვს, მეგობრები ხუმრობენ – აღარ აპირებ მის შეცვლას, სულ ეს „საროჩკა" გაცვიაო? ჩემი კუბოკრული „საროჩკა" ხუმრობის თემად იქცა, მაგრამ, რა ვქნა? ***(იცინის)*** რიგით ინსპექტორად რომ დავიწყო მუშაობა, იტყვიან, აი, ამიტომ გააკეთა ის ყველაფერიო, მაგრამ, აბა, მეორე მხრიდან შეხედონ ჩემს მდგომარეობას – ახალგაზრდა კაცი ვარ, ოჯახი მყავს სარჩენი, თუმცა, ფინანსებზე უფრო მნიშვნელოვანი ჩემთვის უსაქმოდ ყოფნაა. როცა გაქვს გამოცდილება და ვერ იხარჯები, ამ დროს, იქ, სადაც შენ ძალიან ბევრი იცი და აბსოლუტურად გამოუცდელი ადამიანები არიან დასაქმებული, რთულია. არავის სამოწყალო არ მჭირს, ორი ხელი მაქვს, მაგრამ, ხომ უნდათ „მაგალითი" – აი, რა გააკეთა ბედუკაძემ და როგორ ცხოვრობსო?!

**– ამას წინათ თქვით ჩემთან საუბარში, ალბათ, მეც დავიწყებ ფიქრს უცხოეთში წასვლაზეო. რატომ არ მიიღეთ აქამდე ეს გადაწყვეტილება?**

– ამას მაშინ ვამბობ, როდესაც ძალიან უიმედოდ ვარ სხვადასხვა გარემოების გამო. ქუჩაში რომ გავდივარ, ბევრი მეუბნება, ეს ხელისუფლება შენი მოყვანილიაო და მათ სახედ მივაჩნივარ, ჩემს სახეზეა „ბრძოლა" „ნაციონალურ მოძრაობასა" და „ოცნებას" შორის. მე ვარ საკუთარი თავის სახე, მეტი არავისი. დღეს ძალიან ბევრი ადამიანი ცდილობს ჩემს დისკრედიტაციას, უამრავ ისტორიას იგონებენ, რომ ბოლომდე ჩირქი მოსცხონ ჩემს სახელს.

**– დღეს ვინ ებრძვის ლადო ბედუკაძეს?**

– ადამიანები იმ ძალიდან, რომელიც კოჰაბიტირებული შერწყმის ნაყოფია. ისინი მე კი არა, სახელმწიფოს ებრძვიან. ერთადერთი სწორი დასკვნა ჩემ შესახებ გააკეთა არჩილ

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

–ექსკლუზივი: ჩვენი სიმართლის რეპორტაჟი–

# ექსკლუზივი: ჩვენი სიმართლის რეპორტაჟი „როდესაც ვთქვი, რომ ზედმეტ წონას დავიკლებდი, ჩემმა დაქალებმა კარგად იხალისეს...“

## ... მაგრამ დღეს მათ შურთ ჩემი ახალი სილუეტის!

გაეცანით ანას ისტორიას, რომელიც გვიმხელს, თუ როგორ შეძლო ზედმეტი კილოგრამების დაკლება 2 თვეში და ყველას გაოცება მოახერხა!




**ერთი წლის წინ ვიწონიდი 160 კგ (სიმაღლე 1.70 მ). მინდა გითხრათ, რომ ძალიან მაწუხებდა ჩემი სხეული.**
ისევე როგორც ჩემ მდგომარეობაში მყოფმა ბევრმა ადამიანმა, მეც ბევრი რამ ვცადე გასახდომად. ყველაფრის ჩამოთვლას არ დავიწყებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს ყველაფერი კარგი ფული დამიჯდა. მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა და უფრო და უფრო უიმედობა მეუფლებოდა.
აკვიატებული მქონდა ჩემი წონა და ამის გამო უფრო მეტად ვსუქდებოდი. ყველაზე მკაცრი დიეტებითაც კი ერთ გრამსაც ვერ ვიკლებდი, თითქოს ერთი ჭიქა წყალიც კი მასუქებდა! აღარ ვიცოდი რა მექნა. ის იყო ხელი ჩავიქნიე და შევეგუე იმ აზრს, რომ მუდამ მსუქანი ვიქნებოდი, რომ...

**... აღმოვაჩინე „რაღაც“, რამაც საბოლოოდ დამაკლებინა**
შვილთან ერთად ექიმის მისაღებში ვათვალიერებდი სამედიცინო ჟურნალს, სადაც ვნახე სტატია გახდომის სფეროში შვეიცარიის ლაბორატორიის ახალ აღმოჩენასთან დაკავშირებით. ცნობისმოყვარეობის გამო დავიწყე კითხვა. როდესაც კითხვას მოვრჩი, მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩემი ჭარბი წონის პრობლემის მოგვარების გზა. მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ იმ დღესვე ვიყიდდი, ჩავიწერე მისამართი, სადაც SlimNature (სლიმნეიჩარის) ყიდვა შეიძლებოდა.

**ამის თაობაზე ველაპარაკე ჩემს ექიმს.**
მან დამიდასტურა, რომ დღეს ეს ყველაზე უტყუარი გასახდომი საშუალებაა, რომელმაც თავი დაიმკვიდრა ამ სფეროში. რევოლუციური ისაა, რომ ხილის მჟავაზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გაათმაგებულია. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირეულად და საბოლოოდ შეუბრალებლად არის დამწვარი, ამავდროულად, საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განეიტრალდებიან ჩანაცვლებითი კალორიებით, წყალმცენარე ქლორელას საშუალებით, რომელიც SlimNature-ს შემადგენლობაშია. რამდენიმე სპეციალიზებულმა ჟურნალმა უკვე მიულოცა ლაბორატორიას, რომელიც აწარმოებს SlimNature-ს ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც ხელს უწყობს სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლას.

**პირველივე დღეებში დავიკელი 2 კგ!**
როდესაც SlimNature-ის მიღება დავიწყე, ვერც კი წარმომედგინა, რომ უკვე ახალგაზრდობის წონის დასაბრუნებლად დროის ათვლა დაიწყო... თანაც იმ დღეს ჩემი გოგოს დაბადების დღე იყო და დიდი შოკოლადის ტორტი გავაკეთე. როგორც ყველამ, მეც ვჭამე ტორტი, რადგანაც კარგად არის განმარტებული, რომ თავი არ უნდა შემეზღუდა და დიეტა არ უნდა დამეცვა.
მეორე დღეს გულაჩქარებული შევდექი სასწორზე. და აი, საოცრება – 5 კგ მქონდა დაკლებული! თვალებს არ ვუჯერებდი!

**ერთ კვირაში უკვე 7 კგ.**
შემდეგ დღეებში, ვკარგავდი საშუალოდ 1 კგ-ს დღეში. როდესაც სარკეში ვიხედებოდი, განსხვავება შესამჩნევი იყო. თვალის დახამხამებაში ვდნებოდი, ეს შთამბეჭდავი იყო!
პირველი კვირის ბოლოს დავიკელი 7 კგ და უფრო მოტივირებული ვიყავი, რომ წარმატებისათვის მიმეღწია.

**მხოლოდ 2 თვეში მე დავიკელი 43 კგ!**
შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სიზმარში. ეს მართლაც ძალიან იოლი იყო. მე მხოლოდ SlimNature-ის კაფსულებს ვსვამდი და რეგულარულად ვიკლებდი კვირაში 5 კგ-ს.
ნელ-ნელა ვხედავდი, თუ როგორ გარდაიქმნებოდა ჩემი უფორმო სხეული ჩემს საოცნებო სილუეტად.

**ჩემი მეუღლე გაოგნებული იყო სწრაფი შედეგით!**
როდესაც სასწორი საბოლოოდ 65 კგ-ზე გაჩერდა, ბედნიერების ზენიტში ვიყავი! მე მოვახერხე 43 კგ-ის დაკლება! 54 ზომიდან გადავედი 40 ზომაზე! რა ბედნიერი ვიყავი! მე მქონდა ლამაზი, ბრტყელი და მკვრივი მუცელი, არანაირი ცელულიტი, არამედ სრიალა და მკვრივი ბარძაყები, თეძოებზე ქონი გამიქრა, ხოლო მუხლები და მკლავები დაიხვეწა. როდესაც ჩემმა მეუღლემ ნახა, რომ ისეთი გამხდარი ვიყავი, როგორც ქორწინებამდე, მითხრა, რომ ჩემით ამაყობდა. ეს ჩემთვის საუკეთესო კომპლიმენტი იყო.




**SlimNature (სლიმნეიჩარი) – ით გარანტირებული შედეგები**
- კუჭი: –14 – 17 სმ
- ზომა: 12 – 18 სმ
- თეძოები: 9 – 16 სმ
- საჯდომი: 12 – 19 სმ
- ბარძაყები: 7 – 15 სმ

**ახლა ჩემი ჯერია, ვიხალისო...**
ჩემი დაქალები გაოგნდნენ ჩემი ახალი სილუეტის ნახვით. ზოგიერთმა ჩემი საიდუმლოს გამხელა მთხოვა და მე მათ ვუთხარი, როგორ შევძელი 43 კგ-ის დაკლება ასე მცირე დროში, ყველანაირი ძალისხმევის, შიმშილისა და დაღლის გარეშე. მათ თვითონაც სცადეს SlimNature და თითქმის ყველა გახდა.

**მას შემდეგ აღარ გავსუქებულვარ.**
დღეს უკვე ამ უცნაური გამოცდილების მე-15 თვეა და ერთი გრამითაც არ მომიმატებია. მე არ მჭირდება, თვალყური ვადევნო ჩემს კვებას და შემიძლია რაც მინდა ის გავაკეთო. უკვე აღარ მაწუხებს ზედმეტი წონა.

**ჩემი რეალური ისტორია ამტკიცებს Slimnature-ის ეფექტურობას.**
მთელი გულით მინდა, რომ ყველა ქალმა, ვისაც გახდომა უნდა, დაიბრუნოს მომხიბლავი და გამხდარი სილუეტი. სწორედ ამიტომაც დავთანხმდი, რომ ჩემი ისტორია გამოქვეყნებულიყო პრესაში.
ყოფილი მსუქნისგან ეს წარმატების ყველაზე მეტი მტკიცებულებაა! ამგვარად, ვინც ჭარბი წონით იტანჯება და ვისაც უკვე აღარაფრის არ სჯერა, ვურჩევ, გამოცადოს Slimnature. ნახავთ, რომ ეს იოლი და ეფექტურია.

ანა

www.slimnature.net

# გახდომა: კიდევ 650 ადამიანს ვეძებთ, ვისაც სურს სწრაფად გახდომა!



ნუტრიტოლოგი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სპეციალისტ-დიეტოლოგი ს.ჰოფბაუერი

**მნიშვნელოვანია: ეს აქცია ეხება იმათ, ვისაც სულ ცოტა 5კგ აქვს დასაკლები.**
ანას ისტორიამ, რომელიც წაიკითხეთ, ალბათ გაგაოცათ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა არაა, პირიქით. ამ ახალი აღმოჩენის წყალობით 2894 ადამიანმა შეძლო დაკლება და ჯამში მათ დაიკლეს 37900კგ! და ამიტომაც დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენც დაიკლებთ SlimNature-ის მეშვეობით.

**რატომ გინდათ გახდომა?**
ამაზე გვიფიქრია? იფიქრეთ იმაზე, რის გაკეთებას შეძლებთ, იმაზე როგორი თვალით შეხედავთ ყველაფერს ზედმეტი კილოგრამების შემდეგ. ნამდვილად გინდათ გახდომა? და თანაც მარტივად? გინდათ დაიბრუნოთ ლამაზი ეფექტური და სექსუალური სილუეტი? ჩაიცვათ ისე, როგორც გსურთ?

**თუ თქვენი პასუხია კი...**
**წაიკითხეთ როგორ დაიკლოთ რისკის გარეშე**
კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ სულ ცოტა 5 კგ მაინც უნდა გქონდეთ დასაკლები. თუ ეს ასეა, მაშ დღესვე იმოქმედეთ **და ისარგებლეთ ჩვენი 30%** სპეცშემოთავაზებით, რომელიც განკუთვნილია ამ ჟურნალის მკითხველისათვის. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

SlimNature გაგახდუნებთ იმ შემთხვევაშიც, თუ აქამდე არაფერმა არ გაჭრა. მისი კალორიების ჩანაცვლებითი მოქმედებით თქვენი საკვები აღარ გადაიქცევა ცხიმების მარაგად, არამედ თქვენი სხეული უბრალოდ გამოყოფს იმას, რაც მას არ სჭირდება. SlimNature არის 100 % ნატურალური პრო-



ჩვენმა კვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დუქტი, ყველანაირი გვერდითი მოვლენების გარეშე. წონას კარგავთ ბუნებრივად, დიეტისა და იმედგაცრუების გარეშე. ამიტომაც, თქვენს ინტერესებში შედის, რომ აღარ იყოყმანოთ და რამდენიმე კვირაში დაიბრუნოთ საოცნებო სილუეტი. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

**რა ღირს დაკლება Slimnature-ით?**
თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ძვირი იქნება. მაგრამ დამშვიდდით, ეს ასე არაა. SlimNature ისეთივე ეფექტურია, როგორიც ქირურგიული ლიპოსაქცია, მაგრამ მისი ფასი ამგვარი ჩარევის მეათედიც არაა. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ თქვენ შეძლოთ გახდომა ისე, რომ ფულმა დაბრკოლება არ შეგიქმნათ. ამიტომაც გთავაზობთ მნიშვნელოვან 30%-იან ფასდაკლებას Slimnature პაკეტის ყიდვისას, რომელსაც აირჩევთ ქვემოთ მოცემულ კუპონზე.

**მნიშვნელოვანია!!**
თუ თქვენ ძალიან სწრაფად ხდებით (იკლებთ 7 კილოზე მეტს კვირაში) გირჩევთ, შეწყვიტოთ SlimNature-ის მიღება 2 დღის განმავლობაში და შემდეგ გააგრძელოთ მანმადე, სანამ არ მიაღწევთ სასურველ წონას.

www.slimnature.net

## Slimnature (სლიმნეიჩარი) = კილოობით ხილს + ქლორელა კონცენტრირებული ერთ კაფსულაში






SlimNature ძირითადად დამზადებულია ტროპიკული ხილის მჟავებისაგან (AHA), რომლის გასახდომი ეფექტურობა საეჭვო აღარაა. რევოლუციური ისაა, რომ ხილის მჟავაზე სპეციფიკური წყალმცენარის დამატებით აქტიური აგენტების ეფექტურობა გაათმაგებულია. შედეგად თქვენი ორგანიზმის ნაგროვები ცხიმი ლოკალიზებულია და ძირეულად და საბოლოოდ შეუბრალებლად არის დამწვარი.

### კალორიებით ჩანაცვლებითი მოქმედებით.

საკვების შაქარი და ცხიმი, რომლებიც უსარგებლოა თქვენი ორგანიზმისთვის, განეიტრალდებიან, წყალმცენარე ქლორელას საშუალებით, რომელიც SlimNature-ის შემადგენლობაშია. მაშასადამე შემდგომში თქვენ აღარ გასუქდებით. ეს უდავოდაა დამტკიცებული.
ქლორელა ცხიმებისა და ტოქსინების ნამდვილი შთანმთქავია, მდიდარია მინერალებითა და მიკროელემენტებით (იგი შეიცავს 17 ვიტამინს და მინერალს, 18 ამინმჟავას და ვიტამინ B12). იგი აძლიერებს, ხელს უწყობს ორგანიზმის რემინერალიზაციას და დეტოქსიკაციას. აბალანსებს ორგანიზმს.
ციტრუსის Aurantium სამმაგად მოქმედებს ცხიმების გამოდევნასა და მათ წვაზე და ამავდროულად ზრდის თერმოგენეზს, რომელიც არის გახდომის გამომწვევი ბუნებრივი პროცესი.

### სანახაობრივი შედეგები.

SlimNature-ის კოქტეილის გასახდომი ეფექტი მაშინვე შესამჩნევია:
1. ცელულიტი ქრება და თქვენი კანი ნაზი და სრიალა ხდება.
2. თქვენი მუცელი კვლავ ბრტყელი და მკვრივია პირველი დღეებიდანვე.
3. თქვენი სილუეტი მთლიანად ტრანსფორმირდება და იღებს ლამაზ ფორმებს, კარგავთ სანტიმეტრებს იქ, სადაც საჭიროა.
4. Slimnature ხელს უშლის ახალი ცხიმების დაგროვებას, მაშასადამე, შემდგომშიც ინარჩუნებთ სასურველ წონას.
5. შედეგები გარანტირებული და მდგრადია. ნელ-ნელა ეს პრეპარატი მთლიანად აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.
ისარგებლეთ ჩვენი 30 %-იანი შემოთავაზებით!
დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30 %-იან ფასდაკლებას SlimNature–ის ოფიციალურ ფასზე. რათა იყოთ შერჩეული გამოიყენეთ შანსი და დარეგისტრირდით www.slimnature.net ან დაგვიკავშირდით ტელ: 2244 024; 2244 025.

**ისარგებლეთ ჩვენი 30 %-იანი შემოთავაზებით !**
დიახ! ამ ჟურნალის ყველა მკითხველს ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ 30 %-იან ფასდაკლებას SlimNature (სლიმნეიჩარი) - ის ოფიციალურ ფასზე.

## გახდომის კუპონი

**დიახ,** მეც მინდა დავიკლო ჭარბი წონა SlimNature-ის მეშვეობით. თქვენი 30% ფასდაკლებით კმაყოფილი დარჩებით

☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N1, 6 კგ-მდე დასაკლებად 59ლ (ნაცვლად 85ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N2, 7 დან 12 კგ-მდე დასაკლებად 89ლ (ნაცვლად 127ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N3, 13 დან 18 კგ-მდე დასაკლებად 129ლ (ნაცვლად 185ლ)
☐ SlimNature (სლიმნეიჩარი) N4, 18 კგ-ზე მეტის დასაკლებად, 149ლ (ნაცვლად 215ლ) რომ მიიღოთ სლიმნეიჩარის კაფსულები, ესტუმრეთ ჩვენს ვებ გვერდს ან დაგვიკავშირდით www.slimnature.net ოფისი მუშაობს დილის 9 სთ-დან საღამოს 21 სთ-მდე, კვირის გარდა ტელ: 2244 024; 2244 025.
იჩქარეთ ! პირველი 100 შეკვეთა მიწოდებული იქნება სრულიად უფასოდ. ჩვენი ექსპრეს სერვისით. ასევე შეგიძლიათ ადგილზე შეიძინოთ SlimNature შემდეგ მისამართზე:

პეკინის ქ. 34, მესამე სართული, თბილისი 0172

R

**მეორე მსოფლიო ომი და ქართველები – აქ უამრავი თეთრი ლაქა გვხვდება. ბევრი ქართველი მამულიშვილის სახელია ჩვენთვის დღემდე უცნობი. ერთ-ერთი მათგანია ცნობილი მეცნიერი და პატრიოტი მიხეილ ახმეტელი. ამ არაჩვეულებრივ კაცზე გვესაუბრება მწერალი და ისტორიკოსი ნიკა თევზაძე.**

# როგორ გადაარჩინა თბილისი დაბომბვას მიხეილ ახმეტელმა და როგორ შექმნა მან ნაცისტურ გერმანიაში ქართული ლეგიონი

– მიხეილ ახმეტელი (1895-1963,) მართლაც უნიკალური პიროვნებაა. დავიწყოთ იმით, რომ ის მტკიცე პატრიოტი და ინტელექტუალი გახლდათ. თავისი პატრიოტული მისწრაფება მან ჯერ კიდევ ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას გამოავლინა, როცა დაწერა თავისი პირველი პოლიტოლოგიური ნაშრომი – „დამოუკიდებელი საქართველო“. მან ჩამოაყალიბა კონკრეტული გეგმა, რაც აუცილებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ბევრი ქართველი პუბლიცისტისგან განსხვავებით, ახმეტელმა შეძლო დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მოდელის შემუშავება. ის ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ პატრიოტული ემოციებით, არამედ, მეცნიერული ანალიზით და ამის საფუძველზე აკეთებდა დასკვნას: რუსეთის იმპერიის დანგრევა გარდუვალია. საქართველოსთვის კი ერთადერთი ხსნა დამოუკიდებლობის მოპოვებაა. ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას, ახმეტელი სოციალ-დემოკრატებს დაუახლოვდა, ცარიზმის დამხობის შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა. თავდაპირველად მენშევიკებთან თანამშრომლობდა, თუმცა მათ მალე გაუცრუეს იმედები. მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეტ მნიშვნელობას რუსეთის დემოკრატიზაციას ანიჭებდნენ. ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნიც კი იყვნენ, აქაოდა, ამით რუსული დემოკრატია სუსტდებაო. პეტერბურგში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგაც კი, მენშევიკები უარს ამბობდნენ ერთხანს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე.



**ახმეტელს მეტად დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა ისეთ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ ჰიმლერი, გერინგი და გებელსი. სამაგიეროდ, მას მფარველობდა ალფრედ როზენბერგი**

ამრიგად, საქართველოში დაბრუნებული ახმეტელი მენშევიკებით იმედგაცრუებული იყო. ის უახლოვდება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც მტკიცე პატრიოტულ პოზიციებზე იდგა. ედპ-ს ლიდერი სპირიდონ კედია ახმეტელს კეთილად ეპყრობოდა. მან ურჩია მიხეილს, ევროპაში წასულიყო და განათლება მიეღო. 1919 წელს ახმეტელი გერმანიაში მიემგზავრება და იენის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება.

– **რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია – ანექსიამ მას გერმანიაში მოუსწრო?**

– დიახ და, ახმეტელი ამ მოვლენას როგორც ქართველი პატრიოტი, ისე ხვდება. 1922 წელს ის საქართველოში არალეგალურად ბრუნდება, რათა რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში მიიღოს მონაწილეობა. ცნობილი უკრაინელი მწერალი-დისიდენტი მიხაილო ოსადჩი წერს, რომ 1923 წელს „ჩეკამ" ქართველი პატრიოტების რიგებში აგენტი-პროვოკატორი შეგზავნა, მეტსახელად ჰეცი. მიხეილ ახმეტელის უშუალო ხელმძღვანელობით ჰეცი ამხილეს და ახმეტელმა მას საკუთარი ხელით მოუღო ბოლო. ამის შემდეგ „ჩეკამ" მისი შეპყრობის ან მოკვლისათვის ჯილდო დააწესა. მიუხედავად ამისა, ახმეტელმა ყველა ხაფანგს დააღწია თავი, 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ კი საქართველო დატოვა. ახმეტელი ბრუნდება გერმანიაში. 1926 წელს ის ბრესლაუში (ამჟამინდელი ვროცლავი) მკვიდრდება. სწორედ იქ გაიცნო მან ვალტერ გელენი, ფედერალური სადაზვერვო სამსახურის (ბნდ) მომავალი დამაარსებლის, რაინჰარდ გელენის მამა. ამ ნაცნობობამ ახმეტელის შემდგომი ბედიც დიდად განსაზღვრა.

– **რატომ?**

– საბჭოთა (ახლა კი რუსი) ისტორიკოსები ვალტერ გელენს „ფაშისტად“ მოიხსენიებენ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ვალტერ გელენი ნამდვილი გერმანელი პატრიოტი გახლდათ და იმ წრეებს განეკუთვნებოდა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ გერმანიის ფუნქცია რუსული ბოლშევიზმის განადგურებაა. ჰერ ვალტერმა ამ სულისკვეთებით აღზარდა თავისი – ვაჟი რაინჰარდი, რომელიც პროფესიონალი სამხედრო, შემდგომში კი უდიდესი მზვერავი გახდა.

ვალტერ გელენს ბრესლაუში პატარა გამომცემლობა ჰქონდა. ახალგაზრდა ახმეტელმაც მას მიმართა და წიგნის გამოქვეყნებაში დახმარება სთხოვა. წიგნი საქართველოში 1920–21 წლებში დატრიალებულ მოვლენებს ეძღვნებოდა. ახმეტელმა ამ პროცესების ამომწურავი ანალიზი გააკეთა. ჰერ ვალტერს გავლენიანი კავშირები ჰქონდა გერმანულ ანტიკომუნისტურ წრეებში. მისი რეკომენდაციით, მიხეილი ბრესლაუს აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი გახდა. 1932 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და გამოიკვეთა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე ექსპერტი ამიერკავკასიის საკითხებში. 1937 წელს კი ახმეტელი ბერლინში გადაიყვანეს და ის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორი გახდა.

– **ეს მაშინ მოხდა, როცა ნაცისტები ხელისუფლებაში იყვნენ. გამოდის, რომ ისინი ახმეტელს ენდობოდნენ?**

– ჰიტლერს პროფესიონალები სჭირდებოდა. ახმეტელმა კი თავისი საქმე ჩინებულად იცოდა. რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ვალტერ გელენის წყალობით მიხეილ ახმეტელმა გერმანულ კონსერვატიულ წრეებში გავლენიანი კავშირები მოიპოვა. საბჭოური პროპაგანდა ამტკიცებდა, თითქოს ახმეტელი ჰიტლერული პარტიის წევრი გახდა. ეს ცილისწამებაა. ნაცისტური პარტიის წევრი ის არასდროს არ ყოფილა, მეტიც, „გესტაპო" მას პოლიტიკურ არალოიალობაში სდებდა ბრალს. ამიტომ, 1937 წლიდან ის აღრიცხავზე აიყვანეს და მეთვალყურეობა დაუწესეს.

ახმეტელს მეტად დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა ისეთ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ ჰიმლერი, გერინგი და გებელსი. სამაგიეროდ, მას მფარველობდა ალფრედ როზენბერგი. ეს მოღვაწე, როგორც ცნობილია, მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის დანგრევას და ნანგრევებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას. ჰიმლერი და გებელსი ამას სასტიკად აკრიტიკებდნენ. გებელსი თავის დღიურში წერს: იდიოტიზმია, თუნდაც ერთი წვეთი გერმანული სისხლი დავღვაროთ იმისთვის, რომ ვიღაც გავათავისუფლოთ; ჩვენ მხოლოდ გერმანელებისთვის სასიცოცხლო სივრცის მოპოვება გვინდაო. რაც შეეხება ჰიმლერს, ის ახმეტელს ინგლისისა და ამერიკის აგენტს უწოდებდა. მისი აზრით, ლონდონისა და ვაშინგტონის ინტერესებშია, რომ გერმანია რუსეთს დაეტაკოს, საბჭოთა კავშირი დაანგრიოს, მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნას და პოსტსაბჭოთა სივრცეზე პასუხისმგებელი იყოსო. ჰიმლერს მიაჩნდა, რომ, თუ გერმანია ამ გზით წავიდოდა, ის მთლიანად გამოიფიტებოდა და ამერიკის შეერთებული შტატების პროტექტორატად გადაიქცეოდა. ამ „სიბრძნეს“ რიბენტროპიც იზიარებდა. სწორედ მას ეკუთვნის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, გერმანიას რუსეთთან კავშირი უნდა დაემყარებინა და მთელი აგრესია ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ მიემართა. „მსოფლიოში ორი ზესახელმწიფო უნდა იყოს – რუსეთი და გერმანია,“ – ამტკიცებდა რიბენტროპი. ჰიმლერი ამას ნაწილობრივ იზიარებდა. მისი აზრით, რუსეთთან კავშირი დროებითი უნდა ყოფილიყო. როგორც კი „ვერმახტი" პარიზში შევიდოდა, გერმანიას რუსეთზე ლაშქრობისათვის მზადება უნდა დაეწყო და ელვისებური ძლიერი დარტყმით მოეღო ბოლო საბჭოთა კავშირისთვის, თუმცა, მოსკოვის აღების შემდეგ ის არა დამოუკიდებელი სახელმწფიოების, არამედ, გერმანული პროტექტორატების შექმნას გეგმავდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელისუფლება ჰიტლერის მიერ დანიშნულ „გაულაიტერებს" უნდა განეხორციელებინათ. უკრაინაში ასეთი იყო ერიჰ კოხი, ბელორუსიაში კუბე, საქართველოს „გაულაიტერი" კი ვინმე არნო შიკენბაცი უნდა ყოფილიყო. ასეთი გახლდათ ჰიმლერის სქემა.

– **ახმეტელი ამას ეწინააღმდეგებოდა?**

– ამას ის კონსერვატიული წრეები ეწინააღმდეგებოდნენ, რომელთაც ახმეტელი განეკუთვნებოდა. ფიურერმა, როგორც ცნობილია, მხარი ჰიმლერს დაუჭირა. ამით ჰიტლერსა და გერმანიის საღ ეროვნულ ძალებს შორის უფსკრული გაღრმავდა. მიუხედავად ამისა, ახმეტელი მაინც ჯიუტად ცდილობდა, ქართული საქმე გაეკეთებინა. 1939 წელს ის ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეა. ახმეტელმა მიაღწია იმას, რომ შეიქმნა ქართული ლეგიონი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს მან და მისმა თანამებრძოლებმა გერმანული საკონცენტრაციო ბანაკებიდან უამრავი ქართველი იხსნეს, ლეგიონერის ფორმა ჩააცვეს და გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინეს. 1942 წელს ახმეტელი უკრაინელ ნაციონალისტებთან ამყარებს კავშირს. მხედველობაში მყავს სტეპან ბანდერას მომხრეები, რომლებიც, როგორც გერმანიის, ისე რუსეთის წინააღმდეგ აწარმოებდნენ შეიარაღებულ ბრძოლას.

ბოლოს ახმეტელის პერსონით „გესტაპო" დაინტერესდა და მას დაპატიმრება დაემუქრა, რისგანაც ვალტერ გელენის ვაჟმა, რაინჰარდმა იხსნა, რომელიც ახმეტელს ბავშვობიდან იცნობდა. როგორც ცნობილია, გელენი გენშტაბთან არსებული სადაზვერვო განმყოფილების აღმოსავლეთის უცხოური არმიების უფროსად დაინიშნა და მან ახმეტელი თავის მრჩევლად დანიშნა. ეს ის პერიოდია, როიდესაც გერმანული არმია კავკასიას მოადგა.

– **და, დღის წესრიგში თბილისის დაბომბვის საკითხიც დადგა?**

– დიახ. ამიტომ, ახმეტელმა გელენს ვრცელი მოხსენებითი ბარათი მიართვა, სადაც დაასაბუთა, რომ თბილისის დაბომბვა გერმანიისთვის მხოლოდ უარყოფით შედეგებს მოიტანდა. ახმეტელი ხაზს უსვამდა იმას, რომ თბილისში არ იყო განთავსებული მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები. მოხსენებას თან ერთვოდა მოკლე ისტორიული მიმოხილვაც. ახმეტელი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რა როლი ითამაშა გერმანიამ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში და აკეთებდა დასკვნას, რომ საქართველოში ძლიერი პროგერმანული განწყობილებები არსებობს და, როგორც კი გერმანული არმია თბილისში შევა, მას ყვავილებით შეეგებებიანო. გენერალი გელენი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: როცა ახმეტელის მოხსენება წავიკითხე, უმალ მივხვდი, რომ ამ კაცს თბილისის გადარჩენა ეწადაო. „პატრიოტიზმი კეთილშობი-

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

# ინტიმური საუბრები

## ალარ ვიცი, როგორ მოვიქცე

25 წლის ისე გავხდი, ეჭვიც არასდროს შემპარვია, რომ იმ ადამიანების ღვიძლი შვილი ვიყავი, ვინც მზრდიდა და თან მყვებოდა. ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა, სტუდენტობა – კიდევ უფრო ლამაზი და უზრუნველი, რადგან მშობლები არაფერს მაკლებდნენ, ძალიან ლაღად მზრდიდნენ. მაგრამ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ჩემს ბედნიერებასაც მაშინ მოეღო ბოლო, როცა დედაჩემს თავის თანამშრომელ ქალთან მოუვიდა უსიამოვნება რაღაც სამსახურებრივ საკითხზე. ის ჯერ თავიანთ უფროსთან შევარდა და დედაჩემს რაღაც სისულელეები დააბრალა. მაგრამ, უფროსმა არ დაუჯერა, უფრო მეტიც, დედა დაიცვა და იმ ქალს უთხრა, შენისთანა უვიცი ცილისმწამებელი ჩემს ორგანიზაციაში არ მჭირდება, ამიტომ, დღესვე დაწერე განცხადება საკუთარი სურვილით წასვლაზე, თორემ, ბრძანებით გაგათავისუფლებო. მიზანს რომ ვერ მიაღწია, ქალბატონმა ლიდამ გადაწყვიტა, სხვანაირად ეძია შური – მეორე დღესვე დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მე მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მასა და დედას შორის რაღაც მოხდა და სახლში არაფერი მითქვამს, ისე წავედი მასთან შესახვედრად. მაგრამ, იმან, რაც ლიდამ მითხრა, მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. აღმოჩნდა, რომ მე აყვანილი შვილი ვიყავი, თანაც, ბებიას გავუშვილებივარ, ჩემი ბიოლოგიური მამის დედას. მას არ უნდოდა, რომ ჩემი ბიოლოგიური დედა, 16 წლის ბავშვი, მის ვაჟიშვილს შეერთო ცოლად, რადგან დედაჩემი ღარიბი ოჯახიდან იყო და მის უსაქმურ, ტუტუც და გარყვნილ შვილს „არ შეეფერებოდა“. ამიტომ, როცა დედამ საკეისროთი გამაჩინა, სანამ ნარკოზიდან გამოვიდოდა, გინეკოლოგის დახმარებით, ბებიაჩემმა ჩემი თავი დედაჩემს მოჰპარა და ჩუმად გამაშვილა, რაშიც საკმაოდ სოლიდური თანხა აიღო. დედას კი უთხრეს, ბავშვი მოკვდაო. მერე ისიც მოახერხა, რომ თავის შვილს ვიღაც სხვა შერთო, დედაჩემი კი უპატრონოდ მიატოვეს, რის შემდეგაც მას ფსიქიკა შეერყა და კლინიკაში დააწვინეს.







რატომღაც, ეჭვი არ შემპარვია ლიდას სიტყვების სიმართლეში. სახლში მისვლისთანავე ჩემს გამზრდელ დედას ვუამბე ყველაფერი და კატეგორიულად მოვთხოვე, არაფერი დაემალა. მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ, დედა გამომიტყდა, რომ ყველაფერი სიმართლე იყო. ლიდამ კი იმიტომ იცოდა ეს ისტორია ასე დაწვრილებით, რომ მან მიიყვანა ჩემი გამზრდელები ჩემს ბიოლოგიურ ბებიასთან. ანუ, მისი წყალობით გავხდი ამათი შვილი. დედამ ისიც მითხრა, რომ ლიდამ მაშინვე ორივე მხარისგან აიღო კარგა მოზრდილი თანხა. დიდხანს ვეხვეწე დედას, გაემხილა ბებიაჩემის ვინაობა, მაგრამ კატეგორიული უარი მითხრა. ამიტომ, თვითონ მივედი ლიდასთან და, ანაზღაურების სანაცვლოდ, ვთხოვე, იმ ქალთან მივეყვანე, ვინც გამაშვილა. თავიდან არ უნდოდა ამის გაკეთება, მაგრამ გასამრჯელო რომ მოვუმატე, სიხარბემ სძლია. მეორე დღესვე წამიყვანა მოხუცთა თავშესაფარში და გამაცნო ხნიერი ქალი, რომელიც ძალიან საცოდავად გამოიყურებოდა. რომ გაიგო, ვინც ვიყავი, სახე შეეშალა და ხმამაღლა ტირილი დაიწყო. როცა დამშვიდდა, მიამბო, რომ რძალმა და შვილმა ყველაფერი წაართვეს, თავშესაფარში მოიყვანეს და მას შემდეგ აღარც გამოჩენილან. როგორც მერე გავიგე, ბებიაჩემი თავის დროზე ძალიან ცნობილი და გავლენიანი ქალი ყოფილა რაიონში, რადგანაც თვითონაც და მის ქმარსაც მაღალი თანამდებობები ეკავათ. ახლა კი უკანასკნელი მათხოვარივით იყო ჩაცმული და უცხო ადამიანები სამადლოდ აწვდიდნენ ლუკმას. ძალიან მაინტერესებდა დედაჩემის ამბავი, იმედს არ ვკარგავდი, რომ ვნახავდი და მივხედავდი. მაგრამ, ეგრეთ წოდებულმა ბებიამ მითხრა, დედაშენი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა ფსიქიატრიულ კლინიკაში და მის წინაშე ჩადენილმა ცოდვამ ჩამაგდო ასეთ დღეშიო.

თავშესაფრის ექიმმა რომ გაიგო ჩემი ვინაობა, დირექტორს შეატყობინა. მან კი კაბინეტში შემიყვანა და მითხრა, რომ ბებიაჩემს სიმსივნე აქვს, დიდი დღე აღარ უწერია და, კარგი იქნება, თუ სახლში წაიყვან და სიცოცხლის ბოლო დღეებს მოვლითა და მზრუნველობით შეუმსუბუქებო.

იქიდან ძალიან აღელვებული წამოვედი. დირექტორს არაფერს შევპირებივარ, მაგრამ საშინელი შინაგანი ბრძოლები დამეწყო: ერთი მხრივ, ბებიაჩემი მეცოდება, როგორც ადამიანი, მაგრამ, ვინ გამამტყუნებს, რომ სახლში არ წავიყვანო?! ან, რა ვუთხრა ჩემს მშობლებს, ვინც გამზარდა?!

ისეთ დღეში ვარ, მტერსაც კი არ ვუსურვებ. ღმერთს ვევედრები, რომ გამაძლიეროს და სწორი გადაწყვეტილება მიმაღებინოს.

**ნათია, 25 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

(მე-13 გვერდიდან)

# რა ვერ დაუვიწყა ლადო ბედუკაძეს მეუღლემ და რისთვის აიფეთქა მან თავი

კბილაშვილმა, რომელმაც თქვა ჩემზე: „შაჰიდის ქამარი” შემოიჭირა და, ფაქტიობრივად, თავი აიფეთქაო. რეალურად ასე გავაკეთე, საკუთარი თავიც გავიმეტე და ოჯახიც. დღემდე მსაყვედურობს მეუღლე – ასე როგორ გაგვიმეტე, რატომ გაწირე ოჯახიო. ყოველ გაბრაზებაზე შეუძლია, წამოამძახოს. ძალიან ავაფორიაქე მათი ცხოვრება – მარტო ღმერთის იმედი მაქვს, მეტი არავისი. ამ გარემოში ჩემს ოჯახსაც უჭირს ცხოვრება, ბავშვებს ათასი სიბინძურე ესმით მამაზე, მათი ცხოვრება მკაცრ ჩარჩოებში მოექცა. ეს არის ფსიქოლოგიური ზეწოლა, მეტი კი არაფერი. ჩემს მდგომარეობას კიდევ ის ამძიმებს, რომ, იმდენმა ხალხმა მიღალატა. არავის აღარ ვენდობი. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. ჩვეულებრივ, მშვიდად ველარ დავდივარ ქუჩაში, რესტორანში თუ მოვხვდი, კუპეთი უნდა ვისარგებლო, რომ ზედმეტი ყურადღების ქვეშ არ მოვექცე. რომ არა ის ისტორია, გავაგრძელებდი ჩემს მშვიდ ცხოვრებას და, ვერავინ ვერ გაიგებდა, ვინ იყო ლადო ბედუკაძე. მაშინ არსად ვჩანდი, ჩემთვის მშვიდად ვცხოვრობდი. ბევრ რამეს უკვე იმის მიხედვით ვალაგებ, რომელ ცხოვრებაში იყო – მანამდე თუ იმის მერე – კადრების ისტორიამ ჩემი ცხოვრება ორად გაყო.

– **ხომ არ ნანობთ იმ გადაწყვეტილებას, რამაც თქვენი ცხოვრება ასე რადიკალურად შეცვალა?**

– სინანულს რაც შეეხება, ერთხელ ვთქვი ეს სიტყვა და სხვანიარად შეფუთეს – კადრების გამოტანას ნანობსო. არა! მე თუ არა, გამოჩნდებოდა ვინმე პეტრიაშვილი ან პავლიაშვილი და ის გააკეთებდა ამას. მე იმას ვნანობ, რომ ეს კადრები პოლიტიკური პროცესებისთვის იყო გამოყენებული. „ნაცმოძრაობის” დოკუმენტში, რომელიც მე გავასაჯაროვე, რეალურად მაქციეს პოლიტიკურ დევნილად. როცა ასეთ ნაბიჯს დგამ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო; ეს კი არა, უარეს კომპრომატებსაც ველოდი. ისეთ სისულელეებს წერენ, გაგიჟდები. თუნდაც ის ისტორია, თითქოს მე შიდსი მჭირს და ერთ-ერთ პატიმარს გადავდე. ახლა, ამის დამწერს, შეიძლება, რომ ჟურნალისტი ერქვას?!

– **თქვენ ამ ჟურნალისტებთან გქონდათ „ალიანსი?”**

– არანაირი ალიანსი არ მქონია. თქვენ რომ დაგეპატიჟებინეთ, ჩვენს ოფისში მოდიო, თქვენთანაც მოვიდოდი. ის პატიმარი „რუსთავი 2-მა” მოძებნა. შემდეგ ის ადამიანი მოვიდა ელისო კილაძის ოფისში და ბოდიში მოიხადა ჩემი ადვოკატისა და ელისო კილაძის წინაშე. გათვლა ჰქონდათ, ჩემი ფეთქებადი ხასიათიდან გამომდინარე, რომ ან მეცემა, ან დამეჯერებინა, რომ ეს ნანა კაკაბაძის „თემა” იყო. არც ერთი გათვლა არ შეუსრულდათ. ახლა ის პატიმარი გადაჯდა ქალბატონი ელისო კილაძის ნავში. ეს რას ნიშნავს? მე მაქვს ჩემი ეჭვი – „რუსთავი 2” და კილაძე ერთი ძალა არ გამოდის?! ჩემი ლანძღვა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა – დღე არ გავა, დებატებში არ მახსენონ და არ მლანძღონ. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მომავალში არავინ აღარ გაიმეოროს ბედუკაძის საქციელი და სისტემის გამომჟღავნების პრეცედენტი აღარ მოხდეს.

**თამუნა ნიჟარაძე**

**მას ფოტოკამერის წინ პოზირება დიდად არ უყვარს და გადაღებისას ნელ-ნელა ისე გადის კადრიდან, მხოლოდ ცარიელი სივრცე გრჩება. სამაგიეროდ, სცენაზე უყვარს დგომა, ცეკვა და, ასეთ დროს მაყურებლის წინაშე ბოლომდე გახსნილია, ყოველგვარი კომპლექსის გარეშე, რადგან, ეს არის პროფესია, რომელიც მას განსაკუთრებულად უყვარს. მისი სცენისადმი და, საერთოდ, თეატრისადმი სიყვარული, ალბათ, არც არის გასაკვირი – ის ხომ ორი უნიჭიერესი და, პირადად ჩემთვის ძალიან საყვარელი და პატივსაცემი ადამიანის – ლევან წულაძისა (ჭოლას) და მანანა კოზაკოვას შვილია. საოცრად პოზიტიური თინათინ წულაძე სულ ახალხან დაბრუნდა პრაღიდან, სადაც 6 თვე სწავლობდა და ახლო მომავალში უკვე ამერიკაში აპირებს სწავლის გაგრძელებას.**

# რისი აღიარება არ უნდოდა პრაღაში თინათინ წულაძეს და რატომ უჭირდა ჭოლას შვილთან თბილისიდან პრაღაში კონტაქტი

– როგორც იქნა, გადმომხედა „ვიზების ღმერთმა“. წელიწად-ნახევარი ველოდი. ცოტა დაგვიანებით კი მომიწია ჩასვლა, მაგრამ, მაინც მადლობელი ვარ მისი. უკვე აღარ მჯეროდა, რომ მომცემდნენ ვიზას, თვითმფრინავშიც ვერ ვიჯერებდი, რომ მართლა მივდიოდი. სანამ არ ჩავედი, ვერ დავიჯერე ბოლომდე. პირველად ვიყავი მარტო, მაგრამ, ძალიან გამიმართლა, რადგან, ბიძაჩემი, დათო კაკაბაძე, პრაღაში ცხოვრობს, იქ მუშაობს „რადიო თავისუფლებაში“ და ძალიან დამეხმარა. ის რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერ გავძლებდი. თუმცა, მაინც ძალიან გამიჭირდა.

**– რა იყო შენთვის ყველაზე დიდი სირთულე?**

– იმის გაცნობიერება, რომ ჩემთვის ვარ, მარტო, „დედა, მიშველე“ – არ გამოდის და მარტომ უნდა გავაკეთო ყველაფერი, დაწყებული საჭმლით, დამთავრებული დალაგებითა და რეცხვით. თან, პრაღა თავიდან დიდი მეჩვენებოდა, დავდიოდი და ვერ ვერკვეოდი ვერაფერში. თბილისში რომ დადიხარ, მაინც ნაცნობი სახეები გხვდება, იქ კი არავინ გაქცევს ყურადღებას. ამიტომ, ძალიან რთული იყო იმის გაცნობიერება, რომ სულ მარტო ხარ, მიუხედავად იმისა, რომ დათოც იქ იყო და სხვა ბევრი ქართველიც. ძირითად დროს მაინც მარტო ვატარებდი. საბოლოოდ, ძალიან შემიყვარდა პრაღა, თუმცა, არ მინდოდა ამის აღიარება და თქმა, რომ შევეჩვიე პრაღას – არ მინდოდა თბილისისთვის მეღალატა. მაგრამ, რომ მოვდიოდი, მივხვდი: ძალიან მომენატრებოდა და ახლაც მენატრება.

**– თბილისში, ალბათ, ბევრ რამეში დედაზე ხარ დამოკიდებული, ამიტომაც თქვი – მივხვდი, „დედა, მიშველე“ არ გამომადგებოდაო.**



**„მამა, მიშველე“ – არ ვიცი, რადგან, ისიც – „მანანა, მიშველეო,“ – ამბობს. მე და მამა ძალიან ვგავართ ერთმანეთს და დედა არის ჩვენი მხსნელი ყველანაირ სიტუაციაში**

– დედა მიკეთებს ყველაფერს, მეხმარება. ბავშვობიდან დამოუკიდებელ ცხოვრებას კი ვარ მიჩვეული, მაგრამ, პრაღაში ისეთი რაღაცეების გაკეთება მომიწია, რაც მანამდე არ გამიკეთებია, თუნდაც, ფინანსური საკითხების გაკონტროლება. ყველაფერს ვანაწილებდი: ამისთვის ეს მინდა, ამისთვის – ეს. ყოველთვე რაღაც თანხას ხომ მიგზავნიდნენ და ვანაწილებდი. პირველ თვეს საოცრებებს ვაკეთებდი, მერე გავერკვიე და ბოლოს ზედმეტად ეკონომიური ვიყავი, რაღაცეებში მენანებოდა ფულის გადახდა.

**– „მამა, მიშველეც“ იცი ხოლმე? თუ, ისიც დედას ეუბნება მიშველეო?**

– არა, „მამა, მიშველე“ არ ვიცი, რადგან, ისიც, „მანანა, მიშველეო,“ – ამბობს. მე და მამა ძალიან ვგავართ ერთმანეთს და დედა არის ჩვენი მხსნელი ყველანაირ სიტუაციაში. დედა ყოველ ხუთ წუთში მირეკავდა: აბა, რას შვრები, აბა, რას შვრებიო, – მამხნევებდა. მამა ვერ მელაპარაკებოდა: „ჰო, ჰო, კარგი” – და მითიშავდა. არ მეგონა, ასე თუ იქნებოდა. დედაც მეუბნებოდა, რომ ძალიან სევდიანი იყო. ჩემს საწოლთან რომ გაივლიდა და იქ ვერ დამინახავდა, ძალიან განიცდიდა. თან, „წყალი მომიტანეს“, რომ ვერავის ეუბნებოდა, კიდევ უფრო მეტად განიცდიდა, მაგრამ, ცდილობდა, არ შეემჩნია.

**– მომიყევი, სად სწავლობდი, როგორ ჩაიარა ამ ექვსმა თვემ?**

– ერთწლიანი კურსი მქონდა პრაღაში, ცეკვის კონსერვატორიაში. ეს სკოლა ევროპის მასშტაბით სკოლების ოცეულში შედის, ხოლო ჩეხეთის მასშტაბით – სამეულში. მქონდა კლასიკური ბალეტის კლასები, ცალკე რეპერტუარი და მოდერნის ტექნიკაც. ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. საბალეტო სკოლა არ მაქვს დამთავრებული, ქართული ცეკვის ცოდნით ჩავედი და ამიტომ თავიდან ძალიან გამიჭირდა. სამაგიეროდ, მივხვდი, მომავალში რა მიმართულებით მინდა სწავლის გაგრძელება. ძალიან დამეხმარა და ძალიან კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება სწავლას, თავიდან, რომ ჩავედი, დამსვეს პირველი და მეორე კლასების გაკვეთილებზე. ნახეს, რა შემეძლო, როგორ ვითვისებდი, რა დონეზე ვიყავი და გადამიყვანეს მეხუთე კურსზე. ეს, ერთი მხრივ, კარგი იყო, მაგრამ, რაღაც მომენტში – არა. პირველი პერიოდი ძალიან გამიჭირდა, რადგან, ნულიდან უნდა დამეწყო ყველაფერი, მაგრამ, ნელ-ნელა მივეჩვიე. სწავლა ყოველ დილით 8 საათზე იწყებოდა. სასწავლებლიდან შორს ვცხოვრობდი, ამიტომ, მაღვიძარას 5 საათსა და 45 წუთზე ვაყენებდი და ძალიან ადრე ვდგებოდი. ერთი წუთითაც რომ დააგვიანო, არ შეგიშვებენ, გაკვეთილების დროს სიწყნარეა, გადალაპარაკებები არ შეიძლება, რაც საქართველოში ხშირია. ეს ცოტა გამაღიზიანებელია, რადგან, როცა გინდა, ვინმეს ემოცია გაუზიარო, ვერაფერს ეტყვი, ყველა თავის თავზე მუშაობს. თუმცა, იმას მივხვდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთარ თავს დაუთმო ყველაზე დიდი დრო, სხვის აზრებს კი, ვინ რას ფიქრობს შენზე, არ უნდა მიაქციო ყურადღება.

**– წარმომიდგენია, პირველ გაკვეთილზე როგორ ინერვიულე.**

– მანამდე ბევრი ვიმუშავე საკუთარ თავზე: არ უნდა შემრცხვეს-მეთქი – ცეკვას ვგულისხმობდი, რადგან, თავიდან ცოტა მრცხვენია ხოლმე. მაგრამ, ძალიან კარგად მიმიღეს და სასიამოვნო იყო მათთან მუშაობა. სწორ შენიშვნებსა და მიმართულებას მაძლევდნენ, თან, ითვალისწინებდნენ იმას, რომ მანამდე ეს სკოლა არ მქონდა გავლილი, ხელს მიწყობდნენ და ამიტომ პირველივე დღეს მომეხსნა ეს შიში. ყოველდღე მქონდა გაკვეთილები, დღეში – სამი; კვირასაც დაკავებული ვიყავი, ოღონდ, ერთი გაკვეთილი მქონდა. საკმაოდ მკაცრი და გამოცდილი მასწავლებლები გვყავდა, იქ გაცდენები და ზედმეტი რაღაცეები არ არსებობს. სიცხე გაქვს, მაინც მიდიხარ. თავისი ექიმი ჰყავთ და ის თუ გეტყვის, წადიო, მხოლოდ მაშინ შეგიძლია, სახლში წახვიდე. ტექნიკური თვალსაზრისით, პირველი ერთი თვე ძალიან გამიჭირდა. სარკეში საკუთარ თავს რომ ვუყურებდი, ვხედავდი, მათთან შედარებით რამდენად განსხვავებულად ვმოძრაობდი, რადგან, მათ უკვე „გამჯდარი” ჰქონდათ, ჩემზე წინ იყვნენ. მე ქართული ელემენტებით, დგომით ვცეკვავდი და მერე საკუთარ თავზე ვბრაზდებოდი. ასეთ დროს ყველაზე კარგი ვარჯიში ფიქრია, ამიტომ, სახლშიც რომ მოვდიოდი, სულ ვფიქრობდი, რა როგორ უნდა გამეკეთებინა და როგორ უნდა დავმსგავსებოდი მათ. რაც მეტს ვფიქრობდი, უფრო კარგად გამომდიოდა მეორე დღეს. ბოლო პერიოდში უკვე მაქებდნენ კიდეც. ნაკლებად რომ მაძლევდნენ შენიშვნებს, ვხვდებოდი, უკეთესი იყო. მოდერნის ცეკვა ძალიან სასიამოვნოა, თუმცა, ქართული ცეკვის დინამიკა სულ მენატრებოდა; ის მუხტი, რაც ქართულ ცეკვას აქვს, ძალიან მაკლდა. ბოლოს, ქუჩაში მუსიკოსები რომ უკრავდნენ, მეგონა, ქართულ რიტმებს უკრავდნენ და, მერე, როცა მივდიოდი მათთან, ვხვდებოდი, რომ მეჩვენებოდა.

**– გამოსაშვები საღამოც გქონდათ?**

– ვინაიდან ჩემს ვიზას ვადა ეწურებოდა, ორი კვირით ადრე მომიწია ჩამოსვლა და კონცერტს ველარ დავესწარი, თუმცა, მანამდე საჩვენებელი გამოცდა მქონდა, ჩავაბარე და ავიღე სერტიფიკატი. ძალიან კმაყოფილი ვარ. გარდა იმისა, რომ დიდი პროფესიული გამოცდილება მივიღე, მარტო რომ ვცხოვრობდი, ესეც ბევრ რამეში დამეხმარა, რადგან, ძალიან ბევრი დრო მქონდა იმისთვის, რომ მეფიქრა, მეტი რაღაც წამეკითხა, გამეგო. ამიტომ, ჩემთვის ძალიან ნაყოფიერი წელი იყო. უამრავი რამ შეიცვალა ჩემს გონებაში: ხედავ შენს ნაკლს; გახსენდება, რა გააკეთე, რას აკეთებ სწორად და ასე შემდეგ.

**– როგორც ვიცი, სექტემბერში ამერიკაში აპირებ წასვლას და ბროდვეის ცეკვის აკადემიაში სწავლას.**

– ბროდვეის ცეკვის აკადემიამ გამოაცხადა გამოცდა 18-დან 22 წლამდე მოცეკვავეების მისაღებად ერთწლიან კურსზე. კურსში შედის ყველა სტილი, რაც კი ქორეოგრაფიაში არსებობს. მოკლედ, გავგზავნე ვიდეო, ჩემი პედაგოგი დამეხმარა ერთწუთიანი ცეკვის აწყობაში. სიმართლე გითხრა, არ მქონდა იმედი, რომ მიმიღებდნენ და, უცბად, მომივიდა პასუხი – მიგიღეთო. ბროდვეი სულ იყო ჩემი ოცნება და ვფიქრობდი, იქ ვერასდროს მოვხვდები-მეთქი. დედაჩემი გაგიჟდა, ძალიან გაუხარდა, რომ გაიგო. მამას რომ ვუთხარი, ჩავაბარე-მეთქი, აღმოჩნდა, რომ მამა იქ ნამყოფია, ფოტოც კი აქვს გადაღებული. გამომიგზავნა ეს ფოტო: რომ გგონია, მარტო შენ ისწავლი აქ, მე ამ აკადემიის კურსდამთავრებული ვარ, ყოფილი მოცეკვავე ვარ; უბრალოდ, არ ვამბობ, თორემ, ბალერონი ვარო. იმდენად უცბად მოხდა ყველაფერი, ჯერ ვერ ვაცნობიერებ, სად მივდივარ და, თან – ამდენი დროით. რომ წარმოვიდგენ, რა კარგ ადგილას მივდივარ, ძალიან მიხარია. რომ ჩამოვალ ამერიკიდან, მერე უკვე მეცოდინება, რას გავაკეთებ. ბროდვეი შეიცვლის ჩემს ცხოვრებას. სცენას რომ არ მოვშორდები – ეს ზუსტად ვიცი.

**ნათია უტიაშვილი**

# ხშირად დასმული კითხვები და მათზე პასუხები

## 1. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა საქართველოს ეკონომიკურმდგომარეობაზე?

საქართველოს ნახავს მნიშვნელოვან სარგებელს ახალი სავაჭრო შესაძლებლობებითა და მსოფლიოს უდიდეს ბაზართან მარტივი წვდომით. გაიზრდება უცხოური ინვესტიციები, ქართული პროდუქციის ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და ექსპორტი. შედეგად შეიქმნება ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები, აიწევს ცხოვრების დონე.

## 2. შეძლებენ თუ არა ქართული კომპანიები ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების დაკმაყოფილებას?

ევროკავშირის სტანდარტებზე გადასვლა განხორციელდება ეტაპობრივად, რამდენიმე წლის განმავლობაში. მწარმოებლების ხარჯები რეალურად იქნება ინვესტიცია უკეთესი პროდუქციის გამოსაშვებად, რაც მომავალში დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცევა. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს შესაბამისი რეფორმების განხორციელებაში.

## 3. გამოიწვევს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოდან შრომითი რესურსების გადინებას?

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას მიგრაციასთან დაკავშირებულ სფეროებში რეფორმების განხორციელების შემდეგ. უვიზო მიმოსვლა არ აძლევს საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირის ქვეყნებში მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების უფლებას.

## 4. წარმოადგენს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმება საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების გარანტიას?

შეთანხმება ღიად ტოვებს და ამავე დროს არ გამორიცხავს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების საკითხს. შეთანხმებაში აღიარებულია ქვეყნის ევროპული მისწრაფებები და არჩევანი. ხაზგასმულია, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა. შეთანხმება შეუქცევად ხასიათს აძლევს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს.

## 5. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოს კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე?

ევროკავშირის სიძლიერე და მიმზიდველობა სწორედ მის კულტურულ მრავალფეროვნებაშია. ევროკავშირი ეხმარება წევრ ქვეყნებს კულტურული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში ქართული კულტურული მიღწევებისა და უნიკალურობის პოპულარიზაციას.

## 6. უქმნის თუ არა საფრთხეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება მართმადიდებლობას და დაკნინდება თუ არა ქართული ეკლესიის როლი?

შეთანხმება ეფუძნება საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნების ისეთ საერთო ისტორიულ და ქრისტიანულ ღირებულებებს, როგორიცაა შემწყნარებლობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და თანასწორობა. ხსენებული საფრთხეები არ შექმნილა ევროკავშირის წევრ მართმადიდებლურ საბერძნეთში, კვიპროსში, რუმინეთსა და ბულგარეთში.

## 7. აიძულებს თუ არა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, დაუშვას ერთსქესიანთა ქორწინება?

ერთი სქესის ადამიანთა ქორწინება არ წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების ან ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნას. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა არ ცნობს მსგავს ქორწინებას და მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ის კონსტიტუციით არის აკრძალული.

## 8. შეუშლის თუ არა ხელს საქართველოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან?

საქართველოს რჩება შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს საკუთარი სავაჭრო პოლიტიკა. შეთანხმება აძლევს საქართველოს საშუალებას შეინარჩუნოს და განავრცოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

## 9. ხომ არ გართულდება ევროკავშირის არა-წევრ ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტი?

ქართული კომპანიები, რომლებიც ევროკავშირის არა-წევრი ქვეყნების ბაზრისთვის აწარმოებენ პროდუქციას, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც შეძლებენ ექსპორტის დაუბრკოლებლად განხორციელებას.

## 10. ნიშნავს თუ არა ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელება, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე უარის თქმას?

შეთანხმების მიხედვით ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის აქტიურ ჩართვას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. შეთანხმება ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მისი გამოყენება ოკუპირებულ რეგიონებში დაიწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა შეძლებს ამ ტერიტორიებზე მის განხორციელებას.



# „აკეთებს“ თუ არა ზოგიერთ მამაკაცს ქალი და აქვს თუ არა მას ხარისხიანი „მასალა“

**ზოგიერთი ქალი ცდილობს, გადააკეთოს მამაკაცი, რომელიც გვერდით ჰყავს და შექმნას მისგან „შედევრი“, ანუ ისეთი პარტნიორი, როგორზეც ყოველთვის ოცნებობდა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ექსპერიმენტზე ხანდახან უარს არც მამაკაცები ამბობენ და ძალიან ცდებიან, რადგან ადამიანის გადაკეთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია და საკმაოდ მტკივნეული პროცესია. თუმცა, ქალები გამონაკლის შემთხვევებში, ახერხებენ ამას. შეაქვთ კორექციები მამაკაცის ხასიათში, უნარ-ჩვევებში, სტილში, მანერებში... არსებობს გამოთქმა, რომ კაცს მაინც ის ქალი ქმნის, რომელიც გვერდით ჰყავს, ხოლო რამდენად მომგებიანია ეს თავად ქალისთვის, ამაზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს.**

ლენა *(39 წლის)*: ახლა უკვე ვიცი, რომ ადამიანებზე ექსპერიმენტები არ უნდა ჩაატარო და მით უმეტეს, უნდა მოერიდო ამას, თუ ეპიცენტრში თავად ხარ ჩართული. თუმცა, მიმაჩნია, რომ ყველა კაცი იცვლება ქალის გვერდით. მით უფრო, როცა ქალი ჭკვიანია. მე არ ვარ ჭკვიანი.

**– ქალები არ იცვლებიან მამაკაცის გვერდით?**

– ნაკლებად. პრაქტიკულად, არა. თუ ცუდი და მძიმე ცხოვრება შეექმნებათ, ცვლილება ის არის, რომ იჩაგრებიან და საკუთარი თავის რწმენას კარგავენ – სულ ეს არის. ის, რომ შეიძლება, ქალი მამაკაცის გვერდით გაიზარდოს, ძალიან იშვიათად გამიგია. თქვენ შეიძლება, იცით ასეთი შემთხვევა? – მე არა! კაცები უფრო ხშირად ექვემდებარებიან წვრთნას. მაგრამ აქვს კი ამას აზრი?

**– აზრი რატომ არა აქვს?**

– იმიტომ, რომ ველური ცხოველებივით არიან. ბოლომდე მაინც არ იწვრთნებიან. ვერ შინაურდებიან. თავის დახსნაზე ოცნებობენ და ერთი სული აქვთ, როდის „აიწყვეტენ“. სულ დაძაბული და შემართული უნდა იყო მათ გვერდით. კაცი ერთ ნაბიჯზეც არ არის სანდო. მე ამ ლოგიკით გავთხოვდი და დღემდე ასე ვცხოვრობ.

**– რთული არ არის, ასეთ დაძაბულ რეჟიმში ცხოვრება?**

– რა თქმა უნდა, რთულია. ამიტომ მივედი იქ, სადამდეც მივედი. ხასიათი შემეცვალა და ეს ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მოხდა. ბოლოს ლამის საკუთარი თავიც კი მძულდა, როცა აღმოვაჩინე, რომ სულ ვჩხუბობდი და „ვიღრინებოდი“. ეს დისკომფორტს მიქმნიდა. მაწუხებდა, ოღონდ, მართლა.

**– თუმცა, თავიდან ხომ ვერ ამჩნევდით?**

– დიახ. სამწუხაროდ, ჩემზე ადრე სხვებმა შენიშნეს და უპირველესად – ქმარმა. თუმცა, თვითონ უმძიმესი ასატანი იყო, ავს და აშარს მე მეძახდა. უვარგისი ქალი ხარ, შენიშვნებით დამღალე და თავი მომაბეზრეო.

**– ალბათ, მის გადაკეთებას ცდილობდით...**

– ელემენტარული უნარ-ჩვევები რომ ჰქონოდა, ეს მინდოდა, მეტი არაფერი. საშინელებაა, იცხოვრო ადამიანთან, რომელიც ისე იქცევა, როგორც პირველყოფილი ჰომოსაპიენსი. უნდა გითხრათ, რომ ჩემი ქმრის ქცევა, მანერები, იუმორი და „პრივიჩკები,“ მანამდეც არ მომწონდა, სანამ მისი ცოლი გავხდებოდი.

**– უცნაურია, მაშინ, რატომ გაჰყევით ცოლად?**

– მართლა გაგაოცებთ, როცა გეტყვით, რომ შემიყვარდა. თურმე, ასეც შეიძლება მოხდეს – არ მოგწონდეს მამაკაცი თავისი ქცევებით, მანერებით, მსოფლმხედველობით, მაგრამ ძალიან გიყვარდეს. პარადოქსია, მაგრამ ჩემთვის ფაქტად ქცეული.

> **კაცის ნდობა ერთ ნაბიჯზეც არ შეიძლება. ელემენტარულ უნარ-ჩვევებს ვითხოვდი მისგან**

**– ფიქრობდით იმაზე, რომ მის „გადაკეთებას“ შეძლებდით?**

– ეტყობა, ვფიქრობდი, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი. ზოგადად, მამაკაცის ვარაუდი იმაზე, რომ ქალები მათ მართავენ, სიმართლეს მოკლებული არ არის. უბრალოდ, როგორც კი მამაკაცს ეს შეგრძნება გაუჩნდება, მისი მართვა უკვე შეუძლებელია. მე მინდოდა, ნორმალური ოჯახი მქონოდა და ნორმალური ქმარი მყოლოდა, რომლითაც ვიამაყებდი, თავს მოვიწონებდი და მის გვერდით მშვიდად, იმედიანად ვიცხოვრებდი. რა არის ამაში ან ცუდი, ან გასაოცარი?! რატომ ვარ მე ჭირვეული და პრეტენზიული ქალი, რატომ შეწუხდა ჩემი ქმარი და რატომ გადაწყვიტა, რომ ვიღაც ქარაფშუტა, თავქარიან, უზნეო ქალთან უფრო ბედნიერი იქნებოდა?! ეტყობა, მეც ყველაფერი ფეხებზე უნდა დამეკიდა და საკუთარი სიამოვნებისთვის მეცხოვრა. ქალები, რომლებიც ამ პრინციპით უდგებიან ცხოვრებას, მშვენივრად გრძნობენ თავს. სამწუხაროდ, მე არასწორი პოზიცია ავირჩიე, ვიფიქრე, რომ შევძლებდი ქმართან ჰარმონიაში ცხოვრებას და თან, მის ოჯახზე მორგებას. არ ვამბობ იმას, რომ მინდოდა, ქმარზე ბატონობა, ან ურთიერთობაში პირველობა. ასე, ნამდვილად არ ყოფილა.

**– მესმის, ცდილობდით, თქვენს სტერეოტიპზე მოგერგოთ. კაცებს ეს არ მოსწონთ.**

– კაცებს საერთოდ არაფერი მოსწონთ. უფრო სწორად, მხოლოდ ის მოსწონთ, რაც მათგან პასუხისმგებლობას არ ითხოვს. დააკვირდით, რა ხდება? – გამოდის, რომ ქალები მამაკაცების სიამოვნებისთვის ვართ გაჩენილები და მათ გვერდით საკუთარი „მეც“ უნდა დავკარგოთ. რა, ეს სამართლიანია?

**– ალბათ, არა. თუმცა, მამაკაცები არ დაგვეთანხმებიან.**

– საქმეც ესაა. ეგოისტები და უპასუხისმგებლოები არიან. მე „მძიმე“ ქალი ვყოფილვარ – უმძიმესი. იმიტომ რომ, მოვინდომე, მეტი პასუხისმგებლობა ეგრძნო ოჯახის მიმართ, მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევიან საკუთარი თავის პატივისმცემელი ადამიანები. მე ვყიდულობდი მისთვის ტანსაცმელს. თმის ვარცხნილობაც კი შევუცვალე და გაცილებით სიმპათიურად გამოიყურებოდა. ეს ყველაფერი ჩვენი ცოლქმრობის პირველ წლებში იყო და ნამდვილად არ მეადვილებოდა. რა თქმა უნდა, მერჩივნა თავიდანვე ყოფილიყო სიმპათიურიც, ელეგანტურიც და საკუთარი დანიშნულება თუ მისიაც გაცნობიერებული ჰქონოდა. გაცილებით ნაკლები შრომა და ნერვიულობა მერგებოდა მე. მით უფრო, რომ მადლობელიც არავინ აღმოჩნდა საბოლოოდ. თუმცა, იყო პერიოდი, როცა ითვალისწინებდა ჩემს რჩევებს, მშვიდად იღებდა ყველა შენიშვნას, თუნდაც, პრეტენზიული ტონით ნათქვამს.

**– იქნებ, მბრძანებლურითაც.**

# როგორ იპოვა ჭიათურაში მცხოვრებმა 54 წლის ქალმა ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევში ნათლია, რომელიც მას წლებია, არ უნახავს

*54 წლის მაია აკაკის ასული მიროტაძე-ფრიდონაშვილი ეძებდა: დაახლოებით 65-70 წლის მერი ბუაძეს (მეუღლის გვარი – ლომსაძე).*

**ისტორია**: ვეძებ ნათლიაჩემს – მერი ბუაძეს (მეუღლის გვარი – ლომსაძე). ის დაახლოებით 65-70 წლამდე უნდა იყოს. სამწუხაროდ, მერის ზუსტი ასაკი არ მახსოვს. უკვე 20 წელია, რაც მასთან კავშირი აღარ მაქვს. ძალიან მინდა, მისი მოძებნა და ნახვა. როგორც მახსოვს, ბოლოს მერი ბუაძე ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში ცხოვრობდა. ამჟამად მე ჭიათურაში ვიმყოფები და აქედან გიკავშირდებით.

**ჟურნალისტის შენიშვნა:** ეს ისტორია ჟურნალ „თბილისელების" რუბრიკა „დაკარგულებში" (№18 – 05.05.14.–11.05.14) დაიბეჭდა. დაკარგული ნათლიის პოვნაში ძალიან დამეხმარა ქალბატონ მერი ბუაძის ყოფილი მეზობელი, ქალბატონი ნანული მახათაძე, რომელიც სტატიის მიმართ გულგრილი არ დარჩენილა და იმდღესვე დაგვიკავშირდა.

*ინტერვიუ მაია მიროტაძესთან (ვინც ეძებდა ნათლიას):*

**– მაია, რა რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ თქვენი ნათლია ნაპოვნია?**

– ძალიან გამიხარდა, განსაკუთრებით კი მოხარული ვარ, რომ ნათლიაჩემი ჯანმრთელად და კარგად არის. როგორც თქვენგან გავიგე, ის ისევ ზესტაფონის რაიონში ცხოვრობს. უბრალოდ, ახლა, როგორც ჩანს, სხვა სოფელშია. მე აუცილებლად ჩავალ და მოვინახულებ. ეს მაშინვე გადავწყვიტე, რა წამსაც გავიგე, რომ ის ნაპოვნია. დარწმუნებული ვარ, მერისაც გაუხარდება და ეს მისთვის დიდი სიურპრიზი იქნება. რამდენადაც ვიცი, მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ვეძებდი და ვიპოვე, რადგანაც ის მეზობელი, რომელიც მის პოვნაში დაგვეხმარა, თბილისში იმყოფება და ვერ შეძლო, მერისთვის ეს ამბავი გადაეცა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იმ ქალბატონს, ვინც თქვენ გამოგეხმაურათ.

**– მაინც, ნათლიასთან შეხვედრას როდის გეგმავთ?**

– როგორც კი პირველივე შანსი მომეცემა, რომ ზესტაფონში წავიდე, ამას გავაკეთებ. ნათლიის პოვნა მართლაც ძალიან მინდოდა. ჩემთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, ძმა ახალი დაღუპული მყავს, მაგრამ მერი ბუაძეს მაინც ვეძებდი. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, მერი მიცნობს თუ არა, როცა დამინახავს, რადგანაც ჩვენ ერთმანეთი ძალიან დიდი ხანია, არ გვინახავს.

**– როგორ ფიქრობთ, თქვენი ნათლია თუ გეძებდათ?**

– არ ვიცი, მეძებდა თუ არა, მაგრამ, იმდენად კარგი ადამიანია, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემი ცხოვრების ამბები და საერთოდ, როგორ ვარ, მას ყოველთვის აინტერესებდა. არც ის არის გამორიცხული, რომ ისიც მეძებდა. თუმცა, არ ვიცი, რა მეთოდებით. პირადად მე, ნათლიას ნამდვილად ვერ ვიპოვიდი, რომ არა თქვენი დახმარება. მაინტერესებს, მერის მშობლების ამბავი. მას გადასარევი მშობლები ჰყავდა, სავარაუდოდ, ისინი ამჟამად ცოცხლები აღარ არიან, რადგან ახლა საკმაოდ ასაკოვანები იქნებოდნენ. ერთი სიტყვით, მე და ნათლიაჩემს ბევრი გვექნება ერთმანეთთან სასაუბრო, გასახსენებელიც ბევრი გვაქვს.

**– ვინ გგულშემატკივრობდათ ნათლიის მოძებნის საკითხში?**

– თითქმის ყველა ჩემი ახლობელი, ვინც კი იცოდა, თუ რამდენს ნიშნავს ჩემთვის ჩემი ნათლია. ყველა მგულშემატკივრობდა, მაგრამ იმის გამო, რომ მე და მერის ერთმანეთი უკვე 20 წელია, არ გვინახავს, არავის ჰქონდა იმედი, რომ ეს ისტორია ასეთ მოკლე დროში და ასე კარგად დასრულდებოდა. როგორც ჩანს, მე მისი პოვნა იმდენად მინდოდა, რომ ღმერთმა შეისმინა და მაპოვნინა. აწი რაღა უნდა მოხდეს, რომ ჩვენ ერთმანეთი დავკარგოთ.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

– არ ვიცი, არ გამოვრიცხავ. თუმცა, შეგნებულად მბრძანებელი არასდროს ვყოფილვარ და ვერც ვიქნებოდი, იმიტომ რომ, ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი.

**– ეს რას ნიშნავს?**

– იმას, რომ რაღაც საკითხებში კაცის ჰეგემონიას ვაღიარებ, მაგრამ ჩემი ქმრისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. იმისი ვარაუდი, რომ რადგან კეთილი და

## გამოდის, ქალები კაცების სიამოვნებისთვის გაჩენდით და მათ გვერდით საკუთარი „მეც" უნდა დავკარგოთ

უბრალო ადამიანი იყო, ეს მასთან ურთიერთობას გამიადვილებდა, ბლეფი აღმოჩნდა. როცა დასჭირდა, უბრალოდ გათელა ფეხქვეშ ჩემი თავმოყვარეობა. ვცდილობდი, მისგან შედევრი შემექმნა – ნამდვილი მამაკაცი, რომელიც ჩემს თავგანწირვას, შრომას დააფასებდა. მიხვდებოდა, რას ნიშნავს, როცა გვერდით მზრუნველი ქალი გყავს, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება. ყველაფერი პირიქით მოხდა. ბევრი რამ, რაც ჩემგან ისწავლა, ისევ ჩემ საწინააღმდეგოდ გამოიყენა. ადრე უნდა დამენებებინა თავი მის „გადაკეთებაზე" წვალებისთვის. ისეთად უნდა დამეტოვებინა, როგორიც სინამდვილეში იყო და ვნახავდი, ვის მოუნდებოდა მისი საყვარლობა.

**– საყვარელი გაიჩინა?**

– კი. ჩემზე „მსუბუქი" ქალი. მხიარული და უპრობლემო. მე „მძიმე" და პრობლემიანი ვიყავი. სამწუხაროდ, ვერაფერი გაიგო. ვერ გაიზარდა და თავში აუვარდა ჩემი დიდი სიყვარული. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ არც დაუმალავს, სხვა ქალი რომ გაიჩინა. შენნაირი არ არის, არავის უმტკიცებს, რომ ჭკვიანი და განსაკუთრებულია. არც სიყვარულით მგუდავს და არც შენიშვნებით მხდის სულს. დავიღალე შენი უკმაყოფილო სიფათის ყურებითო. ფაქტობრივად, გამანადგურა. მემუქრებოდა, რომ საერთოდ წავიდოდა მასთან. მაგრამ ორი თვის შემდეგ ის ქალი სულ გაქრა მისი ცხოვრებიდან. თუმცა, ისე გააგრძელა ჩემ გვერდით ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. რა ჰქვია ასეთ მამაკაცს, გეკითხებით? ხომ არის იმის ღირსი, რომ საერთოდ გავაგდო სახლიდან ეს ნაძირალა. რატომ არ ვაკეთებ ამას? – სხვათა შორის, ამ კითხვას ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს და ჯერჯერობით პასუხი ვერ ვიპოვე.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ვხვდები, რომ უკვე აღარ შემიძლია, ვიცხოვრო ჩემი ქმრის გვერდით. ოთხი წელია, ერთად ვართ და დავრწმუნდი, ეს ის კაცი არ არის, ვინც მე გამაბედნიერებს. მაგრამ განქორწინება მაშინებს. საკუთარ თავში ჩამოყალიბებული არ ვარ. თანაც არ ვიცი, როგორი რეაქცია იქნება ამაზე ჩემს ქმარს. ვერ დაიჯერებს, რომ არ ვღალატობ და სხვასთან არ მივდივარ. რა გავაკეთო?!**

გამოხმაურება: კარგად დაფიქრდით და ზუსტად ჩამოაყალიბეთ კონკრეტულად რატომ გაშინებთ განქორწინება. ქმრისგან ხომ არ არის მოსალოდნელი ანგარიშსწორება? კარგად მოემზადეთ გადამწყვეტი საუბრისთვის, თუ ეს შესაძლებელია. თქვენ უკეთ იცით საკუთარი მეუღლის ხასიათი. არ გირჩევთ, ისეთი საქციელისათვის წააქეზოთ, რომელსაც შემდგომ ინანებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაძიძე**

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობს, დიმიტრი ტატიშვილს წარდგენა არ სჭირდება. მას ყველა იცნობს, ის ყველას უყვარს. თუ რომელ სფეროში ისურვებდა ძალების მოსინჯვას, როგორ ისვენებს და რა „ავადმყოფობა“ აღმოაჩინა მან საკუთარ თავში, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორ იკვებება დიმიტრი ტატიშვილი სწორად და რა „ავადმყოფობა" აღმოაჩინა მან საკუთარ თავში

**– ბატონო დიმიტრი, თქვენთან საუბარს „TV 11-ის" სკეტჩებით დავიწყებ.**

– მე, აქამდე მსგავსი არაფერი გამიკეთებია და ძალიან მაინტერესებდა, როგორ გამომივიდოდა. სკეტჩებში ძირითადად „კავეენის," წარმომადგენლები არიან ხოლმე დაკავებულნი და თურმე, შეიძლება, რომ მსახიობებიც იყვნენ.

**– გაქვთ საყვარელი სკეტჩი?**

– ყველა საინტერესო და სახალისოა. საერთოდ, კარგი იუმორი აქვთ აქ. ძალიან კარგი ხალხია, მოწესრიგებული. ჩვენ ყველამ ვიცით ჩვენი საქმე და გრაფიკი. „TV 11-ში" ყველაფერი ხდება თავის დროზე, რაც ცოტა უჩვეულოა ჩვენს რეალობაში.

**– სხვა პროექტში არ აპირებთ ძალების მოსინჯვას?**

– პარალელურად, მიღებენ „ჩემი ცოლის დაქალებში", პლუს ამას თეატრში მაქვს სპექტაკლები. ხანდახან, სამწუხაროდ, უკვე ძალიან იშვიათად, „რუსთავი 2-ში" ვახმოვანებ მხატვრულ ფილმებს. ამ ბოლო ხანებში ძალიან ცოტა ფილმს ყიდულობს ტელევიზია.

**– ცოტა ფილმსო... არადა, მეჩვენება, რომ სიზმრებსაც თქვენი ხმით ვნახულობ.**

– *(იცინის)* ეს, ალბათ იმიტომ, რომ 10-12 წლის წინ გახმოვანებულ მასალას, რაც არის დაგროვილი, იმას ატრიალებენ.

**– რამდენი იქნება?**

– ძალიან ბევრი... ვერც ვიტყვი, რამდენი ფილმი მაქვს გახმოვანებული. ორნულიანი ციფრი მაინც იქნება, შეიძლება, სამიანსაც მივაღწიე, რა ვიცი.

**– მაყურებლები ხშირად გიზიარებენ ემოციებს?**

– გამიმართლა და ბედნიერი ვარ, რადგან, მაღაზიაში, გნებავთ, ქუჩაში რომ მხვდებიან, კეთილად არიან ჩემ მიმართ განწყობილნი. ამაზე მეტი რა შეიძლება, ადამიანმა ისურვოს. ზოგი რაღაცა რეპლიკას მესვრის ხოლმე: „თქვენ გენაცვალეთ". ხან მანქანას გავაჩერებ, მაღაზიაში შევდივარ და ვიღაც უკიდან მეძახის: ჩამეხუტება. არ ვამეტებ, მართლა ასეა. ძალიან დიდი სიამოვნებაა ეს.

**– ადრე, ინსპექციასთან გამოადგებოდათ ხოლმე ასეთი სიყვარული. ახლა, პატრულთან როგორაა საქმე?**

– საერთოდ, ძალიან წესიერი მძღოლი ვარ. არ ვარღვევ, მაგრამ „დეტექტივების" შემდეგ, ძალიან დიდი სიყვარულით განიმსჭვალნენ ჩემ მიმართ. ამას წინათ, შსს-ში მქონდა საქმე – პოლიციის დღე მოდის და ღონისძიება უნდა წავიყვანო ბათუმში. მივედი ხელშეკრულების გასაფორმებლად და ისე დამხვდნენ, როგორც თავისიანს, ოჯახის წევრს. სანამ საშვი გამომიწერეს, გამომკითხეს, როგორ ხარ, რას შვრებიო. ალბათ ყველაზე დიდი სიმდიდრე ეს არის მსახიობისთვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში ასეა.

**– როგორ ფიქრობთ, ის პროფესია აირჩიეთ, რომელიც უნდა აგერჩიათ, თუ უბრალოდ, გაამართლა შემთხვევითმა არჩევანმა?**

– დღესდღეობით, მე მგონი, ჩემს საქმეს ვაკეთებ. ჩემი მშობლები ამავე თეატრის მსახიობები იყვნენ და მეც აქ გავიზარდე, ამ კედლებში. სულ თეატრში ვიყავი. „თეატრის ბავშვები" ძალიან ხშირად მსახიობები ხდებიან. ასე რომ, ეს პროფესია შემთხვევით არ ამირჩევია, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამიმართლა.

**– მე, მგონი, თუ რაღაცა ფანტაზია და სურვილები აქვს მსახიობს, ყველაფერში მოსინჯეთ თავი.**



**როდესაც საშუალება არ მაქვს, რომ რამე ნორმალური შევჭამო, ვარჩევ, არ შევჭამო საერთოდ**

– კიდევ დარჩა რაღაც-რაღაცეები *(იცინის)*. საერთოდ, სიახლეები მიყვარს ცხოვრებაში. ნამდვილად არ ვარ მეტიჩარა და რაც ჩემი საქმე არაა, იმას არ გავაკეთებ. თუ რამეს მთავაზობენ, ჯერ დავფიქრდები, უნდა მივხვდე, რომ ეს ჩემი გასაკეთებელია. თუ ამას ვერ მივხვდი, მაშინ უარს ვამბობ. მე ყოველთვის ვარჩევ, ვაკეთო ის, რაც ვიცი, მესმის და მეხება.

**– გახმოვანება, თეატრში, ფილმში, სერიალში თამაში, სკეტჩში მონაწილეობა, გადაცემის წაყვანა... თქვენ ეს ყველაფერი შეძელით.**

– მე, მგონი, არ ვაფუჭებ საქმეს. თუმცა, ჩემს შემოქმედებაზე (მაგარი შ-ასოთი – *იცინის)* მაღალი აზრის არ ვარ. მიმაჩნია, რომ ვარ ჩვეულებრივი მსახიობი, რომელიც ცდილობს, კარგად გააკეთოს თავისი საქმე და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის პროფესიას. „მაყურებელი" – ძალიან პატივსაცემი ადამიანებისგან შედგება. ეს კრებითი სიტყვა. ხალხი მოდის შენ სანახავად თეატრში, ან რთავს ტელევიზორს, რომ გიყუროს და შენ ყველაზე უფრო კარგი, რაც შეგიძლია იმ მომენტისთვის, ის უნდა აჩვენო მას. მაყურებელი ამას იმსახურებს და იმის მიღწევას, რომ კარგი და ხარისხიანი პროდუქტი აჩვენო სჭირდება ბევრი შრომა. ჩემი პროფესია არის ბევრი შრომა. გავრცელებულია აზრი: მსახიობობას რა ჯობია, სულ ტაშ-ფანდური გაქვთ, ღადაობთ და ხუმრობთო. ესეცაა, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ ვშრომობთ, ძირითადად, ვშრომობთ.

**– გულის სიღრმეში, თქვენ რომელი ჟანრის მსახიობი ხართ?**

– არ მიყვარს ამპლუის მორგება. მე, მოგონი, ყველაფერი, ცოტა ხმამაღლა ნათქვამი გამოდის, მაგრამ...

**– ხმადაბლა დავწერ. თქვენ თქვით.**

– მთავარია, იყოს პროფესიონალების ჯგუფი და ტრაგედია იქნება ეს, დრამა, დეტექტივი, თუ კიდევ სხვა ჟანრი, მე ყველგან კარგად ვიგრძნობ თავს. ამპლუა არა მაქვს.

**– რომელ როლს მოსინჯავდით?**

– „ჰაუსიისნაირ" სერიალში ვითამაშებდი სიამოვნებით. ეგეთი დონის სერიალში. ამ ბოლო წლებში ძალიან აიწია ამერიკაში, ევროპაშიც სერიალების ხარისხმა. ადრე ვინც სერიალებში თამაშობდა, ისინი ფილმებში არ თამაშობდნენ – არ კადრულობდნენ, ასე ვთქვათ; ვინც სერიალებში იყო დაკავებული, იმას არ ეძახდნენ. ფილმებში. ახლა ასე აღარაა. ფილმების დონემ კი არ დაიწია, სერიალების დონემ აიწია.

**– როგორ იქმნება სხვადასხვა ჟანრის საინტერესო სახეები?**

– ჩემი აზრით, მსახიობისთვის მთავარია, მოახდინოს შინაგანი გარდასახვა. როცა ამას ნაწილობრივ მაინც აღწევ, გამოდის, რომ სხვადასხვა ჟანრის როლში შენც სხვადასხვანაირი ხარ. ამოტომ იქმნება სხვადასხვა სახე და არა იმიტომ, რომ ზოგან ულვაში დაიკარი და ზოგან წვერი მოუშვი. მთავარია, შინაგანი გარდასახვა მოხდეს. თუ ამას აღწევ, რაღაც მაგიური აქტი ხდება – გარეგნობაც გეცვლება, სხვანაირი ხდები, სხვანაირად მოძრაობს ხელები და სხეული მთლიანად, სხვანაირად დადიხარ. იმიტომაა საჭირო რეპეტიცია. ისე, საერთოდ, მსახიობი სულ ფორმაში უნდა იყოს, ფიზიკური აქტივობაა საჭირო, სწორად კვება.

**– და თქვენ ახლა სწორად იკვებებით?**

– როდესაც არ მაქვს საშუალება, რომ რამე ნორმალური შევჭამო, ვარჩევ, არ შევჭამო საერთოდ. ან მაგალითად, თუ ვიცი, რომ ხვალ სპექტაკლი მაქვს და დღეს დამპატიჟეს სადმე საქეიფოდ, უარს ვიტყვი. ასე ძალიან ხშირად მოვქცეულვარ. იმიტომ რომ, მეორე დღეს ვიქნები ნაბახუსევზე. შედეგად, ისე ვერ გავაკეთებ ჩემს საქმეს, როგორც მინდა.

**– მოდი, ახლა დასვენებაზე გადავიდეთ და თან, იმასაც შევიტყობთ, როგორი მოქეიფე და „მობახუსე" ხართ. „Tv 11-ზე" რომ სადღეგრძელოებია, ისეთებს სვამთ?**

– არა. ეგეთი ქეიფი არ მიყვარს. თუმცა, ვარჩევ, სუფრასთან ჯდომას, სადღეგრძელოებსაც ვამბობ, არა ვარ ისეთი თამადა, ლექსები ვათქმევინო, ან სხვას არ ვათქმევინო სიტყვა, მაგრამ თუ სუფრასთან რამდენიმე ადამიანია ისეთი, ვინც მღერის, სიამოვნებით ვმღერი მეც. მიყვარს, ქართულ სუფრას უხდება სიმღერა. ძალიან დიდი ჭიქებით, ვაზებით და ლამფის შუშებით არ ვსვამ. ზოგი სვამს და სიამოვნებს, არავის ვაკრიტიკებ, მაგრამ მე არ მსიამოვნებს. გართობა, ჩემს 2-3-4-5 მეგობართან, სახლში მირჩევნია, ვიდრე რესტორანში. ხმაურს ვერ ვიტან. რაც შეეხება დასვენებას, რამდენიმე წელია, საერთოდ არ დამისვენია. ერთი რამ უნდა ვთქვა, რუსულად „ტრუდაგოლიკი" რომ ჰქვია, მგონი, ეგ მჭირს. იმიტომ რომ, როდესაც ვმუშაობ, მაშინ ვარ კარგად. რამდენიმე წლის წინ ჩავაკითხე ცოლ-შვილს ზღვაზე. 5 დღე მქონდა თავისუფალი. ერთი დღე ვიყავი, – მეორე დღე, მესამე დღეს უკვე დამეწყო განცდა, რომ დროს ვაცდენ. ჭამა, ზღვა, ძილი, ჭამა ზღვა ძილი... ტყუილად ვარ, არსად მივდივარ, არაფერს ვაკეთებ და ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი, კინაღამ გადავირიე. ძალიან მომბეზრდა ეს და მესამე დღეს ვთქვი: ხვალ წავიდეთ სახლში-მეთქი.

**– ადრე წამოიყვანეთ?**

– წვიმა დამეხმარა *(იცინის).* 2 დღე კარგია დასვენება, მესამე დღეს მეწყება განცდა, რომ ოქროს დროს ვხარჯავ.

**– რომელი ასაკიდან მოვიდა ეს განცდა?**

– კარგა ხანია, ოცდაათს რომ გადავაბიჯე მას შემდეგ. უკვე 47-ის გავხდები.

**ეკა სალაღაია**

**მშვენიერი და ქართველებისგან განსხვავებული გარეგნობის მარიამ სანოგო სამოდელო სააგენტო „ჯეო მოდელსის" ერთ-ერთი წარმატებული მოდელია. პარალელურად კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს და, სამომავლოდ, შეიძლება, ჟურნალისტიკაშიც, განსაკუთრებით კი რადიოში სცადოს ძალები.**

# როდის არ ამბობს მარიამ სანოგო პოდიუმზე მოშიშვლებულად გამოსვლაზე უარს და რა ოცნებას ვერ აიხდენს ვერასდროს ის

**მარიამ სანოგო:** ილიას უნივერსიტეტში სწავლების ლიბერალური მეთოდია და, ამიტომ, არ ხარ შეზღუდული. მაგალითად, პირველ კურსზე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ საგნებს ვსწავლობდი და ეს ჩემთვის უფრო მეტად იყო მისაღები. ზოგადად, ვიცი, რა მინდა, რა სფეროში მინდა ვიმუშაო, მაგრამ, კონკრეტულად რა გზით უნდა წავიდე, ამის არჩევაში უკვე უნივერსიტეტი მეხმარება. თან, ბევრი ისეთი საინტერესო საგანი აღმოვაჩინე, რომლებიც მანამდე არ მაინტერესებდა. მაგალითად, „ზოროასტრიზმიდან – ხელოვნურ ინტელექტამდე" – ასე ჰქვია კურსს, რომელსაც ძალიან კარგი ლექტორი მიკითხავს და ძალიან მომწონს. ზოგადად, ძალიან კარგი ლექტორები მყავს. „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" – ამ საგანს ძალიან კარგი ლექტორი, სერგო რატიანი მიკითხავს და, მგონი, ერთადერთი ლექცია, რომელსაც ყოველთვის ვესწრები და არ ვაცდენ.

**– თქვი: ვიცი, რა სფეროში მინდა ვიმუშაოო. რა არის ეს სფერო?**

– უფრო კარგად ვიცი, რა არ მინდა. მაგალითად, არ მინდა პოლიტიკაში ყოფნა ან პოლიტიკაზე მუშაობა. ოდესმე, შეიძლება, ჟურნალისტი გავხდე. ტელეჟურნალისტიკა არ მინდა, მაგრამ, თუ იქნება შემოთავაზება, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი უარს. მაგრამ უფრო მეტად მაინტერესებს წერა, რადიო. რადიოში სიამოვნებით ვიმუშავებდი. არადა, რადიოს რომ ვამბობ, ყველას უკვირს. ჩემთვისაც ვწერ რაღაცეებს, ფართო საზოგადოებისთვის. რაც შეეხება გამოცილებას, ვფიქრობ, ადამიანმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს. კარგი ჟურნალისტი რომ იყო, ამისთვის, მგონია, ძალიან მნიშვნელოვანია, რადიოში მიიღო გამოცდილება, რადგან, შენი ვიზუალი უკანა პლანზე გადადის და ყველაფერი შენს პროფესიონალიზმზე არის დამოკიდებული.

**– რისი გაკეთება არ გინდა ყველაზე მეტად?**

– ვერ ვიტყვი, რომ რაღაცას არასდროს არ გავაკეთებ, რადგან, სანამ კონკრეტულ სიტუაციაში არ აღმოჩნდები, ვერ იტყვი რას გააკეთებ და რას – არა. არ მინდა, მუდმივად ვიჯდე ერთ კაბინეტში, ერთი საქმე ვაკეთო – ასეთი რამ არ შემიძლია. მთელი ცხოვრება ვცდილობ, სხვადასხვა სფეროში გამოვცადო საკუთარი თავი, რეალურად, ძიების პროცესში ვარ და ეს ძალიან მსიამოვნებს. შეიძლება, თავიდანვე ვიცოდე, რომ ეს არ გამომივა, მაგრამ ყოველთვის მაინტერესებს – რა დონეზე გამომივა. ყოველ შემთხვევაში, მიყვარს მრავალფეროვნება.

**– როგორც ვიცი, უკვე მუშაობ. როგორი გრაფიკი გაქვს?**

– ვაკეთებ ისეთ რაღაცეებს, რაც მე მაინტერესებს: ორგანიზება, დარეკვა სხვადასხვა კომპანიაში, სასტუმროებში და ასე შემდეგ. იმის მიუხედავად, რომ დილიდან საღამომდე კაბინეტში ვზივარ, ძალიან მომწონს ჩემი საქმე, საინტერესოა, ბევრ ხალხთან მიწევს ურთიერთობა.

**– მახსოვს, „იმედზე" „ვოისი" რომ გადიოდა, შენც აქტიურად ჩანდი, აცილებდი მონაწილეებს სცენაზე გასვლის წინ.**

– „ვოისში" შემთხვევით აღმოვჩნდი. ჩემი შეყვარებული მუშაობდა იქ, მე არდადეგები მქონდა, თავისუფალი ვიყავი და ერთხელ ჩაწერაზე მივედი. პროდიუსერმა მითხრა, ძალიან კარგი გოგონა ხარ, კადრში კარგად გამოჩნდები და, იქნებ, ერთი დღე დადგეო. ძალიან კარგია, როცა ასეთ გადაცემაში სტაფის როლში ხარ – საკმაოდ საინტერესოა. მომავალში ტელევიზიაში რომ მომიწიოს მუშაობა, ამ კუთხით ბევრი რამ ვიცი; თან, ბევრი ძალიან კარგი ადამიანი გავიცანი, მუსიკას ვუსმენდი – რაც მიყვარს და კარგადაც გავერთე. უფრო საინტერესო იყო ის ემოციები, თუ როგორ ვაწყნარებდით მონაწილეებს – ბევრი რამ არც ჩანდა კადრში. ისე ნერვიულობდნენ, ზოგჯერ კონკრეტული დეტალის ახსნა ათასჯერ მიწევდა.

**– საკმაოდ აქტიური და წარმატებული მოდელი ხარ. მგონი, „თბილისის მოდის კვირეულს" შენ გარეშე არასდროს ჩაუვლია. წელს მოდელები საკმაოდ თამამები იყავით პოდიუმზე, ბევრი გამოვიდა გამჭვირვალე სამოსით, რომლის ქვეშაც არ ეცვათ ბიუსტჰალტერი. ადრე უფრო შებოჭილები იყავით, ბევრ რამეს აქცევდით ყურადღებას.**



**ჩემი შეყვარებული მუშაობდა იქ. მე არდადეგები მქონდა, თავისუფალი ვიყავი და ერთხელ ჩაწერაზე მივედი. პროდიუსერმა მითხრა: ძალიან კარგი გოგონა ხარ, კადრში კარგად გამოჩნდები და, იქნებ, ერთი დღე დადგეო**

– პროფესიული მომენტია. მეც მაქვს ჩემი პრინციპები – აბსოლუტურად შიშველი არ გამოვალ პოდიუმზე, მაგრამ, არც ანაფორით გამოვალ და არ ვითხოვ, დიზაინერმა სპეციალურად ჩემთვის შეკეროს ასეთი რამ. მართალია, საქართველოში ვართ, მაგრამ, მოდის სფეროა. შეიძლება, მილანისა და პარიზის მოდის კვირეულები არ არის, მაგრამ, ჩვენთანაც თავისი წესები აქვს ყველაფერს. როგორც პოდიუმზე უნდა გამოხვიდე სწორ ხაზზე, ასევე, კოსტიუმი უნდა მორგო ისეთი, როგორიც არის. თუმცა, არიან გოგონები, რომლებიც უარს ამბობენ ცოტა მოშიშვლებული სამოსით გამოსვლაზე. მეც მითქვამს უარი – არ მდომებია, გამოვსულიყავი ზედმეტად გახდილი. მაგრამ, ზოგჯერ გამოვსულვარ კიდეც. გააჩნია, სამოსი რამდენად გამჭვირვალეა და რა დონეზე გახდილი უნდა გამოხვიდე, ზომიერების ფარგლებში უნდა ხდებოდეს ყველაფერი. როცა ჩავთვლი, რომ, შეიძლება, ეს ყველაფერი ვულგარულად გამოჩნდეს, მაშინ უარს ვამბობ და ასე ბევრჯერ მოვქცეულვარ. მაგრამ, თუ მიმაჩნია, რომ ესთეტიკურად ლამაზია, მაშინ, ვთანხმდები.

**– კიდევ არის ისეთი რამ პოდიუმთან დაკავშირებული, რაზეც ხშირად ამბობ უარს?**

– ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ფეხსაცმელი ყველა ჩვენებაზე ხან პატარაა, ხან დიდი, ხან კი საერთოდ არ არის. იმედია, ამ პრობლემას მოაგვარებენ. თითო მოდის კვირეულზე დაახლოებით 8-9 ჩვენება ხომ მაქვს და, აქედან მხოლოდ ერთზე მაცვია ჩემი ზომის ფეხსაცმელი. დანარჩენებზე 2-3 ზომით პატარას მაცმევენ. ძალიან რთულია, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წუთით მიწევს ჩაცმა – ხუთი წუთის განმავლობაში სამი ზომით პატარა ფეხსაცმელს ბევრი ვერ გაუძლებს.

**– შეყვარებული ახსენე. ზოგიერთ ქართველ ბიჭს არ მოსწონს, როდესაც მისი შეყვარებული პოდიუმზე თამამად ჩაცმული გამოდის, გამჭვირვალე სამოსიდან შიშველი მკერდი უჩანს... როგორი რეაქცია აქვს შენს შეყვარებულს ამაზე?**

– ზოგს არ მოსწონს, მაგრამ, ჩემს შეყვარებულს არ აქვს რეაქცია. თან, არ გამოვსულვარ იმდენად გახდილი, რომ რეაქცია ჰქონოდა. ძალიან მოკლეც მცმია, გამჭვირვალე გიპიურის ზედაც, მაგრამ, იცის, რომ ეს პოდიუმზე ხდება. ასე, გიპიურის გამჭვირვალე კაბით ქუჩაში რომ გამოვიდე, დარწმუნებული ვარ, ექნება რეაქცია.

**– როგორი გაიცანით ერთმანეთი?**

– მე და ლაშას ბევრი საერთო მეგობარი აღმოგვაჩნდა და ასე გავიცანით ერთმანეთი. პირველად რომ შევხვდით, მეორე დღიდანვე ყოველდღე მირეკავდა... ვმეგობრობდით, ვსეირნობდით, მეგობრებთან მივდიოდით ერთად. ყველაფერი სპონტანურად მოხდა.

**– შენისთანა ლამაზი და საქართველოსთვის ეგზოტიკური გარეგნობის შეყვარებული ბევრს არ ჰყავს.**

– დიახ, ეგეც არის. „ეგზოტიკა" – ეს ის სიტყვაა, რომელიც ყველაზე ხშირად მესმის. ეს სიტყვა ჩემთვის კომპლიმენტი გახდა და მის გაგონებაზე უკვე საკუთარ თავთან მიჩნდება ასოციაცია. თუმცა, ხალხი შეეჩვია ჩემს გარეგნობას, რადგან, ბევრი უცხოელი ჩამოდის საქართველოში და ნელ-ნელა ამ ყველაფერს თვალიც ეჩვევა და ყურიც; ხვდებიან, რომ ეს არ არის საოცრება, რომ არსებობენ სხვადასხვა რასის, სხვადასხვა კანის ფერის, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები. ის, რომ მე ქართულად ვლაპარაკობ, დღემდე უკვირთ. მეც კი გამიკვირდა, როდესაც რამდენჯერმე ინდოელმა გოგონებმა ქართულად მკითხეს რაღაც – რამდენიმე წუთი პირილა ვუყურებდი მათ.

**– ბავშვობაში, ალბათ, ძალიან აქტიური და ენერგიული იყავი.**

– ყოველთვის აქტიური ბავშვი ვიყავი სახლშიც, გარეთაც, სკოლაშიც და დღემდე ასე ვარ. თუ ჩემი მუხლებით ვიმსჯელებთ, ძალიან ხიფათიანიც ვყოფილვარ – ბევრი პატარ-პატარა შრამი მაქვს. მიყვარდა ბიჭებთან ერთად სოფელში, ქალაქში ფეხბურთის თამაში, სირბილი და თითოეული შრამის ისტორია მახსოვს – ყველა ისეთია, დაგამახსოვრდებოდა. ბებია სულ მეუბნებოდა: მარიამ, გოგო ხარ, შრამები არ მოგიხდებაო. ახლა ვხვდები, რატომ მეუბნებოდა, რადგან, ისეთი კანი მაქვს, ყველანაირი შრამი მეჩნევა.

**– როგორც მახსოვს, ადრე ვოკალის პედაგოგთან დადიოდი. ამ მხრივ რა ხდება?**

– შეიძლება, ერთ დღესაც, გავიღვიძო და გადავწყვიტო, რომ მინდა ისევ გავაგრძელო. რაღაც პერიოდი დავანებე თავი, რაღაცეებიც ვცადე, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ ჯერ არ ვარ მზად ამ სფეროში სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად. ხან იმას ვცდი, ხან – ამას და მცდელობების შემდეგ ვარკვევ, რა მაინტერესებს და რა უფრო მინდა. ძირითადად, რასაც ვინდომებ და მაინტერესებს ყოველთვის გამომდის ხოლმე. ერთი პერიოდი მინდოდა, ბალერინა გავმხდარიყავი – ეს არის ჩემი აუხდენელი ოცნება, რომელსაც ვერასდროს ავიხდენ. ამაზე ძალიან, მგონი, არაფერი მინდა. იმის გამო, რომ ზედმეტად მაღალი ვარ, პატარა ასაკშივე მითხრეს, რომ არ გამოვიდოდა ჩემგან ბალერინა, რადგან, სწრაფად ვიზრდებოდი. ჩემებს სულ დავყავდი ოპერაში და თითქმის ყველა ბალეტი მინიმუმ 20-20-ჯერ მაქვს ნანახი. ვგიჟდები ბალეტზე და ამჟამად მხოლოდ მისი ცქერით ვტკბები.

**ნათია უტიაშვილი**

**წმიდა წერილში მაცხოვარი გვიკრძალავს სხვების განკითხვას და, მით უმეტეს, გვეკრძალება სასულიერო პირების მიმართ ასეთი დამოკიდებულება. როგორიც უნდა იყოს ის, მისი განკითხვა უბრალო ადამიანს ეკრძალება და ეს საკუთარ თავზე ნაკვერჩხლის, მუგუზლების დაგროვებას ჰგავს. როგორი უნდა იყოს ადამიანის სულიერი დისციპლინა და რატომ არ შეიძლება სხვისი დაბრკოლება, ამის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რა უნდა გაითვალისწინოს მოძღვარმა მრევლთან ურთიერთობისას და, ეკლესიაში დიდი ხნის სიარულის მიუხედავად, რატომ არ იცვლებიან და არ იზრდებიან ადამიანები სულიერად

– სასულიერო პირი უნდა იყოს ჭეშმარიტად მორწმუნე, სხვანაირად ის ვერ გახდება მაგალითი სხვა ადამიანებისთვის, ვერ წარუძღვება მათ ცხონებისკენ, უფლის წიაღში დასაბრუნებლად, პირიქით, ის მათ დააბრკოლებს. მეორე და მესამე კრიტერიუმები – ეს არის მოძღვრის ინტელექტუალური და გარეგნული მხარე, გარეგნულ მხარეში კი შედის ყველაფერი: ჩაცმა-დახურვა, საუბარი, მოძრაობა, გადაადგილება, ადამიანებთან ურთიერთობა, ზრდილობა, დახვეწილობა. ბევრს უთქვამს, მოძღვრის თვისებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მისი სულიერი მდგომარეობააო. რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ, როდესაც მოძღვარზე ვსაუბრობთ, სულიერებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს ინტელექტი, ანუ, მნიშვნელოვანია მისი განათლება, შემეცნება, რადგან, სხვა შემთხვევაში, ის სხვა ადამიანს არა მხოლოდ სულიერად, არამედ, ინტელექტუალურადაც ვერ ასწავლის.

**– შეიძლება, მოძღვარი პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანი იყოს, მოწესრიგებული, ზნეობრივი, მესამე კრიტერიუმსაც, ანუ, გარეგნულ მხარესაც აკმაყოფილებდეს, მაგრამ, თუ არ ექნება ინტელექტუალური საღვთისმეტყველო განათლება, ალბათ, ის ვერ შეცვლის საკუთარი სამრევლოს სულიერ მდგომარეობას.**

– დღეს არაფერია მიუღწეველი, უამრავი ინფორმაციული საშუალება არსებობს, მაგრამ, თუ მოძღვარი ამ ყველაფერს არ აკმაყოფილებს, სულიერების შემდეგ ინტელექტუალური შემეცნება არ გააჩნია, მას გაუჭირდება თავის მრევლთან ურთიერთობა და მისი აღზრდა როგორც სულიერად, ასევე, გონებრივადაც. ჩვენ არ ვეხებით იმ კანონებს, რომლებსაც თავი მოუყარა შვიდმა საეკლესიო კრებამ, იქნება ეს დოგმატური საკითხი თუ ის საკითხები, რომლებიც ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა; მათ არაფერი ემატება, არც აკლდება. დღეს თანამედროვე მოძღვრები ვსაზრდოობთ იმ ეკლესიური სწავლებით, მამათა სწავლებით, რომელიც დღემდეა მოღწეული და ჩამოყალიბებული, ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერს ვამატებთ. ანუ, კარგი გაგებით, ძველს ვაბრუნებთ და ახალს არაფერს ვქმნით, რადგან ეს სახარებისეული, ეკლესიური სწავლებაა და ვერაფერს შევმატებთ. მაგრამ, რაც შეეხება მიდგომებს, ჩვენ შეგვიძლია, გარკვეულ საკითხებს სხვანაირად მივუდგეთ, ვიდრე პირველ საუკუნეებში ხდებოდა. დოგმატური სწავლება ისევ რჩება, უბრალოდ, მიდგომა იცვლება. მაგალითად, თუ პირველ საუკუნეებში ქრისტიანი საპატიო მიზეზის გარეშე გააცდენდა წირვა-ლოცვას, მას ეკლესია წლების განმავლობაში უკრძალავდა წმიდა ზიარების მიღებას. დღეს ასეთი რამ წარმოუდგენელია. ხშირად ზოგიერთი არა მხოლოდ ორი კვირა, ერთი თვეც არ დადის ეკლესიაში და, ბუნებრივია, ამის „მიზეზიც“ არსებობს – ზოგი მუშაობს და ვერ ახერხებს მოსვლას. თუ ადამიანს აქვს სურვილი, არა მხოლოდ სახელით იყოს ქრისტიანი და ეკლესიური, არამედ საქმეებითაც დაამტკიცოს ეს, შეიძლება, ორი კვირის განმავლობაში ვერ მოახერხოს ეკლესიაში მისვლა, მაგრამ, ყოველთვის გაუჩნდება და ექნება იმის სურვილი, მაქსიმალურად იყოს ჩართული ეკლესიურ ცხოვრებაში და, უდებობის – სიზარმაცის გამო არ გააცდინოს წირვა-ლოცვა. ანუ, თუ მოინდომებს, ის არ მოაკლდება ეკლესიურ მადლს, მსახურებას; მაგრამ, როგორც ვთქვი, ჩვენ, სულიერი მოძღვრები, მათ როგორც ძველად, ისე ველარ მოვთხოვთ ამაზე პასუხს, რადგან, დროც შეიცვალა და ცხოვრების რიტმიც სხვანაირია.

**– თუმცა, ნებისმიერ ადამიანს სჭირდება სულიერი დისციპლინა, რაც აუცილებელია როგორც ეკლესიაში ყოფნისას, ასევე სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას.**

– მამები ამბობენ, როდესაც მორწმუნე დგას ტაძარში, მისი დგომა უნდა იყოს მოკრძალებული, პირჯვრის გადაწერაც კი არ უნდა იყოს ზედმეტი, რათა მისმა ქცევამ არ დააბრკოლოს სხვა ადამიანი ან ხელი არ შეუშალოს მას ლოცვაში. ბევრი ლოცვას ისე ხმამაღლა კითხულობს, რომ ამით სხვა მორწმუნეს უშლის ხელს. ეს ყველაფერი ელემენტარული ქცევის წესებია, რომელიც ტაძარში შესულმა ყველა მორწმუნემ უნდა დაიცვას. თუ მორწმუნე ამას დაიცავს, ესე იგი, მას, გარკვეულწილად, გააჩნია სულიერი დისციპლინა, რომელიც მასში გარეგნულად კი არა, სულიერად მჟღავნდება. სულიერად მოდის მისი განწყობა, სულიერი მომზადება და ასეთი ადამიანი გარკვეულწილად უკვე ჰგავს ნამდვილ, კარგ ქრისტიანს და მისი არსებობა სამრევლო ტაძარში არ იქნება სხვა მლოცველების – ძველებისა თუ ახლად მოსულების დაბრკოლების მიზეზი. ჩვენ ეკლესიაში მოვდივართ ყოველთა მეუფესთან, უფალთან, ყველაზე აღმატებულთან, რომ ვისაუბროთ მასთან – ლოცვა ხომ უფალთან საუბარი, სულიერი ურთიერთობაა. იმის ნაცვლად, რომ ვილოცოთ, ვისაუბროთ უფალთან, მივიღოთ მადლი, პირიქით, როგორც წმიდანები ამბობენ, ვსაუბრობთ მტვერთან, მიწასთან, ჩვენნაირ მოკვდავებთან. ანუ, გვავიწყდება ზეციური მეუფე და, აქედან გამომდინარე, ვემსგავსებით ფსევდოქრისტიანებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან არსებობდნენ და დღესაც არიან.



ზოგიერთებს ეკლესიაში, როგორც თავად ამბობენ, ერთი კონკრეტული ადგილი აქვთ, სადაც წლების განმავლობაში დგანან. ასეთებს მიაჩნიათ, რომ ეს ადგილი მათია და, თუ ვინმე ადრე მოვა და ამ ადგილას დადგება, ეს უკვე კონფლიქტის მიზეზი ხდება

**– რა წესების დაცვაა აუცილებელი ეკლესიაში ყოფნისას? მე ბევრჯერ მინახავს მლოცველები, თუნდაც სტიქაროსნები, როგორ უხეშად აძლევენ შენიშვნას იმათ, ვინც ანალოღიის წინ გაივლის; ან – ქალებს, რომლებიც ანალოღიის მარჯვნივ დგანან, რადგან, მათი თქმით, ქალები აუცილებლად უნდა იდგნენ ანალოღიის მარცხნივ, მამაკაცები – მარჯვნივ და, ასევე, არ შეიძლება ანალოღიის წინ გადავლა.**

– მოძღვრები ყველას ვთხოვთ, მათ შორის, ეკლესიის მსახურებსაც, რომ, თუ შესაძლებელია, ლოცვისა და წირვის დაწყებამდე ნახევარი ან ერთი საათით ადრე მოვიდნენ. როცა ადამიანს ლოცვაზე, წირვაზე აგვიანდება, ცდილობს, მალე მივიდეს და ამის გამო ეკლესიაში შემოდის დაღლილი და ქოშინით, მის მოწესრიგებასა და დამშვიდებას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ, ლოცვითი განწყობა რომ შეექმნას, ჯობია, მლოცველი ნახევარი საათით ადრე მოვიდეს, დადგეს ტაძარში, ფიზიკური, სულიერი ძალები მოიკრიბოს, ემთხვიოს ანალოღიას, რომელზეც ტაძრის ან დღესასწაულის ხატია დაბრძანებული, პატივი მიაგოს ხატებს, აანთოს სანთელი, უფალს შეავედროს ქვეყანა, ოჯახი, საკუთარი თავი და, შემდეგ, დაწყნარებული მდგომარეობით შეხვდეს ლოცვის ან წირვის დაწყებას, რათა აღსრულებული კარგად გაიგოს, შეითვისოს. ეკლესიაში არსებობს დაუწერელი კანონები, ზეპირი გადმოცემები, სამრევლო ისტორია, რომლებიც აწესრიგებს ადამიანთა მოქცევის საკითხებს, მათ შორის, ეკლესიაში დგომის წესსაც. ესთეტიკურად კარგი იქნება, თუ ერთ მხარეს დადგებიან დედაკაცები და მეორე მხარეს მამაკაცები. თუ დედაკაცი მაინცდამაინც არ დაიჩოქებს მამაკაცის წინ, არ შეასრულებს მეტანიას და ოდნავ გვერდით იდგება. რა თქმა უნდა, ეს მაშინ უნდა დავიცვათ, თუ ტაძარში არის ამის საშუალება. თუ არ არის საშუალება, ამით წესის დამახინჯებასთან ან დარღვევასთან არ გვექნება საქმე. ადამიანი ანალოღიას წინიდან ჩაუვლის თუ უკნიდან გაივლის, ამაზე სწავლება არ არსებობს. როდესაც ქრისტიანი შემოდის ეკლესიაში, ბუნებრივია, ის ჯერ მიდის ანალოღიასთან. რა თქმა უნდა, მასთან ზურგით არ დადგება ან უკნიდან არ მივა, მით უმეტეს, თუ ბევრი ხალხი არ არის. როდესაც დიდი დღესასწაულია, შეიძლება, ასეთ დროს ვინმეს მოუხდეს ანალოღიის წინ გავლა და ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ, თუ ტაძარში თავისუფლებაა, რა საჭიროა ანალოღიის წინ გადავლა? თუმცა, ამის აკრძალვის ფორმა არ არსებობს, ეს, უბრალოდ, პატივის მიგებაა. პატარა ტაძრებში ანალოღია ძალიან ახლოს დგას ამბიონთან, ზოგჯერ, შეიძლება, ამბიონზე მიდგმულიც კი იყოს. ამასთან დაკავშირებით კი არსებობს ასეთი მიდგომა და არა სწავლება, რომ, თუ ადამიანი ამ დროს წინ გადაუვლის ანალოღიას, მას, შეიძლება, უნებურად მოუწიოს ამბიონზე ასვლა, ამბიონი კი განასახიერებს ლოდს უფლის საფლავზე და, არ შეიძლება, მასზე ვინმე თავისუფლად ავიდეს და ჩამოვიდეს, გარდა ღვთისმსახურისა და იმ პირებისა, ვინც საკურთხეველს ემსახურება. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება გავლა, თორემ, სხვა შემთხვევაში, რამე წესი ან აკრძალვა არ არსებობს. სამწუხაროდ, დღეს, როდესაც ადამიანები დაუტევებენ ძველს და შეიმოსავენ ახალს, იწყებენ ზნეობრივ ცხოვრებას და ხორციელიდან სულიერ ცხოვრებაში გადადიან, ცხოვრების წესს იცვლიან, მაგრამ, შინაგანად ისევ ძველი ადამიანები არიან; ახალი ცხოვრების წესით არიან ქრისტიანები, მაგრამ, დარჩნენ წარმართობაში. ერთ-ერთი ასეთი შედარებაც მინდა მოვიტანო: ხშირად ეკლესიაში ზოგს, როგორც თავად ამბობენ, კონკრეტული ადგილი აქვთ, სადაც ისინი წლების განმავლობაში დგანან. ამიტომ, მიაჩნიათ, რომ ეს ადგილი მათია და, ვინმე თუ ადრე მოვა და ამ ადგილას დადგება, ეს უკვე კონფლიქტის მიზეზი ხდება. უპირველეს ყოვლისა, ამაზე პასუხისმგებლობა მოძღვარს მოეთხოვება – მან მრევლში ასეთი არაჯანსაღი მიდგომა უნდა აღმოფხვრას.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ დაეხმარა გარდაცვლილი მეუღლე მოძღვარს

ერთ ღვთისმსახურს ქორწინებიდან 16 წლის თავზე გარდაეცვალა მეუღლე – მეტად გონიერი და ღვთისმოსავი ქალი. ცოლთან განშორებამ მწარედ მოკლა მისი გული. ღრმა მწუხარება და გამოუთქმელი ნაღველი დაეუფლა. ის მოწყინების ცოდვაში ჩავარდა, სასმელს დაუმეგობრდა და სახიფათო გზას დაადგა.

„არ ვიცი, დიდხანს დავრჩებოდი თუ არა ამ დამღუპველ გზაზე და სადამდე მივიდოდი, ჩემს განსვენებულ მეუღლეს რომ არ შევეჩერებინე, – ამბობდა ქვრივი ღვთისმსახური, – ის სიზმარეულ ხილვაში გამომეცხადა და მითხრა: „ჩემო მეგობარო, რა გემართება? სახიფათო გზა აირჩიე, შენი საქციელით ხალხის თვალშიც ბევრს დაკარგავ და, რაც მთავარია, შეიძლება, მოაკლდე ღვთის კურთხევას, რომელიც აქამდე ჩვენს ოჯახში იყო დამკვიდრებული. შენი მსახურება იმგვარია, რომ მცირე ლაქაც კი დიდად მოჩანს. ისეთ ადგილას დგახარ, რომ შენი დანახვა ყველა ადგილიდან შესაძლებელია. შენ ექვსი უმწეო ბარტყი გყავს, რომლებსაც მამობა და დედობა ერთდროულად უნდა გაუწიო. ნუთუ შენს წოდებას, შენს დამსახურებასა და პატივისცემას აღარ უფრთხილდები, რომლითაც ყველასგან სარგებლობდი? ნუთუ საკუთარი სიცოცხლე, პატივი და ღვაწლი მხოლოდ ცოლისთვის გინდოდა? ამაზე იფიქრე, ჩემო მეგობარო და გთხოვ, გევედრები, რომ ჯანსაღად განსაჯო და სასწრაფოდ ჩამოშორდე იმ გზას, რომელზედაც შენ, ჩემდა სამწუხაროდ, ამჟამად დგახარ. შენ ჩემთან განშორებას დარდობ, მაგრამ, როგორც ხედავ, ჩვენი კავშირი არ გამწყდარა. ჩვენ ახლაც შეგვიძლია, სულიერი ერთობა გვქონდეს, ხოლო მარადიულ ცხოვრებაში სამუდამოდ შევკავშირდებით, თუკი ღირსეული იქნები. შენ გულის სიცარიელეს უჩივი. ეს სიცარიელე ღვთისადმი, შვილებისა და მოყვასის სიყვარულით შეივსე. სული ასაზრდოე პურითა ანგელოზისა, როგორც უწოდებდი ხოლმე სიტყვას ღვთისას და რომლითაც ასე გიყვარდა საკუთარი თავისა და შენი ოჯახის გამოკვება. ევედრე უფალს ჩემთვის, შენთვის, ჩვენი შვილებისა და შენზედ მონდობილი სულებისათვის“.

საყვარელი მეუღლის ხმამ ღრმად შეაღწია სულში და კეთილად იმოქმედა ჩემზედ. მე მივიღე ის, ვითარცა ხმა ჩემი მფარველი ანგელოზისა, ვითარცა ხმა თვით ღვთისა, რომელსაც ჩემი გამოფხიზლება სურდა. ამიტომ გადავწყვიტე, მთელი ძალებით შევწინააღმდეგებოდი განსაცდელს და ღვთის მადლითა და შეწევნით, მართლაც გადავლახე ეს გაჭირვება და სიმართლის გზაზედ მყარად დავდექი.“

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: თუკი არსებობს „დედის ლოცვა“, რატომ არ არის „მამის ლოცვა“? რომელი ლოცვა უნდა წაიკითხოს მამამ შვილებისთვის?**

**პასუხი**: ამ ლოცვას „დედის ლოცვას“ უწოდებენ, თუმცა, ის არის მშობლის ლოცვა და, შეუძლიათ, წაიკითხონ დედამაც და მამამაც. წარმოთქვით ის ნებისმიერ დროს, როდესაც ამის სურვილი გექნებათ.

**კითხვა: არის თუ არა განსხვავება ცოდვასა და ვნებას შორის?**

**პასუხი**: ცოდვასა და ვნებას სხვადასხვა აზრი აქვს. ვნებებია – გალიზიანება, პატივმოყვარეობა, სიძულვილი, ქედმაღლობა და სხვა. ცოდვაა ამ ვნებათა ზემოქმედება ჩვენზე, როდესაც ვინმე მათ აღასრულებს საქმით, ხორციელად იქმს იმას, რისკენაც მას ვნებები უბიძგებს. შეიძლება, ვნება გქონდეს, მაგრამ, მისი კარნახით არ იმოქმედო.



**კითხვა: როდესაც მაბრაზებენ, თავშეუკავებელი ვხდები, შემდეგ კი ჩემს საქციელს ვნანობ. გთხოვთ, მირჩიოთ თავის დაოკების რაიმე საშუალება?**

**პასუხი**: როდესაც გაბრაზდებით, ვიდრე სიტყვას იტყოდეთ ან რამეს ჩაიდენდეთ, გაჩერდით ხუთი წუთით და გულში წარმოთქვით „იესოს ლოცვა“.

**კითხვა: საეკლესიო წიგნში ამოვიკითხე ტერმინი „კაცთმოთნეობა“. როგორი ადამიანია კაცთმოთნე?**

**პასუხი**: კაცთმოთნე მრავლისმომცველი ტერმინია, მაგრამ, უპირველესად, ეს არის ადამიანი, ვინც თავს უქნევს და უსიტყვოდ ეთანხმება მოყვასის განკითხვასა და მასზე დაძრულ ცილისწამებათა ნიაღვარს. იყო ქრისტიანი, არ ნიშნავს, ყველას დაეთანხმო ჩხუბისა და აყალმაყალის თავიდან აცილების მოტივით. სათქმელი უნდა თქვა სიყვარულით, ზომიერად და სამართლიანად.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

**ლოცვა მტერთა ბედნიერებაზე**

წმიდა ქალწული ფავსტა, ასული კეთილშობილთა და მორწმუნე მშობელთა, 13 წლის იყო, როცა ქრისტეს სარწმუნოებისთვის მისცეს ხელში სანვალებლად ევილას; მაგრამ, მისმა უბრალოებამ, მოთმინებამ და სიმშვიდემ ისე იმოქმედა კერპთაყვანისმცემლის მხეცურ გულზე, რომ, მან, სცნა რა ძალა ღვთისა, შეიბრალა ფავსტა და მიანიჭა მას თავისუფლება, რის გამოც თვითონ მიიღო მოწამის გვირგვინი. ამის შემდგომ იმპერატორმა მაქსიმიანემ მეორე მოხელეს უბრძანა, ფავსტა საშინლად ეწამებინა. მაშინაც რა ქმნა ღვთისაგან განძლიერებულმა ქალწულმა? ნუთუ, მან სთხოვა დასჯა თავისი მტანჯველისა? არა, მხოლოდ წარმოთქვა: „გმადლობ შენ, იესო ტკბილო, გულთა მხილველო, რომ მე შენი წმიდა სახელის აღიარების ღირსი გამხადე... კიდევ, გევედრები შენ, შეიყვარე ჩემი მწვალებელი მაქსიმე, განანათლე იგი სარწმუნოებითა და განამტკიცე შიშსა შინა შენსა“. თუმცა მტანჯველი მეტად ყრუდ ისმენდა მის უბრალოების ხმას, ყურადღებას არ აქცევდა სასწაულებს, რომლებითაც ღმერთმა ადიდა სარწმუნოებისთვის ტანჯულნი, მაგრამ, წმიდა ფავსტას ანგელოზებრივმა სურვილმა თავზარი დასცა და მოალბო მისი ქვა-გული.

„უმანკო ქალწულის შემწეო და მფარველო! – წამოიძახა მან, – გადმოავლინე ჩემს ულირსებაზედაც მადლი შენი; მიმიღე მონად შენდა; ჭეშმარიტად, შენ მარტო ხარ უფალი და ღმერთი ძალთა!“

„იმწამსვე გაიხსნა ცა – ანგელოზთა და წმიდანთა შორის გამოცხადდა ძე ღვთისა, მაკურთხეველი ახლად მოქცეულის მაქსიმესა. ზეციური ხილვით აღტაცებაში მოსულმა მოხელემ ირწმუნა ქრისტე და ფავსტასა და ევილასთან ერთად მოინათლა სისხლითა თვისითა (ყველანი დახოცეს ქრისტეს სარწმუნოებისათვის).“

ქრისტიანენო! სცანით ამით, თუ რა დიდი ძალა აქვს ბოროტის მოქმედთა ბედნიერებაზე ლოცვას.

„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულოცევდეთ მათ, რომელნი გმძლავრობენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ“ (მათე 5,44; ლუკა 6,28).

**ღმერთის კარიბჭე**

ერთხელ ბერძენმა ფილოსოფოსმა ერთ-ერთ მოსწავლეს უბრძანა, სამი წლის განმავლობაში ვერცხლის ფული მიეცა მათთვის, ვინც მასზე ცუდს იტყოდა. გამოცდის დამთავრების შემდეგ, მასწავლებელმა უთხრა:

– ახლა შენ შეგიძლია, გაემგზავრო ათენში სიბრძნის სასწავლებლად.

ათენში შესვლისას მოსწავლემ დაინახა ქალაქის კარიბჭესთან მჯდომი ბრძენი, რომელიც ყველას ლანძღავდა. იგივე ბედი ეწია ჭაბუკსაც. ყმაწვილს სიცილი აუტყდა.

– რატომ იცინი, როცა გლანძღავ? – ჰკითხა ბრძენმა.

– იმიტომ, რომ სამი წლის განმავლობაში ჩემზე ცუდის მთქმელს ფულს ვაძლევდი, შენ კი ამას უფასოდ აკეთებ.

– შედი ქალაქში, ის შენ გეკუთვნის, – უპასუხა ბრძენმა.

აბბა იოანემ, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა ამ ამბის მოყოლა, დაამატა: „აი, ღმერთის კარიბჭე...“

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# რომელი ვარსკვლავები ვერ ითამაშებენ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე

*რამდენიმე დღეც და, სტარტს აიღებს წლის უმთავრესი საფეხბურთო მოვლენა – 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ბრაზილიაში გაიმართება. მსოფლიოს 32 საუკეთესო ნაკრები გუნდი უკვე ყველა თავის სპორტულ ბაზებზე იმყოფება და მუნდიალის დაწყებისთვის ემზადება, ხოლო ისინი, ვინც მუნდიალზე ვერ მოხვდნენ, ტელევიზორებიდან შეიტყობენ ჩემპიონის ვინაობას. გთავაზობთ ფეხბურთის ვარსკვლავებს, რომელთა ნაკრებებმა ვერ მოახერხეს კვალიფიცირება მუნდიალზე.*

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი)

ზედიზედ მეორე მუნდიალი ზლატანის გარეშე ჩაივლის. თანამდეროვე ფეხბურთის უკაშკაშესმა ვარსკვლავმა ორ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა – 2002 და 2006 წლებში, მაგრამ, მისი ვარსკვლავური კარიერის საუკეთესო წლებმა მუნდიალის გარეშე ჩაიარა. ზლატანი შვედეთის ნაკრების ლიდერია, თუმცა, მისი მონდომება არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ პორტუგალიის ნაკრების ბარიერი დაძლეულიყო. პსჟ-ის ვარსკვლავმა უკვე განაცხადა, რომ მისთვის ეს მუნდიალზე მოხვედრის ბოლო შანსი იყო.



### გარეთ ბეილი (უელსი)

გარეთ ბეილი, მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი და ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი შესაძლოა, რაიან გიგზის ბედის გამგრძელებელი აღმოჩნდეს. გიგზმა უელსის ნაკრების უნიათობის გამო ვერც ერთხელ ვერ ითამაშა მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატებზე. უელსის ნაკრები არ განეკუთვნება ძლიერთა რიგებს, თუმცა, ახალი თაობის გათვალისწინებით, რომლის წარმომადგენლად, გარეთ ბეილთან ერთად, არსენალელი აარონ რემზი უნდა ჩავთვალოთ, დაარღვევს მომავალში არასასიამოვნო ტრადიციას.

### არდა თურანი (თურქეთი)



თურქული ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა, თუმცა, 2002 წლის შემდეგ გუნდი ვერ ახერხებს მუნდიალზე მოხვედრას და თურქი ვარსკვლავებიც მოკლებულნი არიან მსოფლიო ჩემპიონატებს. ბოლო პერიოდის თურქი ვარსკვლავებიდან აღნიშვნის ღირსია მადრიდის „ატლეტიკოს" შემტევი არდა თურანი, რომელიც ნამდვილად დააკლდება ბრაზილიის სტადიონებს.

### მარეკ ჰამშიკი (სლოვაკეთი)

2010 წლის მუნდიალზე მარეკ ჰამშიკმა, სლოვაკეთის ნაკრებთან ერთად, სენსაცია გამოაცხო და იტალია ქვეჯგუფში ჩატოვა. ამჯერად კი სლოვაკეთის ნაკრები დარჩა წაგებული – გუნდმა ვერ მოახერხა შესარჩევი ეტაპის გადალახვა და მარეკ ჰამშიკი მსოფლიოს მთავარი საფეხბურთო ფორუმის გარეშე დარჩა.

### რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი)

ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, „დორტმუნდის" ლიდერი და სუპერკლუბების სამიზნეზე მყოფი ვარსკვლავი რობერტ ლევანდოვსკი, მუნდიალის გარეშე დარჩება 2014 წლის ზაფხულში. პოლონეთის ნაკრებმა ვერ მოახერხა შესარჩევი ეტაპის გადალახვა, მიუხედავად იმისა, რომ მის რიგებში არაერთი მსოფლიო დონის ფეხბურთელია. ლევანდოვსკისთან ერთად, ფეხბურთის ქომაგებისთვის ბრაზილიაში არწასულთა სიაში იაკუბ ბლაშიკოვსკიც შეიძლება შევიყვანოთ.

### პეტრ ჩეხი (ჩეხეთი)

ჩეხეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" ქარიზმატული კარის დარაჯისთვის, სავარაუდოდ ეს ბოლო შანსი იყო, რომ ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე. ჩეხმა მხოლოდ ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა 2006 წელს და მაშინ თავი ვერაფრით დაამახსოვრა გულშემატკივრებს. სამწუხაროა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერის კარიერა ბრაზილიის მუნდიალის გარეშე დასრულდება.

## „დაემა ერო, ხელისუფლება ახალგაზრდა თაობას გადავცე..."

ეს სიტყვები ეკუთვნის ესპანეთის მეფე ხუან კარლოს პირველს, რომელიც ქვეყანას 1975 წლიდან მართავს და მსოფლიოში ერთ-ერთ პოპულარულ მონარქად ითვლება. ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი, მათ შორის საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, დიდი ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კემერონი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და სხვები, ესპანეთის დემოკრატიას ხუან კარლოსთან აკავშირებენ და აღნიშნავენ მის ძალისხმევასა და დამსახურებას მშვიდობის, თავისუფლებისა და ესპანელი ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლის საქმეში.

ტახტზე ხუან კარლოსის 45 წლის ვაჟი პრინცი ფილიპე ასტურიელი ავა.

მონარქის გადადგომაზე საუბრისას, უპირველესად, მის ოჯახურ პრობლემებზე ლაპარაკობენ: მონარქის ქალიშვილი – კრისტინა და სიძე – ინიაკი ურდანგარინი გასულ წელს კორუფციულ გარიგებაში ამხილეს. ინიაკი, როგორც საზოგადოებრივი ფონდ Noos-ის წარმომადგენელი, ფულის გათეთრებასა და ფულადი სახსრების არამიზნობრივ გამოყენებაში დაადანაშაულეს. კრისტინა კი, არა მარტო ამ ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოში შედიოდა, არამედ ქმრის ყველა ფინანსური მაქინაციის საქმის კურსში იყო. ხშირად ახსენებენ მონარქის ჯანმრთელობის მდგომარეობასაც. თუმცა, როგორც სამეფო სასახლიდან იტყობინებიან, ეს ნაბიჯი სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა – 76 წლის ხუანმა ტახტი „ენერგიულ, ახალგაზრდა თაობას" ესპანეთის წინაშე მდგარი რთული ამოცანების გამო დაუთმო: ბასკების პრობლემა, ქვეყნის მმართველობის ახალ სტატუსზე გადასვლა, მონარქიის სრულ გაუქმებაზე რეფერენდუმის ჩატარების საკითხი და სულ ახლახან, ივნისის დასაწყისში, მადრიდის ცენტრალურ მოედანზე პუერტა-დელ-სოლზე ჩატარებული რამდენიმესაათიანი მიტინგი ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობის შემოღების მოთხოვნით.

## ნეიმარი ქორწინდება

ბრაზილიელი ვარსკვლავის – ნეიმარის მეგობარმა გოგომ, გაბრიელა ლენზიმ, „ინსტაგრამზე" ფოტო გამოაქვეყნა, სადაც საქორწინო კაბაშია გამოწყობილი. ფოტოს გამოქვეყნებას უმალ მოჰყვა საუბრები, რომ ბრაზილიის მთავარი იმედი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ნეიმარი, ქორწინდება. ესპანური მედიის ცნობით, გაბრიელამ, რომელიც საკმაოდ მაღალანაზღაურებადი მოდელია, უბრალოდ, მონაწილეობა მიიღო საქორწინო კაბების სარეკლამო ფოტოსესიაში, თუმცა, ბრაზილიური ბულვარული პრესის მტკიცებით, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, „ბარსელონას" ვარსკვლავი და გაბრიელა დაქორწინდებიან.



## ხოსეპ გვარდიოლა დაქორწინდა

მიუნჰენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ესპანელი ხოსეპ გვარდიოლა დაქორწინდა. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის რჩეული, კრისტინა სერა, ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანიის მფლობელია. წყვილი 20 წელია, ერთად ცხოვრობს და 3 შვილს ზრდის, თუმცა, აქამდე მათ თავიანთი ურთიერთობისთვის ოფიციალური სახე არ მიუციათ. მიმდინარე სეზონში ხოსეპ გვარდიოლამ გერმანიის ჩემპიონატი და გერმანიის თასი მოიგო „ბაიერნთან" ერთად, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან – „რეალთან" დამარცხდა.



## ყატარი – მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ – „ფიფამ," გადაწყვიტა, ხელმეორედ გამოავლინოს 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა. საქმე ისაა, რომ გაზეთმა „სანდი თაიმსმა" ახალი მასალები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმად, „ფიფას" ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ბინ ჰამამმა 5 მილიონამდე დოლარი ქრთამად დაარიგა, რათა ყატარს ხმათა სასურველი რაოდენობა მიეღო. ცნობილია, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ყატარს ოფიციალურად ჩამოერთმევა მუნდიალის მასპინძლობა, ავსტრალია მზად არის, უმასპინძლოს უდიდეს საფეხბურთო ფორუმს.

## სერხიო რამოსის ახალი ტატუ

„რეალის" მცველმა, ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირმა, სერხიო რამოსმა, ახალი ტატუ გაიკეთა – მარცხენა ფეხზე მან ჩემპიონთა ლიგის თასი დაიხატა. რამოსმა ფოტო „ინსტაგრამზე" გამოაქვეყნა და აღმოჩნდა, რომ მეორე ფეხზე მას 2010 წელს მოგებული მსოფლიო ჩემპიონატის თასი აქვს გამოსახული. ამდენად, ფეხბურთის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტატუირებული ვარსკვლავი ახალი ტატუთი იწონებს თავს.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# პიტერ დინკლეიჯი - მსოფლიო კინემატოგრაფის ნომერ პირველი ჯუჯა

*ვისაც ერთხელ მაინც უნახავს გახმაურებული ტელესერიალის „სამეფო კარის თამაშების" თუნდაც ერთი სერია, აუცილებლად დაამახსოვრდებოდა ტირიონ ლანისტერის როლის შემსრულებელი ამერიკელი მსახიობი პიტერ დინკლეიჯი. ის ამჟამად ყველაზე ტირაჟირებულ და ცნობილ ჯუჯა მსახიობად ითვლება მსოფლიო კინემატოგრაფში.*



* პიტერ დინკლეიჯი ნიუ-ჯერსის შტატში, მორისტაუნში დაიბადა 1969 წლის 11 ივნისს. პიტერის მშობლები – ორივე საშუალო სიმაღლის იყო: სკოლაში მუსიკის მასწავლებელი დედა და უმუშევარი, ყოფილი სადაზღვევო აგენტი მამა. პიტერი დაბადებიდან აქონდროპლაზიით არის დაავადებული, რამაც შეუშალა ხელი მის გაზრდას. მისი სიმაღლე 135 სანტიმეტრია. პიტერს ჰყავს ძმა ჯონათანი, რომელიც ნორმალური საშუალო სიმაღლისაა.

* პიტერის წინაპრები ამერიკაში ირლანდიიდან, ინგლისიდან და გერმანიიდან ჩავიდნენ. მის გვარში აქონდროპლაზია შთამომავლობით გადაიცემა.

* პიტერი ნიუ-ჯერსიში იზრდებოდა. მისი მეზობელი გახლდათ მუსიკოსი ბრიუს სპრინგსტინის მენეჯერი. პიტერის თქმით, ლეგენდარული მუსიკოსი ხშირად მოდიოდა მის მეზობელთან სტუმრად და გიტარაზე უკრავდა.

* პიტერ დინკლეიჯი ვეგეტარიანელია და იტაცებს ქვისგან ფიგურების გამოთლა.

* პიტერ დინკლეიჯის თქმით, ის სულაც არ განიცდის დისკომფორტს, როცა სექს-სიმბოლოს უწოდებენ. მსახიობს მონაწილეობა აქვს მიღებული „ფლეიბოის" მიერ ორგანიზებულ პიკანტურ ფოტოსესიაში შიშველ მოდელებთან ერთად. ფოტოსესიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ყვითელ პრესაში.

* პიტერ დინკლეიჯს აქვს იარა სახეზე, რომელიც წარბიდან კისრამდე მიჰყვება. ტრავმა მან ნიუ-იორკში სცენაზე გამოსვლისას მიიღო.

* 2005 წლიდან პიტერ დინკლეიჯი დაქორწინებულია თეატრალურ რეჟისორზე, ერიკა შმიდტზე, რომელთანაც ერთი ქალიშვილი ჰყავს. მსახიობი ნიუ-იორკთან ახლოს ცხოვრობს, მას თავისუფალ დროს ბაღში საქმიანობა და ძველი სივიტრების ჩაცმა უყვარს.

* პიტერ დინკლეიჯი ერთადერთი მსახიობია ტელესერიალ „სამეფო კარის თამაშებიდან", რომელიც პირადად რომანის ავტორმა, ჯორჯ მარტინმა აირჩია ტირიონ ლანისტერის როლზე. დანარჩენმა მსახიობებმა უკლებლივ ყველამ გაიარეს გასაუბრება, ხოლო ლენა ჰიდის სენსაის როლი პიტერ დინკლეიჯის რჩევით მიიღო. მსახიობები დიდი ხანია მეგობრობენ.

# მხოლოდ ფაქტები

* ერთი პერიოდი, ლონდონელ დენდებს ისეთი გახამებული პერანგები ეცვათ, რომ თავს თამამად ვერ ატრიალებდნენ იმის შიშით, რომ ყურები არ გაეჭრათ.

* ბიტკოინი – ელექტრონული ვალუტაა, რომელიც უზრუნველყოფს გადამხდელის ყველა მონაცემის გასაიდუმლოებას. მისი სიმბოლო სტილიზებული ნიღაბია.

* ერთ-ერთ ხელის ჩამორთმევას, რომელსაც ხშირად იყენებენ სპორტსმენები, ინგლისურად არმრესტლინგი ჰქვია.

* ერთ-ერთ ჰელოუინის დღესასწაულზე „Google-ის" ლოგოტიპის ყველა o ასო გოგრად „გადაიქცა".

* ნომატოფობია სახელის ან სიტყვის შიშია.

* სულ ცოტა ხნის წინ ჩილის საფეხბურთო კლუბი „დეპორტივო ტინო" დაჯარიმდა. საქმე ისაა, რომ კლუბი მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა პალესტინიდან წამოსული ფეხბურთელებისგან და ერქვა „დეპორტივო პალესტინო". სახეშეცვლილი კლუბის სპორტულ ფორმებზე ერთიანი პალესტინის 1947 წლამდე რუკა კონტურითაა გამოსახული, კლუბის ფერი კი პაკისტანის დროშისას ემთხვევა. სწორედ ამან გამოიწვია ებრაელთა ორგანიზაციების პროტესტი და ჩილის ფეხბურთის ფედერაციის ჯარიმა.

* სანკტ-პეტერბურგის გზამკვლევში მითითებულია 300 წლის წინ აგებული პეტრე პირველის ხის სახლი, რომელიც შესანიშნავადაა შემონახული, რადგან ქვის შენობაშია მოქცეული – კონსტრუქცია მატრიოშკას მოგაგონებთ.

*1920 წელს თომას მანმა აღიარა, რომ იდეა თავისი ნოველისთვის „სიკვდილი ვენეციაში", უკარნახა 71 წლის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სიყვარულის ისტორიამ 17 წლის ულრიკ ფონ ლევეცოვისადმი. ნოველაში მწერალ ფონ აშენბახს ბიჭუნა შეუყვარდა.

* საბჭოთა პოლარელები 1950 წლამდე კოლჩაკის რუკას იყენებდნენ. ადმირალი კოლჩაკი წლების განმავლობაში იკვლევდა პოლარეთს.

* ცნობილი მინეროლოგი ფრიდრიხ მოოსი, რომელმაც მოგვიანებით, მინერალთა სიმტკიცის ცნობილი სკალა შეიმუშავა, 1800-იანი წლების დასაწყისში, ნოიდორფის მაღაროში უფროს ოსტატად მუშაობდა.

* კაფე „ბრანჩიანოს" სარეკლამო პოსტერზე გამოსახულია ფინჯანი ყავით, რომლის ზედაპირზე ტალღებით იწერება WiFi.

# მსოფლიოს უმდიდრესი დიქტატორების ტოპ-ათეული

*მსოფლიო დიქტატორები, გარდა იმისა, რომ ძალაუფლებას და სისხლიან რეჟიმს აკონტროლებენ, ასევე მრავალმილიარდიან ქონებასაც ფლობენ. ის, რა თქმა უნდა, არ გახლავთ დეკლარირებული და მხოლოდ ვარაუდის დონეზეა დათვლილი. გთავაზობთ მდიდარი დიქტატორების ტოპ-ათეულს.*

### ჟოზეფ მობუტუ – ზაირის დიქტატორი (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) - 5 მილიარდი დოლარი



დიქტატორი ჟოზეფ მობუტუ 1969-1997 წლებში მართავდა ქვეყანას და ღარიბი ზაირი ეკონომიკურ კოლაფსამდე და სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. მას ეკუთვნოდა ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტი, უპრეცენდენტო კორუფცია და გამომძალველობა ზაირის სავიზიტო ბარათი გახლდათ. მობუტუ უცნაური კანონების გაცემითაც იყო ცნობილი. მაგალითად, 1972 წელს მან ყველა ჩინოვნიკს აუკრძალა პიჯაკით სიარული და ნაციონალური სამოსის ჩაცმა უბრძანა. საკუთარ თავს მობუტუ დიად მეომარს უწოდებდა, მისი კულტი კი ყველგან შეინიშნებოდა – ტელევიზორის ეკრანიდან თუ ნებისმიერ ქალაქის შენობათა კედლებიდან. 1989 წელს ზაირში დეფოლტი დაიწყო, ამას მოჰყვა სამოქალაქო ომი და ეკონომიკური კოლაფსი. მობუტუ მაროკოში გაიქცა, სადაც ემიგრაციაში გარდაიცვალა კიდეც.

### ფერდინანდ მარკოსი – ფილიპინების დიქტატორი – 10 მილიარდი დოლარი

1965-1987 წლებში მართავდა ფილიპინებს ფერდინანდ მარკოსი და არაოფიციალური მონაცემებით 10 მილიარდამდე დოლარი მიითვისა. მის გლამურისადმი მიდრეკილ მეუღლეს ჰქონდა: 2 700 ცალი ფეხსაცმელი, 6 000 კაბა, 500 ქურქი, რომელთაგან თითოეულის ფასი არანაკლებ 50 ათასი დოლარზე ნაკლები არ გახლდათ. 1987 წელს ფილიპინელი ხალხი სილარიბისგან დაღლილი ქუჩებში გამოვიდა, ხოლო შეშინებული მარკოსი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიქცა, ჰავაის კუნძულებზე, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

### ჰაჯი მუჰამედ სუხარტო – ინდონეზიის დიქტატორი – 15 მილიარდი დოლარი

1965-1997 წლებში სუხარტო შვიდჯერ აირჩიეს ინდონეზიის დიქტატორად და შვიდჯერვე უალტერნატივო იყო. არაოფიციალური მონაცემებით სუხარტო 15 მილიარდამდე დოლარს ფლობდა, მათ შორის 9 მილიარდს ნაღდი ფულის სახით ავსტრიულ ბანკებში ინახავდა.



მისი ექვსივე შვილი მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და ფაქტობრივად, ინდონეზიის ბიუჯეტს აკონტროლებდნენ. სხვა დიქტატორებისგან განსხვავებით, სუხარტოს ბედი არცთუ ტრაგიკული იყო. 1997 წელს აზიაში ეკონომიკური კრიზისის დროს, ინდონეზიაში ეკონომიკის კრახი მოხდა, დაიწყო არეულობები, რასაც მალევე მოჰყვა მისი თანამდებობიდან გადადგომა. სუხარტოს შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი სახელმწიფოს თანხების მითვისების გამო, თუმცა საქმე სასამართლომდე არ მისულა, სუხარტო სხდომის დანიშვნამდე გარდაიცვალა.

### ჰოსნი მუბარაქი – ეგვიპტის დიქტატორი – 70 მილიარდამდე დოლარი

„არაბული გაზაფხულის" მსხვერპლი ჰოსნი მუბარაქი 1981-2011 წლებში მართავდა ქვეყანას და მისი ოჯახის წევრები, პრაქტიკულად, ყველა ბიზნესს აკონტროლებდნენ ეგვიპტეში. მუბარაქის ვაჟები ოფიციალურად ითვლებოდნენ მილიარდერებად, ისინი ფლობდნენ მდიდრულ რეზიდენციებს ლონდონში, მონაკოში, ბეველი-ჰილზში, მანჰეტენზე. ამჟამად მუბარაქი გადაყენებულია, თუმცა ხელისუფლებაში მოსული სამხედრო ხუნტა თავად იყო ჩართული მრავალწლიან კორუფციაში და ეგვიპტეში დიდად არაფერი შეცვლილა.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



### რისი მიზეზია ჭარბი წონა, უძილობა და შრომისუნარიანობის დაქვეითება

ჭარბი წონის მიზეზია ჰორმონული დისბალანსი. სიმსუქნე ესტროგენების არასაკმარისი აქტივობისა და პროგესტერონის მოქმედების შედეგია. ასეთ დროს მხოლოდ წონის მატება როდია მნიშვნელოვანი, ყურადღება უნდა მიაქციოთ, სხეულის რომელ ნაწილში ლაგდება ცხიმი. თუ ის ძირითადად მუცლის არეშია თავმოყრილი, მაშინ მოიმატებს შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტონიისა და ნაღველკენჭოვანი დაავადებების განვითარების რისკი. თუ ცხიმი თეძოების მიდამოებშია, მაშინ ხერხემლის, სახსრების დაზიანებისა და ვენების ვარიკოზული გაგანიერების საშიშროება იჩენს თავს. ამიტომ, ბევრი იმოძრავეთ, ივარჯიშეთ, შეზღუდეთ კალორიული საკვების მიღება, უარი თქვით ცხიმსა და ტკბილეულზე. თვეში ორი კილოგრამის დაკლება ჰორმონული დარღვევების აღმოფხვრას უწყობს ხელს;

შრომის უნარის დაქვეითებისა და საერთო სისუსტის მიზეზია ესტროგენების დეფიციტი ორგანიზმში. ესტროგენები განაპირობებს კარგ მეხსიერებას. როცა სისხლში ესტროგენების რაოდენობა იკლებს, თავს იჩენს სისუსტე, დაბნეულობა, აპათია, ნევროზი და ასე შემდეგ. ესტროგენების გამომუშავებას ხელს უწყობს ნაღებისა და სტაფილოს წვენების კოქტეილის სმა. ის ასე უნდა მოამზადოთ: 150 გრამ ახალგამოწურულ სტაფილოს წვენს დაუმატეთ 50 გრამი ნაღები და მიირთვით.

შეშუპების მიზეზია პროგესტერონის სიჭარბით გამოწვეული წყალმარილოვანი ცვლის დარღვევა. ამიტომ, მოერიდეთ სითხის მიღებას დაძინებამდე ერთი ან ორი საათით ადრე. შეზღუდეთ მარილის მოხმარება. საკვებ რაციონში კი ჩართეთ ვაშლი და რძის პროდუქტები, რაც ააქტიურებს თირკმელების მუშაობას.

უძილობის მიზეზი ესტროგენური დეფიციტია. თუ რამე მიზეზით ორგანიზმში ამ ბუნებრივი საძილე საშუალების გამომუშავება არ ხდება და შეფერხებულია, თავს იჩენს უძილობა, სისუსტე და შრომის უნარის დაქვეითება. გირჩევთ, ძილის წინ კუჭი მსუყე ვახშმით არ გადატვირთოთ და დაძინებამდე რამდენიმე საათით ადრე სუფთა ჰაერზე გაისეირნოთ.

გულის არეში პერიოდული ტკივილის მიზეზი ჰორმონული დისბალანსია. ამ დროს მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევა და სწორედ ეს ხდება არითმიისა და გულის პერიოდული ტკივილის მიზეზი. ეს საშიში არ არის, რადგან, როგორც კი ენდოკრინული ფონი დაბალანსდება, ყველაფერი კარგად იქნება. ამ დროს მიიღეთ წყალში გასაზავებელი დამაწყნარებელი წვეთები, მაგალითად, ვალოკორდინი ან კატაბალახას ნაყენი.

შაკიკის მიზეზია პროგესტერონის სიჭარბე. ეს ჰორმონი ორგანიზმში აკავებს წყალს, რაც არტერიული და შიდა ქალის წნევის აწევას იწვევს. თუ თავი იჩინა ნერვულმა დაძაბულობამ, რეფლექსურად ის გადაეცემა კუჭის კუნთებს და ტვინის მკვებავი სისხლძარღვების დახშობის მიზეზიც ხდება. ამ დროს კარგია შარდმდენი და დამამშვიდებელი მცენარეული ნაყენების მიღება, მაგალითად, პიტნის, კატაბალახას ან კრაზანას ნაყენის სახით. 50 გრამ ნედლეულს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათით, შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ დღეში 3-ჯერ, ნახევარი ჩაის ჭიქა, ჭამამდე რამდენიმე წუთით ადრე.

### შარდსასქესო ორგანოების დაავადებას დაბინძურებულ წყალში ბანაობაც იწვევს

დღეს ბევრი ადამიანი ავადდება შარდსასქესო სისტემის ინფექციებით, კერძოდ, ცისტიტით, ურეთრიტით და პიელონეფრიტით. ბოლო დროს, კვლევებით დადგინდა, რომ ამ დაავადებების სიხშირის მიზეზია ნიტრატებით მდიდარი საკვები, რადიაცია, ქიმიური ნივთიერებები და ასე შემდეგ. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზმის საერთო იმუნიტეტის მდგომარეობას.

თუ თირკმელები წესრიგში არ არის, ადამიანს აღენიშნება ტკივილი შარდვის დროს; ასევე, ხშირი შარდვა, შეუკავებლობა, წვეთებით შარდვა, შარდის ფერის შეცვლა, ამღვრევა, ცუდი სუნი. გარდა ამისა, ტკივილი მუცლის ქვედა, წელის არეში, ტემპერატურის აწევა, შეშუპება, გამოყოფილი შარდის მოცულობის შემცირება.

თირკმელების დაავადების სიმპტომები შეიძლება იყოს სისუსტე, იოლად დაღლა, მადის დაქვეითება. თირკმელებით განპირობებულმა არტერიულმა ჰიპერტონიამ, შესაძლოა, გამოიწვიოს თავის ტკივილები, ღებინება, ხანდახან კრუნჩხვებიც კი.

სერიოზული პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ, ხანდახან, საკმაო ხნის განმავლობაში სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს. მაგალითად, ჰიდრონეფროზი ხშირ შემთხვევაში მანამდე არ ავლენს თავს, სანამ სიტუაცია ისე არ დამძიმდება, რომ თირკმლის ამოკვეთის გარდა გამოსავალი აღარ რჩება. ზოგჯერ ასევე უსიმპტომოდ მიმდინარეობს თირკმელების ქრონიკული უკმარისობა. ამიტომ, დაავადება დასაწყისში რომ არ გამოგეპაროთ, პერიოდულად უნდა ჩაიტაროთ სისხლისა და შარდის ანალიზი და ულტრაბგერითი გამოკვლევა.

შარდსადენი გზების ინფექციის განვითარებას სამი ფაქტორი განაპირობებს: ორგანიზმის დაქვეითებული იმუნიტეტი, ადგილობრივი იმუნიტეტის დაქვეითება და მიკრობის არსებობა, რომელიც შარდსადენის ანთებით პროცესებს იწვევს.

არსებობს მემკვიდრული დაავადებები, რომლებიც გენეტიკური პათოლოგიებით არის განპირობებული.

დაავადების რისკი რომ შეამციროთ, მოერიდეთ გაციებას, აკონტროლეთ განავლისა და შარდის გამოყოფის რეგულირება, დაიცავით გარეთა სასქესო ორგანოების ჰიგიენა და მოერიდეთ დაბინძურებულ წყალში ბანაობას. ამ ყოველივეს გათვალისწინება ამცირებს შარდსასქესო ორგანოების დაავადების რისკს.

### რას კურნავს სუნელ-სანელებლები

***წიწაკა*** არა მარტო ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, არამედ, აქტიურად ებრძვის ტიპურ სეზონურ დაავადებებსაც.

***მიხაკი*** შეიცავს დიდი რაოდენობით ანტისეპტიკურ ნივთიერებას – ევგენოლს. ამიტომ, მას ხშირად იყენებენ ბრონქული ასთმისა და ხველების დროს. მიხაკის გამხმარი ყვავილი ხელს უწყობს საჭმლის მონელების პროცესს, აუმჯობესებს მხედველობასა და ტვინის მუშაობას.

***როზმარინის*** ფოთლების ნაყენი გამოიყენება სახისა და პირის ღრუს ანთებითი პროცესების დროს, საკვების სახით. როზმარინისგან დამზადებული ეთერზეთი უებარი საშუალებაა რევმატიზმისა და რადიკულიტის გამწვავების დროს შესაზელად.

***ქონდარი*** გვიცავს ბაქტერიების შემოტევებისგან. ამ თვისებას მას ანიჭებს ფენოლური შენაერთი. ქონდრის ნახარშს უძველესი დროიდან იყენებენ ანთებითი პროცესების საწინააღმდეგოდ, ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად, სასუნთქი გზების დაავადებების დროს. ქონდარი სპობს მიკრობებს, ათხელებს შესქელებულ ლორწოს და აუმჯობესებს სუნთქვას.

***სალბის*** ნაყენი და ნახარში გამოიყენება მუცლის ტკივილის დროს, მადის დაქვეითების საწინააღმდეგოდ და, ასევე, გაგათავისუფლებთ ყელის ტკივილისგან.

### როგორ დავიამოთ ნაღვლის ბუშტის ტკივილი მინერალური წყლით

სანაღვლე გზების დისკინეზია საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. დისკინეზია ნაღვლის ბუშტის მუშაობის დარღვევაა, რომელიც თანდათან დაავადებად ყალიბდება. ფუნქციური მოშლა არაორგანული დარღვევაა, რომელსაც თან არ სდევს არც ანთება და არც ქვების წარმოქმნა, მაგრამ დროთა განმავლობაში, შეიძლება, სანაღვლე გზების საგრძნობი ცვლილებები გამოიწვიოს. ნაღველი ღვიძლში წარმოიქმნება, შემდეგ ნაღვლის ბუშტში ჩაედინება, იქიდან კი თორმეტგოჯა ნაწლავში გადადის, სადაც საჭმლის მონელებაში იღებს მონაწილეობას. ჯანმრთელ ორგანიზმში ეს სისტემა შეუფერხებლად მუშაობს. დისკინეზიის დროს კი, ნაღვლის ბუშტი და სფინქტერები არათანმიმდევრობით იკუმშება,

კერძოდ, ძლიერად, ან პირიქით, სუსტად. უსიამოვნო შეგრძნებებს კი, თავისთავად, ესეც იწვევს.

გამოყოფენ დისკინეზიის ორ ჯგუფს: ჰიპომოტორულსა და ჰიპერმოტორულს. ჰიპომოტორული ტიპის დისკინეზიის დროს ნაღვლის ბუშტი ცუდად იკუმშება და ნაღველიც ნაწლავებში არასაკმარისი რაოდენობით გადადის. ასეთ დროს აღინიშნება სიმძიმის შეგრძნება, ყრუ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ. ტკივილი შეიძლება, გადაეცეს გულმკერდის მარჯვენა არეს. ჰიპერმოტორული ტიპის დისკინეზიის დროს ნაღვლის ბუშტი მეტისმეტად დიდი ინტენსივობით იკუმშება. კლინიკურად ეს მწვავე, მჩხვლეტავი ტკივილის სინდრომით გამოვლინდება.

დისკინეზიის ხელისშემწყობი ფაქტორებია ფსიქოემოციური მდგომარეობა, ჰორმონების გამომუშავება, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ახლომდებარე ორგანოების პათოლოგიები, მაგალითად, გასტრიტი, გასტროდუოდენიტი, დუოდენიტი ან მემკვიდრეობითი ფაქტორი.

თუ დისკინეზია ჰიპომოტორული ტიპისაა, მკურნალობის მიზანი ნაღვლის ბუშტის შეკუმშვათა ინტენსივობის გაზრდა უნდა იყოს. ამიტომ, მისაღებია ნაღველმდენი საშუალებებისა და სპაზმოლიტიკების კომბინაცია.

არსებობს ნაღველმდენი საშუალებების ორი სახეობა. ერთი ღვიძლის ნაღველწარმომქმნელ ფუნქციას აძლიერებს, მეორე კი ხელს უწყობს ნაღვლის თავისუფლად გადადინებას სანაღვლე გზებში და ნაწლავების გავლით ორგანიზმიდან მის გამოდევნას. რაც შეეხება დიეტას, ეს ის შემთხვევა არ არის, როცა მკაცრად განსაზღვრული დიეტაა საჭირო, მაგრამ ზომიერება მაინც საჭიროა. ცხიმის, შებოლილი საკვების, ძმრიანი, მჟავე, მწარე და ცხარე კერძების დიდი რაოდენობით მიღება უსიამოვნო შედეგამდე მიგიყვანთ. რა სახისაც არ უნდა იყოს დისკინეზია, საკვები, რომელიც ღვიძლს აღიზიანებს, რეკომენდებული არ არის. ასეთებია ხორცის ნახარში, ცხოველური ცხიმი, მწარე საკაზმი. არ შეიძლება ლუდი და ალკოჰოლური სასმელები.

დისკინეზიის დროს აუცილებელია, მინერალური წყალი. ის დიდი რაოდენობით შეიცავს მაგნიუმს. უმჯობესია, მინერალური წყალი თბილი და გაზგასული მიიღოთ. სითბო ხელს უწყობს სპაზმების მოხსნას, ხოლო წყალში შემავალი მიკროელემენტები კი – შეკუმშვას.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: რა იწვევს სხეულზე წითელი ხალების გაჩენას? რაც დრო გადის, მით უფრო მემატება.**

**პასუხი**: წითელი ხალი არის სისხლძარღვოვანი წარმოშობის კეთილთვისებიანი სიმსივნე, ანუ, ანგიომა. მათი გაჩენის მიზეზი უცნობია, თუმცა, როგორც წესი, ეს ხალები ჯანმრთელობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს. მაგრამ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, წითელი ხალების გაჩენის პროვოცირება შეიძლება მოახდინოს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის (ღვიძლისა და პანკრეასის) დაავადებებმა.

**კითხვა: 4 წლის გოგონას სასქესო ორგანოს დაბანის შემდგომ, მოშარდვისას, ეწვის, სხვა დროს კი – არა. ხომ ვერ მეტყვით მაინცდამაინც დაბანის შემდგომ რატომ აქვს მოშარდვისას წვა?**

**პასუხი**: შესაძლოა, ჩვილი ჰიგიენურ საშუალებას – საპონს უკავშირდებოდეს, რომელსაც დასაბანად იყენებთ. გამოიყენეთ საბავშვო საპონი, პერიოდულად შეგიძლიათ ჩასაბანად გამოიყენოთ გვირილის ან ორკბილას ნახარში.

**კითხვა: „დრიკლორი" მარტო იღლიის მიდამოებში გამოიყენება? თუ ფეხებზეც შეიძლება?**

**პასუხი**: „დრიკლორი" (ბურთულიანი რესპირანტია) გამოიყენება იღლიებში, ხელისგულებზე, ტერფებზე. რეკომენდებულია მისი გამოყენება საღამოს, ძილის წინ. შხაპის მიღების შემდეგ მშრალ კანზე წაისვით. დილით აუცილებლად ჩამოიბანეთ. არ შეიძლება მისი წასმა გაღიზიანებულ, დაზიანებულ და სველ კანზე, უშუალოდ გაპარსვის ან დეპილაციის შემდეგ, ასევე – დღისით. დღისით ჩვეულებრივი დეოდორანტი გამოიყენეთ. „დრიკლორი" გამოიყენეთ 7 დღე, შემდეგ კვირაში – 2-3-ჯერ. მოარიდეთ ბავშვებს, თვალებთან კონტაქტს. ეს საშუალება შეიცავს ალუმინის ქლორიდის ჰექსაჰიდრატს, რაც აშრობს ჭარბ ოფლს.

**კითხვა: ბოლო პერიოდია, მამაჩემს მარჯვენა ხელი აწუხებს, ამბობს, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მეყინებაო, თან, ძალიან სტკივა მხრიდან იდაყვამდე მონაკვეთი. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: ასეთ შემთხვევაში ნევროპათოლოგს უნდა მიმართოთ. შესაძლოა, საჭიროდ ჩაითვალოს ანგიოლოგის კონსულტაციაც.

**კითხვა: მაინტერესებს, რა არის ეპიკანტუსი? ჩემს პატარას ექიმმა დიაგნოზში დაუწერა: „ეპიკანტუსი დ 18." რას ნიშნავს ეს? როგორც ვიცი, ეპიკანტუსი არის მონღოლური თვალის ჭრილი თუ ზედა ქუთუთოს რაღაც თავისებურება. ბავშვი არის ჯანმრთელი, ათი თვის. სხვა არანაირი ჩივილები არ აქვს.**

**პასუხი**: ეპიკანტუსი დაავადება არ არის (იგივე მონღოლოიდური ნაოჭი – თვალების შიდა კუთხეში კანის პატარა ნაკეცი), ის ადამიანის თანდაყოლილი გარეგნული ნიშანია, რომელსაც გენეტიკური საფუძველი აქვს. ზოგჯერ ეპიკანტუსი დაუნის დაავადების თანმხლები ნიშანიცაა, თუმცა, როდესაც ჯანმრთელ ბავშვს აქვს, საშიში არაფერია, ის არ განაპირობებს მომავალში პათოლოგიური მოვლენების განვითარებას. მოზრდილობაში შესაძლებელია მისი მკურნალობა და აღნიშნული ფორმის ქირურგიული გზით შეცვლა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## პიტნა კარგია გულისა და ფილტვების დაავადებების სამკურნალოდ

პიტნის ფოთლები შეიცავს ეთერზეთს. მედიცინაში პიტნისგან მიღებული მენთოლი გამოიყენება ნევრალგიურ ტკივილგამაყუჩებლად, ასევე, გარეგანი მოხმარების მიზნით, შაკიკისა და კბილის ტკივილის დროს. ანტისეპტიკურ საშუალებად კი იყენებენ სურდოს, ხახის კატარის, ბრონქიტისა და ბრონქოესტაზის დროს.

პიტნის ფოთლების ნაყენი და მიქსტურა გამოიყენება როგორც გულისრევისა და პირღებინების საწინააღმდეგო საშუალება; ასევე, საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად.

პიტნა კარგია გულისა და ფილტვების დაავადებების, ფილტვებიდან სისხლღებინების სამკურნალოდ.

20 გრამ პიტნის ფოთოლს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი, დადგით თავდახურული ორი-სამი საათის განმავლობაში და შემდეგ დალიეთ.

პიტნის წვეთები ეფექტურია კუჭის აშლილობის, კუჭ-ნაწლავის სპაზმების, კუჭში უსიამოვნო შეგრძნებისა და გულისრევის დროს.

კუჭის არეში ტკივილის დროს შაქრის ნატეხზე დააწვეთეთ სამი წვეთი პიტნის წვენი და ენის ქვეშ დაიდეთ.

ნაყენი კი ასე მოამზადეთ: 2 ჩაის კოვზ პიტნის დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 1 საათი, შემდეგ გაწურეთ, დაატკბეთ და ნაყენი სვით მთელი დღის განმავლობაში, ცოტ-ცოტა.



გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

# რატომ ემალებოდა პაციენტებს წოპე და ვის ელაპარაკებოდა ხოლმე ის ტელეფონზე ქალის ხმით

სოციალურ ქსელში რადიო „თავისუფლების" დღიურებს ვათვალიერებდი და, ცნობილ ადამიანთა შორის, თბილისში ერთ დროს ძალიან პოპულარული ექიმის, „წოპეს" სახელით ცნობილ ვახტანგ ხუციძის არაჩვეულებრივ ჩანაწერებსაც მოვკარი თვალი. ვიფიქრე, მისი დღიურები ხომ ჩემს რუბრიკას ზუსტად ესადაგება და, რაოდენ საინტერესო იქნება, ის ჩვენს მკითხველსაც გავაცნო-მეთქი. მოკლედ, აღარ შეგაწყენთ თავს და დღეს თქვენი მეგზურები თავად ბატონი ვახტანგი და მისი ქალიშვილი – მაია იქნებიან. გთავაზობთ ფრაგმენტს ამ დღიურებიდან და ჩვენს ინტერვიუს ქალბატონ მაიასთან.


მეუღლესთან ერთად

**7 თებერვალი, კვირა**: „...სიზმარში ისევ ოპერაციები გავაკეთე. ეტყობა, ისე მექავება ხელები, რომ, რასაც დღისით ვერ ვასწრებ, ღამით სიზმარში ვინაზღაურებ. თუმცა, ამ კვირაში ოთხი ოპერაცია მაქვს დაგეგმილი. ცუდი არ არის, მაგრამ, ზღვაში წვეთია იმ დროსთან შედარებით, როცა კვირაში 20-25 ოპერაციას ვაკეთებდი. რას იზამ! დრონი მეფობენო, ნათქვამია...

ზამთარს წყნეთში სხვა ხიბლი აქვს... დღე ბუხართან ჯდომაში და კითხვაში გავიდა. საღამოს, ის-ის იყო, ტელევიზორის პულტი დავისაკუთრე და ცხოველებზე გადაცემას მივაგენი, რომ მაიკომ დარეკა – რუსეთზე გადართეთო. გადაცემაში „Танцы со звездами" სოფო შევარდნაძე ცეკვავდა სამეჯლისო ცეკვებს. ისე მოხიბლა ჟიურის წევრები, რომ, ხან სოფიკო ჭიაურელს შეადარეს, ხანაც – სოფი ლორენს. ისიც უთხრეს, შენ თუ ასე იცეკვე, რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი რეისები აღდგება და ყოველდღიურიც გახდებაო. საოცრად ნიჭიერი და მომხიბვლელი გოგოა! ისე, ცხვირის წვერს ოდნავ შევეხებოდი"...

**8 თებერვალი, ორშაბათი**: „დღეს ორშაბათია. მძიმე დღეაო, ამბობენ. მე ასე არასდროს მიფიქრია. არც მგზავრობას მოვრიდებივარ და არც საქმის კეთებას. სამსახურში ამ დღეს მიღების დღე გვქონდა ხოლმე. ერთ ასეთ ორშაბათს ჩემთან ზესტაფონელი ბიჭი მოვიდა. ამ კაცს ყველაზე გრძელი ცხვირი ჰქონდა ჩემს პრაქტიკაში – ლამის ქვედა ტუჩის ბოლომდე ჩამოსული! ქართველი სირანო დე ბერჟერაკი იყო. ამ ცხვირის ფოტოებზე გაგიჟდა იაპონელი პლასტიკური ქირურგი ფუმიო – ასეთი ცხვირი თუ არსებობდა ბუნებაში, ვერ წარმოვიდგენდიო! მოკლედ, ოპერაცია გავუკეთე და შედეგიც კარგი გამოვიდა. ერთ დღესაც, 20 წლის შემდეგ, იმავე სახით და იმავე ცხვირით გამომეცხადა ახალგაზრდა – შვილი ყოფილა. რა თქმა უნდა, მასაც გავუკეთე ოპერაცია და ისიც მამასავით ბედნიერი წავიდა."


მეგობრებთან ერთად

**9 თებერვალი: სამშაბათი**. „დღეს ჩვეულებრივი დღე იყო... ერთი უკრაინელი პაციენტი მყავდა – ულამაზესი ქალი, გვარად შტოკალო. დედა ცნობილი მათემატიკოსი ჰყავდა, ბაბუა – აკადემიკოსი. ცხვირიც ლამაზი ჰქონდა, ტანიც და ფეხიც, მაგრამ, თავისებური ქალი იყო, განებივრებული. თავისი გაიტანა და ცხვირი დამაპატარავებინა. კმაყოფილი წავიდა, მაგრამ 6 თვეში დაბრუნდა – ახლა კეხი გამიკეთეო. ამაზეც დამითანხმა. ერთი წელი გავიდა და ისევ ჩამოფრინდა – ახლა ისეთი ცხვირი მინდა, რომ მტაცებელ ფრინველს დავემსგავსო, დიქტორობას ვაპირებ და მაყურებელი უნდა მოვნუსხოო. პატარა ცხვირისგან მიმინოს ნისკარტი როგორ გამომივიდა, თვითონაც არ ვიცი, მაგრამ, ამის მერე აღარ ჩამოსულა...

ბოლო წლებია, სულ იმაზე ვფიქრობ, ხვრინვას როგორ ვუშველო. ქირურგიამ არ გაამართლა და თითქოს მივაგენი კიდეც გამოსავალს პროთეზის სახით, რომელსაც ჩაიდგამ კაცი პირის ღრუში ძილის წინ და აღარც სხვას შეაწუხებ და თვითონაც უკეთესად დაიძინებ. თუმცა, სამუშაო ჯერ ბევრია, რომ ფორმაც დაიხვეწოს და მასალაც ისეთი შეირჩეს, რომ დისკომფორტი არ შეუქმნას ადამიანს".

**11 თებერვალი: ხუთშაბათი.** „დილით, 10 საათზე, მაიკომ გამომიარა და სამსახურში ერთად წავედით. წვიმიანი და ტალახიანი ამინდი იყო. დღეს ორი ოპერაცია მქონდა... პირველი სასაცილო იმერელ ბიჭს გავუკეთე – სოფელ საზანოდან. ერთდროულად სამი ოპერაცია გავუკეთე – ცხვირის, ტუჩის და ძგიდის. ოპერაციის მერე ჩემი სახლის ტელეფონი მივეცი – თუ რამე დაგჭირდა, დამირეკე-მეთქი. მე თქვენი შვილიშვილის ტელეფონიც მინდაო. დიდი მაიმუნი ბიჭია! მეორე ოპერაციამაც კარგად ჩაიარა. სამსახურიდან 5 საათზე გამოვედით. აფთიაქში გავიარეთ და მაიკოს დედამთილის, ლეილას დასახმარებლად წავედით. წელის ტკივილმა შეაწუხა ძალიან. ბლოკადაც გავუკეთეთ და კარგადაც დავზილეთ. ნეტა მამაჩემის წამალი მომცა ახლა!.. მამა კარგი ფარმაცევტი იყო, სასწაული რეცეპტები იცოდა! წელის დასაზელი საშუალებაც ჰქონდა ისეთი, რომ სულ ნაპერწკლებს გაყრევინებდა თვალებიდან, მაგრამ, უებარი. ახლა რომ ვიხსენებ, თავის საიდუმლოებებს ყველა სიამოვნებით მიზიარებდა, ალბათ იმიტომ, კონკურენტი არ ვიყავი: ტოკიოში – ექიმი ფუმიო, პარიზში – ექიმი ვიდალი, მექსიკაში – ალეხანდრო დე რიკა. ალეხანდრო გენიალური ქირურგი იყო. ბევრი რამ მაჩვენა და მასწავლა 1965 წელს, ჩვენი იქ მოგზაურობის დროს. რესტორანშიც დაგვპატიჟა ნუნუ და მე. მივირთმევდით შემწვარ მანგოს და ვუსმენდით არაჩვეულებრივ ტრიოს – „ლოს მეხიკოს". მომეჩვენა, რომ ძალიან მეცნობოდნენ ეს მუსიკოსები. როგორც გაირკვა, მართლაც თბილისიდან მეცნობოდნენ. თურმე, სპორტის სასახლეში ჰქონოდათ კონცერტი. ჩვენს პატივსაცემად სამ ხმაში შეასრულეს „თბილისო".


ოჯახი

**– ქალბატონო მაია, მამათქვენი თბილისში ყველაზე ცნობილი პლასტიკური ქირურგი იყო ცხვირის ოპერაციების დარგში, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აკითხავდნენ პაციენტები და ისინი მრავლად ჰყავდა სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში. მკითხველს, ალბათ, ძალიან აინტერესებს, რა გზა გამოიარა მან ამ აღიარებამდე, როგორ გახდა პლასტიკური ქირურგი?**

– ბაბუაჩემი, გალაქტიონ ხუციძე, იყო თბილისში ცნობილი ფარმაცევტი, ვერაზე ერთ-ერთი ცნობილი აფთიაქის პროვიზორი გახლდათ. სამწუხაროდ, მე არ მოვსწრებივარ ბაბუას, მაგრამ, გადმოცემით ვიცი, რომ ძალიან მაგარი მცოდნე იყო თავის საქმის, იმდენად მაგარი, რომ მამაჩემი ნანობდა, რატომ არ ჩავიწერე ის რეცეპტები, რომლებითაც მამა სხვადასხვა დაავადების სამკურნალო ფხვნილებს ამზადებდაო. ასეთ საკითხებში მამა არ იყო მოწესრიგებული და ორგანიზებული, ყოველთვის იყო სპონტანური, ენერგიით სავსე ადამიანი და სულ საინტერესო რაღაცეებში გაფანტული. ფანტასტიკურად ხატავდა, ძალიან კარგად შეეძლო კოპირებაც, თუნდაც ბილეთების. ახალგაზრდობაში, როცა მას და მის მეგობრებს სტადიონზე წასვლა უნდოდათ და არ ჰქონდათ ბილეთის შეძენის საშუალება, ბილეთების ისეთ ასლებს აკეთებდა, ვერავითარ ეჭვს ვერ შეიტანდა კაცი. ყოველთვის იმაზე ოცნებობდა, მხატვარი გამოსულიყო და შემთხვევით მოხვდა სამედიცინო ინსტიტუტში. მახსოვს, სადაც მივდიოდით, ყველგან თან დაჰქონდა პასტელები და სულ ხატავდა. ზაფხულობით ბიჭვინთაში ვისვენებდით და, იქ, ხის ქერქებისგან, რომლებიც ხშირად ცვიოდა ხეებიდან, გასაოცარ ბარელიეფებსა და პროფილებს აკეთებდა. იმდენად ლამაზი გამოსდიოდა, რომ ერთი გამოფენა გაკეთდებოდა. დედაჩემი იყო და არის საოცრად წესრიგის მოყვარული ადამიანი და სახლში ზედმეტს არაფერს აჩერებს, ამიტომ, მხოლოდ ნახატები შემოგვრჩა. აგრეთვე, მამას ქვაზე აქვს შესრულებული ვაჟა-ფშაველას პორტრეტი. რომ შეხედო, შეიძლება, ცუდად გახდე – გეგონებათ, ნამდვილი ვაჟა-ფშაველა გიყურებსო. რაც შეეხება დედამისს, ნინა ჩარკვიანი გახლდათ ძველი მოჯირითე, ძალიან მაგარი ქალი.

**– როგორც ვიცი, მამათქვენი საკმაოდ გვიან დაოჯახდა. როგორ და სად შეხვდნენ თქვენი მშობლები ერთმანეთს, ალბათ, ესეც გეცოდინებათ.**

– მამა 42 წლის ასაკში დაქორწინდა. დედა მამაზე 17 წლით უმცროსია. ულამაზესი გოგო იყო, დედის დედა ჰყავდა რუსი და ძალიან ლამაზი ცხვირი ჰქონდა, ყველას გაკეთებული ეგონა. მივიდა როგორც პაციენტი, გლანდების ოპერაციის გასაკეთებლად და მამაც მოიხიბლა – რომ დაიანახა ასეთი კარგი გოგო, აღარ გაუშვა ხელიდან. ოპერაციის მერე უფრო ხშირად იბარებდა გასასინჯად, ვიდრე ეს საჭირო იყო.

**– მამა, ასევე, არაჩვეულებრივი მსახიობიც ყოფილა. თეატრში როგორღა აღმოჩნდა?**

– მამაჩემს, გარდა იმ ნიჭისა, რაც გითხარით, ჰქონდა, ასევე, კარგი იუმორი, სამსახიობო ტალანტი და, ამის წყალობით, მისი მეგობრებთან ურთიერთობის ყოველი დღე იყო ფოიერვერკი, სკეტჩებს დგამდნენ. ერთი პერიოდი მარჯანიშვილის თეატრშიც თამაშობდა. გიჟდებოდა სცენაზე, მაგრამ, მერე რაღაცას უნდა გაჰყოლოდა ბოლომდე და მსახიობობას თავი დაანება, მაგრამ, ვინაიდან კარგად ხატავდა, ფანტასტიკურად გამოსდიოდა გრიმი. ცნობილია, რომ ჟორა შავგულიძე გასაოცრად აკეთებდა გრიმს და ასევე იყო მამაც – ზუსტად ისე აკეთებდა, როგორც შავგულიძე და რიგი ედგა ხოლმე. ძალიან უყვარდა სამზარეულო. როგორც კი გაიგულებდა სახლიდან დედას, მაშინვე სამზარეულოში შევიდოდა და ჩვენს სახლში იწყებოდა კულინარიული ექსპერიმენტები. ყველაფერი ეხერხებოდა, სულ ამ გამოგონებებში იყო და არა მხოლოდ კულინარიაში.

**– გვიამბეთ, საინტერესოა.**

– საბჭოთა კავშირის დროს გამოდიოდა ასეთი ჟურნალი – „იზაბრეტატელ ი როციო-

ნალიზატორ" და ამ ჟურნალში გზავნიდა თავის გამოგონებებს. მაგალითად, გამოაქვეყნა რკინიგზის პროექტი – როგორი უნდა ყოფილიყო თანამედროვე ლიანდაგის რელსები, რათა მატარებელს არ გამოეცა ის შემაწუხებელი ხმა, რაც აქვს. ნახაზები ჰქონდა გაკეთებული, როგორ შედიოდა ერთმანეთში რელსები. როგორც საოპრეაციო ტექნიკას აუმჯობესებდა, ისე იყო სხვა რამეშიც. ბოლო პერიოდში შეპყრობილი იყო იდეით, როგორ გაეთავისუფლებინა ადამიანი ხვრინვისგან, მაგრამ მივიდა იმ დასკვანმდე, რომ ოპერაციულად ეს არ გამოვა. გამოსავალი იყო პროთეზში, თუმცა ეს არ იყო ჩვეულებრივი პროთეზი. ერთი ნაცნობი ჰყავდა, რომელიც პლასტმასისგან უმზადებდა ამ პროთეზს და თვითონ იდგამდა ღამე. ცოტა ხისტი მასალისგან იყო დამზადებული და დახვეწა სჭირდებოდა, მასალაზე მიდიოდა უკვე ლაპარაკი, მაგრამ ველარ მოასწრო მისი განხორციელება. ბოლომდე ძალიან ენერგიით სავსე იყო, თუმცა ცოტა გაუჭირდა სიარული და დაიწყო სერიზოულად ფიქრი როგორმე გაეუმჯობესებინა ასაკოვანი ადამიანისთვის გადაადგილება. 89 წლის გარდაიცვალა. ორი თვით ადრე ჩემი შვილის ქორწილში თავისი ფეხით მოვიდა, სადღეგრძელოებიც თქვა, ბევრი იმხიარულა

**– ამბობენ, ბევრი პაციენტი ჰყავდაო...**

– პაცინეტების ისეთი რაოდენობა მოდიოდა, ველარ აუდიოდა. ერთი პერიოდი ბევრი იწერებოდა მამაჩემზე საბჭოთა პრესაში, რუსეთშიც ძალიან დიდ პატივს სცემდნენ იმიტომ რომ, მართლა ძალიან მაგარი იყო თავის საქმეში. ერთხელ, პოპულარულ ნორვეგიულ ჟურნალში იყო სტატია მამაზე და ცნობილ ქირურგ-ორთოპედზე, ილიზაროვზე. იმდენი მოდიოდა, კოშმარი იყო. წერილები მოსდიოდა ტომრებით, უკვე ემალებოდა პაციენეტებს. სახლში ტელეფონი რომ რეკავდა ან ვამბობდით სახლში არ არისო ან თვითონ თუ აიღებდა ყურმილს ქალის ხმით ელაპარაკებოდა. შანსი არ იყო ვინმე მიმხვდარიყო რომ თვითონ იყო

**– მაგრამ, მამა ცხვირის ოპერაციების გარდა, სხვა ოპერაციებსაც აკეთებდა. ეს არ იცის ჩვენმა საზოგადოებამ და ამაზეც გვიამბეთ.**


16 წლის ასაკში

– სახის დაჭიმვებსაც აკეთებდა, უკეთებდა საკმაოდ ცნობილ მსახიობებსაც, რომელთა დასახელების უფლება, ალბათ, არც მაქვს. ისე, ვინ იცის, რამდენ ადამიანს ურახუნა ცხვირში ჩაქუჩი, აწვალა, აცინა, რადგან, ადრე არ აკეთებდნენ ოპერაციებს დაძინებით, აკეთებდნენ ადგილობრივი ანესთეზიით, თუმცა, სასწაული ხედვა ჰქონდა, არავინ ყოფილა მამაზე ნაწყენი. პროპორციების, სილამაზის შეგრძნება ჰქონდა, რაც ყველას არ აქვს. ბოლო ათი-ოცი წელი მარტო ცხვირს კი არ აკეთებდა, თუ დაინახავდა, რომ ნიკაპი არაპროპორციულია ცხვირთან, იმასაც შეასწორებდა აუცილებლად.

**– ასეთი სახის ოპერაცია ანესთეზიის გარეშე მაინც ცოტა წარმოუდგენელია ძველ დროშიც და ახალ დროშიც. რა პრინციპით არ აძინებდა ბატონი ვახტანგი თავის პაციენტებს?**

– პაციენტს სპეციალურად არ აძინებდა, იმიტომ რომ, სახის მოძრაობებისა და მიმიკების მიხედვით განსაზღვრავდა, ვის როგორი ფორმის ცხვირი მოუხდებოდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მამაჩემმა შემოიტანა პირველად საქართველოში და დანერგა ლიპოსაქცია. 1985 წელს მე და მამა ერთად ვიყავით ამერიკაში. ერთი პაციენტი ჰყავდა მამას, ძალიან ცნობილი ამერიკელი ქალი, ის იყო ჩამოსული საქართველოში, ორჯერ ჰქონდა სახე დაჭიმული ამერიკაში და მესამედ მამამ გაუკეთა. ისეთი კმაყოფილი იყო, მერე მიგვიწვია ამერიკაში და შეხვედრა მოგვიწყო ძალიან ცნობილ პლასტიკურ ქირურგებთან, იქ ვესწრებოდით ოპერაციებს. ინგლისური ბავშვობიდან კარგად ვიცი და ვთარჯიმნობდი. მაშინ ვნახეთ იქ პირველად ლიპოსაქცია და წამოვიღეთ ცხიმის ამოსატუმბი სპეციალური მილები. ვაკუუმ აპარატი კი საქართველოში დავამზადებინეთ ბიძაჩემს, რომელიც ინჟინერი იყო. მუცელზე ისეთ ოპერაციებს აკეთებდა, გაოცებული ვიყავი, ყველაფერი აქვს მოსინჯული.

**– ბოლოს როდის გააკეთა ცხვირის ოპერაცია?**

– ცხვირის ოპერაცია ბოლოს 88 წლის ასაკში გააკეთა, ხელი ჰქონდა მოტეხილი და ძალიან უჭირდა ხმარება, მაგრამ, მაინც გააკეთა. სასწაული უნარი და გონება ჰქონდა ბოლომდე, ჩემზე მაგარი, ისეთი, რომ არაფერი ეშლებოდა. კარგად შეეძლო სიტუაციის შეფასება, გამორჩეული ადამიანი იყო, ყველასგან განსხვავებული. სულ მუშაობა და რაღაცის კეთება უნდოდა. ყველაზე კარგად თავს გრძნობდა მაშინ, როცა კლინიკაში დადიოდა. ბოლო ერთი წელი არ უვლია და, მერე წავიდა... ყველაფერთან ერთად, ჰქონდა სითამამე – არ ერიდებოდა და უშინდებოდა სიახლეებს. გერმანიაში რომ ვცხოვრობდი, მამა ჩამოვიდა ჩემთან და წავიყვანე ორი ძალიან ცნობილი ქირურგის ოპერაციებზე დასასწრებად. მერე ისინიც დაინტერესდნენ მამაჩემით. მაშინ მამა მოსკოვშიც აკეთებდა ოპერაციებს და წავიყავნე ეს ორი ქირურგი, დავასწარით ოპერაციას და გაგიჟდნენ ეს კაცები, ისეთ რაღაცეებს ჰკიდებდა მამა ხელს ცხვირის ოპერაციის დროს, მაგალითად, ხრტილებს, რაზეც, ამათი აზრით, ხელის ხლება არ შეიძლება, მერე მადლობებს მწერდნენ; მას მერე, რაც ვნახეთ, მამათქვენი რას აკეთებს, ჩვენც გავბედეთ და მოვკიდეთ ხელიო.

**ეკა პატარაია**

(მე-16 გვერდიდან)

# როგორ გადაარჩინა თბილისი დაბომბვას მიხეილ ახმეტელმა და როგორ შექმნა მან ნაცისტურ გერმანიაში ქართული ლეგიონი

ლური გრძნობაა. მეც ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, ახმეტელს დავხმარებოდი", – თქვა გელენმა. მართლაც, ხსენებული მოხსენება ჰიტლერის მაგიდაზე მოხვდა და ფიურერმა უარი განაცხადა თბილისის დაბომბვაზე. უფროსი თაობის ადამიანებს ის პერიოდი კარგად ემახსოვრებათ და დამეთანხმებიან, რომ გერმანული სადაზვერვო თვითმფრინავები თბილისის გარშემო წრეს აკეთებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. საქართველოს დედაქალაქში ერთი ყუმბარაც კი არ ჩამოვარდნილა.

**– როგორ წარიმართა მიხეილ ახმეტელის შემდგომი ბედი?**

– 1943 წელს ახმეტელმა მკაცრად გააკრიტიკა უკრაინაში გაულაიტერ კოხის პოლიტიკა და ამის გამო დაპატიმრების საფრთხე დაემუქრა. გელენმა მისი დახსნა რის ვაივაგლახით შეძლო, თუმცა, პრობლემები ამით როდი დამთავრდა. 1943 წლის ნოემბერში საბჭოთა დაზვერვამ მოიტაცა და მოკლა „განსაკუთრებული ჯარების" სარდალი, გენერალი მაქს ილგენი (ამ ოპერაციის კოდური სახელწოდებაა „ნადირობა კაფრზე"). როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ჯარების ამოცანა საბჭოთა პარტიზანებთან ბრძოლა იყო. მის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ როგორც რუსი კაზაკები, ასევე, უკრაინელები, ქართველი და შუააზიელი ლეგიონერები. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ ჯარებში მყარად მოიკიდა ფეხი საბჭოთა აგენტურამ. „გესტაპომ" შეთქმულთა შორის მიხეილ ახმეტელიც დაასახელა, აქაოდა, მისი რეკომენდაციით, ილგენის გარშემო რუსმა ჯაშუშებმა მოიკალათესო. ბრალდება მართლაც ოსტატურად იყო შეთხზული. მიუხედავად ამისა, გელენმა ახმეტელის დახსნა მაინც მოახერხა. 1944 წელს „გესტაპო" კვლავ ცდილობს ახმეტელის დაპატიმრებას. გელენმაც დახმარებისათვის შელენბერგს მიმართა და საერთო ძალისხმევით ახმეტელის გადარჩენა მოხერხდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახმეტელი გელენის ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა.

**– ეს რა ორგანიზაციაა?**

– ჰიტლერის უგუნურმა პოლიტიკამ მთელ მსოფლიოში წარმოშვა ანტიგერმანული ფსიქოზი. ომის შემდეგაც ბევრი მიიჩნევდა, რომ ძლიერი გერმანიის აღორძინება მსოფლიოს საშიშროებას შეუქმნიდა. ფსიქოზი იმდენად ძლიერ იყო, რომ მისი განეიტრალება თვით ალენ დალესმაც კი ვერ შეძლო. ამიტომ, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა, მას აეკრძალა როგორც არმიის, ისე დაზვერვის ყოლაც. თუმცა, ცივი ომის დაწყებამ ხელი შეუწყო გერმანული არმიის აღორძინებას და შეიქმნა „ბუნდესვერი," რომელიც დასავლეთ ევროპაში ყველაზე ძლიერ ჯარად გადაიქცა. რაც შეეხება დაზვერვას, აქ პრობლემები წარმოიშვა. დალესმაც წამოაყენა წინადადება, რათა შექმნილიყო ნახევრად ლეგალური ორგანიაცია, რომელსაც ამერიკა დააფინანსებდა და რომლის ძირითადი ფუნქციაც საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ დაზვერვის ორგანიზება იქნებოდა. დალესის რეკომენდაციით, ამ ორგანიზაციის შეფი რაინჰარდ გელენი გახდა და აქედან გამომდინარე დაერქვა ორგანიზაციასაც სახელი. მისი შტაბ-ბინა პულაჰში განთავსდა. ამერიკის დახმარებით გელენმა მართლაც სრულყოფილი სადაზვერვო ორგანიზაცია ააწყო, ახმეტელი კი მისი მრჩეველი გახდა.

**– გელენის ორგანიზაცია ბოლომდე ამერიკელთა დაფინანსებით მუშაობდა?**

– ორგანიზაცია 1945 წლის ბოლოს შეიქმნა, როცა გერმანია, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა. როგორც კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა, მან გელენის ორგანიზაციის ნაწილობრივი დაფინანსება დაიწყო. დამეთანხმებით, ომში ნაგებული, გაპარტახებული ქვეყნისთვის ამხელა სპეცპსამსახურის შენახვა შეუძლებელი გახლდათ. ამერიკელთა მხარდაჭერა რომ არა, გერმანია ძლიერ სპეცსამსახურებს ვერ შეინარჩუნებდა. გელენს ხომ ფართო აგენტურული ქსელი ჰქონდა, რომელიც მოიცავდა საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილს, აგრეთვე, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, რუმინეთს, იუგოსლავიას. 1956 წელს ორგანიზაციამ ფედერალური სადაზვერვო სამსახურის სტატუსი მიიღო, მთლიანად ფედერაციული გერმანიის მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა და ამერიკელებმაც მისი დაფინანსება შეწყვიტეს. ახმეტელი ბოლომდე გენერალ გელენის მრჩევლად დარჩა, პარალელურად კი ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. ახმეტელი მთლიანად იზიარებდა სტეპან ბანდერას კონცეფციას, რომლის ძალითაც, საბჭოთა კავშირის ვერც ერთი რესპუბლიკა მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, საამისოდ ნაციონალური რევოლუცია და საბჭოთა კავშირის დარბევა იყო აუცილებელი. ამ მიზნით, 1942 წელს, ჟიტომირის მახლობლად შეიქმნა „დაპყრობილ ერთა კოალიცია," მოგვიანებით ეს პროცესი ემიგრაციაშიც გაგრძელდა. ასე აღმოცენდა ხალხთა ანტიბოლშევიკური ბლოკი (აბნ), სადაც გაერთიანდნენ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე აღმოსავლეთ ევროპის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ახმეტელი „აბნის" საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა და მას გვერდს უმშვენებდნენ ქართული ემიგრაციის სასიქადულო წარმომადგენლები: ნიკო ნაკაშიძე, აკაკი რამიშვილი და სხვები. პარალელურად ახმეტელი მეცნიერულ მუშაობასაც განაგრძობდა. ის გარდაიცვალა 1963 წელს.

**თეონა ტალახაძე**

**დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ კონკრეტულ ადამიანზე ცუდი ენერგიის მიმართვა და მისთვის ზიანის მიყენება ძალიან ადვილია, თუმცა, მისი განეიტრალება ყველას შეუძლია. ამ თემასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ ქალბატონ ნინოს, რომელიც მსგავს საკითხებში ერთ-ერთ კომპეტენტურ ადამიანად ითვლება, ხოლო მისი რჩევებით არაერთმა ადამიანმა შეიმსუბუქა ცხოვრება.**

# რატომ აქვს საშიში ენერგეტიკა სახლში აღმოჩენილ უცხო ნივთებს და შესაძლებელია თუ არა ნეგატიური ენერგიის განეიტრალება სარკის დახმარებით



**ნინო**: დღეს ძალიან მომრავლდნენ ბოროტი ადამიანები. ამას გაჭირვებულ ყოფას, მოუწყობელ კარიერას თუ პირად ცხოვრებას აბრალებენ, მაგრამ, ეს ასე არ არის. თუ შენ ვერ გამოდექი ამ ცხოვრებაში, სხვისი რა ბრალია? ფაქტია, ჩვენ ირგვლივ ძალიან ბევრი ნეგატიური ენერგია დაგროვდა, იმატა შურმა და ღვარძლმა, ეს კი ათასგვარი ბოროტებისკენ უბიძგებს მათ.

**– ბევრისგან მსმენია, სახლში ისეთი ნივთი ვიპოვე, რომელიც ადრე არასდროს გვქონია და საიდან აღმოჩნდა ის ჩვენს საცხოვრებელ ბინაში, აზრზე ვერ მოვდივართო. ასეთი ნივთების აღმოჩენა მართლაც სახიფათოა ოჯახის წევრებისთვის?**

– დიახ, ჩემთან ზოგს ბოქლომი მოაქვს, ზოგს რა და ზოგს – რა... ვერ ხვდებიან, ვინ დადო ის მათ სახლში, ან, საერთოდ რა ძალა გააჩნია ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ნივთებს. გეტყვით, რომ ეს ნივთები ძალიან საშიშია ოჯახის წევრებისთვის, რადგან, შესაძლოა, ისეთი ნეგატიური ძალით იყოს დამუხტული, ანუ – მოჯადოებული, რომ თქვენი ბედიღბალი თავდაყირა დააყენოს, სასოწარკვეთაში ჩაგაგდოთ და თავის მოკვლამდეც კი მიგიყვანოთ. რა არის ჯადო, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ და მაინც ბოლომდე ვერ ხვდებიან, რა შედეგები მოსდევს მას? მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით, რომ ჯადო – ეს არის წინასწარ განზრახული ბოროტება კონკრეტული პიროვნების მიმართ. ამ მიზნით, რომელიმე საგანი გაჟღენთილია ცუდი ენერგიით და მიმართულია იმ ადამიანისკენ, ვისი ჯინიც სჭირთ და ვისი მისამართითაც კეთდება ის. რაც მეტია ბოღმა და შური, მით უფრო ძლიერია ჯადო.

**– მისი განეიტრალება თუ არის შესაძლებელი და რა ფორმით ხდება ეს?**

– რაც შეეხება მის განეიტრალებას, არსებობს უძველესი ხერხები, რომლებიც ამ ნეგატიურ ენერგიას ებრძვის და ახერხებს კიდეც მისი ზემოქმედების განეიტრალებას. მოკლედ, კარგი იქნება, თუ შეკერავთ ლურჯი ნაჭრის პატარა ტომსიკას, მასში ჩაყრით მარილს და ატარებთ თილისმად, რომ ნეგატიური ენერგია არ მოგეკაროთ და ზიანი არ მიაყენოს თქვენს ცხოვრებას. სახლში კი ჯადოს განეიტრალება ასე შეგიძლიათ: მარილი დაყარეთ პატარა თეფშზე, მასზე დააწვეთეთ ლურჯი სანთლის წვეთები, მოუკიდეთ ცეცხლი და, კვამლს რომ აუშვებს, ამ თეფშით საათის ისრის მიმართულებით შემოიარეთ ოთახი. ეს რიტუალი უნდა ჩაატაროთ თვის ბოლო კვირაში, შაბათ დღეს, საღამოს საათებში. ეს კვამლი სახლს იცავს ნეგატიური ენერგიის ზემოქმედებისგან. ამ რიტუალის გაკეთების დროს სახლის კარ-ფანჯარა კარგად დაკეტეთ, შემდეგ კი, როცა კვამლი აღარ აუვა მარილს, კარ-ფანჯარა გახსენით. ამ კვამლს გარეთ გაჰყვება ის ცუდი ენერგია, რომელიც სახლში იყო დაგროვილი და ხელს გიშლიდათ წარმატებული და მშვიდი ცხოვრების მოწყობაში.

**– თუ სახლში ასეთ ნივთს აღმოვაჩენთ და მას, უბრალოდ, ნაგავში მოვისვრით?**

– ასე მოქცევა საშიშია. რა მნიშვნელობა აქვს, მისაღებ ოთახში დადებთ მას, თვალში საცემ ადგილას თუ ნაგვის ურნაში ჩააგდებთ, მისი ენერგია ხომ სახლში ტრიალებს და მოქმედებას მაინც განაგრძობს?! უმჯობესია, ბინაში აღმოჩენილი საეჭვო ნივთი ღამით გზაჯვარედინზე გაიტანოთ და იქ დატოვოთ, ან გამდინარე წყალში მოისროლოთ. გაუგიათ, თილისმის ტარება იცავს ავისგანო, დაიკიდებენ ათასგვარ ჯინჯილას გულზე და დადიან, თითქოს ეს დაიცავთ. აბა, გეკითხებით, ეს ნორმალურია? ჯერ ხომ უნდა გაარკვიო, რისგან გჭირდება დაცვა, რა უნდა ატარო, და ასე შემდეგ. ერთი გოგონა გავიცანი, გულზე მაკრატლის ფორმის კულონი ეკიდა. არც მიკითხავს, თავად მითხრა: ეს იცით, რა მაგარი თილისმაა? მითხრეს, თუ გეკეთება, ყველა საქმეს, პირადულს თუ სამსახურებრივს, ადვილად გადაჭრიო. გამეცინა და ვუპასუხე: შვილო, მხოლოდ ეს რომ შველოდეს პრობლემის მოგვარებას, მთელი საქართველო მაკრატლებს დაიკიდებდა და გვეშველებოდა-მეთქი. ასე მარტივად ნამდვილად არ არის საქმე. მოკლედ, ამ გოგონამ თავად არ იცოდა, რისგან სჭირდებოდა დაცვა, რომელი თილისმა უნდა ეტარებინა და, საერთოდ, ჰქონდა თუ არა გულზე დაკიდებულ ნივთს მისი დაცვის უნარი.

**ინფორმაცია უნდა გვქონდეს იმის შესახებ, თუ რა გვიქმნის ცხოვრებაში წინაღობებს, რისგან უნდა დავიცვათ თავი და როგორ ავირიდოთ პრობლემები თუ გაუგებრობები**

**– ამის გაგება როგორ უნდა შევძლოთ?**

– ძალიან მარტივად. უბრალოდ, ინფორმაცია უნდა გქონდეს ასეთ რამეებზე და გაერკვევი, რა გიქმნის ცხოვრებაში წინაღობებს, რისგან უნდა დაიცვა თავი და როგორ აირიდო პრობლემები თუ გაუგებრობები. საერთოდ, თილისმას დიდი ძალა აქვს. მას ლათინურად „ამულეტი" ჰქვია და დაცვის საშუალებად მოიაზრება. თილისმის სამი სახეობა არსებობს, კერძოდ: უბედურებისა და ხიფათისგან დამცავი, პროფილაქტიკური და დაავადებებისგან დამცავი. როგორც წესი, ადამიანი მათ უნდა ატარებდეს სხეულთან ახლოს, მაგალითად, ძაფით გულზე დაიკიდოს. მაგალითად, წითელ ნაჭერში გახვეულ, გულზე დაკიდებულ სარკეს შეუძლია, მოსალოდნელ უბედურებასა და ხიფათს აგვარიდოს. ასევე, მას შესწევს უნარი, გახსნას ჩაკეტილი ბედიღბალი, უბედურებისგან გვიხსნას და წარმატებებისაკენ გვიბიძგოს. ის თავის თავზე იღებს უარყოფითი ენერგიების შემოტევას და იმის ძალაც შესწევს, აქტიურად ებრძოლოს მათ. ასეთი თილისმის ტარების ვადა სულ ორი-სამი თვეა, შემდეგ ის უნდა გააყოლოთ გამდინარე წყალს და ახალი თილისმით შეცვალოთ. თუ გინდათ, სექსუალური პრობლემები მოიგვაროთ და გონება გაგინათდეთ, გულზე დაიკიდეთ გასაღების ფორმის სამკაული და ის ატარეთ თილისმად. ასევე, თუ შეყვარებულ წყვილს სექსუალური პრობლემები აქვს, ძველი გასაღები უნდა დაიდონ ლეიბის ქვეშ – ეს, როგორც თილისმა, მალე იმოქმედებს და ნელ-ნელა ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

**– ძველი ხალხი ამბობს, რომ სარკე ბევრი უბედურებისგან გვიცავს და სიკეთის მოტანაც შეუძლიაო. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

– სარკე, თუ მისი სწორი მართვა იცით, გათვალვისა და ჯადოსგან დაგიცავთ. სხვათა შორის, ნეგატიური ინფორმაციისა და ბოროტი ზრახვების განეიტრალება ყველაზე კარგად სარკეს შეუძლია. კარგად გაწმინდეთ სარკე წყალში გახსნილი ძმრით, დადექით მის წინ, დიდხანს უცქირეთ საკუთარ თავს, მოდუნდით და თან გონებაში იმეორეთ, რომ თქვენ ძლიერი პიროვნება ხართ, ვერ იმოქმედებს თქვენზე სხვა ადამიანის ფარული ზრახვები, შური და ბოღმა. მერე თვალები დახუჭეთ და იფიქრეთ კარგზე. გაახილეთ თვალები, ისევ დააკვირდით საკუთარ თავს სარკეში და მიხვდებით, რომ უფრო გაძლიერდით, მეტად თავდაჯერებული პიროვნება გახდით. სარკე თქვენგან ამ დროს იღებს უარყოფით ენერგიას და გმუხტავთ დადებითით. ეს რიტუალი საკუთარ ძალებში თვითრწმენას ბადებს, რაც ადამიანის წარმატებისთვის, დამეთანხმეთ, ნამდვილად აუცილებელია. ეს მეთოდი დაახლოებით თხუთმეტ-ოც წუთს წაგართმევთ დღეში, სამაგიეროდ, კარგად წაგადგებათ. სხვათა შორის, ამით აურასაც ისუფთავებთ. თუ ხვდებით, რომ ხშირად ითვალებით, ჩასვით ჩარჩოში თქვენი ფოტო, რომელიც მოგწონთ და რომელშიც კარგად გიჩანთ სახე, დადეთ ისე, რომ სარკეს უყურებდეს და ასე დატოვეთ. ეს ავ თვალსა და მისგან გამოწვეულ ნეგატიურ მოქმედებას აგარიდებთ. ხოლო, თუ დეპრესიული ხართ, ხშირად დადექით სარკესთან და იფიქრეთ წარსულში განცდილ სასიამოვნო დღეებზე, რომანტიკულ შეხვედრებზე და ასე შემდეგ. ეს დაგამშვიდებთ კიდეც და ოპტიმიზმისკენაც გიბიძგებთ. ოდითგანვე ცნობილია, რომ, თუ ადამიანს ხშირი კონტაქტი აქვს სარკესთან, ადვილად გაანეიტრალებს ჯადოს, გათვალვას და საგვარეულო წყევლასაც კი.

**ნონა დათეშიძე**

## მთავარი პრიორიტეტია...

სქესთა შორის თანასწორობა მხოლოდ ცარიელი სიტყვები და ხმამაღალი განცხადებებია. ჩავხედოთ სიმართლეს თვალებში: ქალის გასაკეთებელი საქმე, ისევ და ისევ, მხოლოდ ქალის გასაკეთებელია. ანუ, თავს ვიმშვიდებთ იმით, როცა ვამბობთ, რომ კაცთან გათანაბრებულები ვართ. ფაქტი ფაქტად რჩება: ჭურჭელს ვრეცხავთ ისევ ჩვენ; ვაუთოებთ ისევ ჩვენ; ბავშვებს ვაჩენთ და ვუვლით ისევ ჩვენ... სამზარეულოშიც წინ და უკან დავრბივართ ისევ ჩვენ და, სამწუხაროდ, ღალატსაც ვპატიობთ ისევ ჩვენ...

რა მივიღეთ სქესთა შორის თანასწორობით? ფაქტობრივად, არაფერი, გარდა ორმაგი დატვირთვისა და ვალდებულებებისა, შედეგად კი, წყალი კაცების წისქვილზე ისხმევა. ამიტომაც, მათ უმრავლესობას არაფრად უღირს, აღიაროს სქესთა თანასწორობა ფორმალურად. ხმამაღლა ეთანხმებიან ამას, მაგრამ, რეალურად ფიქრობენ: ქალი ვერასდროს იქნება კარგი მძღოლი, კარგი დირექტორი, კარგი მენეჯერი... – აი, რა არის რეალობა. ვერც ერთი მამაკაცი ვერ შეეგუება კაცთან ქალის თანასწორუფლებიანობას.

სამწუხაროდ, გენდერულმა თანასწორობამ ისევ ქალები დააზარალა, ისინი დააყენა არჩევნის წინაშე: ოჯახი თუ კარიერა... ან – ორივე ერთად. თუ ქალი სწორად ვერ განსაზღვრავს პრიორიტეტებს, მხოლოდ გენდერული თანასწორობის აღიარება ვერაფერში დაეხმარება.

## კარგია თუ ცუდი?

დამოუკიდებლობა, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი, პრინციპულობა, მიზანდასახულობა და ლიდერის სხვა თვისებები ქალის ხასიათს ცვლის. არსებობს სტერეოტიპიც, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ძლიერი სქესის დამახასიათებელი თვისებებია. მამაკაცები ხშირად არიან უკმაყოფილონი იმით, რომ ფინანსურმა დამოუკიდებლობამ, რომელიც სუსტმა სქესმა დიდი ხანია, მოიპოვა, მათთან ურთიერთობა გაართულა. გაართულა იმით, რომ ქალებს ათქმევინა უარი მათ მთავარ კოზირსა და ღირსებაზე – კომპრომისის ხელოვნებაზე. ფაქტია, რომ ქალებმა მშვენივრად მოირგეს როგორც მამაკაცის ტანსაცმელი, ისე მათი პროფესიები. ერთი შეხედვით, ცუდი ამაში არაფერია. თუკი ქალს აქვს უნარი, იყოს წარმატებული ამა თუ იმ სფეროში, ვინ უნდა შეუშალოს ამას ხელი?! როგორც ჩანს, კაცებს არ მოსწონთ ის, რომ ქალები ყველაფერში თავად იღებენ გადაწყვეტილებებს და ეს მათი პრობლემაა. რაც შეეხება ქალების ხასიათში მომრავლებულ მამაკაცურ თვისებებს, ზოგიერთი არცთუ უსაფრთხოა – ისინი ქალებს სასტიკ, მბრძანებლურ და ჯიუტ არსებებად აქცევენ და უკვე ძნელად გასარკვევი ხდება მისი ქალურობა. შეიძლება, არსებობდეს მამაკაცი, რომელსაც ასეთი არსება მოეწონება, მაგრამ, თავად ქალებს აღარ მოსწონთ მორჩილი, დამთმობი, უინიციატივო, რბილი ხასიათის მამაკაცები. თუმცა, ვერც ძალიან ძლიერ მამაკაცებს ეგუებიან.

რატომ არ უნდა ვიყოთ ისეთები, როგორებიც მოვეწონებით მამაკაცებს?! რატომ არ უნდა მივიღოთ აქსიომად ის, რომ ქალსაც აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება, იზრუნოს თავის მამაკაცზე?!. ზოგჯერ უნდა ენდო კიდეც მას. სხვათა შორის, ნდობის გამოჩენაც ძლიერთა უპირატესობაა.

## ჭეშმარიტება – ჭეშმარიტებაა!

თქვენი ოცნების მამაკაცს ყველგან შეიძლება შეხვდეთ, მაღაზიაშიც კი და ეს სულაც არ იქნება ტიპური შემთხვევა, თუმცა, არც განსაკუთრებული. ამიტომ, მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩაიცვამთ და როგორ გამოიყურებით, თუნდაც ერთი საათით აპირებდეთ სახლიდან გასვლას.

ჭეშმარიტებაა ისიც, რომ კანონზომიერება კაცს საშუალებას არ აძლევს, დაინახოს ქალი იმის მიღმა, რაც თვალწინ აქვს. თუ გიხდებათ, რატომაც არა – ჩაიცვით მაისური, ჯინსი და კედები. მაგრამ, თუ ამით საკუთარ ქალურობას დამალავთ, უარი თქვით მასზე. არაფერია იმაში სასაცილო, როცა მეგობარი ამბობს – ვერ წამოვალ საყიდლებზე იმიტომ, რომ ჩასაცმელი არაფერი მაქვს, ანუ, მას ესმის მთავარი – ერთი შეხვედრა ზოგჯერ ყველაფერს წყვეტს! არათუ მამაკაცები, არამედ, ქალებიც კი, შთაბეჭდილებას ადამიანზე სწორედ პირველი დანახვით იქმნიან, რადგან, თვალი ზედმეტად მგრძნობიარე ორგანოა, ძალიან ფაქიზი და, იქნებ, ცოტათი ჭირვეულიც – ის აწვდის ინფორმაციას გულსაც და ტვინსაც და, ზოგჯერ, სრულიად არაობიექტურს.

შემაფასებელი მზერა ყოველთვის უსიამოვნოა – ესეც ჭეშმარიტებაა. მაგრამ ცხოვრება არის ცხოვრება და, დროა, რეალობას თვალებში ჩავხედოთ, რადგან, მას ვერსად გავექცევით და სირაქლემის პოზაში ყოფნა, მხოლოდ გაგვირთულებს ყველაფერს. ამიტომ, შეეცადეთ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში იყო ეფექტური, მომხიბვლელი და საინტერესო...

## მამაკაცური პასუხისმგებლობა

მამაკაცები ხშირად გაურბიან პასუხისმგებლობას. სამწუხაროდ, მათ უმრავლესობას საკმაო მუშაობა სჭირდება საკუთარ თავზე, რათა იგრძნოს, რას ელოდებიან მისგან გარშემო მყოფები. კიდევ ერთი ნიუანსი: თანამედროვე მამაკაცების დიდი უმრავლესობა, ფაქტობრივად, დაავადებულია ნარცისული მიდრეკილებებით. თქვენ ეს იცით, რადგან, ისინი საკმაოდ შესამჩნევი არიან, მაგრამ, ქალბატონების დიდ ნაწილს მხოლოდ ეჩვენება, რომ ეს „უწყინარი“ ნაკლია.

ნარცის მამაკაცს საკუთარ პერსონაზე ზედმეტად დიდი წარმოდგენა აქვს; გადაჭარბებით აფასებს იმ მონაცემებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც რეალურად აქვს. ვერ იტანს, როცა ვინმეს ადარებენ, როცა შენიშვნას აძლევენ, როცა თუნდაც უმნიშვნელო პრობლემას ან დისკომფორტს უქმნიან. როგორ ექნება პასუხისმგებლობა მამაკაცს, რომლისთვისაც ბავშვობაში ჩადენილი ყველაზე ცუდი საქციელის გამოც კი არ მოუთხოვიათ პასუხი?! ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუ ის ყველანაირად შეეცდება, გაექცეს და დაემალოს პასუხისმგებლობას? შეიძლება, მას შეუყვარდეს ქალი, მაგრამ, პასუხისმგებლობის გარეშე. ნუ იფიქრებთ, რომ ამასთან შეგუება არ გაგიჭირდებათ. დიდი დრო არ გაივლის, რომ აღმოაჩენთ – ეს ის კაცი არ არის, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება. ნარცისი უფრო ხშირად ზარმაცი, პასიური და უინიციატივოა როგორც საქმეში, ისე ალერსში. საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუ ეყოლებათ მეუღლე, ოჯახი, შვილები, მაგრამ, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# სასარგებლო ჩვევები – დაბერების წინააღმდეგ

ქალბატონების უმრავლესობისთვის დაბერების სიმბოლო მხოლოდ დანაოჭებული სახის კანი, ყელი, დეკოლტე და ხელებია, ანუ ის, რაც უფრო მეტად ჩანს ვიზუალურად, ამიტომ, გაცილებით მეტ მზრუნველობას იჩენენ გარეგნულ მხარეზე, მაგრამ, არ იციან, რომ ნებისმიერი ქალი მით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება, რაც უფრო მეტად ზრუნავს არა მარტო კანზე, არამედ, ჯანმრთელობასა და ფსიქოემოციურ განწყობაზე.



დავიწყოთ სიარულით.

ალბათ, ხშირად შეგხვედრიათ ქუჩაში სოლიდური ასაკის ქალბატონი, რომელიც საკმაოდ „ქორფად“ გამოიყურება არა მხოლოდ იმის გამო, რომ კანი აქვს მოვლილი, არამედ იმიტომ, რომ დადის წელში გამართული, ყელმოღერებული და ნაბიჯებსაც თამამად დგამს. ასეთი ქალი დარწმუნებულია თავის ღირსებებში და ცდილობს, ამაში სხვაც დაარწმუნოს. როგორ?! ძალიან მარტივად – მომხიბლავი ღიმილით. დიახ, ნაზი, ქალური ღიმილი მინიმუმ ხუთ-ექვს წელს მოგიხსნით ასაკობრივი „ბალანსიდან“. რადგან ღიმილი ვახსენეთ, იმასაც დავამატებთ, რომ ნუ შეგეშინდებათ მიმიკური ნაოჭების, გაიღიმეთ ხშირად და თამამად. უფრო მეტიც, იცინეთ ხმამაღლა და გულით. ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ აზრს, რომ ხმამაღალი სიცილი კარგ ტონად არ ითვლება. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ვეტყვით, რომ, ამერიკელი კოსმეტოლოგების მტკიცებით, არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მიმიკური ნაოჭების უქონლობა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ძალით გავიღრმავოთ ნაოჭები, მაგრამ, ამერიკელი კოსმეტოლოგები გვირჩევენ, რომ შევამსუბუქოთ მათთან ბრძოლა, რადგან, მათი თქმით, თვალების კუთხეებთან წვრილი „სხივების“ არქონის შედეგად სახეს აკლდება სითბო, ხასიათის გამომხატველი მზერა და სახე პლასტმასის ნიღაბს ემსგავსება, რაც კიდევ უფრო გაუსვამს ხაზს ასაკს.

ამ ყველაფერთან ერთად, მაქსიმალურად დატვირთეთ ორგანიზმი ფიზიკურად, საუკეთესო ვარიანტია სუფთა ჰაერზე სირბილი, ველოსიპედით სეირნობა, ცურვა ან ცეკვა.

ფსიქოთერაპია გაახალგაზრდავების ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია. ამისთვის სულაც არ დაგჭირდებათ სპეციალისტთან ვიზიტები, უბრალოდ, უნდა იცოდეთ, როგორ მოიხსნათ სტრესი, ეს კი სულაც არ არის რთული. მაგალითად, შეგიძლიათ, უფრო ახლო ურთიერთობები გააბათ თქვენზე ბევრად უფრო ახალგაზრდა და მხიარულ ახალგაზრდებთან – არ დაგავიწყდეთ, რომ ასაკიც და მხიარული განწყობაც გადამდებია.

ინტელექტუალური განვითარება კიდევ ერთი ხერხია ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად. ამიტომ, შეუთავსეთ ერთმანეთს სასიამოვნო და სასარგებლო და დაიწყეთ რომელიმე ენის შესწავლა. ეს არ გაგიჭირდებათ, რადგან დღეს ამისთვის უამრავი საშუალება არსებობს.

და, კიდევ: თუ მარტო ცხოვრობთ, ან, მიგაჩნიათ, რომ ოჯახის წევრები საკუთარი პრობლემებით არიან დაკავებულები და თქვენთვის იშვიათად იცლიან, თქვენ კი ძალიან გჭირდებათ სითბო და სიყვარული, რომელიც ხანდახან საგრძნობლად გაკლიათ, შეიძინეთ ძაღლი ან კატა – ეს საუკეთესო ფსიქოთერაპიაა.

# სწორი ალტერნატივა

იმის ნაცვლად, რომ ფანატიკურად ითვალოთ კალორიები და თვალოთ პროდუქტების შესაბამისი ქულები, უმჯობესია, შეამციროთ მათი რაოდენობა და მოუძებნოთ სწორი ალტერნატივა. ეს არც ისე ძნელია, მთავარია, მოინდომოთ. სასარგებლო პროდუქტების მრავალფეროვნება და გონივრული ჩანაცვლება დაგეხმარებათ, აქციოთ თქვენი რაციონი ერთდროულად სასარგებლოდ და სასიამოვნოდ.

მაგალითად:

* მაიონეზი შეცვალეთ მდოგვით, ან, სულაც თვითონ დაამზადეთ მაიონეზი – ასეთ შემთხვევაში გამორიცხული იქნება ემულგატორებისა და კონსერვანტების გამოყენება და, შესაბამისად, პროდუქტი იქნება ჯანმრთელი და სასარგებლო, თუმცა, კალორიულობის გამო, შეეცადეთ, მცირე რაოდენობით მიირთვათ.

* არაჟანი ჩაანაცვლეთ უცხიმო მაწვნით ან იოგურტით.

* სალათზე მოსასხმელად გამოიყენეთ არა ზეთი და მაიონეზი, არამედ, სანელებლებით შეზავებული ძმარი.

* ყავის ნაცვლად დალიეთ უშაქრო ფრეში, სმუზი ან მწვანე ჩაი ლიმონით.

* ხორცეულიდან უპირატესობა მიანიჭეთ კურდღელს, ხბოსა და ინდაურს. მოხარშული ხორცი შეაზავეთ ცოცხალი მწვანილით.

* შაქარი ჩაანაცვლეთ თაფლით.

* პურის ნაცვლად მიირთვით „ხლებცი“, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შავი ცეხვილი პურის 1-2 პატარა ნაჭერი თითო კვებაზე.

* ჩვეულებრივი ნაყინი შეცვალეთ სორბეტით (ხილის წვენის ნაყინით).

* შემწვარი კარტოფილის მაგივრად მიირთვით აირლუმელში კანიანად გამომცხვარი კარტოფილი.

* კანფეტის მაგივრობას ცოცხალი ხილი ან ჩირი შეგიცვლით, ნამცხვრის მოთხოვნილებას კი შოკოლადიანი სუფლე დაგიკმაყოფილებთ.

მენიუდან ამოიღეთ ყველანაირი ლიმონათი და „კოლა“. სვით მხოლოდ გაზგასული მინერალური და ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

იმისათვის, რომ დანაყრების შეგრძნება ნაკლები რაოდენობის საკვებმა მოგიტანოთ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე პატარ-პატარა ყლუპებით დალიეთ 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური ან ჩვეულებრივი სასმელი წყალი – ეს შეგიმცირებთ მადას; კერძი კი, მიირთვით პატარა ლუკმებით და ღეჭეთ მაქსიმალურად დიდხანს. უშუალოდ ჭამის დროს და ჭამის დასრულებისთანავე წყალს ნუ დალევთ. ასევე, მიზანშეწონილი არ არის ძალიან ცხელი ან გაყინული სასმლის მიღება.

ცხადია, არ დაგავიწყდეთ საათობრივი რეჟიმის დაცვა: საკვების თითოეულ ჯერს შორის შუალედი – 2-დან 3 საათამდე, ბოლო კვება – 18-19 საათზე. თუ ყოველდღე ვარჯიშის, ფიტნესის ან ცურვისთვის ვერ იცლით, შეეცადეთ, მეტი იაროთ ფეხით.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ გავიშრო თმა დაზიანების გარეშე?**

**პასუხი:** ალბათ, იცით, რომ თმას ვნებს ფენის ცხელი ჰაერით გაშრობა. ამიტომ, თმის გაშრობა უნდა დაიწყოთ ნაკლებად ცხელი ჰაერის ნაკადით, თანაც, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაბანილ თმას კარგად შეიმშრალებთ პირსახოციით და შემდეგ აცლით, რომ ცოტათი თვითონვე შეშრეს, ანუ, ფენით გაშრობა რეკომენდებულია მაშინ, როცა თმა ოდნავ ტენიანია. ზაფხულში კი, სასურველია, თუ ფენს საერთოდ არ გამოიყენებთ და ამ საქმეს მზის სხივებს „მიანდობთ“.

**კითხვა: როგორ შევარჩიო შამპუნი და როგორ დავიბანო თმა სწორად?**

**პასუხი:** შამპუნი უნდა შეარჩიოთ თმის კანის, კონდიციონერი კი – თავად თმის ტიპის მიხედვით. თუ შეგეშლებათ, შედეგად მიიღებთ ცხიმიან თმის ძირებს და მშრალ, მტვრევად ღერებს. თმა დაიბანეთ შემდეგნაირად: თავზე შამპუნის აქაფების შემდეგ გაიკეთეთ მსუბუქი მასაჟი – დაიწყეთ კისრიდან, გადადით ყურის ძირებზე და შემდეგ – კეფაზე. ჩამოიბანეთ ოდნავ თბილი წყლით, რადგან, ცხელი წყალი ააქტიურებს ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობას, რაც თმას ბზინვარებას დაუკარგავს.

**კითხვა: ბავშვობიდან ზედმეტად ცხიმიანი კანი მქონდა და მთელი ცხოვრება ვებრძოდი ამ პრობლემას, ახლა კი, უკვე თითქმის ორი წელია, სახის კანი ძალიან გამომიშრა. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს და როგორ მოვიქცე?**



**პასუხი:** თქვენი კანის გამოშრობის მიზეზი, სავარაუდოდ, უნდა იყოს პილინგების, გამოსაშრობი ნიღბებისა და სხვა პროფესიონალური კოსმეტიკური პროცედურების ზედმეტად გატაცება. მიმართეთ პროფესიონალ კოსმეტოლოგს, რომელიც დაგისვამთ ზუსტ დიაგნოზს და მოგცემთ შესაბამის კრემებს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რით აჯობა სტალინმა რუსეთის პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს



თავის დროზე იოსებ სტალინის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად ქვეყნის წინაშე კოლექტიური მეურნეობების შექმნას და სოფლის კრიზისიდან გამოყვანას მიიჩნევდნენ. მოგვიანებით, ყველაფერი უკუღმა შებრუნდა, კოლექტიური მეურნეობების შექმნა უარყოფითად შეფასდა და საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისი სტალინს დაბრალდა.

ამ ორ უკიდურესობას შორის, სადღაც იმალება ისტორიული სიმართლე, რომლის მიგნება და აღიარება სხვადასხვა მიზეზების გამო ძალზე გაჭიანურდა. ჩვენ ამ საკითხში გარკვევას საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით შევეცდებით.

რუსეთი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ხორბლის მწარმოებელი ქვეყანა გახლდათ. რუსები მოიხმარდნენ წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით პურს, მოწეული ხორბლის დიდი ნაწილი კი გაჰქონდათ უცხოეთში. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1861), მართალია, გლეხმა მიწა მიიღო, მაგრამ ეს მიწა მას არ ებოძა კერძო საკუთრებაში. მიწა სასოფლო თემის (ობშჩინის), საკუთრება იყო და გლეხს ის გამოუყოფდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მისთვის გადაცემულ მიწის რაოდენობას. ამ მიწას გლეხი და მისი შთამომავლობა გამოიყენებდა შეუზღუდავად, მაგრამ ვერ გაყოფდა და ვერ გააჩუქებდა. თუ გლეხი თემიდან წავიდოდა, მიწა თემისთვის უნდა ჩაებარებინა. ამრიგად, რუსეთში იყო არა კერძო მესაკუთრე გლეხი (ფერმერი), არამედ მეთემე გლეხი. სახელმწიფოს მიწის მფლობელობის ასეთი წესი ხელს აძლევდა, რადგან, გადასახადი კონკრეტულ გლეხზე კი არ იყო გაწერილი, არამედ თემზე. გლეხი თუ იმდენად გაღატაკდებოდა, რომ გადასახადის გადახდა არ შეეძლო, მისი გადასახადი თემის სხვა წევრებზე უნდა გადანაწილებულიყო და ამდენად მთავრობა არაფერს კარგავდა.

მეოცე საუკუნის დამდეგს, ცნობილმა მოღვაწემ, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, პეტრე სტოლიპინმა, დაიწყო სასოფლო თემის დაშლა – სათემო საკუთრების კერძო საკუთრებით შეცვლა. ამ რეფორმას დიდი წარმატება არ მოჰყოლია. გლეხობის ძალიან მცირე ნაწილმა ისარგებლა მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემით. დანარჩენმა გლეხობამ ვერ გამოიყენა კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა და ძველ დროს მისტიროდა, ანუ თემური საკუთრების მომხრე რჩებოდა.

იოსებ სტალინმა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ჩაიფიქრა და განახორციელა გრანდიოზული რეფორმა – სოფლად მიწის კერძო საკუთრება შეცვალა კოლექტიური საკუთრებით (კოლმეურნეობებით). სტალინის მიერ ჩაფიქრებული და განხორციელებული რეფორმა არ იყო მხოლოდ აგრარული ხასიათის. ის, შეიძლება ითქვას, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ღონისძიება გახლდათ. ამ დროისთვის, რუსეთში სოფლად უმძიმესი ვითარება სუფევდა. მართალია, ხორბალი ჯერაც დიდი რაოდენობით მოდიოდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მოწეული მოსავლის უდიდეს ნაწილს ძალდატანებითართმევდა გლეხობას. სოფლიდან ამოღებული პურით იკვებებოდა ქალაქების დამშეული მოსახლეობა და არმია. ხორბლის მნიშვნელოვანი ნაწილი იყიდებოდა უცხოეთში, რადგან ეს იყო ქვეყანაში ვალუტის შემოტანის ერთადერთი წყარო. სოფლად მძვინვარებდა შიმშილი. გლეხობას პური გამოსაკვებად კი არა, გაზაფხულზე დასათესადაც კი აღარ ჰყოფნიდა. ასეთი ვითარება დიდხანს აღარ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. იოსებ სტალინი გახლდათ ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მიხვდა, რომ სოფლად დიდი სოციალური ამბოხი დაიწყებოდა და შემდეგ მთელ ქვეყანას მოედებოდა, რაც, საბოლოო ჯამში, დაამხობდა საბჭოთა ხელისუფლებას. საფრთხე ნამდვილად რეალური იყო. ალექსანდრე პუშკინი წერდა: „ღმერთმა ნუ ქნას, რუსული ბუნტი – ყველაზე დაუნდობელი და ყველაზე უაზრო". სწორედ ასეთი ბუნტი უახლოვდებოდა რუსეთს. ამ დიდ საფრთხეს ვერ ხედავდნენ სხვები: მაგალითად, ლევ ტროცკი, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა რუსი გლეხის ბუნებაზე. ის დარწმუნებული იყო, რომ რეპრესიების გზით მოსპობდა სოფლად ამბოხების საფრთხეს. ასე არ ფიქრობდა სტალინი. შექმნილ ვითარებაში იოსებ ჯუღაშვილმა იპოვა ერთადერთი რეალური გამოსავალი.

სტალინმა კარგად უწყოდა, რუსი გლეხის ბუნება. იცოდა, რომ რუს გლეხს, კერძო საკუთრებას ერჩივნა სათემო, ანუ კოლექტიური საკუთრება. მისთვის კერძო საკუთრება იდეალი არ იყო, რაც ვერ გაითვალისწინა პეტრე სტოლიპინმა. მის მიერ ჩაფიქრებული – მიწაზე კერძო საკუთრების ბუმი რუსეთში არ შედგა. სტალინმა ზედმიწევნით ზუსტად გააანალიზა სტოლიპინის რეფორმის წარუმატებლობის მიზეზები. ის წავიდა იმ გზით, რაც რუსი გლეხების აბსოლუტურ უმრავლესობას სურდა. სოფლად კოლმეურნეობების შექმნით, სტალინმა აღადგინა ძველი რუსული გლეხური თემის პრინციპები. 1917 წლის 25 ოქტომბრის დეკრეტით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა გლეხობას უბოძა, მაგრამ გავიდა 10 წელი და ხელისუფლებისგან ნაბოძები მიწა გლეხმა ვერ გამოიყენა. ეკონომიკურ კეთილდღეობას მიაღწია გლეხობის (კულაკობის) მხოლოდ 7-8 პროცენტმა. გლეხობის 30 პროცენტი (საშუალო გლეხობა), ასე თუ ისე ახერხებდა თავის რჩენას, გლეხობის 60 პროცენტზე მეტი, (ულარიბესი გლეხობა) კი, პრაქტიკულად, განწირული იყო შიმშილით სიკვდილისთვის. სტალინმა კარგად იცოდა, რომ ულარიბესი გლეხობა კოლმეურნეობების შექმნას სიხარულით დაეთანხმებოდა. გარკვეულ მერყეობას გამოიჩენდა საშუალო გლეხობა, მაგრამ მათი გადაბირება შეიძლებოდა. რაც შეეხება კულაკობას, ის სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევდა კოლექტიური მეურნეობების შექმნას. ამ კულაკობის ნეიტრალიზაციას კი სტალინი რეპრესიებით აპირებდა. ამრიგად, ბელადი გლეხობის 90 პროცენტზე მეტის მხარდაჭერას ვარაუდობდა. დანარჩენი წინასწარ იყო განწირული.

**იოსებ სტალინი ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელიც მიხვდა, რომ სოფლად დაიწყებოდა დიდი სოციალური ამბოხი და შემდეგ მთელ ქვეყანას მოედებოდა, რაც, საბოლოო ჯამში, დაამხობდა საბჭოთა ხელისუფლებას. საფრთხე ნამდვილად რეალური იყო**

კოლმეურნეობები შეიქმნა შემდეგი პრინციპით, საბჭოთა ხელისუფლებისგან ნაბოძები მიწა ულარიბესმა და საშუალო გლეხობამ სოფლად შექმნილ კოლექტიურ მეურნეობაში გააერთიანა. კოლმეურნეობებში გაერთიანდა გამწევი პირუტყვი (ხარი, ცხენი, კამეჩი), ასევე, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა (გუთანი, პურის საცეხველი და სხვა). ყოველივე ამის მფლობელი იყო კოლექტიური მეურნეობა, ანუ გლეხობის გაერთიანება. კოლექტიური მეურნეობა ირჩევდა გამგეობას და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მოწეული მოსავლის განაწილების პრინციპს, ადგენდა კოლექტივის საერთო კრება. საერთო კრება წყვეტდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს. კოლმეურნეობებმა პირველ წლებში დიდ შედეგს მიაღწია. ეს გაგრძელდა ძალიან მცირე ხანს. მალე სტალინმა დაიწყო იმ გეგმის რეალიზება, რომლისთვისაც მან კოლექტიური მეურნეობები შექმნა. ხელისუფლებამ ყოველ კოლექტიურ მეურნეობას დაუწესა სახელმწიფოსთვის ჩასაბარებელი ხორბლის გეგმა. მოწეულ მოსავალს კოლექტიური მეურნეობა თავის წევრებზე გაანაწილებდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხორბლის დამზადების სახელმწიფო გეგმას დაფარავდა. ეს გეგმა ყოველწლიურად იზრდებოდა, რაც უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა გლეხობას. მიუხედავად ამისა, გლეხობას შიმშილით სიკვდილის საფრთხე არ ემუქრებოდა. ეს კი სოციალური ვითარების სტაბილიზაციისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

რა მოიგო სტალინმა კოლექტიური მეურნეობების შექმნით. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ჰქონდა, ყოველწლიურად დაგეგმილი ხორბლის მოსავლის უმტკივნეულოდ მიღების გარანტია. ამიერიდან, ხელისუფლებას, პურის ამოღებისთვის მილიონობით გლეხთან კი არ ჰქონდა საქმე, არამედ კოლექტიურ მეურნეობებთან. ეს კი აბსოლუტური გარანტია იყო იმისა, რომ კოლექტიური მეურნეობა მოსავალს ვერ გადამალავდა, როგორც წინა წლებში, როცა გლეხები ყოველნაირად ცდილობდნენ, პურის ამოღებისას წინააღმდეგობის გაწევას პურის გადამალვის გზით. ხელისუფლებას კი არ შეიძლებოდა, სცოდნოდა, მილიონობით გლეხიდან ზუსტად ვინ რამდენი ხორბალი მოიწია. უნდა აღინიშნოს, რომ თანდათან, კოლმეურნეობებმა, ისწავლეს ეკონომიკის ანბანი. მოსავლიანობამ იმატა, რაც გლეხობის კმაყოფილებას იწვევდა და სოციალური ამბოხის საფრთხეს სპობდა.

ყოველივე ამის ფონზე, სოფლად კოლექტიური მეურნეობების შექმნა, ფართომასშტაბიან რეპრესიებთანაც იყო დაკავშირებული. კულაკობის უდიდესი ნაწილი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, ციხეებში გამოკეტეს, ან ციმბირში გადაასახლეს. ვინც რეპრესიებს გადაურჩა, თვითონ მიატოვეს მშობლიური სოფლები და ქვეყნის სხვადასხვა ადგილას გადაიხვეწნენ. კულაკების კუთვნილი მიწის, გამწევი პირუტყვისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კოლმეურნეობების ხელში გადასვლამ, კიდევ უფრო რენტაბელური გახადა კოლმეურნეობები.

საბოლოო ჯამში, სტალინმა მიაღწია თავის მიზანს. სოფლად გლეხობის 3 ფენიდან ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მორჩილი ერთი ფენა – კოლმეურნე გლეხობა. სახელმწიფომ მიიღო ხორბლის დამზადების მტკიცე გარანტია, ანუ გარანტია იმისა, რომ შეუფერხებლად მოხდებოდა ქალაქის მოსახლეობისა და არმიის გამოკვება. დამზადებული ხორბლის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთში გადიოდა, რაც ვალუტის მიღების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. დაბოლოს, სოფლად სოციალური ამბოხის დაწყების მიზეზები აღარ არსებობდა.

იოსებ სტალინის აგრარულმა რეფორმამ, ქვეყანა კონკრეტულ ვითარებაში იხსნა დიდი განსაცდელისგან. მიუხედავად ამისა, ეს არ იყო რეფორმა, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაფუძნებოდა ქვეყნის ეკონომიკა. ის, როგორც დროებითი და საგანგებო ღონისძიება, აუცილებლად საჭიროებდა შემდგომ განვითარებას და სრულყოფას. ეს კი, სტალინის პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# რა კავშირშია დაბადების წელი ადამიანის თვისებებთან

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***ასტროლოგიური თვალსაზრისით, დაბადების წელს ადამიანის სექსუალურობასა და კარიერულ წინსვლასთან პირდაპირი კავშირი აქვს.***

აღმოსავლური ასტროლოგიის თანახმად, ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველები **ვირთხის**, **მაიმუნისა და გველეშაპის** წლებში დაბადებული ადამიანები არიან. ისინი საპირისპირო სქესს სასიყვარულო-რომანტიკული საიდუმლოებებით აჯადოებენ და ახვევენ თავბრუს. მათ შესწევთ უნარი, თავი დააკარგვინონ სასურველ ადამიანს და თავის ჭკუაზე ატარონ. აგრეთვე, შეუძლიათ, თავადაც ჩაიდინონ სიგიჟეები სიყვარულის გამო, თუმცა, მათი სასიყვარულო ურთიერთობა ინტიმურ-სექსუალურ გაგრძელებას ყოველთვის არ ითვალისწინებს. ამ წლებში დაბადებული ადამიანები ლოდინის ტაქტიკას მიმართავენ და არ უყვართ ურთიერთობებში სისწრაფე. ხშირად უპირატესობას პლატონურ სიყვარულს ანიჭებენ. არიან გონიერები და აზროვნებენ საღად. მათ მატერიალური კეთილდღეობა და სიმშვიდე სჭირდებათ. აღელვებთ ახლობლების მდგომარეობა და პრობლემები. თუ სიმშვიდეს ვერ მოიპოვებენ, აგრესიულები და ფეთქებადები ხდებიან. ვირთხის, მაიმუნისა და გველეშაპის წლებში დაბადებული ადამიანები, ასევე, კარგი მეოჯახეები არიან.

**ვეფხვის, ცხენისა და ძაღლის** წლებში დაბადებული ადამიანები არიან ძალიან რომანტიკულები, ნებისყოფიანები და მეოჯახეები. გამოირჩევიან კარგი გარეგნობითა და დახვეწილი მანერებით. აქვთ სხარტი გონება და განვითარებული ინტელექტი, რაც მათ ყველა სფეროში ეხმარებათ. ხშირად რჩებიან მარტო და ვერ იტანენ წინააღმდეგობებს. არასდროს კმაყოფილდებიან მიღწეულით და წინ იხედებიან. სასიყვარულო სფეროში მეტად ვნებიანები არიან. არ არის გამორიცხული, სანამ სასურველ შედეგს მიაღწევენ, ბევრი წინაღობის, განსაცდელისა და ტკივილის გადალახვა მოუწიოთ, მაგრამ, ბრძოლით მაინც აღწევენ შედეგს.

**ხარის, გველისა და მამლის** წლებში დაბადებული ადამიანები ძლიერი ბუნებით გამოირჩევიან. არიან ნებისყოფიანები, ოღონდ, ცვალებადი ბუნების; შესწევთ იმის ძალა, რომ საყვარელი ადამიანის ყურადღების მოსაპოვებლად ბევრი იბრძოლონ, თუმცა, ამის გამო ხშირად ცდებიან, რადგან, ველარ ამჩნევენ თავიანთი რჩეულის ცუდ თვისებებს, ნაკლოვანებებსა და მძიმე ხასიათს. უყვართ ლიდერის პოზიციაში ყოფნა და საკუთარ თავზე პასუხსიმგებლობის გაუაზრებლად აღება, რის გამოც ხშირად უწევთ კამათი გარშემო მყოფებთან. ამ წლებში დაბადებული ადამიანები ადვილად ახერხებენ, იყვნენ წარმატებულები როგორც კარიერაში, ისე სასიყვარულო სფეროში, მათი უმრავლესობა კი ყოველთვის აღწევს დასახულ მიზანს.

**კატის, თხისა და ტახის** წლებში დაბადებული ადამიანები დამოუკიდებლობით გამოირჩევიან. ისინი ხშირად ამოუცნობები არიან გარშემო მყოფთათვის. ახასიათებთ გარეგნული სიმშვიდე, მისტიკური აზროვნება, შეუპოვრობა და საპირისპირო სქესთან ბატონობის უნარი. ისინი ბუნებით თავისუფლები არიან და არ უყვართ, როცა საყვარელი ადამიანი რამეს უკრძალავს. ამ წლებში დაბადებულები გამოირჩევიან სექსუალურობითა და თბილი ბუნებით. შეუძლიათ საყვარელი ადამიანის გამო მსხვერპლზე წასვლა, ასევე, სრული ჰარმონიის დამყარება როგორც სულიერ, ისე ინტიმურ სფეროში. კარიერაში დიდი ძალისხმევით აღწევენ წარმატებებს და ამ დროს შესწევთ უნარი, მოთოკონ პირადი გრძნობები.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 5 აგვისტოს, დილის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა და იქ ძალების მოსინჯვა. გთხოვთ, მითხრათ, განსაკუთრებით რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და რომელ სფეროში მელის წარმატება?**

**პასუხი**: გეტყვით, რომ თქვენთვის უცხოეთში ძალების მოსინჯვა ნამდვილად ღირს და წარმატების მომტანიცაა. ქვეყნებიდან კი კარგია: ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, პორტუგალია. რაც შეეხება პროფესიებს, თქვენთვის მისაღებია: გასართობი ინდუსტრია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ადმინისტრაციული საქმიანობა, სამასაჟო საქმე, დიზაინი, არქიტექტურა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2001 წლის 28 აგვისტოს, ღამის 2-დან 3 საათამდე. რომელი სფერო აირჩიოს სამომავლოდ, რომ წარმატებებს მიაღწიოს?**

**პასუხი**: მისთვის კარგია შემდეგი პროფესიები: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო, კომერციული საქმიანობა, პედაგოგიკა, საინჟინრო საქმე.

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 1999 წლის 24 მაისს, ღამის საათებში. რომელი პროფესიებია მისთვის წარმატების მომტანი? ასევე, გვაინტერესებს, უცხოეთის რომელ ქვეყნებში ურჩევთ გამგზავრებას და ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ჯობია, შექმნას ოჯახი?**

**პასუხი**: მისთვის მისაღებია ურთიერთობა ისეთ ასტროლოგიურ ნიშნებთან, როგორებიცაა: ლომი, კირჩხიბი, სასწორი ან ვერძი. უფრთხილდეს მერწყულს. უცხოეთი მისთვის საშუალოა, ქვეყნებიდან კი უმჯობესია: ჩეხეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, შვეიცარიის დასავლეთი მხარე, იტალიის ჩრდილო ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – კალიფორნიის შტატი, ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ისლანდია, მექსიკა, ლიტვა, საბერძნეთი, ბოლივია, ინდოეთი, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, სირია, ალბანეთი და მაკედონია. მოერიდოს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: რუსეთი, პოლონეთი, ჩილე, ნიკარაგუა, კოლუმბია, სლოვაკეთი, ეთიოპია, კანადა და ფინეთი. დანარჩენი ქვეყნები კი საშუალოა. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის მისაღები და წარმატების მომტანია: სტომატოლოგია, პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, სახელმწიფო ზემაღალ სტრუქტურებში ორგანიზატორული საქმიანობა, იურისპრუდენცია, საიუველირო საქმიანობა ან ბიზნესი, დიზაინი, მოდელირება, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, სადალაქო სფერო, სამასაჟო საქმე, ჟურნალისტიკა, გასართობი ინდუსტრია, საგამომცემლო საქმიანობა, პოლიტიკის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული სავაჭრო საქმიანობა და მშენებლობა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სფეროში მას წარმატებების დიდი შანსი აქვს.

**კითხვა: დავიბადე 1984 წლის 27 თებერვალს. გთხოვთ, მითხრათ, რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, გამოავლინოთ ხასიათში ისეთი შტრიხები, როგორიცაა: აქტიურობა, ენერგიულობა, კომუნიკაბელურობა, ოპტიმიზმი, გულღიობა; უშიშარი მებრძოლის სულისკვეთება. იყავით იუმორით აღსავსე, ოპტიმისტი; დაეყრდენით ცოდნის ბაზას; იყავით დემოკრატიული პრინციპების გამტარებელი; შეძელით ნოვატორული, რეფორმატორული ტენდენციების გამოვლენა, სპონტანური იმპროვიზაციები, ორიგინალური თვითგამოხატვა, არასტანდარტული მოქმედება და ურთიერთობების დროს დაეყრდენით უანგარო პრინციპებს. ეს თქვენთვის წარმატების მომტანიცაა და ამით კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ დედამიწაზე.

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

11 ივნისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

12 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად..."** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

14 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

15 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

### ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

14 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21**

10, 15 ივნისი, **სამშაბათი, კვირა** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

13 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

14 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

### სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

12 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ტროელი ქალები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დათა თავაძე. მონაწილეობენ: ნატუკა კახიძე, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

### გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

13 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

14 ივნისი, **შაბათი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

15 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

### ილიაუნის თეატრი
**ი. ჭავჭავაძის გამზირი №32.**
**ტელ.: 229-47-15.**

12 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ქალას ჩიტი მომკვდარიყო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი დავით ანდღულაძე. მონაწილეობენ: თორნიკე ბაბუხადია, მარიამ ამაშუკელი, თორნიკე ჩეკურიშვილი, კახა ლოსაბერიძე, ხატია ბრაჭული, მირიან გოცირიძე, ნათია იბიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

13 ივნისი, **პარასკევი** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს?!"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

14 ივნისი, **შაბათი** 20.00 - **„ანტიგონე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი გაგა გოშაძე. მონაწილეობენ: თამთა ნავროზაშვილი, გია როინიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, მაკა ძაგანია, თამარ მაყაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, ანდრია ვაჭრიძე. ტრაგედია 1 მოქმედებად; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

15 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„ულეტის ღმერთი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი დავით ჭაბაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ნატა ბერეჟიანი, გიორგი ბოჭორიშვილი, მაია ხორნაული. შავი კომედია 1 მოქმედებად; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

### საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

10 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„ტერენტი გრანელი - მთვარისკენ ნასროლი მიხაკი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

13 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„ფსევდოკიოზის"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ლუკა ჩხაიძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი.***

## ორშაბათი 9 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.20 "ტელებლოგი" 15.00 დ/ფ "ოქროს ხანა კინომუსიკაში" 17.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 18.00 ტ/სერ. "**სიყვარულის კოცნა**" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 "გზა ბრაზილიისაკენ" მე-11 ეპიზოდი: **საბერძნეთი/კორეა** მე-12 ეპიზოდი: **ხორვატია/კოლუმბია** 22.00 სატელევიზიო დებატები (პ/რ) 23.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) 00.30 მხ/ფ "**თეთრი ბურუსი**" 02.20 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურის-მაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 21.00 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 მხ/ფ "**დევნილი**" (ბ.დელ ტორო) 00.00 მხ/ფ "**მომაკვდინებელი სიცხე**" (ს.ფერილი) 02.00 მხ/ფ "**მეგობრები ბავშვებთან ერთად**" (ჯ.უესტფელდი).

06.30 სერ."**ვარდისფერი ბრილიანტი**" 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**საპრა**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 X - ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 04.00 სერ. "**არ დამივიწყო**".

06.10 ქვიშით ნაამბობი 06.30 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.55 მხ/ფ "**მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" 13.20 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 საუფლონი – სულითა და სისხლითა. 15.45 სპექტაკლი - **ძველი ვოდევილები** 17.35 ეთნოგრაფიული ჩანახატი 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**სხვისი შვილები**" 20.40 ძილი ნებისა 21.20 პატერიკი 21.25 სახლი ღვთისა 21.40 დ/ფ "მატჩის დირიჟორი" 22.25 დ/ფ "ოსტატები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ჯიხეთი - დედათა მონასტერი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.25 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.45, 17.45, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30, 12.35, 13.02 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 13.30 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50 "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 ბრძოლა წესების გარეშე 0.10 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## სამშაბათი 10 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 მხ/ფ "**გაგიჟებული**" 17.00, 18.00 ტ/სერ. "**სიყვარულის კოცნა**" 19.15 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 21.00 "გზა ბრაზილიისაკენ" მე-13 ეპიზოდი: **პორტუგალია/ჰონ-დურასი** 14 ეპიზოდი: **მექსიკა/განა** 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ფ "**დაპირება არ ნიშნავს დაქორწინდე**" 01.00 "დღეს" (გ/ჩვ.).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ." "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50 19.05 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 21.00 სერ."**შავი ვარდი**" 22.00 თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო 00.00 მხ/ფ "**ჰოლივუდური ფინალი**" (თ.ლეონი) 02.10 მხ/ფ "**დევნილი**" (ბ.დელ ტორო).

06.30 სერ."**ვარდისფერი ბრილიანტი**" 07.30 დილა მშვიდობისა საქართ-ველო 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**საპრა**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 00.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. 04.00 სერ. "**არ დამივიწყო**".

06.10 სპექტაკლი - **ძველი ვოდევილები** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დ/ფ "მატჩის დირიჟორი" 10.55 დ/ფ "ჯიხეთი - დედათა მონასტერი" 11.35 პატერიკი 11.40 სახლი ღვთისა 12.10 მხ/ფ "**სხვისი შვილები**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 დ/ფ "კინო და წლები" I ნაწ. 16.20 კონცერტი - ვიოლინოსა და ორკესტრისათვის 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.25 მოკ./ფ "**ფეოლა**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი - ლომისობა - ასმათ ოქროპირიძე 23.35 დ/ფ "დატყვევებული გონიერი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 7.45 "უცნობი ისტორიები" (გამ.) 8.10 "ურბანსპორტი"(გამ.) 8.25 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში"(გამ.) 8.45, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.35, 13.02, 1.20 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.30 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.02 სერიალი ,,დაკარგული ქალაქი" 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე ნათია გამცემლიძესთან ერთად" 23.30, SV 11 მაესტროზე 0.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 3.20 თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე ნათია გამცემლიძესთან ერთად" (გამ.).

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**9 – 15 ივნისი**

*დარბაზი 1*

12.00, 20.00, 22.30 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
14.00, 16.00, 18.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.15 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
22.30 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 3*

11.45, 22.30 - **„გოძილა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
14.30, 19.40 - **„X ადამიანები: მომავლის განვლილი დღეები"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
17.30 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.40 - **„მძარცველი ციყვები: ოპერაცია თხილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*
17.10 - **„X ადამიანები: მომავლის განვლილი დღეები"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
20.10 - **„სხვა ქალი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
22.30 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 22.30 - **„X ადამიანები: მომავლის განვლილი დღეები"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
14.45 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
17.30 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
20.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
18.00, 20.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
22.30 - **„მონაკოს პრინცესა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„მძარცველი ციყვები: ოპერაცია თხილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*
15.00, 17.00, 19.30 - **„მონაკოს პრინცესა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
22.30 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.30 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
15.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
17.15 - **„გოძილა"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*
20.00 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
22.30 - **„X ადამიანები: მომავლის განვლილი დღეები"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცის „ბაბკა“ ყველით





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი შერეული ფარში, 2-3 კბილი ნიორი, 1 თავი დიდი ზომის ხახვი, 2 ცალი კვერცხი, 2 ჩაის კოვზი მდოგვი, 100 გრამი ფხვიერი ყველი, 4 სადილის კოვზი საფანელი, 300 გრამი ბეკონი, შავი პილპილი, მარილი, 3 სადილის კოვზი ზეთი (2 სადილის კოვზი ხახვის მოსაშუშად; 1 სადილის კოვზი ფორმაზე წასასმელად), ნახევარი კიტრი და ნახევარი პომიდორი – მოსართავად.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით კუბიკებად და მოშუშეთ ზეთში. ფარშში ჩაუმატეთ დანაყილი ნიორი, მოშუშული ხახვი, კვერცხი, საფანელი, მარილი, შავი პილპილი და მდოგვი. აურიეთ ძალიან კარგად. ყველი დაჭერით კუბიკებად. დაუმატეთ ფარშს. აურიეთ. გამოსაცხობ ფორმას წაუსვით ზეთი და ფსკერზე ჩააფინეთ ბეკონის ნაჭრები. შეავსეთ ფორმა ფარშით. ბეკონის ნაჭრების ბოლოები გადმოაფარეთ ფარშს. გამოაცხვეთ 180 გრადუსზე 50 წუთის განმავლობაში. შემდეგ ფორმა გადმოაბრუნეთ მეორე ფორმაზე და აცხვეთ კიდევ 20 წუთის განმავლობაში, კარგად უნდა დაიბრაწოს. მოამზადეთ მოსართავად დაჭრილი კიტრი და პომიდორი. კიტრი ცალ მხარეს ჩაჭერით. პომიდვრისგან გააკეთეთ ყვავილები. ნახევრამდე გადააცალეთ კანი თითოეულს. ამ ბოსტნეულით მორთეთ თქვენი „ბაბკა“ და მიირთვით. ცივიც გემრიელია და თბილიც.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# ჩიზქეიქი „ალასკა“


















**საჭირო ინგრედიენტები:** 450-500 გრამი ორცხობილა, 150 გრამი კარაქი, 500 გრამი ხაჭო, 15-20 გრამი ჟელატინი, 1,5 ჭიქა შაქარი, 300-400 გრამი ცხიმიანი ნაღები, 1 ქილა ნებისმიერი მურაბა, 4 ცალი კვერცხის ცილა, 1 სადილის კოვზი კარტოფილის ფქვილი.

**მომზადების წესი:** ორცხობილა დაფხვენით. დაუმატეთ დარბილებული კარაქი. აზილეთ კარგად. ნახევარსფეროსებრ ფორმაში ჩააფინეთ პერგამენტის ქაღალდი. თხელ ფენად გაშალეთ მასზე ორცხობილას ცომი და ცოტა მოიტოვეთ. ჟელატინი მოამზადეთ ისე, როგორც ეს ინსტრუქციაშია მითითებული. ერთად ათქვიფეთ ხაჭო და შაქარი. დაუმატეთ ნაღები და ჟელატინი, თან თქვიფეთ. შეურიეთ მურაბა. უკეთესია ცოტა მჟავე არომატით (ალუბალი, შინდი...). შეგიძლიათ, ასევე შეურიოთ ცოცხალი კენკრა. ეს „კრემი“ მოათავსეთ ფორმაში ბისკვიტზე. მორჩენილი ცომი კარგად გააბრტყელეთ, გაათხელეთ და გადააფარეთ კრემს. გადააკარით ცელოფანი და მთელი ღამით მოათავსეთ მაცივარში. დილით გადმოაბრუნეთ და ასე გადმოიღეთ ფორმიდან. შემოხსენით ცელოფნები. ცალკე ათქვიფეთ კვერცხის ცილა შაქართან (70-75 გრამი) ერთად და ჩაუმატეთ 1 სადილის კოვზი კარტოფილის ფქვილიც. უნდა მიიღოთ ძალიან სქელი, „მკვრივი“ ქაფი. წაუსვით ზემოდან და უცებ მოათავსეთ ცხელ აირღუმელში 250 გრადუსზე, 4-5 წუთი და მზად არის.

# ბივსტროგანოვი დათო როსტომაშვილისგან





*ჩემთვის მთავარია, კერძი ძალიან გემრიელი იყოს. გურმანი ვარ და მიყვარს ხარისხიანი, გემრიელი საკვები.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ძროხის ხორცი, 2 თავი ხახვი, ნახევარი ჩაის კოვზი შავი პილპილი, 20 გრამი ოხრახუში და ამდენივე კამა, 250 გრამი არაჟანი, 40 მილილიტრი ზეთი, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, 30 გრამი ფქვილი.

**მომზადების წესი:** ძროხის ხორცი დაჭერით 1,5-2 სანტიმეტრი სისქის გრძელ ნაჭრებად, ხახვი – რგოლებად და მოშუშეთ ზეთში. ხახვი რომ მზად იქნება, დაუმატეთ ხორცი, მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი. დაბრაწეთ კარგად მაღალ ცეცხლზე 5-6 წუთის განმავლობაში. როცა კარგად შეწითლდება, დაუმატეთ ფქვილი, აურიეთ და კიდევ 2-3 წუთი გააჩერეთ დაბალ ცეცხლზე. ამის შემდეგ, ხორცს მოასხით არაჟანი. ადუღეთ ორი წუთი და უგემრიელესი კერძი მზად არის.

# „ოკროშკა“ ბავშვობიდან





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ლიტრი ბურახი, 1 ლიტრი კეფირი, 5 ცალი მოხარშული კვერცხი, 4 ცალი კიტრი, 400 გრამი სოსისი, 30 გრამი კამა, 30 გრამი ოხრახუში, 70 გრამი მწვანე ხახვი, 7 ცალი მოხარშული კარტოფილი, 2-3 ჩაის კოვზი გახეხილი პირშუშხა, 20-პროცენტიანი ცხიმიანობის არაჟანი. მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კიტრი დაჭერით. ასევე, დაჭერით სოსისი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ მოხარშული ხორციც), კვერცხი, კარტოფილი, კამა, ოხრახუში და ხახვი. ამ ყველაფერს დაასხით ბურახი, კეფირი და აურიეთ. უყავით მარილი და გახეხილი პირშუშხა. კიდევ აურიეთ და გაანაწილეთ ჯამებში. მიირთვით არაჟანთან ერთად. უგემრიელესია და საკმაოდ პიკანტური.



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# ვიტამინების „სმუზი"

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი ჟოლო, 1 ცალი ფორთოხალი, 100 გრამი ანანასის რბილობი, 1 ცალი კივი, ნახევარი ბანანი, 1 ცალი პატარა ვაშლი, რამდენიმე ცალი სალათის ფოთოლი, 3 ღერი ოხრახუში, 150 მილილიტრი რძე.

**მომზადების წესი:** ფორთოხალს მოაცალეთ თეთრი კანი და დაჭერით, დაუმატეთ გაფცქვნილი და დაჭრილი ვაშლი, ანანასი, ბანანი, კივი, სალათის ფოთლები, ოხრახუში, რძე, ბლენდერით ათქვიფეთ და ჩაასხით ჭიქაში. ცალკე 1 სადილის კოვზ წყალთან ერთად ათქვიფეთ ჟოლო და ზემოდან მოასხით ვიტამინებით სავსე ხილის სასმელს.



# ქათმის სალათა ზეთისხილითა და კიტრით



**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი, 1 სადილის კოვზი ზეთი, 1 ცალი კიტრი, 1 თავი ხახვი, 2 ცალი მოხარშული კვერცხი, 100 გრამი შვეიცარული ყველი, 0,5 ჭიქა უკურკო ზეთისხილი, 250 გრამი მაიონეზი.

**მომზადების წესი:** ქათმის ხორცი შეწვით და პატარა ნაჭრებად დაჭერით, ზეთისხილი – რგოლებად, კიტრი და ხახვი კი – წვრილად. მოხარშული კვერცხი სახეხზე გახეხეთ და ინგრედიენტი ერთმანეთში აურიეთ; მოასხით მაიონეზი ზემოდან და დააწყვეთ წვრილ ჩხირებად დაჭრილი ყველი.

# მარწყვის ნამცხვარი იტალიურად

**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 ჭიქა ფქვილი, 1,5 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი ფხვნილი, 1,4 ჩაის კოვზი მარილი, 1 ჩაის კოვზი დარიჩინი, 6 სადილის კოვზი დარბილებული კარაქი, 1/4 ჭიქა შაქარი, 2 კვერცხი, 2 სადილის კოვზი თბილი რძე, 1,5 ჭიქა მარწყვი, ათქვეფილი ნაღები – სურვილისამებრ.

**მომზადების წესი:** ღუმელი გააცხელეთ 180 გრადუსამდე. თასში ერთმანეთში აურიეთ ფქვილი, დარიჩინი, გამაფხვიერებელი ფხვნილი და მარილი. ცალკე ათქვიფეთ კარაქი და შაქარი და დაუმატეთ კვერცხი და თბილი რძე. კვერცხისა და კარაქის მასას შეურიეთ მშრალი ინგრედიენტები. ფორმას წაუსვით ცხიმი და მთელ სიბრტყეზე მოათავსეთ ცომი. მარწყვები გაჭერით შუა-შუა და დააწყვეთ ცომზე. აცხვეთ 30-35 წუთის განმავლობაში. მიირთვით ათქვეფილ ნაღებთან ერთად.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 11 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "სამოთხის ვაშლები/ 15.20 "გურმანია" 17.00, 18.00 ტ/სერ. **"სიყვარულის კოცნა"** 19.15 "ჩვენი ეზო" 21.00 "გზა ბრაზილიისაკენ" მე-15 ეპიზოდი: **ინგლისი/ავსტრალია 16** ეპიზოდი: **კოტდივუარი/ესპანეთი** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"ბონი და კლაიდი"** 01.20 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა. 10.05 სერ." **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ.**"შავი ვარდი"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY – სასწრაფო დახმარება 00.40 მხ/ფ **"კაშკაშა ვარსკვლავი"** (პ.შნაიდერი).

06.30 სერ.**"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.**"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ.**"საპრა"** 18.55 სერ.**"ტიტების დრო"** 20.00 სერ.**"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 კიმონო 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ.(ტიტ.) 04.00 სერ.**"არ დამივიწყო"**.

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დ/ფ "კინო და წლები" I ნაწ. 07.35 დ/ფ "დატყვევებული გონიერი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ./ფ. **"ფეოლა"** 13.25 ქვიშით ნაამბობი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.20 კონცერტი - ანს. **"ალილო"** 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.35 მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი - მცხეთის ჯვარი - ასმათ ოქროპირიძე 23.45 ქვიშით ნაამბობი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 გადაცემა "ID"(გამ.) 8.15 SV 11 მაესტროზე (გამ) 8.45, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 12.35, 13.02, 1.20 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.30 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 ბრძოლა წესების გარეშე 0.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 12 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.20 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 15.20 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.00, 18.00 ტ/სერ. **"სიყვარულის კოცნა"** 19.30 "შემოძახილი" 21.00 დიდი ფეხბურთი პირველზე: **"ბრაზილია – 2014"** I გადაცემა (პ/რეპ) 23.50 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **ბრაზილია – ხორვატია** (პ/რეპ) 02.00 "ბრაზილია – 2014" 03.00 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა. 10.05 სერ." **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ.**"შავი ვარდი"** 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 "ვიქტორიას სიკრეტის ფეშენ შოუ 2013" 01.10 მხ/ფ **"კაშკაშა ვარსკვლავი"** (პ.შნაიდერი).

06.30 სერ.**"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.**"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ.**"საპრა"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ.**"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.00 თბილისი ლაივ 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.) 04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.45 ჩვენი ფონდი - ლომისობა - ასმათ ოქროპირიძე 07.00 დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "კაბადოკიის წმინდა ქვები" 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"წარსული ზაფხული"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.20 დ/ფ "კინო და წლები" II ნაწ. 16.30 კონცერტი -ლუჩანო პავაროტი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ. **"ნუ მოიწყენთ შემოდგომისას"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" 22.25 დ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "გარდამოხსნა" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.25 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.45, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.35, 13.02, 1.20 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.30 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე. 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.50, "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე ნათია გამცემლიძესთან ერთად" 23.30 ბრძოლა წესების გარეშე 0.00 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 3.20 თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე"ნათია გამცემლიძესთან ერთად" (გამ.).

## პარასკევი 13 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "სპექტაკლის დრო" – **"ეზოში ავი ძაღლია"** 17.00 დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" 17.30 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 19.50 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **მექსიკა – კამერუნი** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" მე-3 გადაცემა (პ/რეპ) 22.50 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **ესპანეთი – ჰოლანდია** (პ/რეპ) 01.00 "ბრაზილია – 2014" მე-4 გადაცემა (პ/რეპ) 01.50 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **ჩილე – ავსტრალია** (პ/რეპ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 21.00 სერ.**"შავი ვარდი"** 22.00 თოქ შოუ – რეაქცია 00.00 მხ/ფ **"ანგარიშსწორების დრო"** 01.55 მხ/ფ **"ცეცხლოვანი ველი"** (ჯ.კორბეტი) (ტიტ.).

06.30 სერ.**"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.**"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ.**"საპრა"** 18.55 სერ.**"ტიტების დრო"** 20.00 სერ.**"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 მთავარი თემა 22.30 ქერის უბანი 23.00 ვანოს შოუ 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ. 04.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** ქვიშით ნაამბობი **06.45** დ/ფ "კინო და წლები" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "გარდამოხსნა" **10.05** სახლი ღვთისა **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. "**ნუ მოიწყენთ შემოდგომისას**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდ ხარ შენ, უფალო **15.20** დ/ფ "კინო და წლები" III ნაწ. **16.30** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.15** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ლელოს შემობრუნება" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) (გამ.) **8.10** გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) **8.45, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03** სერიალი **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.35, 13.02, 1.20** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.30** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02 სერიალი "დაკარგული ქალაქი"** **17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **18.25, 0.20,** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.50,** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** ბრძოლა წესების გარეშე **0.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** **1.00** ბრაზილია-**2014** პ/ე.

## შაბათი 14 ივნისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. ან "ჭიანჭველების რისხვა" **09.30** საბ. მხ/ფ "**იქ სადაც მონსტრები ცხოვრობენ**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** "მხიარული სტარტები" **13.30** "მეხსიერება" **14.00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **ჩილე – ავსტრალია** **16.30** "გურმანია" **17.00** "ეტალონი" **18.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **19.50** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **კოლუმბია – საბერძნეთი** (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" **22.50** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **ურუგვაი – კოსტარიკა** (პ/რეპ) **01.00** "ბრაზილია – **2014**" **01.50** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **ინგლისი – იტალია** (პ/რეპ) **04.00** "ეტალონი" (გ/ჩვ) **04.50** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **კოტდივუარი – იაპონია** (პ/რეპ).

**07.15** ან/ფ "სპანჯბობი" **07.45** მხ/ფ "**მითი**" **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ვაკანსია **12.00** სერ."**მერლინი**" **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.50** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.50 19.05** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **21.00** სერ."**შავი ვარდი**" **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ადრენალინი **23.40** იდენტიფიკაცია **00.00** მხ/ფ "**მტრის საწოლში**" (პ.ბერჯინი) **01.45** მხ/ფ "**ანგარიშსწორების დრო**" (ს.გუბანოვი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **09.55** ანიმაცია **10.00** კომედი შოუ (კვირის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **15.30** X - ფაქტორი (გ/ჩ) **18.55** სერ."**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** აქცენტები **22.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.00** შვიდგზის ლოცვა **06.20** დ/ფ "კინო და წლები" III ნაწ. **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **11.00** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" **13.35** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** დიდ ხარ შენ, უფალო **15.20** ოპერა - მოცარტი "**რექვიემი**" დირ. კლავდიო აბატო **17.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **18.10** მოკ./ფ. "**სამი ამბავი ტელეფონით**" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექსით ქებათა ქება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** დ/ფ "ღირსი მამა ალექსი შუშანია" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ"ზოროს ნიღაბი" I სერ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **8.10** იუმორისტული შოუ -"**4X4**" (გამ.) **9.10, 11.00, 13.10, 15.30, 19.00 სერიალი "თანაგრძნობა"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 2.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 0.45** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **18.30** "უცნობი ისტორიები" **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.30** გადაცემა "ფული და სურვილები" **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** "თქვენი გადახდილია" **23.30,** SV **11** მაესტროზე **0.00, 1.00** ბრაზილია-**2014** პ/ე **2.20** გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) **2.40** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი).

## კვირა 15 ივნისი

**08.00** საბ. ან "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" **10.00** საბ. ან/ფ "**სუპერმენი და ბეტმენი-აპოკალიფსი**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **ინგლისი – იტალია** (გ/ჩვ.) **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **171**-ე გადაცემა **17.00** მხ/ფ "**ისევ 17**" **19.50** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **შვეიცარია – ეკვადორი** (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – **2014**" (პ/რეპ) **22.50** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **საფრანგეთი – ჰონდურასი** (პ/რეპ) **01.00** "ბრაზილია – **2014**" **01.50** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: **არგენტინა – ბოსნია** (პ/რეპ).

**07.15** ან/ფ "სპანჯბობი" **07.45** მხ/ფ "**სახლში მარტო დარჩენილი 3**" **10.10** ადრენალინი (გ/ჩ) **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.30** ცეკვავენ ვარსკვლავები **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** მხ/ფ "**წინასწარმეტყველი**" (ჯ.მური) **00.00** მხ/ფ "**მეომარი**" (ჯ.რუსო).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.25** ანიმაცია **10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** განსხვავებული აქცენტები (გ/ჩ) **13.00** კიმონო (გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** სერ."**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ "**ცისკარა**" **13.20** ქართ. მულტფილმი **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ "**ცისფერი მთები**" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "რაზიკაშვილები" **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ "**ზოროს ნიღაბი**" II სერ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **8.20** "თქვენი გადახდილია "(გამ.) **8.50** SV **11** მაესტროზე (გამ.) **9.20, 11.00, 13.25, 15.30, 20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55,** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 0.00, 4.35** გადაცემა "ID" **13.10, 2.15** გადაცემა "ურბანსპორტი" **14.55, 17.55** კვირის აზრები **18.30** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") **19.00** სერიალი "თანაგრძნობა" **21.00, 2.35** ვახო სანაიას რეპორტაჟი პ/ე **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.35** იუმორისტული შოუ -"4X4“ **23.45** "აბების" კვირის ანეკდოტები **0.30** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი")გამ. **1.00** ბრაზილია-**2014** პ/ე.



### ვერძი

იყავით კონსერვატორი, რათა ადვილად მიაღწიოთ წარმატებებს საქმეებში. კარგია უცხოელებთან კონტაქტი. არ არის გამორიცხული, ახალი შემოთავაზებებისა და წინადადებების წინაშე აღმოჩნდეთ. გაიზრდება შემოსავლები და გაუმჯობესდება სიტუაცია ოჯახში. თავი შეიკავეთ კრედიტების აღებისგან. კარგია დასვენება.



### კურო

კარგია ჯგუფურად მუშაობა, რადგან ეს უფრო შედეგიანი იქნება. ფრთხილად შეარჩიეთ სიტყვები მეგობრებთან ურთიერთობისას. უეცარი მივლინება კარგ პერსპექტივებს გიქადით. იყავით მეტად ყურადღებიანი და ტაქტიანი.



### ტყუპები

გაძლიერდება ინტუიცია და მოიმატებს ენერგია. სამსახურში საქმეების ადვილად დასრულება კარგ შემოსავალს გპირდებათ. არ არის გამორიცხული, ახალი სამსახურიც შემოგთავაზონ. იყავით კომუნიკაბელური და შემართული. კარგია გადაადგილებები. საყვარელ ადამიანთან დასვენება სასიამოვნოდ ჩაივლის.



### კირჩხიბი

იმოქმედეთ წინდახედულად და ნუ დაარღვევთ წესებსა და კანონებს. მეტი ყურადღება მიაქციეთ მატერიალურ პრობლემებს. ახალი ინფორმაცია გადაუმოწმებლად არ გამოიყენოთ. ნუ ენდობით ახალგაცნობილ ადამიანებს. პირადი პრობლემების გადაჭრაში მეგობრები დაიხმარეთ. მეტად გულახდილი იყავით თქვენს რჩეულთან. არ ვარგა გადაადგილებები და მოგზაურობა.



### ლომი

სასიკეთო პერიოდია როგორც პირადი, ასევე, კარიერული წინსვლისთვის. თავს ენერგიულად იგრძნობთ. პროფესიონალურ სფეროში ცოტა რისკიც გამართლებულია. ნუ იეჭვიანებთ საყვარელ ადამიანზე, რათა სიტუაცია არ დაძაბოთ და ეს არ გახდეს დაშორების მიზეზი.



### ქალწული

ოჯახის წევრების მიმართ ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და მომთხოვნი. მეგობრები ადვილად მოგიგვარებენ ფინანსურ პრობლემებს. მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას, საყვარელ ადამიანთან კი იყავით მეტად თბილი და გულღია.



### სასწორი

კარგია ახალი საქმეების, გეგმებისა და მიზნების დასახვა. ნუ იქნებით გარშემო მყოფების მიმართ უნდობი. იმდენად გამძაფრდება სასიყვარულო შეგრძნებები, რომ გაგიჭირდებათ სერიოზული პრობლემების დანახვა და გადაჭრა. ფრთხლად იყავით მოგზაურობის დროს.



### ღრიანკალი

ეს პერიოდი დამატებით შემოსავალს და პერსპექტივებს გპირდებათ. კარგია ვარჯიშების დაწყება. მოქმედებებისას ნუ აჩქარდებით და ნუ მიიღებთ იმპულსურ გადაწყვეტილებებს. საყვარელ ადამიანთან ნუ დაიწყებთ საქმეების გარჩევებს, ნუ გამოიჩენთ ძალდატანებას და ამით ნუ დაძაბავთ სიტუაციას.



### მშვილდოსანი

საქმეში მოერიდეთ იმპულსურობასა და გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს. არ აჰყვეთ პროვოკაციებს. გაგიჭირდებათ ახალი ინფორმაციის ათვისება და ახალი კონტაქტების დამყარება. ეჭვიანობის გამო, შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი მოგივიდეთ. არ გადატვირთოთ ორგანიზმი მძიმე ფიზიკური შრომით.



### თხის რქა

მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს და მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. გაგიადვილდებათ მიზნის მიღწევა. ნუ გარისკავთ ფინანსურ სფეროში. კოლეგასთან კი არ არის გამორიცხული, ახალი სასიყვარულო რომანი წამოიწყოთ, რაც მალევე გახდება განხილვის საგანი. სიფრთხილე გმართებთ მოგზაურობისას.



### მერწყული

უცხოელებთან ურთიერთობაში და ფინანსებთან დაკავშირებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. ეცადეთ, დროულად გამოხატოთ გრძნობები საყვარელი ადამიანის მიმართ. ნუ ენდობით ინფორმაციას, სანამ არ გადაამოწმებთ. ხშირად დაისვენეთ მყუდრო გარემოში და აღიდგინეთ ძალები.



### თევზები

საქმეს მიუდექით შემოქმედებითად. იყავით მეტად თბილი და გამგებიანი. ნუ დატოვებთ უყურადღებოდ ოჯახის წევრების რჩევებს. ახალი ნაცნობობა სასიყვარულო გრძნობებს გაგიღვიძებთ და ხანგრძლივ ურთიერთობაში გადაიზრდება. მოკლე, მაგრამ ხშირი გადაადგილებები დადებითად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 27 ივნისი, 08 სთ: 00 წთ.**

### ორშაბათი

მოერიდეთ ემოციების გამოხატვას. გამახვილდება მგრძნობელობა და სექსუალურობა. კარგია შემოქმედებითი მუშაობა. გადაწყვეტილებების მიღებისას გაითვალისწინეთ პარტნიორებისა და კოლეგების რჩევები და სურვილები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, წითელი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, ოპალი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა. სუსტდება ყელი, თირკმელები, შარდსასქესო ორგანოები, რეპროდუქციული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მისტიკური და შემოქმედებითი დღეა. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, მოგზაურობა, სესხის აღება. კარგია ქველმოქმედება, საჩუქრების გაკეთება. აკონტროლეთ წყენა და შური. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი, ქვებიდან კი – ამეთვისტო, ბრილიანტი, ჰელიოტროპი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია გეგმების დასახვა, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის.***

### ოთხშაბათი

აკონტროლეთ ეჭვიანობა, წყენა, შური და აგრესია. კარგია გარიგებების დადება, სხვების დახმარება. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ფირუზი, ზურმუხტი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია თვითშემეცნება, სამეცნიერო კვლევა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ მსხვილ კაპიტალდაბანდებასა და ძვირად ღირებული ნივთების შეძენა. კარგია ახალი საქმის დაწყება, ინტელექტუალური განვითარება, სწავლა, უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა. ატარეთ წითელი, ცისფერი, ლურჯი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, აკვამარინი, სარდიონი, ნეფრიტი ან იაგუნდი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია იურიდიული საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი, სწავლა, მოგზაურობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა. დაძაბული დღეა, რაც ხელს უწყობს ტრავმებს, ავარიებს, აგრესიას, დეპრესიას, ცდუნებებს, შეცდომების დაშვებასა და ჯანმრთელობის გაუარესებას. ამიტომ, იყავით მეტად ფრთხილი და წინდახედული. მოერიდეთ ვალის აღებას, მშენებლობას, ადგილსამყოფლის შეცვლას. ატარეთ წითელი, იისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, სარდიონი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი ყურადღება დაუთმეთ საოჯახო საქმეებს. მოერიდეთ კონფლიქტებს და ეცადეთ, შეინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა და სასიყვარულო შეხვედრები. ატარეთ კრემისფერი, ყავისფერი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, ოპალი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა, მკურნალობის კურსის დაწყება, იმიჯის შეცვლა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა

კარგია მიწათმოქმედება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, მთებში ლაშქრობა. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, ვაჭრობა, ახალი კავშირების დამყარება. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ახლობლებთან კონტაქტი. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ბროლაძე

ქართველებს გვაქვს ქართული გვარი **გოზალიშვილი**, რომლის ფუძედ გამოყენებულია თურქული სიტყვა – **გოზალ**, რაც ლამაზს ნიშნავს. ამ გვარს ჩამოაშორეს სუფიქსი **შვილი** და დაუმატეს **ოვი**, ანუ, მოყვა რუსულ წნეხში. **გოზალოვებთანაა** დაკავშირებული გვარები – **ბროლაძე** და **წერეთელი**.

გვარი **ბროლაძე** მომდინარეობს საკუთარი სახელიდან – **ბროლა**. გარკვეული ნაწილი **გოზალიშვილებად** მონათლეს – **ბროლაძეებს** კათოლიკობა მიაღებინეს და გვარი **გოზალიშვილებად** უთარგმნეს.

„ბროლაძე ბეჟიტას ჰყავს ძმები – ნინიკა და შოშიტა. მიჰყიდა მამულის ნახევარი დღის ნაფუძარი მიწა, ეს მოხდა 1652 წელს“.

საქართველოში 761 **ბროლაძე** ცხოვრობს: თბილისში – 243, ქობულეთში – 130, მცხეთაში – 82. არიან სხვაგანაც.

### ოთარიშვილი

საგვარეულოს ფუძეა სახელი **ოთარი**, რომელიც წინაპრებს უსესხებიათ არაბულიდან. არაბულად **ოთარ** იგივეა, რაც წამალი, სურნელოვანი, ნელსაცხებელი. **ოთარის** მოფერებითი ფორმაა **ოთია**, აქედან წარმოიშვა გვარები **ოთიაშვილი, ოთინაშვილი, ოთინაძე, ოთაროვი (ოთარაშვილ-ოთარიშვილთა** რუსიფიცირებული ფორმა).

**ოთარიშვილთა** გვარი სათავეს იღებს ბარათაშვილ-გერმანოზიშვილთა საგვარეულოდან. გვარის ათვლა დაწყებულია ოთარ გერმანოზიშვილიდან. კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილი და გერმანოზი იყრებიან და ნიკოლოზის მამის, **ოთარისგან** ჩნდება გერმანოზისშვილ-**ოთარისშვილთა** საგვარეულო. ეს მოხდა 1750-1760-იან წლებში.

გერმანოზიშვილებიდან გაჩნდა გვარი დათუაშვილი. მაშასადამე, მივიღეთ გვარები: ბარათაშვილი – გერმანოზიშვილი – **ოთარიშვილი** – დათუაშვილი – გერმანოზიშვილი – ბახურაული.

**ოთარაშვილების** გვარი გაჩენილია, ასევე, ამილახვართა (ამილახორი) საგვარეულოდან: „ამილახორთა გვარი 4 ძმისგან 4 ნაწილად დანაწილდა. სოფელ ჭალაში მათ შესაბამისად ოთხი გალავანი გაშენდა: შუა სოფელში




– გივიანთი (ციციშვილები), თაყაანთი (თაყაშვილები), ავთანდილაანთი (ავთანდილაშვილები) და **ოთარაანთი (ოთარაშვილები).**

**„ოთარასშვილების** ნაქონი გოგოლაური მამული ანდუყაფარ, ქრისტეფორე და ვახტანგ ამილახორიშვილებმა უბოძეს აზნაურ დათუნა ტარსაიძაშვილს“.

საქართველოში 87 **ოთარიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 26, რუსთავში – 11, თელავში – 7. არიან სხვაგანაც.

### აბესალამაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის სახელი **აბესალომ, აბესალა. „აბესალას** მიწა ესაზღვრებოდა გოგია ქოსაშვილის მიერ ოთარ ყორღანაშვილის მიყიდულ მიწას“ (1688 წელი).

**აბესალამაშვილი-აბესალამიანი** ცხოვრობდნენ დარბასჭალაში, მათი მამული წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს 1537-1538 წელს.

**აბესალამშვილებიდან** იღებს სათავეს შტოგვარი მურადაშვილი.

მურადაი ნასესხებია არაბულიდან და ნიშნავს სურვილს, სასურველს.

„**აბესალამაანთ** ესტატე, იგივე **აბესალამაანთ** მურადაშვილი ესტატე, ძმა **აბესალამაანთ** მურადაშვილ ხოჯინასი“. **აბესალამაანთ** მურადაშვილი ხოჯინა მოიხსენიება 1679-1693 წლებში. ჰყავს ძმა ესტატე. მან მიჰყიდა აშოთან მუხრანის ბატონიშვილს სახლები 1683-1693 წლებში.

**აბესალამაანთ** ყორხმაზასშვილი (საკუთარი სახელიდან – ყორხ-მაზ) ბეჟუამ მიჰყიდა თავის ბიძას ფასინას მამული სახლ-კარით, 1680 წელს.

მურადაშვილი გვხვდება სხვა ქართული გვარიდან ნაყარ შტო-გვარადაც.

ყორხმაზაშვილი დღეს, ფაქტობრივად, აღარ გვხვდება.

საქართველოში 195 **აბესალამაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 103, ონში – 14, რუსთავში – 10. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

(მე-12 გვერდიდან)

თავიდან დამეწყო. უკვე მერამდენედ ვიწყებ ცხოვრებას თავიდან, მაგრამ ეს ბოლო მაინც საშინელი იყო. მერე აღარ მოვინდომე ქირურგობა. იქაც რთული ექსპერტიზაში მოხვედრა, მავნე, მაგრამ საკმაოდ პრესტიჟულ პროფესიად ითვლება. ცოტა ხანს ვმუშაობდი სასწრაფოზე. რამდენიმე შემთხვევა იყო, ვიღაც რომ დაიღუპებოდა და მორგში ხვდებოდა გადაყვანა და ასე აღმოვჩნდი ექსპერტიზაში.

**– და შიში?**

– მე ჩემი ფილოსოფია მაქვს სიკვდილ-სიცოცხლეზე. ეგზისტენციალური თემები ყოველთვის მაინტერესებდა. როდესაც ქირურგიაში ადამიანის შინაგან ორგანოებს ნახულობ, ამას უკვე ეჩვევი და აღარ იღებ იმ გარდაცვლილს, როგორც გარდაცვლილს. ის არის ჩვეულებრივი პაციენტი, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ცოცხალს შეუძლია თქვას, რა აწუხებს. წარმოიდგინეთ, რაც მუშაობის სტაჟმა იმატა ჩემს სპეციალობაში, ჩემმა რწმენამაც იმატა! სულის უკვდავების რწმენამდე მივედი ჩემი სპეციალობით და არა ეკლესიით. სული არსებობს და ამაში ეჭვი აღარ მეპარება.

**– წელან საუბარში თქვით, ყოველთვის ვამაყობდი იმით, რომ ტყუილი დასკვნა არასდროს დამიწერიაო. აქა-იქ ყოველთვის ლაპარაკობდნენ თქვენზე რაღაცას. თქვენამდე არასდროს მოსულა ეს ჭორი?**

– შეიძლება, დამკვეთს სხვა რამ აინტერესებდეს, მაგრამ ვეუბნები: მე შენ ზღაპრებში ვერ გამოგყვები, რისი დასაბუთებაც შემიძლია, იმას დავასაბუთებ. მაგრამ, მე იმისთვის არ ვარ აქ, შენი სურვილი დავაკმაყოფილო. ეს პასუხი ან ასეთი იქნება ან ისეთი. შემიძლია, არ ჩავატარო ექსპერტიზა, მაგრამ დავწერო ის, რაც არ არის, არ შემიძლია. ერთი ექსპერტიზა იყო, სამედიცინო ექსპერტიზას არ ეხებოდა ოღონდ, პირდაპირ ამბობდნენ: აი, თანხა, რომლიდანაც ვიწყებთ ლაპარაკს. ძალიან დიდი უსიამოვნება შემემთხვა იმ საქმეზე. იქ დაიწერა ის, რაც იყო რეალურად. მინისტრის დონეზე იყო გარჩევა: კაი, ფული არა, მაგრამ როგორ არ გავაკეთე ეს საქმე... უკაცრავად, თანხას რომ ასახელებთ არ კითხულობთ ეს იყიდება თუ არა, ჯერ იკითხეთ და მერე დაასახელეთ-მეთქი. რაც დასახელდა, ძალიან დიდი თანხა იყო იმ დროს. ვის არ სჭირდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბედნიერი ვიყავი. ეს არც მკვლელობა იყო და არც სხვა მძიმე დანაშაული. ერთი პიროვნების ქონების მითვისება და ხელმოწერის გაყალბება იყო, თორემ სამედიცინო ექსპერტიზაში ფული არასოდეს არავის შემოუბედია. მე არ ვაკეთებდი ამ ექსპერტიზას, ის დაწესებულება აკეთებდა, რომელსაც მე ხელმძღვანელობდი. მოვიდა ის ადამიანი ჩემთან, ვისაც გაუყალბეს და რას მეუბნება იცით? ჩემი კაცობა იმაზე ჰკიდია, თქვენ სიმართლეს დაწერთ თუ არაო.

**– თქვენს ხელში გაიარა გიორგი სანაიას და კიდევ სხვა ცნობილი გარდაცვლილი ადამიანების ისტორიამ. არანორმალურად მაინტერესებს ის, რაც იცის ექსპერტმა და სხვამ არავინ.**

– გიორგი სანაიას რაც შეეხება, ხელზე დამწვრობა იყო. ძალიან მაფიქრებს დღემდე, ეს რა იყო. კი, მკვლელობა მოხდა, ყველაფერი დამთავრდა, გამოიძიეს, მაგრამ ხელის მტევანზე რა დამწვრობა იყო, ვერ მივხვდი. ამოვიღე კანის პრეპარატი, გავახმაურე, ვილაპარაკე ამის შესახებ, რომ ეს იყო ახალი, სიკვდილამდე მოკლე დროში მომხდარი. მერე ჩემი ხელით წავიღე ამერიკაში, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ჩაიბარეს და სულ კარგად იყავით... ახლა რომ მივიძიოთ, აღარც იარსებებს, ალბათ. მე კი დავწერე დასკვნაში, რომ ეს იყო თერმული ზემოქმედებით, მაგრამ მაინც კითხვის ნიშნად რჩება.

**– გაიხსენეთ შემთხვევა, რომელიც თქვენს მეხსიერებას ისევე ცუდად შემორჩა, როგორც დაჭერის ფაქტი.**

– იყო ასეთი უსიამოვნო შემთხვევა. დილით, ჩვეულებრივ, სამსახურში მივედი. თათბირი გვქონდა, განაწილდა, ვინ რა შემთხვევა უნდა გამოეკვლიოს. ამ დროს ერთ-ერთი ექსპერტი რაღაცას ლაპარაკობს – ის გოგო ექიმი იყოო... დავინტერესდი, შევედი, დავხედე: სახეზე უამრავი დაზიანება ჰქონდა, მუცელი ბასრი იარაღით იყო გაფატრული, მოკლედ, საშინელი მკვლელობა იყო. შევედი კაბინეტში, წავიკითხე ისტორია. სახელი და გვარი რომ წავიკითხე, ცუდად გავხდი. ეს იყო ჩემი ბავშვობის მეგობარი. რომ შევხედე, ვერ ვიცანი, იმდენად შეცვლილიყო. ბუნებრივია, ვთქვი, ამას ხელს ვერ დავაკარებ-მეთქი. საერთოდ, ექსპერტები ახლობელზე არასოდეს ვმუშაობთ. სხვა ექსპერტმა გამოიკვლია. გავიდა დრო. შემოვიდა პრეპარატები, დავიწყე აღწერილობა და ამ დროს ვხედავ, იგივეა. მიკროსკოპის ქვეშ მიდევს მისი გული და ვფიქრობ, მაინც ვერ ავცდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მას ველაპარაკებოდი: რატომ უნდა მომხდარიყო ასე, რომ შენს გულში ჩამეხედა-მეთქი.

**ეკა პატარაია**

## როგორ აღმოჩნდა მაია ნიკოლეიშვილის ბავშვობის მეგობრის გული მისი მიკროსკოპის ქვეშ და რა შოუ მოუწყო მას სააკაშვილის ხალხმა

**ძაღლი რომ ადამიანის ერთგული მეგობარია, არავინ დავობს, თუმცა, ამაზე ისინი უფრო დამეთანხმებიან, ვისაც ის სახლში ჰყავს, უვლის, ეფერება, ანებივრებს და ბავშვივით ზრდის. მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი თავის ოთხფეხა მეგობართან, ბურთაზასთან ერთად ცხოვრობს და, როგორც თავად ამბობს, საკმაოდ მეგობრული, მაგრამ, მკაცრი აღმზრდელია. ეს მის ძაღლსაც ეტყობა და სტუმრად მისულს ისე გიღებს, თითქოს, ნამდვილი მასპინძელია ოჯახში.**

# რატომ ვერ მეგობრობს ვირ „ვასიასთან" და ძროხა „ნათიასთან" გიორგი სუხიტაშვილი და როგორ ცხოვრობს ის მარტო თავის ოთხფეხა მეგობართან, ბურთაზასთან ერთად

**გიორგი სუხიტაშვილი:** ჩემი შეგნებული თუ შეუგნებელი ცხოვრება ცხოველებთან ასოცირდება, რადგან, სოფელში გავიზარდე და მინდოდა თუ არა, მათთან მქონდა შეხება. ერთხელ, პატარა რომ ვიყავი, ძალიან ცუდად გავხდი. ბებია წამლის საყიდლად წავიდა და, შინ რომ ბრუნდებოდა, გზაში შეხვდა პატარა შავი ლეკვი. წამოიყვანა და, რადგან შავი იყო, „კუპრა" დავარქვით. მე და ის ძაღლი ერთად გავიზარდეთ. 16 წელი ერთად ვიცხოვრეთ და, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მიყვარდა და როგორ ვუყვარდი. უზომოდ ერთგული იყო, მაგრამ, ძალიან ავი და, ამიტომ, შვიდი წელი დაბმული გვყავდა, ვინმე რომ არ დაეგლიჯა. განსაკუთრებით ჰყავდა ამოჩემებული რამდენიმე ადამიანი და, მათ რომ დაინახავდა, ჯაჭვს გლეჯდა. არ დამავიწყდება, რომ წავიქცეოდი, მომვარდებოდა და ცდილობდა, ავეყენებინე და ნატკენ ადგილს მილოკავდა, საოცრად მზრუნველი იყო. აი, კატები არ მიყვარს. სულ მგონია, იტყუება, ცბიერია და არც ერთგული არ არის. კატა, იცით, როგორი ტიპია? არ არის ერთგული და, სადაც კარგი „პონტია", იქ „იჩითება". სოფელში ყოველთვის ბევრი ცხოველი გვყავდა და სახელებსაც შესაბამისად ვარქმევდით, მაგალითად, გოგო ძროხებს „ნათია" და „ხატია" ჰქვიათ, ბუღას –„ხირხალა". ნათია და ხატია ნაზი ძროხები არიან, ხირხალა კი კინოფილმის მიხედვით დავარქვით ბუღას, ნახირში რომ მიდის და ყველა ქალ ძროხას ეჩალიჩება ***(იცინის).*** ერთხელ, ძროხა, სახელად ნათია, მაკედ იყო. მე არ ვევასებოდი და, „შენ – შენთვის, მე – ჩემთვის" ამბავი გვქონდა. ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი და მის გასაბრაზებლად ცხვირწინ ავურბენ-ჩამოვურბენდი ხოლმე. მიყურა, მიყურა, მითმინა, მითმინა და, ბოლოს, აევსო სისხლით თვალები, აიწყვიტა და გამოქანდა რქებით ჩემკენ. ამ დროს კუპრამ აიწყვიტა, გამოვარდა, ეცა და ყეფა-ყეფით გააჩერა, თორემ, წამომაგებდა რქებზე. ვირიც გვყავს – „ვასია", მაგრამ, მასთან შეხება არ მაქვს, ვერ ვმეგობრობ, უბრალოდ, მისი დიდი თვალები მომწონს.

**– ახლა დიდ დიღომში მარტო ცხოვრობ, გყავს ლაბრადორის ჯიშის ძაღლი და როგორც ვხვდები, ესეც საკმაოდ ერთგული და ჭკვიანია.**

– დიახ, ჩემი ძაღლი, ბურთაზი, მოფერებით კი – ბუბუ, ჯიშიანი ლაბრადორია, ძალიან დამჯერია და ისეთი რთული სიტყვები ესმის, ზოგ ადამიანს რომ ვერ გააგებინებ. იცის, რა არის კოჰაბიტაცია; „მაკოცეს" რომ ვეტყვი, მორბის და მლოკავს, ერთი, „უზურპაცია" არ იცის რა არის და, იმედია, ამასაც მალე მიხვდება ***(იცინის).*** თუმცა, „უზურპაციას" და „ზონდერებს" განგებ არ ვასწავლი ***(იცინის).*** პატარა რომ იყო, „ბუბუ, ბუბუს" ვეძახდი, ახლა, რომ გაიზარდა, ეს სახელი აღარ უხდება და „ბურთაზით" შევუცვალე. თან, გვარად სუხიტაშვილია და უცხოეთის პასპორტიც აქვს. თუ, ერთ დღესაც, იხილეთ სურათები სოციალურ ქსელში, რომ მე და ბურთაზი კანარის კუნძულებზე ვართ კოქტეილის ჩხირებით პირში, არ გაგიკვირდეთ ***(იცინის).*** ბურთაზი სუხიტაშვილი კი არის, მაგრამ, ქართლელი კი არა, ევროპელია. უფრო მსუბუქი სუხიტაშვილია და არა ჩემსავით მძიმე ხასიათის. ბურთაზის მამა დუტას ძაღლის შვილია და, ოთხი წელია, მინდა, მამა-შვილი შევახვედრო ერთმანეთს, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხე. რომ მომიყვანეს, კვირა-ნახევრის იყო, ძალიან პაწია, საჭმელს ვულბობდი და ხელით ვაჭმევდი. დღესაც, თუ არ ვარ სახლში, საჭმელს არ ჭამს, მელოდება. თან, ძალიან გურმანია: გაანაწილებს ლუკმებს ოთახში, იატაკზე, მერე კი დაუყვება და თითო-თითო ლუკმას თამაშ-თამაშით ჭამს. ბურთაზი ჩემი ანტიდეპრესანტია, ეს რომ არ მყავდეს და მარტო ვცხოვრობდე, ჭკუიდან გადავალ. ერთხელ, დამეკარგა და ტრაური მქონდა მთელი ღამე. მოკლედ, დილით ადრე გავედით ეზოში, მე მანქანაში ჩავჯექი და დავინახე ეს როგორ გაეკიდა პატარა ძაღლს. მივხვდი, ქალი იყო ის ძაღლი, ბურთაზას ვნებამ სძლია და გაედევნა. რომ დააგვიანა, კორპუს-კორპუს ვეძებდი, მაგრამ, ვერსად ვნახე. ვბრაზობდი – ის ვნებას აყოლილი დარბის, მე კიდევ, მეგობრობას აყოლილი-მეთქი ***(იცინის).*** მეგობრებს დავურეკე, მოდით, ტრაური მაქვს, მიშველეთ-მეთქი. დავსხედით სახლში და მეგობარი დასალევზე გავუშვით. გავიხედე, დაბრუნდა და თქვა, მგონი, ბურთაზას კუდი დავინახე ბუჩქიდანო. წამოვხტი, გავვარდი და ვიპოვე. მართლა ძალიან ძვირფასია ეს ძაღლი ჩემთვის, ზოგ ადამიანს ნამდვილად მირჩევნია. ერთხელ ისეთი დამწვარი საბურავის სუნით დაბრუნდა სახლში სეირნობიდან, ვიფიქრე, ნეტავ რომელ საპროტესტო აქციაზე იყო-მეთქი ***(იცინის).*** არადა, სოციალური პრობლემები ამას არ აწუხებს – წყალიც აქვს, გაზიც და სინათლეც. მოკლედ, ძალიან მეზარებოდა, უკვე ვიწექი, მაგრამ, ავდექი და მაინც ვაბანავე.



**თუ, ერთ დღესაც, სოციალურ ქსელში იხილეთ სურათები, სადაც მე და ბურთაზი ვიქნებით კანარის კუნძულებზე კოქტეილის ჩხირებით პირში, არ გაგიკვირდეთ**

**– პირად საუბარში მითხარი, სასეირნოდ მარტოს ვუშვებო. ეს არ არის საშიში?**

– შევაჩვიე საღამოთი მარტო სეირნობას – ვუშვებ და თავისით ბრუნდება, მინდორში ნასიამოვნებ-ნაკოტრიალებ-ნათამაშევი. თან, რომ ბრუნდება, ან პოლიეთილენის ბოთლი მოაქვს სახლში, ან – ფიცარი.

**– ჰოდა, კარგი ბიზნესია! ბოთლებს ჩააბარებ, ფულს აიღებ, ფიცრებით კი სახლს ააშენებ და იმ ფულით გაარემონტებ.**

– ***(იცინის)*** ჰო, ამაზე მეც დავფიქრდი, მაგრამ, ისე აქვს დაღეჭილი ის ბოთლი, იმას ვინ ჩაიბარებს, ფიცარს კი ისე ფქვავს კბილებით, რაღას გამომადგება სახლის ასაშენებლად ***(იცინის)***. სხვათა შორის, მხოლობით და მრავლობით რიცხვსაც არჩევს. მაგალითად, თუ ვეტყვი, ჩუსტი მომიტანე, მოაქვს ერთი ცალი, ხოლო, თუ ვეტყვი, ჩუსტები-მეთქი – ორივე. ორი პულტი მაქვს და, როცა ვეუბნები, პულტი მომიტანე, მოაქვს ერთ-ერთი და, თუ ვუთხარი, ეგ არა მეორე-მეთქი, იმას დებს და მოაქვს მეორე.

**– რამდენი წლისაა ბურთაზი?**

– ახლა 28 წლის არის და, გამოდის, რომ მე და ჩემი ძაღლი ერთი წლოვანების ვართ.

**– ახლა, არ მითხრა, ერთ დღეს ვართ დაბადებულებიო.**

– არა, მე 10 ნოემბერს ვარ დაბადებული, ეს კი 17 ოქტომბერს. რომ გითხრა, ისეთ მარამზში ვარ გადავარდნილი, დაბადების დღეებს ვუხდი-მეთქი, მოგატყუებ. ძირითადად, სათამაშოებს ვჩუქნი და ამითაც კმაყოფილია. ერთხელ, საღამოს, მანქანა დაეჯახა და კინაღამ ტაქსის მძღოლი შემომაკვდა. ისეთი სისწრაფით შემოვარდა ტაქსი, რომ დაეჯახა ძაღლს, ჰაერში ააგდო და ექვს მეტრზე გაისროლა. მე იქვე ვიდექი და ვიგრძენი, როგორ გაჩერდა სამყარო. თავი რომ წამოწია, მივხვდი, გადარჩა და ცოტა მომეშვა. თან, წამოდგა, კოჭლობით მომიახლოვდა გაბრუებული და ფეხებთან დამიწვა – მიშველეო. ისეთი ვაჯანჯღარე ის ტაქსის მძღოლი, ძლივს გადამირჩა მოკვლას. რაღაც რომ აწუხებს, ზოგი ძაღლივით კი არ ტირის, უბრალოდ, ხასიათზე ვერ არის და, ვამჩნევ, უჭირს.

**– როცა მღერი ან უკრავ, რა რეაქცია აქვს?**

– როცა სიმღერის წერას ვიწყებ და თან ტელეფონში ვიმახსოვრებ, რომ არ დამავიწყდეს, ამ დროს ბურთაზას პირში პოლიეთილენის ბოთლი უდევს, გიჟივით დარბის და ისეთ ხმაზე ღრღნის, რომ ვერ დავაფიქსირო მელოდია. მერე, როცა ჩავრთავ და ვუსმენ, სულ ამისი ღრღნის ხმა ისმის. ვხუმრობ ხოლმე, მე ვუკრავ და ბურთაზი არანჟირებას მიკეთებს-მეთქი ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**
აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.
დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.
**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# ვინ და როგორ აპირებდა საქართველოს „ცეკას" პირველი მდივნის ლიკვიდაციას გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში



***პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია და მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითობასაა, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

### ახალი წესრიგი

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, საქართველოს სსრ-ის მმართველობა შეიცვალა და „ცეკას" ახალმა მდივანმა ახალი წესრიგის დამყარება დაიწყო. 1973 წლის პირველ კვარტალში საქართველოს დაჭერების ტალღამ გადაუარა და გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ ისინი, ვინც მანამდე ხელშეუხებლად ითვლებოდნენ და კომუნისტური საქართველოს ფინანსურ ელიტას წარმოადგენდნენ. პროკურატურა და მილიცია ინტენსიურად მუშაობდა და ეგრეთ წოდებული მექრთამეებისა და კომბინატორების წინააღმდეგ აღძრული საქმეების ნახევარი დახვრეტას ითვალისწინებდა. მსგავსი მუხლი მიუყენეს თბილისის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს დირექტორს, 48 წლის მერაბ ქავთარაძეს, რომელსაც ვაკეში ახალაშენებული, ხუთოთახიანი ფეშენებელური ბინიდან 370 ათასი მანეთი, 7 კილოგრამი ოქრო და 64 ცალი მსხვილკარატიანი ძვირფასი თვალი ამოუღეს. წყნეთში კი, მის კუთვნილ აგარაკზე, მიწიდან ორი ცალი ორმოცლიტრიანი ალუმინის ბაკი ამოიღეს, რომლებიც ასმანეთიანი დასტებით იყო სავსე და 6 მილიონს შეადგენდა. ქავთარაძე ეგრეთ წოდებულ შინაგან ციხეში მოათავსეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მდებარეობდა. იქიდან სასამართლოზე საბადრაგო მანქანით კი არა, ფეხით მიჰყავდათ, მიწისქვეშა გვირაბის გავლით, რომელიც სამინისტროდან უმაღლეს სასამართლომდე ჯერ კიდევ ბერიას დროს, ოცდაათიან წლებში იყო გათხრილი. ქავთარაძის სასამართლო დახურული გახლდათ და სულ რაღაც ხუთი დღე გაგრძელდა. 1973 წლის 9 მაისს მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მოსამართლე ჭიჭიკო ესებუამ კი, რომელიც ჯალათის სახელით იყო ცნობილი, ქავთარაძეს ცინიკურად უთხრა: „დღეს ომში გამარჯვების დღეა და შენთვის დახვრეტის მისჯა სიმბოლურია, რადგან ერთი ხორცმეტით ნაკლები იქნება". ქავთარაძეს უკვე აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი და როდესაც ბადრაგს დარბაზიდან გაჰყავდა, ესებუას დაუყვირა: „ჯალათო! ჯოჯოხეთი გელოდება წინ და ეს კარგად დაიმახსოვრე". მერაბ ქავთარაძე იმავე საღამოს ორთაჭალის ციხის ჯურღმულში, დასახვრეტ პატიმართა ერთადგილიან საკანში გამოამწყვდიეს...

### გაქცევა

კომუნისტების პერიოდში სასიკვდილო განაჩენი ერთი თვის განმავლობაში უნდა აღსრულებულიყო და მერაბ ქავთარაძისთვის ეს საბედისწერო დრო 13 მაისს ჩაირთო. სწორედ იმ დღეს დაამტკიცა მისი განაჩენი საკასაციო პალატამ, ხოლო შეწყალების თხოვნაზე, თავად ბრალდებულმა თქვა უარი. ქავთარაძე საქართველოს ახალი მმართველის პირადი პატიმარი იყო და ეს მთელმა საქართველომ იცოდა. საქმე კი ის გახლდათ, რომ მერაბ ქავთარაძე ძველი მდივნის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო, „ცეკას" მომავალ პირველ მდივანს „პროვინციელ ტეტიას" უწოდებდა და სახალხოდ დასცინოდა. ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს, მერაბ ქავთარაძე შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში აიყვანეს და მასთან პირისპირ დატოვეს. ახლად დანიშნულმა მინისტრმა მას ცინიკურად უთხრა: „პროვინციელმა ტეტიამ დამაბარა, შენთვის გადმომეცა, რომ იმქვეყნიური ცხოვრებისთვის მოემზადოსო". მინისტრის სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ქავთარაძეს დანდობა არ ექნებოდა, რაც მან ისედაც იცოდა. ამიტომ, მინისტრს მიუგო: „სოფლელ ტეტიას გადაეცით, რომ ის პროვინციელად, სოფლელად დარჩება, ხოლო იმქვეყნად პირველი ვინ წავა და სად მოხვდება, ღმერთმა იცის".

სიკვდილმისჯილი ქავთარაძე აბსოლუტურ იზოლაციაში იმყოფებოდა და ყოველდღე სიკვდილს ელოდა. მისი ცოლი და ორი შვილი კი, მერაბის ცოლის მშობლების ოროთახიან ბინაში, პლეხანოვზე გადავიდნენ საცხოვრებლად, რადგან მათი ქონების კონფისკაცია მოახდინეს და ყველაფერი ჩამოართვეს.

**კანადელმა ბიზნესმენმა საბჭოთა მაღალჩინოსანს ქართულად უთხრა: „გამარჯობა, სოფლელო ტეტია, მე ცოცხალი ვარ!"**

1973 წლის 27 მაისს, ანუ საბოლოო განაჩენის გამოტანიდან ორი კვირის შემდეგ, მერაბ ქავთარაძე სიკვდილმისჯილთა საკნიდან გაიქცა, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ის მაიორმა დიმიტრი გიგოშვილმა გამოიყვანა, ჯერ საკნიდან, შემდეგ ციხიდან და მასთან ერთად გაუჩინარდა.

– ჩქარა, ბატონო მერაბ, მოვშორდეთ აქაურობას, თორემ, თუ გაიგეს, რომ გაიქეცით, მთელ ქალაქს შეკრავენ და აქედან ფეხსაც ვერსად მოვიცვლით, – უთხრა ქავთარაძეს მაიორმა დიმიტრი გიგოშვილმა. შემდეგ მანქანის უკანა სალონში ჩაწოლილ მერაბს ბრეზენტი გადააფარა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

ერთი კვირის შემდეგ, ანუ 1973 წლის 3 ივნისს, ოდესის პორტიდან საბჭოთა საკრუიზო გემი „როსია" გავიდა, რომელიც ორთვიან მსოფლიო კრუიზს ახორციელებდა. გემზე მერაბ ქავთარაძის ცოლ-შვილი იმყოფებოდა. მათ ყალბი პასპორტები ჰქონდათ. ერთი კვირის მერე ისინი დიდ ბრიტანეთში დარჩნენ და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვეს...

### საოჯახო ბიზნესი

ქავთარაძის ცოლ-შვილის უცხოეთში გაქცევას ოცამდე მაღალჩინოსნის თანამდებობა შეეწირა და მხოლოდ ახლად დანიშნული „ცეკას" მდივანი გადაურჩა მოსკოვის რისხვას. ის მილიციას ეყრდნობოდა და იცოდა, რომ გაქცეული ქავთარაძე და მაიორი გიგოშვილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან არ იყვნენ გასულები, თავის ერთგულ მილიციელებს მათი საიდუმლო ძებნა დაავალა. „ცეკას" პირველ მდივანს, ერთი მხრივ, შურისძიების წყურვილი კლავდა, მეორე მხრივ კი, ქავთარაძის შურისძიების ეშინოდა. პირველისთვის ისიც გამოცანა იყო, თუ მერაბიც რატომ არ გაიქცა ქვეყნიდან და სწორედ ეს აშინებდა მას.

1973 წლის 12 სექტემბერს კუს ტბის მიმდებარე ტყის ერთ-ერთ მონაკვეთზე, სპორტულ სამოსში გამოწყობილმა მერაბ ქავთარაძემ და დიმიტრი გიგოშვილმა მიწიდან ოთხი ცალი ორმოცლიტრიანი ბაკი ამოთხარეს, მანქანაში ჩააწყვეს და იქაურობას მოშორდნენ. ორი ბაკი ასმანეთიანი დასტებით იყო სავსე, რაც ექვსი მილიონს შეადგენდა. ერთ ბაკში ორი მილიონი დოლარის კუპიურები ელაგა, მეოთხე კი ძვირფასი სამკაულებით და თვლებით იყო სავსე. ძებნილთა წყვილმა, როგორც მოგვიანებით საიდუმლო ძიების საბუთებში იყო აღნიშნული, მთელი ეს ქონება კანადელი დიპლომატის, სტივენ კლაინის მეშვეობით გაიტანეს უცხოეთში.

1973 წლის 2 დეკემბერს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულმა ჯგუფმა მთაწმინდაზე, ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სახურავზე 36 წლის პავლე ტოლმაჩოვი დააპატიმრა. მას დრაგუნოვის („ესვედე") სისტემის სნაიპერული შაშხანა ჰქონდა და აღიარა, რომ საქართველოს „ცეკას" პირველი მდივანი უნდა მოეკლა. მისივე თქმით, მას ამ საქმეში 20 ათასი მანეთი გადაუხადეს და ერთ იმდენს საქმის შესრულების შემდეგ შეჰპირდნენ. მან ვერ დაასახელა შემკვეთის ვინაობა, თუმცა აშკარა იყო, რომ შემკვეთი მერაბ ქავთარაძე იქნებოდა...

„ცეკას" პირველი მდივნის ლიკვიდაციის წარუმატებლობის შემდეგ, დაახლოებით 1974 წლის 9-12 იანვარს, ქავთარაძე და გიგოშვილი თურქეთში გადავიდნენ, შემდეგ კი – კანადაში და მერაბის ცოლ-შვილს შეუერთდნენ.

მერაბ ქავთარაძემ, კლაინთან და გიგოშვილთან ერთად, ოჯახური საბროკერო ბიზნესი დააფუძნა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და უკვე ბიზნესმენთა მესამე თაობა უძღვება. მერაბ ქავთარაძე დღესაც ცოცხალია, 89 წლისაა და ტორონტოში ცხოვრობს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1986 წელს კანადაში ვიზიტით მყოფ საქართველოს „ცეკას" ყოფილ მდივანს, რომელსაც იმ პერიოდში დიდი საკავშირო პოსტი ეკავა, ელეგანტურად ჩაცმული, რესპექტაბელური ბიზნესმენი წარუდგინეს. მან ხელი ჩამოართვა საბჭოელს და მოულოდნელად ქართულად უთხრა: „გამარჯობა, სოფლელო ტეტია, მე ცოცხალი ვარ!"

**ნიკა ლაშაური**

# როგორ გახდა ტაქსის მძღოლი საკუთარი წარსულის მსხვერპლი და რატომ გაუხეთქა მას თავი მგზავრმა

41 წლის ნიკოლოზ ხ-ძე უგონო მდგომარეობაში, თავის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებებით, სამართალდამცველებმა ტერიტორიის ოპერატიული შემოვლის დროს აღმოაჩინეს. მამაკაცი, რომელსაც თან ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, საკუთარი ავტომობილის სიახლოვეს ეგდო. იქვე ეგდო ქვის დიდი ლოდი, რომელზედაც დაზარალებულის სისხლის კვალი აღინიშნებოდა. როგორც ჩანდა, სწორედ ეს ქვა გახლდათ დანაშაულის იარაღი, რომლითაც მამაკაცს სხეულის დაზიანებები მიაყენეს. ავტომობილზე მიმაგრებული ტაქსის ტრაფარეტი მოწმობდა, რომ ის კერძო ტაქსის მძღოლი იყო. გამოძიების პირველადი ვერსიის მიხედვით, მძღოლი სავარაუდოდ, ძარცვის მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მას ხელზე ეკეთა საათი, ოქროს ბეჭედი, ეგრეთ წოდებული „პერსტენი" და ასევე, თან ჰქონდა საფულე – 30 ლარით, ეს კი გამოძიების პირველად ვერსიას საეჭვოს ხდიდა.

სამართალდამცველებმა დაზარალებული მამაკაცი საავადმყოფოში მოათავსეს. გამოძიებამ მისი პიროვნების შესწავლა და წრის გარკვევა დაიწყო. როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, ნიკოლოზ ხ-ძე ორი მცირეწლოვანი ბავშვის მამა გახლდათ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ცოლთან გაშორებული იყო, ბავშვები მასთან არ იზრდებოდნენ. ნიკოლოზ ხ-ძე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ქალთან, რომელიც მასზე 15 წლით იყო უფროსი. რამდენიმე დღეში შესაძლებელი გახდა დაზარალებული მამაკაცის დაკითხვა. მან თავიდან განაცხადა, რომ თავს უცნობი მამაკაცი დაესხა, რომელმაც მისი გაძარცვა სცადა. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, იმდენი ურთიერთგამომრიცხავი გარემოება და საეჭვო კითხვა გაჩნდა, რომ ნიკოლოზ ხ-ძე მოგვიანებით იძულებული გახდა, ყველაფერი გაეხსენებინა – მან ჩვენება შეცვალა. განაცხადა, რომ თავის არეში მიღებული ტრავმის გამო, გონება აერია. ახლა კი დეტალურად „გაიხსენა" ინციდენტი და ის ადამიანიც, ვინც ათი წლის შემდეგ ასე სასტიკად გაუსწორდა.

**ქვა ჯერ სახეში ჩავარტყი, მერე მანქანიდან გადმოვათრიე და რამდენჯერმე თავში ჩავარტყი**

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, მამაკაცი, რომელიც ტაქსის მძღოლს გაუსწორდა, იყო ვინმე ნოშრე და დაზარალებული წარსულში მას იცნობდა. ნიკოლოზ ხ-ძის განცხადებით, მასთან კავშირი ამ ისტორიამდე, დაახლოებით ათი წლით ადრე ჰქონდა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული ინფორმაციით, ნიკოლოზ ხ-ძე წარსულში ახალგაზრდა ქალის გაუპატიურების მუხლით დაკავებას გადაურჩა. ის პირობითი სასჯელით და ექვსი ათასი ლარით, მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც გაუპატიურებული ქალის ცოლად მოყვანა გადაწყვიტა, ამის გამო დაზარალებულმა ქალმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ მამაკაცს ინტიმურ კავშირზე საკუთარი ნებით დათანხმდა. ამ „გარიგების" სანამცვლოდ, ნიკოლოზმა ის ცოლად შეირთო, თუმცა ექვსთვიანი თანაცხოვრების შემდეგ, ქალს ისე დაშორდა, მის კვალს ვერავინ მიაგნო. სწორედ ამ ისტორიას უკავშირდებოდა ინციდენტი, რომლის შედეგადაც, ტაქსის მძღოლი დაზარალდა.

დანაშაულიდან სამი დღის შემდეგ, პოლიციაში გამოცხადდა ნოშრე კ-შვილი, ვინც ნიკოლოზ ხ-ძეზე განხორციელებული თავდასხმა აღიარა. როგორც სამართალდამცველები ვარაუდობდნენ, მას არანაირი ძარცვის და ყაჩაღობის მცდელობა არ ჰქონდა. დანაშაულის მოტივი იყო პირადი შურისძიება, რის შესახებაც დაკავებულმა ნოშრე კ-შვილმა დეტალურად აღწერა თავის ჩვენებაში. ბრალდებულმა საკუთარი ჩვენება დაადასტურა სასამართლო პროცესზეც. ის წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობდა, თუმცა იმ გარემოებებსაც განმარტავდა, რასაც მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენა მოჰყვა.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ნოშრევან კ-შვილი ახალგაზრდა ასაკში დაობლდა. მან მარტომ გაზარდა უმცროსი და, რომელიც მშობლების გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი დარჩა. შესაბამისად, მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. რაიონიდან თბილისში სასწავლებლად წამოსულ გოგონას ძმამ ბინა უქირავა. სწორედ იქ გაიცნო მან მამაკაცი, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა. მამაკაცმა გოგონასთან ორთვიანი შეხვედრების შემდეგ, სქესობრივი კავშირი დაამყარა, რაც გოგონას ახლობლებისგან მისი ძმისთვისაც გახდა ცნობილი. მოძალადე მამაკაცი ნიკოლოზ ხ-ძე იყო, რომელმაც ციხეში მოხვედრას გოგონას ცოლად შერთვა ამჯობინა. ამით მან პასუხისგებასაც დააღწია თავი და მისი ძმის რისხვასაც, რომელმაც „მოძალადე სიძე" სულ ორჯერ ნახა საერთო ნათესავების წრეში. ნიკოლოზ ხ-ძისა და მისი ცოლის ოჯახური თანაცხოვრება ცოტა ხანს გაგრძელდა, მამაკაცი ქალის ცხოვრებიდან ისე გაქრა, არც კი გამომშვიდობებია. ამ ისტორიიდან ათი წლის შემდეგ, ის შემთხვევით გადაეყარა ნოშრეს. მან, სიბნელის მიუხედავად, წლების შემდეგ მაინც იცნო ნასიძარი და აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა მძიმე დაზიანებები მიაყენა. ამონაწერი ბრალდებულის ჩვენებიდან: „ათი წლის წინ ნიკოლოზ ხ-ძემ მე და ჩემს დას ძალიან დიდი ტრავმა მოგვაყენა. მაშინ ნაცნობების წყალობით, ციხეს თავი დააღწია – მეორედ მოატყუა ჩემი და და ცოლად მოიყვანა. თუმცა, ექვს თვეში გაიქცა. მის ამბავს სულ ვკითხულობდი. გავიგე, რომ დაოჯახდა. ისიც გავიგე, რომ იმ ცოლს გაშორდა და თავისზე უფროს ქალთან ცხოვრობდა. ვერ ვიტყვი, რომ შურისძიება მაწუხებდა, ეს რომ მდომოდა, მოვძებნიდი ალბათ, მაგრამ მეც და ჩემმა დამაც ჩვენი ცხოვრება გავაგრძელეთ. იმ დღეს, ნიკოლოზს რომ შევხვდი, მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიყავი დაბადების დღეზე. ცოტა ნასვამი გამოვედი, ტაქსი მეგობარმა გამიჩერა. მძღოლისთვის არც შემიხედავს, ისე დავჯექი მანქანაში. თუმცა, შევხედე თუ არა ნიკოლოზს, მაშინვე ვიცანი. მან, ალბათ, ვერ მიცნო, იმიტომ რომ, მშვიდად გააგრძელა გზა. უცებ გამოვფხიზლდი, უცნაურმა რაღაცამ შემიპყრო. გზიდან გადავახვევინე, რაღაც მოვიმიზეზე. დაუსახლებელი ადგილი შევარჩიე, გზიდან გადავედი, იქვე დიდი ზომის ქვა შევნიშნე. ავიღე ის ქვა, გვერდიდან შემოვუარე ავტომობილს. კარი გამოვხენი და გადმოდი გარეთ-მეთქი, ვუთხარი. ვინ ხარ, რა გინდა ჩემგანო, – მკითხა ნიკოლოზმა და უცებ თვითონაც მიხვდა ყველაფერს. ქვა ჯერ სახეში ჩავარტყი, მერე მანქანიდან გადმოვათრიე და თავში რამდენჯერმე ჩავარტყი. ძირს დავარდნილს ორჯერ წიხლიც მივაყოლე. აფექტურ მდგომარეობაში ვიყავი, ვერც ვხვდებოდი, რას ვაკეთებდი. ძალიან მალე დავტოვე იქაურობა, გზაზე გადმოვედი, მეორე ტაქსი გავაჩერე და სახლში წავედი. მეორე დღესვე ვაპირებდი პოლიციაში მისვლას, მაგრამ რაღაც საქმე მქონდა მოსამთავრებელი. ორ დღეში მოვაგვარე ჩემი საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ მივედი პოლიციაში, რომ ჩადენილი დანაშაული მეღიარებინა."

სასამართლომ ნოშრე კ-შვილი დამნაშავედ ცნო და ჩადენილი დანაშაულისთვის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ვერ გადაურჩა ნიკოლოზ ხ-ძეც, რომელიც საკუთარი წარსულის შესანილბად დანაშაულის დეტალებს მალავდა. მას ცრუ ჩვენების მიცემის და დანაშაულის დაფარვისთვის, ორწლიანი პატიმრობა შეეფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 9 ივნისი

1920 – დაიწყო სომხეთ-თურქეთის ომი, რომლის შედეგადაც სომხეთი თურქეთის სატელიტი ქვეყანა გახდა.

1931 – მოსკოვსა და ლენინგრადს შორის მოძრაობა დაიწყო მატარებელმა – „წითელი ისარი".

1959 – წყალში ჩაუშვეს პირველი წყალქვეშა ნავი „ჯორჯ ვაშინგტონი", ბორტზე ბალისტიკური რაკეტებით.

### 10 ივნისი

1898 – ამერიკელებმა დააარსეს გუანტანამოს სამხედრო ბაზა.

1909 – დაარსდა ქალაქი კანბერა – ავსტრალიის კავშირის დედაქალაქი.

1936 – შეიქმნა კინოსტუდია „სოიუზმულტფილმი".

1940 – იტალია შეუერთდა თავის მოკავშირეს – ჰიტლერულ გერმანიას და საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს ომი გამოუცხადა.

1940 – ფაშისტურმა გერმანიამ დაამთავრა ნორვეგიის ოკუპაცია.

1943 – უნგრელმა ლასლო ბირომ გამოიგონა ბურთულიანი კალამი. ის ასრულებდა ბრიტანეთის სამეფოს საჰაერო ძალების დაკვეთას. მათ სჭირდებოდათ კალამი, რომელიც დიდ სიმაღლეზე, დაბალი წნევის პირობებში შეძლებდა წერას.

### 11 ივნისი

1942 – ვაშინგტონში დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ურთიერთდახმარებაზე ომის დროს და თანამშრომლობაზე – ომის შემდგომ პერიოდში.

1991 – ფირმა „მაიკროსოფტმა" გამოუშვა ოპერატიული სისტემა MS DOS 5,0.

1992 – რუსეთში მიიღეს პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა

### 12 ივნისი

1897 – კარლ ელზენერმა დააპატენტა არმიისთვის დასაკეცი დანა (ეგრეთ წოდებული, შვეიცარიული დანა).

1898 – ფილიპინები გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1955 – იაკუტიაში აღმოაჩინეს ალმასის საბადოები.

1991 – რუსეთის პირველი პრეზიდენტი გახდა ბორის ელცინი.

### 13 ივნისი

1494 – ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა კუბა.

1859 – რუსეთმა დაასრულა ჩეჩნეთის დაპყრობა.

1944 – დაიწყო ლონდონის დაბომბვა გერმანული რაკეტებით – „ფაუ-1".

1956 – პარიზში შედგა ჩემპიონთა თასის პირველი ფინალი. თასის მფლობელი გახდა მადრიდის „რეალი".

1958 – ჩინეთმა აამუშავა თავისი პირველი ატომური რეაქტორი.

### 14 ივნისი

1777 – ფილადელფიის კონტინენტურმა კონგრესმა დაამტკიცა ამერიკის შეერთებული შტატების დროშა – თეთრი და წითელი ზოლებით და ლურჯ ფონზე თეთრი ვარსკვლავებით.

1841 – თავისი პირველი სხდომა ჩაატარა კანადის პარლამენტმა.

1847 – რობერტ ბუნზენმა გამოიგონა სანათური, რომელშიც შესაძლებელი იყო ალის ზომის რეგულირება.

1940 – ფაშისტური გერმანიის ჯარებმა დაიკავეს პარიზი.

### 15 ივნისი

1389 – კოსოვოს ბრძოლაში ოსმალეთის არმიამ გაანადგურა ქრისტიანთა (სლავთა და ჯვაროსანთა) გაერთიანებული ლაშქარი და დაიკავა ბალკანეთის ნახევარკუნძული.

1826 – არკანზასი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 25-ე შტატი.

1844 – ჩარლზ გუდიარმა დააპატენტა ვულკანიზაციის მეთოდი რეზინის შესაკეთებლად.

1940 – საბჭოთა კავშირმა მოახდინა ლიტვის ანექსია.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვრწყა ყოჩივარდა?**

**პასუხი:** ყოჩივარდას მანამ ნუ მორწყავთ, სანამ ფოთლები ცოტათი არ მოიწყენს. მორწყვისას ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით და 10 წუთით გააჩერეთ, შემდეგ კი დაწრიტეთ. სამ კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. დაყვავილების შემდეგ თანდათან შეამცირეთ მორწყვა ფოთლების გაყვითლებამდე. ზაფხულის ბოლოს ან ადრიან შემოდგომაზე ბოლქვი გადარგეთ. ქოთანი დადგით ნათელ ადგილას. მიწა ტენიანი უნდა იყოს, სანამ მცენარე ზრდას დაიწყებს, შემდეგ კი ჩვეულებრივად მორწყეთ.

**კითხვა: როგორი სინათლე და ტემპერატურა სჭირდება ჩინურ ვარდს?**

**პასუხი:** მას მოსწონს კაშკაშა სინათლე, ოღონდ, არა თაკარა მზე. მზეზე ყოფნას აიტანს, თუ ფესვები ტენიანი ექნება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა. ჩახუთული ჰაერი და ტენის ნაკლებობა ყვავილების სწრაფად ჭკნობას იწვევს.

**კითხვა: როგორ მოვუარო კამელიას?**

**პასუხი:** კამელია მორწყეთ რბილი წყლით. ზამთარში მიწა მხოლოდ ტენიანი უნდა ჰქონდეს, ზაფხულში კი ბევრი წყალი სჭირდება. დაყვავილების შემდეგ, ზაფხულის ბოლომდე, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. კარგია, თუ დაყვავილების შემდეგ მცენარეს გაკრეჭთ, რათა საშუალოზე მაღალი არ გაიზარდოს. ხშირად შეუმოწმეთ ფოთლები. თუ შავი ლაქები გაუჩნდა, ესე იგი, ბუგრი ან ცრუფარიანები დაესია და სასწრაფოდ უმკურნალეთ.

**კითხვა: ჭირვეული მცენარეა თუ არა კტენანტა?**

**პასუხი:** ეს ეფექტური მცენარე ჭირვეული ნამდვილად არ არის და მისი მოვლა არ გაგიჭირდებათ. მას ზაფხულში გაბნეული შუქი სჭირდება, ზამთარში კი – სინათლე. არგებს ცოტა ხნით მზეზე ყოფნაც. კარგად გრძნობს თავს 18-24 გრადუსზე, ხოლო ზამთრობით 10 გრადუსსაც გაუძლებს.

**კითხვა: რა ზომის შეიძლება გაიზარდოს იუსტიცია?**

**პასუხი:** ეს მარადმწვანე ბუჩქი შეიძლება ერთ მეტრზე მაღალიც გაიზარდოს, მაგრამ, თავს ველარ დაიჭერს და საყრდენი დასჭირდება. თუ გსურთ, რომ მცენარემ ასეთ ფორმებს არ მიაღწიოს, გაზაფხულზე უნდა გასხლათ და კტენანტა მოკლე და გაბუჩქული დარჩება.

**კითხვა: რამდენ ხანს ყვავილობს ჟასმინი?**

**პასუხი:** ჟასმინი ყვავილობას შუა ზამთარში იწყებს და გაზაფხულამდე ყვავის. ასე რომ, ეს მცენარე ზამთრის პირქუშ დღეებშიც კი გაგიხალისებთ ცხოვრებას. გაითვალისწინეთ, რომ, ყვავილობის გასახანგრძლივებლად დამჭკნარი ყვავილები უნდა მოაშოროთ და დაყვავილებული ღეროები ძირში გადაჭრათ.

**კითხვა: როგორი პირობები უნდა შევუქმნა აგავას, რომ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება. ის ზამთრის დაბალ ტემპერატურასაც კი უძლებს, მთავარია, მშრალ ადგილას არ გედგათ. როდესაც მცენარე ზრდის პერიოდში იქნება, რეგულარულად უნდა მორწყათ ხოლმე. ზამთარში ყურადღება მიაქციეთ, რომ მიწა მთლიანად არ გამოშრეს. მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა უნდა აცადოთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა ფორმით ხორციელდება და რა შემთხვევაში ითვლება საცხოვრებელი ბინა საბოლოოდ შეძენილად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ინდივიდუალური საკუთრების საგნის, ამ შემთხვევაში – საცხოვრებელი ბინის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები, რომლებსაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ ითვლება ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნდოვანებას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ ის განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, დაეკისრება თუ არა სამოქალქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ პირს, რომელიც განზრახ ავრცელებს ისეთი სახის ინფორმაციებს კონკრეტული პიროვნების მიმართ, რომელიც აშკარად ხელს უშლის და ქონებრივ ზიანს აყენებს ამ პიროვნებას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისთვის ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს, ვალდებულია, აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება, მოთხოვნის შემთხვევაში, მივიღო საჯარო რეესტრიდან ინფორმაცია შეუზღუდავად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია, საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისთვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ, მიიღოთ საჯარო რეესტრში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სისხლის სამართლის პროცესში რა გზით ხორციელდება პირთა მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება ხორციელდება პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვის გზით.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსვაგენ ჟუკი". ამ ბოლო დროს შევამჩნიე, რომ ძრავას სახურავს, საიდანაც ზეთი უნდა ჩაასხა, ბუშტუკები აქვს. რის ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი:** უპირველესად, უნდა ნახოთ, ხომ არ იკლებს წყლის დონე ავტომობილის რადიატორში და პარალელურად (ხშირ შემთხვევაში), ძრავაში ზეთის დონე ხომ არ იმატებს. თუ ის იკლებს, ნიშნავს, რომ ძრავას ეგრეთ წოდებული „გალოვკის პრაკლადკაა" დაზიანებული. თუ წყალი (ანტიფრიზი) არ იკლებს და ამ დროს ზამთარია და ცივა, ადვილი შესაძლებელია, ძრავაში უბრალოდ, გაცხელება გაცივების შედეგად მიღებული წყლის წვეთების მსგავსი ბუშტუკები შეინიშნებოდეს. ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და თავისუფლად შეგიძლიათ ამუშაოთ ავტომობილი.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მინდა, აკუმულატორის გამოცვლა და როგორც ამიხსნეს, არსებობს აკუმლატორები წყლით და ჟელეთი. ზამთარში უმჯობესია, ჟელეიანი აკუმლატორი ჩააყენო, რადგან არ იყინება, ზაფხულის სიცხეში კი, ჟელე ხმება და წყლიანი ჯობიაო. რა შეიძლება, რომ ამ დროს გავაკეთო, რომელზე გავაკეთო არჩევანი?**

**პასუხი:** უპირველესად, მინდა გითხრათ, რომ არც ერთი ტიპის აკუმულატორი არ იყინება და ამ დეტალზე დაყრდნობით ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება იმას, თუ რომელი ჯობია, ბევრი რამეა გასათვალისწინებელი. მაგალითისთვის, თუ ავტომობილს ბოლომდე არ ენდობით და არის იმის შანსი, ზედმეტად გადამუხტოს აკუმულატორი, რაც მის გაშრობას და საბოლოოდ, დაზიანებას გამოიწვევს, მაშინ სითხის ჯობია. პერიოდულად მასში გამოხდილ წყალს დაამატებთ და ამით თავს იოლად გაიტანს, დიდხანს გააძლებინებთ. თუ ელექტრული სისტემა იდეალურად მუშაობს, ჯობია, ეგრეთ წოდებული მშრალი აკუმულატორი შეიძინოთ, რადგან, როგორც მინიმუმ, ასეთი ტიპის აკუმულატორიდან მჟავა არ ჩამოიღვენთება და არ დაგვიჟანგავს მის ირგვლივ ადგილებს.

**კითხვა: მაინტერესებს, რომელი ავტომობილი ჯობია ოჯახისთვის ჩვენს პირობებში – „ჰონდა ოდისეი" თუ „დოჯი" „ქარავანი"? თუ შეიძლება, ამ მოდელების გადაკეთება ისე, რომ გაზზე იმუშაოს?**

**პასუხი:** პასუხის გაცემას უკუმიმართულებით დავიწყებ. გაზზე გადაკეთება შესაძლებელია ნებისმიერი ბენზინზე მომუშავე ავტომობილის. გაცილებით რთული იქნება, ამ ორი ავტომობილიდან რომელიმე გირჩიოთ, არა იმიტომ, რომ ერთმანეთზე უკეთესია, არამედ იმიტომ, რომ ორივე თავისებურად პრეტენზიული და არაპრაქტიკულია საქართველოს პირობებში. მე შევეცდებოდი, ისეთი ავტომობილი შემეძინა, რომელიც, როგორც მინიმუმ, ევროპაშიც გვხვდება. ასეთი ავტომობილები კი საკმაოდ მძიმეა და დატვირთვაც მეტი აქვს. როგორც ვხვდები, თქვენ ავტომატური კოლოფი გაქვთ მიზანში ამოღებული, ამიტომ, უპირველესად, შეძენისას სწორედ კოლოფის გამართულობას მივაქცევდი ყურადღებას.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

მოამზადა
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რას უნდა მოვარიდოთ ძაღლი ზაფხულში?**

**პასუხი:** მოგეხსენებათ, რომ ზაფხული წლის ყველაზე ცხელი პერიოდია და როგორც პატრონებს, ასევე მათ ოთხფეხა მეგობრებს, აწუხებთ სიცხე. ამ პერიოდისთვის ცხოველები განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ მზის პირდაპირ სხივებს და სიცხეს. ძაღლებში თერმორეგულაცია სულ სხვაგვარია. ადამიანისგან განსხვავებით, ძაღლის ორგანიზმში წარმოებული ჭარბი სითბოს გაცემა ამონასუნთქ ჰაერთან ერთად ხდება. ამიტომ, სიცხის ატანა განსაკუთრებით უჭირს გრძელ ბეწვიან ცხოველს. მზის პირდაპირი სხივების მოქმედებით შეიძლება, მზის დარტყმა განვითარდეს. ამიტომ, ზაფხულის სიცხის პერიოდში განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ ცხოველები სიცხეს. ზაფხულში ხშირია შემთხვევა, მინდორში სეირნობისას ძაღლი ქვეწარმავალს გადააწყდეს. შხამიანი გველის ნაკბენი კი, საფრთხეს უქმნის ცხოველის სიცოცხლეს. ამიტომ უმჯობესია, თუ ამ პერიოდში მოერიდებით ძაღლის ისეთ ადგილებში გასეირნებას, სადაც შხამიანი გველებია გავრცელებული. თუ მაინც მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა, მაშინ დაკბენილი ცხოველი სასწრაფოდ უნდა მიიყვანოთ უახლოეს ვეტერინარულ დაწესებულებაში.

**კითხვა: რა ინფექციაა გავრცელებული წელიწადის ამ დროს?**

**პასუხი:** ზაფხულის პერიოდში აქტიურდება კუჭ-ნაწლავის ინფექციები, განსაკუთრებით კი ენტეროვირუსები. ამ დროს ხშირია საკვებით მოწამვლა, რაც პროვოცირებას ახდენს ვირუსული ინფექციების განვითარებისთვის. ამ პერიოდში აქტიურდება ასევე სხვა ინფექციებიც. ამიტომ, აუცილებლად აცრილი უნდა გყავდეთ თქვენი ოთხფეხა მეგობრები ვირუსული და ბაქტერიული ეტიოლოგიის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინით. სასურველია, გამოვიყენოთ მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მიერ მოწოდებული ვაქცინები.

**კითხვა: თუ შეიძლება, მითხარით, ზაფხულის პერიოდში, კვებასთან დაკავშირებით თუ უნდა შევცვალოთ რამე?**

**პასუხი:** ამ პერიოდისთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კვებას. რაც მთავარია, უნდა იყოს ახალი საკვები, რადგან სიცხეში ადვილად ფუჭდება. სასურველია ცხოველს, ნაკლებად ცხიმიანი საკვები მისცეთ. ამ პერიოდში ზოგი ძაღლი ნაკლებს ჭამს, რაც ნორმალურია და ნუ შეგეშინდებათ. სიცხეში ორგანიზმი ნაკლებ ენერგიას მოიხმარს და მოძრაობაც შეზღუდულია. რადგან ძაღლს უჭირს სითბოს გაცემა, ამიტომ ნაკლებს მოძრაობს და ნაკლებ ენერგიასაც მოიხმარს. გამომდინარე იქიდან, რომ მას ნაკლები საკვები სჭირდება, ნახარშები და მალფუჭებადი პროდუქტი სიცხეში განსაკუთრებით უნდა შეზღუდოთ, ამით თავიდან აიცილებთ საკვებისმიერ ინტოქსიკაციებს.

**კითხვა: ჩემი ძაღლი ხშირად იფხანს სხეულს. დავათვალიერე და რწყილები არ ჰყავს. რისი მიზეზი შეიძლება, იყოს ეს?**



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**პასუხი:** ქავილი, არ არის აუცილებელი, რწყილების და ზოგადად, ექტოპარაზიტების მიერ იყოს გამოწვეული. ქავილი შეიძლება, სხვადასხვა დაავადების სიმპტომიც იყოს. იმისთვის, რომ გაარკვიოთ, რა არის ქავილის მიზეზი, დაუყოვნებლივ მიიყვანეთ თქვენი ძაღლი ვეტერინართან. ის აუცილებლად გაარკვევს ქავილის მიზეზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას. მოგცემთ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას.

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**



ანჟელიკ-ას როლში
ვოლგა-დონის...
სამტ-რედიის სოფელი
ბურთ-ულებით თამაში
შინაური ცხოველი
ასეთი "ნოვოსტებ-ის" არის რუსეთში
სხეული
სასწავლო საგანი
ასეთი მოწყობ-ილობაც არსებობს
სომხეთ-ის ფეხ-ბურთის გუნდი
წყალი-ადი
(.......) პაჩინო
მომღ-ერალი (.......) კინგი
ოპერის სიმღერა
გერმან. მდინარე
ხმელეთის ზოოგეო-გრაფიულ დანაყოფი სამხრეთ და ცენტრ. ამერიკა
ზოგს ეს აქვს ავი
სითხის ჭურჭელი
რუსული სატვი-რთო თვითმ-ფრინავი
განთ-იადი
ოლიმპიური ჩემპიონი და პარლამენტარი
იხილე ფოტო
იტალიელი სცენარისტი და პროდიუსერი ჩეზარე....
მარიამის სახე-სხვაობა
სატრ-ფიალო ანუ?
ქვ.დინა-მოელი ზაურ....
დიდი სასმისი
პირველი პირი
გისმენთ!
ცხენი
მიზაქვის ობიექტი
მდორე
ხელოვ-ნური კაცი
ლურჯი ქსოვილი
ევროპის ჯუჯა ქვეყანა
ბანქოს თამაში ხალ-ხურად
უკანას-კნელი ბინა
1000 კგ
გრამატ-იკული კავშირი
ქია-თურის სოფელი
განის დე-დაქალაქი
გლოვის სამოსი
ქალის გერ-მანული სახელი
პატარა თითი
რუსეთის ტბა
მეათე თვე
ავსტრ-ალიის სიდიდით და მოსა-ხლეობით მესამე ქალაქი
შინაური ფრინ-ველი
„ახალი“ ლათი-ნურად
გარეგ-ნული მხარე
ანტი-ლოპას სახ-ეობა
მონას-ტერში ცხოვ-რობს
ტარენტი (......)
იმედი
ლობიოს საყრ-დენი ჯოხი
ჩვენი ყოფილი პირველი ლედი
საცოლე ან საქმრო
მოწნეული
შენობის შიდა ნაწილი
ფართობის საზომი ერთეული
ფრანგი მსახიობი (.....) ჟირარდო
(.......) ვეკუა
ნიზამი განჯელის პოემა "(.........) მაჯნუნიანი"
ქალაქი პოლონეთში
იაპონ. რეჟისო-რი (.....) კუროსავა
უკრაინის ქალაქი კრივოი....
მოსკოვის ქუჩა
ნელ-თბილია
ევროპის ქვეყანა
სისველე
ბუნიკი თავისი არსით
მომღ-ერალი (........) ჭყონია
ირინეს ვარიაცია
ხაზია ასეთი
(......) ყანჩელი
მთი-ელთა სალო-ცავი
პიუგოს გოგონა
(.......) ელიავა
მავან ბენდერს ჰქვია ლიტერატურაში
მომღერა-ლი ბუკა...
ქალის სახელი
სიგრძე და....
არასასურველო
აი აქ ანუ?
ცუდად ჭრის
იტალიე-ლი მეზ-ღაპრე ჯანი....
ყვავილია ასეთი
გამას-ხრება

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | 3 | 5 | 5 | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 5 | 1 | 3 | 4 | 2 | 2 | 4 | 1 | | |
| | | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | | | | | | | | | | | | 3 | 9 | 2 | 6 | 4 | 4 | 5 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 |
| 4 | 6 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 8 | 10 | 11 | 12 | 12 | 13 | 13 | 14 | 14 | 18 | 18 | 18 | 11 | 2 | 4 | 5 | 3 | 2 | 2 | 1 | 4 | 6 | 4 |

| | | |
|---|---|---|
| | | 2 |
| 3 | 2 | 1 |
| 1 | 6 | 1 |
| | 2 | 7 |
| | 1 | 9 |
| 3 | 2 | 2 |
| | | 11 |
| | 8 | 4 |
| | | 13 |
| | | 12 |
| | 10 | 1 |
| | 11 | 2 |
| | 11 | 1 |
| | 12 | 1 |
| | 13 | 1 |
| | 13 | 2 |
| | 13 | 2 |
| | 18 | 2 |
| | 20 | 2 |
| | 21 | 3 |
| 3 | 13 | 2 |
| 2 | 12 | 2 |
| | 2 | 12 |
| | 3 | 12 |
| 5 | 4 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 1 | | 5 | 6 | | 8 | 2 |
| 8 | | 2 | 4 | 1 | | 6 | 9 | |
| | | | 2 | | 7 | 3 | | 1 |
| 1 | 6 | 9 | | 3 | | | 7 | |
| | 8 | | 1 | | 9 | 5 | | 4 |
| 5 | | 4 | | 7 | 8 | 9 | 1 | |
| | 4 | | | 6 | | | 2 | |
| 9 | 1 | 3 | | 4 | 2 | | 5 | 6 |
| 2 | | 6 | 8 | 9 | 1 | 4 | | 7 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 9 | | | | | 1 | 8 |
| | 2 | | 3 | | 5 | 4 | | |
| | | | | | | 9 | | 3 |
| | | 5 | | | | | 8 | |
| | 6 | | 8 | | | | | 9 |
| 9 | | | 5 | | | | 3 | |
| | 1 | | 2 | | 3 | | | |
| 5 | 9 | 3 | | 7 | | 8 | 2 | 1 |
| | | | 9 | 5 | 1 | | | |

# გიღიმით ბედი?!

*თუ ოპტიმისტი ხართ, მაშინ, იმაშიც იქნებით დარწმუნებული, რომ ბედი გიღიმით. მხოლოდ პესიმისტები არ შეჰხარიან ხვალინდელ დღეს იმედის თვალით.*

*უპასუხეთ შეკითხვებს და ნახეთ, რაშია თქვენი სისუსტე. შეიძლება, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს.*



**1. ჩემი წარმატებულობა კანონზომიერია. ეს ყველაფერი შრომით დავიმსახურე. მიზანს ყოველთვის ვაღწევ.**

**2. მე, უბრალოდ, გამიმართლა. გარემოებებმა ჩემს სასარგებლოდ „იმუშავა“. სხვებიც დამეხმარნენ. საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოვჩნდი...**

**3. თუ მოვინდომებ და ვეცდები, ყველაფერში მივაღწევ წარმატებას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მომენტში. ასე არის და ასეც იქნება.**

**4. ნამდვილად არ მესმის, როგორ ხდება, როცა რაღაცაში მიმართლებს, თუმცა, უფრო ხშირად არაფერში მიმართლებს. მეეჭვება, მქონდეს მიზეზი, საკუთარ თავს ბედის ნებიერა ვუწოდო.**

**5. შემთხვევითი მარცხიანობა მჭირს. ჩემი ბრალი არ არის, რომ ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ აეწყობა ხოლმე.**

**6. ყოველთვის ვაფუჭებ რაღაცას – ჩემივე მიზეზით. ჩემი მონაცემებით (გარეგნობა, ხასიათი, ცხოვრებისეული პოზიციით) წარმატებული ვერ ვიქნები.**

**ტესტის შედეგები:**

*თუ თქვენ ეთანხმებით 1-ელ, მე-3 და მე-5 პუნქტებს, გაგიმართლათ. ნამდვილად ოპტიმისტი ხართ და შემთხვევითი არ არის, რომ გიმართლებთ. ასე განაგრძეთ. ბედი აშკარად გიღიმით.*

*თუ ეთანხმებით მე-2, მე-4 და მე-6 პუნქტებს. მაშინ, დროა, რაღაც შეცვალოთ. უიმედო პესიმისტობამდე ნახევარი ნაბიჯი დაგრჩათ. დროა, ფორტუნა მომავლის რწმენითა და ღიმილით მოხიბლოთ.*

## უძველესი აბრეშუმი

ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში იაპონელებმა უკვე იცოდნენ აბრეშუმის დამზადების ტექნოლოგია. სამარხში, რომელიც არქეოლოგებმა ქალაქ სიმოცუკესთან გათხარეს (ადგილი ტოკიოს ჩრდილოეთით მდებარეობს), აღმოაჩინეს 69-სანტიმეტრიანი აბრეშუმისგან დამზადებული აბრეშუმითვე შემოსილი ქალის ქანდაკება – სტატუეტი... თანაც, ფიგურა ასახავდა დაზგასთან მდგარ ქალს. მკვლევრები ახლა უკვე თამამად ამტკიცებენ, რომ აბრეშუმის წარმოება იაპონიაში ამ დროს უკვე ყვაოდა. ქალაქი სიმოცუკე კი აბრეშუმის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრად იყო მიჩნეული. იაპონელები ძალიან დიდხანს მალავდნენ აბრეშუმის დამზადების ტექნოლოგიას. აბრეშუმი თავისი ღირებულებით ოქროსთან იყო გაიგივებული და ხშირ შემთხვევაში, ფულის ერთეულის როლსაც ასრულებდა.

## იაპონური მორჩილება

ტოკიოს ცენტრალურ პარკში ძალიან საინტერესო ქანდაკება დგას. ბრინჯაოს მამაკაცის წინ, მუხლებზე მორჩილად დაჩოქილი ზის მისი ცოლი. ასეთი ურთიერთობა დღემდე ჩვეულებრივი მოვლენაა იაპონურ ოჯახში. ტრადიციული ვერსია: ქმარი მუშაობს, სახლში ცოლი დიასახლისობს, თანაც, ოჯახის ბიუჯეტს განაგებს. ქმარსაც ის აძლევს ჯიბის ფულს. ქალები საყიდლების შემდეგ აუცილებლად შედიან ძვირფას რესტორნებში, მაშინ, როცა მათი ქმრები ლუდის უბრალო ბარებითაც კმაყოფილდებიან. ჩნდება შეკითხვა, ნუთუ ეს არის საყოველთაოდ ცნობილი იაპონელი ცოლების მორჩილება? – ისინი დადიან რესტორნებში და ქმრებს მათვე გამომუშავებულ ფულს არ აძლევენ?! დიახ, სწორედ ასეთია იაპონელი ცოლი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ქმარს ბატონს ეძახის და ამბობს, რომ მისი მორჩილია, მაინც იმას აკეთებს, რაც თავად ესიამოვნება. ფინანსთა მინისტრიც თავად არის. კაცის ბატონად აღიარება და მისადმი „თქვენობით“ მიმართვა, მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციაა.

იაპონელი ქალებისთვის ცხოვრებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი არსებობს. 3 მარტი, როცა ქალიშვილი სრულწლოვანი ხდება და იცვამს კიმონოს (20 წლის ასაკში ხდება ეს) და ქორწილის დღე, რომელსაც იაპონელი ქალები ორჯერ აღნიშნავენ: ერთხელ ნაციონალურ ტანსაცმელში – ცერემონია ბუდისტურ ან სინტოისტურ ტაძარში იმართება, ხოლო მეორედ, ქრისტიანული წესით ქორწინდებიან, როგორც ჰოლივუდურ ფილმებშია. ძველებური რიტუალის ნახვა ნებისმიერ ტურისტს შეუძლია. თანამედროვე იაპონელი ქალი 30 წლამდე არ თხოვდება. კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება იაპონელი ქალებისა – მათი ჭეშმარიტი ასაკის გამოცნობა ძალიან ძნელია.

## მითები კატებზე

ალბათ, ფიქრობთ, რომ კატების შესახებ ყველაფერი იცით – შინაური ცხოველია... იჭერს თაგვებს... ზოგიერთი ამტკიცებს, კატა ვერაგი, ცბიერი, ეგოისტი არსებაა, რომელმაც, ძაღლისგან განსხვავებით, არც ერთგულება იცის და არც პატრონის სიყვარული. სინამდვილეში კატები სულაც არ არიან იმაზე მეტად ეჭვიანები, ვიდრე სხვა ცხოველები.



ცნობისმოყვარეობამ კატაც დაღუპაო, – ანუ, კატები ისეთი ცნობისმოყვარენი არიან, ამის გამო, ხშირად ეხვევიან შარში. ეს მთლად ასე არ არის. რა თქმა უნდა, ზოგიერთი კატა მართლაც ზედმეტად ცნობისმოყვარეა. მაგრამ, ამასთან, კატა არაჩვეულებრივად ფრთხილი, ყურადღებიანი და წინდახედული არსებაა. მათთვის უცხო სიტუაციას მაქსიმალურად არიდებენ თავს და ამჯობინებენ, თავი შორს დაიჭირონ. თუმცა, ეს გამონათქვამი 500 წლისაა. მან გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. თავდაპირველი ვარიანტი ასე ჟღერდა: „კატებს თავიანთი მოუსვენარი ხასიათი ღუპავთო“. კატა ძალიან ემოციური არსებაა და სტრესი მის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ყველაზე დიდ სტრესს კატა თავისსავე თანამოძმესთან, სხვა კატასთან ჩხუბით იღებს.

ძვირფასი, კეთილშობილი ჯიშის კატები, რომის, სპარსული, მეინკუნი – ქუჩას ვერ იტანს. მათთვის იდეალურია სახლის გარემო. ისინი ბოლომდე დამოკიდებული არიან პატრონზე.

კატას ადამიანის ფიქრის „წაკითხვა“ შეუძლია – ამას ინტელექტი სჭირდება. ყველაზე გონიერი კატაც კი ვერ იქნება ინტელექტუალი.

წარმოშობა – ეგვიპტური, რა თქმა უნდა! პირველი შინაური კატა, ამას გათხრებიც ადასტურებს, სწორედ ეგვიპტელებს ჰყავდათ. თუმცა, კატის წინაპარი 5 ათასი წლით უფრო ადრე ცხოვრობდა, ვიდრე ეგვიპტელი კატუნიები. ანუ, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ კატები კაცობრიობასთან ერთად არსებობენ და ვითარდებიან...

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

– მარტი, გადავწყვიტე, ამანდა მაინც მოვკლა... – მამაკაცის ხმა გარკვევით ისმოდა. ტექნიკოსს, რომელიც სატელეფონო ხაზების გასასწორებლად გამოიძახეს, შეშფოთებისგან ხელსაწყო გაუშვა ხელში... სხვების საუბარში შემთხვევით ჩაერთო. ტექნიკურად ეს შესაძლებელი იყო – მას შეეძლო სატელეფონო საუბრების მოსმენა, თუმცა კანონი ამას კრძალავდა... მაგრამ, ცნობისმოყვარეობამ აიძულა, მოსმენა გაეგრძელებინა...

– მარტი, გესმის ჩემი? ამანდას მოკვლა გადავწყვიტე-მეთქი!

– არ გეჩვენება, რომ ჯერ ძალიან ადრეა? – უპასუხა მეორე ხმამ. ეს, ალბათ, მარტი იყო, – ბარბარას სიკვდილის შემდეგ სულ რაღაც ორი თვეა გასული. ფიქრობ, რომ ეს შენთვის მომგებიანი იქნება? ცოტას ხომ არ დაიცდიდი?

– არა, არა, სიტუაცია მომწიფდა... ამჯერად ყველაფერი უზუსტესად გავთვალე. მკვლელობის იდეალური ვერსია მოვიფიქრე.

– პიტ, შენ ყოველთვის ასე ამბობ, – ამოიოხრა მარტიმ, – რა ვიცი, რა ვიცი...

ტექნიკოს ჯეფ ბაუერსს სუნთქვაც კი შეეკრა. შეცდომა გამორიცხული იყო. იმ ვიღაც ამანდას მართლა უპირებდნენ მოკვლას, თანაც, ამ მკვლელს ერთი ქალი უკვე ჰყავდა მოკლული...

– პიტ, გესმის ჩემი? ამ შემთხვევაშიც დაზღვევის თანხაა მოტივი? როგორც ბარბარას მკვლელობისას?

– არადა საქმეც ეგაა. ეს ეჭვს გამოიწვევდა. უფრო მაგარი რამე მოვიფიქრე. ამანდას ხომ ძალიან ძლიერი ალერგია აქვს პრაქტიკულად ყველაფერზე... ჰოდა, ასეთი რაღაც გადავწყვიტე: როცა თავისი შედევრი ორცხობილების მომზადებას დაიწყებს, მე ცომში მოზრდილ კოვზ არაქისის ზეთს ან ცერეცოს შევურევ და, მორჩა, წასულია მისი საქმე... აბა, როგორია?!

– პიტ... შენ უკე ნამდვილ მკვლელ-მანიაკად იქეცი, ძალიან გაგიტკბა ქალების ხოცვა. თუმცა, ეს ვერსია არადამაჯერებლად მეჩვენება.

– რატომ, მარტი? პირიქით, ძალიანაც დამაჯერებელია. მე ყველაფერი წავიკითხე ალერგიებზე და, მერწმუნე, ამანდა ეგრევე გაიგუდება. თანაც, სპეციალურად შევურჩევ დღესასწაულის დღეებს, როცა საავადმყოფოებში მხოლოდ მორიგე პერსონალი რჩება და პაციენტების მიღებაზე გრძელ რიგში უწევთ დგომა. ამანდას შემთხვევაში ექიმამდე საქმე არ მივა, ის მანამდე მოკვდება. მერე მე პერსონალს ვუჩივლებ გულგრილობასა და უყურადღებობის გამო. ჰოდა, სოლიდურ ჯარიმასაც გადავახდევინებ. შესაბამისად, ფინანსური დაინტერესებაც იქნება. რას იტყვი?

– რა უნდა გითხრა, შენ ხომ მაინც გააკეთებ ამას...

– ნუ ღელავ, მარტი. ნახავ, როგორ კარგად გამომივა ყველაფერი.

– მომისმინე, ისევ აპირებ პოლიციისთვის მიუწვდომელი დარჩე? – მარტის ხმაში ირონია ჟღერდა.

– რა თქმა უნდა! გაჩერებას არ ვაპირებ. გამომდის ეს საქმე და, რატომაც არა?! თანაც, ამანდა ნამდვილი ურჩხულია.

– გეუბნები, ნამდვილი ლურჯწვერა ხარ-მეთქი. კარგი, წავედი, კლიენტი მელოდება...

– კიდევ დაგირეკავ. რაღაც მინდოდა გამერკვია და შენი აზრი მაინტერესებს.

ჯეფ ბაუერსმა ძლივს მოითქვა სული. არა, ამ ამბავს ასე ვერ დატოვებდა. მართალია, უკანონობა იყო სხვისი საუბრის მოსმენა, მაგრამ გაჩუმება ერთი ადამიანის სიკვდილს უდრიდა. თუმცა, ჯერ ამ ვიღაც პიტის გვარი და მისამართი უნდა გაეგო, რაც დიდ სირთულეს არ

# საბედისწერო შეცდომა

## მორის შუნოვერი

წარმოადგენდა. დარწმუნებულმა იმაში, რომ პიტი უკვე აღარ ელაპარაკებოდა მარტის, ჯეფმა დარეკა სატელეფონო სადგურში და გაარკვია, რომელი ნომრიდან რეკავდა პიტი. შემდეგ აკრიფა დისპეტჩერის ნომერი და სთხოვა, კონკრეტული ტელეფონის ნომრის მფლობელის ვინაობა ეთქვა. ერთი წუთის შემდეგ ბაუერსმა უკვე იცოდა, რომ ამანდას მოკვლას ვინმე პიტერ მერიკი აპირებდა, ფიჭვების ქუჩა №223-ში. ამანდა, ალბათ, მისი ცოლი იყო. სავარაუდოდ, ბარბარაც მისი ცოლი იყო, რომელიც ორი თვის წინ გამოასალმა სიცოცხლეს. პოლიციაში წასვლის დრო იყო. ჯეფმა უცებ გაიხედა და აღმოაჩინა, რომ სატელეფონო-ტექნიკური ჯიხური ზუსტად 223-ე სახლის მოპირდაპირე მხარეს იდგა. კანი დაუბუსუსდა, როცა აივანზე დაინახა კაცი, რომელიც ტელეფონზე საუბრობდა. ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ეს სწორედ მკვლელი-მანიაკი იყო და სასწრაფოდ ისევ შეაერთა სადენი.



– მარტი, მომისმინე... იცი, რა ვიფიქრე? მე ხომ მკვლელი-მანიაკი ვარ. მარტო ცოლების მოკვლით იმიჯს დიდხანს ვერ შევინარჩუნებ... მოტივის გარეშე მკვლელობაც მჭირდება.

– ჯანდაბა, პიტ... მე საიდან უნდა ვიცოდე, რა გჭირდება მკვლელი-მანიაკის იმიჯის შესაქმნელად? გითხარი, საქმე მაქვს-მეთქი.

– არა, მომისმინე, მაგალითად, ახლა კარგი ვარიანტი მაქვს. ჩემს მსხვერპლებს შორის ჯერ არ ყოფილა სატელეფონო ხაზების ტექნიკოსი. შემთხვევით დავინახე, როგორ მუშაობს ჩემს წინ ჯიხურში ახალგაზრდა კაცი... მივალ, უცებ შუბლში დავახლი ტყვიას და წამოვალ. ვინ გაიგებს მკვლელის ვინაობას? არავითარი მოწმე, არავითარი მოტივი. იდეალური მკვლელობა იქნება, ხომ, მარტი?

– პიტ, გეყოფა. რაც გინდა, ის ქენი. მუშაობა მაცალე...

ჯეფ ბაუერსს შიშისგან ცივმა ოფლმა დაასხა. მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. სასწრაფოდ რაღაც უნდა ეღონა – უნდა მოეხვეტა თავისი ხელსაწყოები და გაქცეულიყო, რომ როგორმე თავი გადაერჩინა. ჯეფმა სწრაფად ჩააწყო ხელსაწყოები სპეციალურ ჩანთაში. მერე მოვიდოდა და მიხედავდა აქაურობას, ახლა კი გაქცევა უნდა მოესწრო. თითქმის მორჩა, ჩანთა შეკრა კიდეც, მაგრამ, ერთბაშად იგრძნო, რომ მის ზურგს უკან ვიღაც იდგა, სუნთქვაც კი ჩაესმა მისი... ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო... ახლა ესროდა – პისტოლეტის ლულა, ალბათ, კეფაში ჰქონდა დამიზნებული... ოღნავ შებრუნდა და დაინახა კიდეც მკვლელის ხელში მოგრძო, მუქი ფერის ნივთი... სხვა აღარაფერი დარჩენოდა, ჩანთას ხელი დაავლო, მთელი ძალით მოუქნია და მანიაკს სახეში შემოსცხო... პიტერ მერიკი დაეცა, ჯეფს ბევრი არ უფიქრია, ჩანთას ხელი შეუნაცვლა და კიდევ ერთხელ ჩაარტყა თავში...

***

პოლიციის სერჟანტი გვამთან დაიხარა.

– მკვდარია... ახალგაზრდავ, რას ერჩოდით ამ ადამიანს? – მიუბრუნდა ჯეფ ბაუერსს.

– მას ჩემი მოკვლა უნდოდა, მე თავს ვიცავდი.

– რითი აპირებდა თქვენს მოკვლას, ამით? – და პოლიციელმა მობილურ ტელეფონზე მიუთითა, რომელიც მიცვალებულს ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული.

– ჰო, მაგრამ, ის სერიული მკვლელია... მან თავისი ცოლები დახოცა და კიდევ ერთ ცოლს, ამანდას უპირებდა მოკვლას.

– ვინ? პიტერ მერიკი? – განცვიფრდა დეტექტივი ვაგნერი, რომელიც პოლიციელს ახლდა სასამართლოს ექსპერტთან ერთად, – მას ცოლი არ ჰყავს და არც არასოდეს ჰყოლია.

– როგორ, ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ ეუბნებოდა ვიღაც მარტის, როგორ მოუღო ბოლო ბარბარას, ხოლო დაზღვევის თანხა მიითვისა... კიდევ ის, რომ ადამიანების ხოცვა გართობად გადაექცა. ჩემი მოკვლა კი იმიტომ უნდოდა, რომ მის კოლექციაში არ იყო მკვლელობა არაფრის გამო, მოტივის გარეშე.

– პიტერ მერიკი დეტექტიურ რომანებს წერდა... ის თავის ახალ წიგნში ყოველთვის კლავდა... რამდენიმე თვის წინ გამოცემული მისი რომანი „ბარბარას" ბესტსელერების ათეულში მოხვდა. ნუთუ ამის შესახებ არ იცოდით?!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-22(701)

ცოტა ხანში გუგას ჩაეძინა, უფრო სწორად, ამდენ განცდებსა და ემოციებს ველარ გაუძლო და გაითიშა. თანასაკნელები ცდილობდნენ, არ ეხმაურათ და ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ. დაახლოებით ორი საათის შემდეგ საკნის კარის სარკმელი გაიღო და ვახოს სახე გამოჩნდა.



– რომელს ჰქონდა ჩემთან საქმე? – იკითხა ბადრაგმა და ინტერესით შეათვალიერა ნარებზე ჩამომსხდარი პატიმრები, – რა ხდება?

– რა უნდა ხდებოდეს, მშვიდობაა, – კარისკენ გაემართა მიშა, ხნიერი პატიმარი, – მე მქონდა საქმე. ასე გაოცებული რატომ გვიყურებ?

– რაღაც, ძალიან საეჭვოდ ჩუმად ხართ, – თქვა ვახომ და ისევ მოავლო თვალი პატიმრებს.

– ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზეა, – თითქმის ჩურჩულით უთხრა მიშამ, – უბრალოდ, ჩვენს ძმას ხვალ დილით უშვებენ და, ისე დაიღალა ემოციებით, რომ, ჩათვლიმა. ჩვენც, ვცდილობთ, არ ვიხმაუროთ, რომ ცოტა დაისვენოს.

– ასეთი ჰუმანური პატიმრები ჯერ არ მინახავს, – გაეცინა ვახოს, – ჩემთან რა საქმე გქონდათ?

– ძმურად, ერთი უსლუგა უნდა გამიწიო, – მიშა სარკმელთან ახლოს მივიდა და ბადრაგს თვალებში შეხედა, – ერთი თხოვნა უნდა შემისრულო როგორმე. ჩემთვის არ გაწუხებ...

– მითხარი, რა გინდა და, თუ შევძლებ, ხომ იცი, უარს არ გეტყვი.

– მე ახლა ერთი ჩემი ახლობლის ტელეფონის ნომერს გეტყვი. შენ უნდა დაურეკო და ჩემი სახელით უთხრა, რომ ხვალ დილისთვის ფული მჭირდება და უნდა შემომიგზავნოს შენი ხელით.

– არ გეწყინოს, მაგრამ, ვერ გავაკეთებ. ვინმემ რომ გამიგოს, მეც თქვენ გვერდით აღმოვჩნდები.

– რამე უნდა მოიფიქრო. აუცილებლად მჭირდება.

– რამდენი გინდა?

– რა ვიცი, ხუთას ლარამდე მაინც.

– ხუთასი ლარი რისთვის გჭირდება ციხეში? – დაეჭვდა ვახო.

– ნუ გეშინია, ცუდი არაფერი გვაქვს ჩაფიქრებული. ამას, – მიშამ გუგაზე მიუთითა, – ხვალ დილით უშვებენ, არადა, ავტობუსის ფული არა აქვს, რომ სახლამდე მივიდეს და არც არავინ ჰყავს, რომ დაურეკოს და სთხოვოს.

– თბილისელ კაცს ერთი ძმაკაცი ან ნათესავი არ ჰყავს, რომ მოაკითხოს და სახლში წაიყვანოს? – დაეჭვებით იკითხა ვახომ.

– ჰო, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, ასეა. მოკლედ, დამეხმარები თუ არა?

– ხუთასი ლარი სახლამდე მისასვლელად რად უნდა, თვითმფრინავი უნდა გამოიძახოს? – ღიმილით ჰკითხა ბადრაგმა.

მიშა მიხვდა, რომ ვახო დაითანხმა და თვითონაც ღიმილით უპასუხა:

– სახლში არავინ დახვდება. რამე საჭმელი ხომ უნდა იყიდოს, ახალი ტანსაცმელიც დასჭირდება – შეიძლება, რაც ახლა აცვია, იმის მეტი არც არაფერი აქვს. მოკლედ, რას მალაპარაკებ ამდენს...

– კარგი, რამეს მოვიფიქრებ და გაგაგებინებ, – ვახომ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და პატიმარს გაუღიმა, – კარგი კაცი ხარ შენ, აქ არ უნდა იჯდე. ახლა კი წავედი, თორემ, ვინმემ თუ დამინახა, რომ ამდენ ხანს გელაპარაკები, სამსახურს დავკარგავ.

– ჯიგარი ხარ, – გაუხარდა მიშას, გელოდები, რა ამბავს მომიტან. ნომერს ჩაიწერ თუ დაიმახსოვრებ?

– დავიმახსოვრებ, – თქვა ვახომ და ნაკარნახევი ნომერი ერთხელ ჩუმად გაიმეორა თავისთვის.

– ხომ არ დაგავიწყდება?

– ნუ გეშინია, კომპიუტერული მეხსიერება მაქვს. ათი წლის შემდეგ რომ მკითხო, მაშინაც მემახსოვრება. კარგი, წავედი, – თქვა ვახომ და სარკმელი დახურა.

– მაგარი რამე მოიფიქრე, ჩვენ მაგდენი ვერ მოვტვინეთ, – უთხრეს თანასაკნელებმა.

– სალაპარაკოდ არ ღირს, – იუხერხულა მიშამ და გუგას გახედა, – ეგრე ძალიან არავინ შემცოდებია. უბრალო კაცი არ ჩანს. ეტყობა, რაღაც ძალიან დიდი ტრაგედია აქვს გადატანილი და იმიტომ ჩაეშვა ასე.

– ძნელია, როცა ბავშვობის ძმაკაცი გიღალატებს, – თქვა ყველაზე ახალგაზრდა პატიმარმა, გოგიტამ.

– არა მგონია, მარტო ეგ იყოს მიზეზი, – დაეჭვებით გაიქნია თავი მიშამ, – აშკარად რაღაცა არ თქვა ბოლომდე.

– მერე, ჩვენ დაგვიმალა? – წამოენთო გოგიტა.

– შენ ჯერ ბავშვი ხარ და, შეიძლება, არ იცი, რომ არსებობს რაღაც ძალიან პირადული და ძალიან მტკივნეული, რომელსაც ვერავის ეტყვის კაცი, – ფილოსოფიურად დაასკვნა მიშამ.

– მაგალითად? – იკითხა ერთ-ერთმა პატიმარმა.

– მაგალითად, ქალი, – თქვა მიშამ და უცებ სახე შეეცვალა, თითქოს ფიქრებით სადღაც სხვაგან წავიდა, მაგრამ, მალე აიყვანა თავი ხელში და განაგრძო: – თუმცა, ეს ჩვენი საქმე არ არის და, საერთოდაც, გვეყოფა ლაპარაკი, ვაცადოთ ამ კაცს ძილი.

პატიმრები ნარებზე წამოწვნენ და ყველა თავის ფიქრსა და დარდს მიეცა.

საღამო ხანს სარკმელი ისევ გაიღო. მიშა მაშინვე კარისკენ გაეშურა.

– როგორ არის? – გუგაზე ანიშნა ვახომ.

– არ გაუღვიძია, გათიშულივით სძინავს. რა ამბავი მოგვიტანე?

– ყველაფერი მოგვარებულია. ხვალ თვითონ დახვდება ციხის კართან. მეტს ვერაფერს გეტყვით, – თქვა ვახომ და სარკმელი დახურა.

– ჯიგარი ხარ. რომ გამოვალ, კაცურად გადაგიხდი! – მიაძახა მიშამ და თანასაკნელებს აწეული ცერი თითით ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო, – მაგრამ, არაფერი უთხრათ, სიურპრიზი იყოს, თორემ, შეიძლება, იუხერხულოს. გაიგე? – მიმართა გოგიტას, – ემოციებმა არ დაგძლიოს და არაფერი წამოგცდეს.

– გავიგე, – ცოტა არ იყოს, ნაწყენი ხმით უპასუხა გოგიტამ, – მე რა, მართლა პატარა ბავშვი ხომ არ გგონივართ?

– კარგი, საწყენად არ მითქვამს, – აღარ დაძაბა სიტუაცია მიშამ, – ახლა კი მართლა ამოვისუნთქე.

გუგას მთელი დღე და მთელი ღამე ისე ეძინა, არც განძრეულა, სიზმარიც კი არ უნ-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.................................
მარიკა 599 24 28 31

ახავს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მისმა სხეულმა წონა დაკარგა და ჰაერში დანარნარებდა. იმდენად სასიამოვნო იყო ეს გრძნობა, რომ, უნდოდა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო ასე. ოდნავ ინათა თუ არა, თვალები გაახილა და გაოცებულმა მოათვალიერა საკნის ჭერი და კედლები – უცებ ვერც კი მიხვდა, სად იყო. რამდენიმე წუთი დასჭირდა გონზე მოსასვლელად. როცა გააცნობიერა, რომ ისევ თავის უსახურ საკანში იჯდა, გული მოეწურა – ღრუბლებში „ფრენის“ შემდეგ ასეთი დანარცხება მიწაზე ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. გაიფიქრა, ბიჭებს, ალბათ, სძინავთო და ფრთხილად წამოჯდა ნარზე, მაგრამ, თავი რომ ასწია, გაოცებისგან კინალამ შეხტა: ხუთივე პატიმარი მის მოპირდაპირე ნარზე იჯდა და ულიმოდა, მაგიდაზე კოხტად იყო დაწყობილი ის ღარიბული საჭმელი, რაც გააჩნდათ.

– დილა მშვიდობისა, ძილისგუდა! – შეუთამამდა გოგიტა, – რა იყო, ამ წელიწადში აღარ აპირებ დაძინებას?

მიშამ შეუბღვირა – ზედმეტები მოგდისო, მაგრამ გუგას არ სწყენია და ღიმილით ჰკითხა:

– ასე ბევრი ვიძინე?

– თითქმის მთელი დღე და მთელი ღამე, – უთხრა ახალგაზრდამ და ხმამაღლა გაიცინა, – კიდევ კარგი, გაგეღვიძა, თორემ, იმის შიშით, რომ არ გაგვეღვიძებინე, მუნჯებივით ვისხედით და ლამის გავრეკე.

– მართლა? – შეწუხდა გუგა, – ბოდიშს გიხდით...

– კარგი, ჰო, მაგიტომ კი არ გეუბნები, უბრალოდ, მინდა, ცოტა ხასიათზე მოგიყვანო.

– როგორ ხარ? – ჰკითხა მიშამ, – ცოტა არ დამშვიდდი?

– ჰო, მაგრამ, რაღაცნაირ ეიფორიაში ვარ.

– ეიფორია რაღა ჯანდაბაა? – დაინტერესდა გოგიტა.

– მოკეტე! – შეუღრინეს პატიმრებმა და ისიც მაშინვე დადუმდა.

– ნელ-ნელა გაგივლის. ნუ გეშინია, მალე დაუბრუნდები რეალობას, მთავარია, სხვა თვალით შეხედო ცხოვრებას. ნათქვამია, სიკვდილის მეტს ყველაფერს ეშველებაო, – უთხრა მიშამ და გასამხნევებლად გაუღიმა.

– იცი, რას მივხვდი? – თქვა გუგამ დაფიქრებით, – ფიზიკურ სიკვდილსაც კი ეშველება, მთავარია, სულიერად არ მოკვდე. აი, მაშინ კი მართდა დაგერხევა.

– მაგასაც ეშველება, თუკი კაცი მოინდომებს, – უთხრა ერთ-ერთმა პატიმარმა, – საკუთარი მაგალითიდან გამომდინარე გეუბნები.

– ჰო, ალბათ, მართალი ხარ, მაგრამ, სწორედ ეს მონდომებაა ყველაზე ძნელი.

– აბა, გვეყო პესიმიზმი, საქმეს მივხედოთ, – თქვა მიშამ, – მიდი, ცოტა გამოფხიზლდი, პირზე წყალი შეისხი და დავსხდეთ სუფრასთან.

– ამ უთენია ქეიფი დავიწყოთ? – გაეღიმა გუგას.

– „ქეიფს ვიწყებ დილიდააან!..“ – წაუღიღინა გოგიტამ, – მერე რა მოხდა, ციხეში დილა და საღამო ვინ გაყო?

გუგამ იგრძნო, რომ აშკარად გამოუკეთდა ხასიათი. თანასაკნელებს მადლიერებით გაუღიმა და პირის დასაბანად გაემართა ონკანისკენ. მაგიდასთან რომ დაბრუნდა, პატარა ფინჯნით ყავა დახვდა მაგიდაზე და გაოცებით აზიდა წარბები:



– თქვენ, რა, ყველაფერთან ერთად, ფოკუსნიკებიც ხართ?

– თანაც როგორი, – გაეცინა მიშას, – აქ რას არ ისწავლი. მიდი, დალიე, ნელ-ნელა დაუბრუნდი „სვეცკურ” ცხოვრებას.

– რომ იცოდე, რამდენი ხანია, ყავა აღარ დამილევია, მაგას აღარ მეტყოდი, – გუგამ ხარბი თვალებით შეხედა ფინჯანს და მერე თანასაკნელებს მოავლო თვალი, – მარტო მე მომიხარშეთ? თქვენთვის აღარ დარჩა?

– ჩვენ ყავა კუჭს აგვიშლის მიუჩვეველზე, – თქვა ერთ-ერთმა პატიმარმა და ყველას ხმამაღლა გაეცინა, – მიდი, დალიე, ნუ გერიდება.

გუგამ ისეთი ნეტარებით მოსვა პირველი ყლუპი, რომ ხუთივე პატიმარმა ერთდროულად მოილოკა ტუჩები და ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი, მაგრამ გუგას არც კი შეუმჩნევია, თვალებდახუჭულმა დაცალა ფინჯანი, მერე პატარა კოვზი აიღო, ფსკერზე ჩარჩენილი ნალექი მოფხიკა, ისიც პირისკენ გააქანა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგა ჭიქა მაგიდაზე.

– მაგარი იყო, – თქვა კმაყოფილმა, – ასეთი კაიფი წამლის გაკეთების დროსაც არ დამიჭერია.

– ჰოდა, დღეიდან წამლის მაგივრად ყავით იკაიფე ხოლმე, – უთხრა მიშამ, – ახლა კი ცოტა რამე შეჭამე, რომ ღონეზე მოხვიდე, თორემ, მერე ამისთვის აღარ გეცლება.

გუგამ ძალით გადაყლაპა ორიოდე ლუკმა და თეფში გასწია:

– არ გადადის. მით უმეტეს, რომ, არ მინდა, ყავის გემო გავიფუჭო.

– კარგი, როგორც გინდა. ახლა კი მომისმინე, – თქვა მიშამ და თვალებში შეხედა, – სახლში რომ მიხვალ, კარგად გამოიძინე, თავი მოიწესრიგე და ცოტა გონზე მოდი, ქალაქში გაიარ-გამოიარე, მერე კი სერიოზულად იფიქრე შენს მომავალზე.

– რომელ მომავალზე? – მწარედ გაეცინა გუგას, – ჩემს ცხოვრებაში დროები გადანაცვლებულია – მომავალი წარსულში გადავიდა.

– აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, თორემ, მეწყინება, იცოდე! – ხმა გაიმკაცრა მიშამ, – მომავალი ყოველთვის მომავალია, რაც არ უნდა დაემართოს კაცს.

– მე იმის დედა ვატირე, ვინც შენ ციხეში ჩაგსვა! – წამოიძახა ერთ-ერთმა პატიმარმა და მიშას შეხედა, – შენ აქ რა გინდა, შენისთანა კაცი სასულიერო სემინარიაში უნდა ასწავლიდეს, ან, სულაც, მღვდელი უნდა იყოს, რომ მრევლი სწორ გზაზე დააყენოს!

– ღმერთს ნუ სცოდავ, – უპასუხა მიშამ, – ყველა იქ არის, სადაც უნდა იყოს. მთავარია, მიხვდეს იმას, რომ სხვა კი არ მოექცა მას უსამართლოდ, არამედ, საკუთარი თავი.

– მე ამისთვის არც ძალა მაქვს და არც გამბედაობა მეყოფა, – დანანებით თქვა გუგამ.

– ახლა კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი. ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა მითხრა ეს ერთხელ და იმის შემდეგ დამიბრუნდა საკუთარი თავის რწმენა... – მიშამ პაუზა გააკეთა და პატიმრებს გადახედა.

– ასეთი რა გითხრა? – დაინტერესდა გოგიტა.

– როდესაც ზოგადად ადამიანებზე ვსაუბრობდით, მითხრა, რომ თითქმის ყველა ადამიანში, განურჩევლად ასაკისა, ეროვნებისა, სქესისა თუ სოციალური სტატუსისა, დამალულია გამბედაობა, ძალა თუ გამძლეობა, რომელიც მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა ტკივილი, სასოწარკვეთილება, უიღბლობა თუ უბედურება უკიდურეს წერტილს აღწევს, ანუ, მხოლოდ ამ დროს პოულობს გული და გონება გამოსავალს, ხსნის გზას და, როდესაც ამ გზას მიაგნებ, მხოლოდ მაშინ ხვდები, თურმე, რა მაგარი ყოფილხარ.

– მერე, რა არის ეგ გზა? – დადარაჯებით იკითხა გუგამ.

– საკუთარი თავის რწმენა, საკუთარ თავში პიროვნების ხელმეორედ აღმოჩენა. ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელია, მაგრამ, თუ საკუთარი თავის რწმენა არ გაქვს, ვერ იცხოვრებ.

– ვერ დაგეთანხმები, – შეეწინააღმდეგა გუგა, – ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც ამ რწმენის გარეშე ცხოვრობს და, სხვათა შორის, მშვენივრადაც გრძნობენ თავს.

– ჰო, მაგრამ, მათ ყოფას ცხოვრება კი არა, არსებობა ჰქვია, თუნდაც ფუფუნებასა და განცხრომაში, მაგრამ, მაინც არსებობა. მათი სულიერი და ფსიქოლოგიური ინტელექტი ნულის ტოლია, ან, სულაც მინუსებშია.

ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.



– მაგრამ, ასეთები ხომ საზოგადოების უმრავლესობას წარმოადგენენ, – გააპროტესტა გუგამ.

– შეიძლება, ოღონდ, საზოგადოების ცხოვრებაში სტოსი მაინც იმ უმცირესობას მიჰყავს და, თანაც, ადრე თუ გვიან, იმ უინტელექტო ადამიანების ცხოვრებაშიც დგება წამი, როცა საკუთარ თავს დაუსვამენ მთავარ კითხვას და გამოიჩენენ გამბედაობას, სწორი არჩევანი გააკეთონ.

– რა კითხვას? – შეეკითხა გოგიტა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარიც კი ვერ გაიგო თანამესაკნეების დიალოგიდან, მათი საუბრის მთავარი თემა მტკივნეულად შეეხო მის გონებასა და გულს.

– ძალიან მარტივი კითხვაა: – მიუბრუნდა მას მიშა, – „ვინ ვარ მე?“ – და, თუ რეალურად, შელამაზების გარეშე გასცა ამ კითხვას პასუხი, მიხვდება, როგორ უნდა მოიქცეს.

– ბევრს გადაუტანია ტკივილიც, ტრაგედიაც, სასონარკვეთილებაშიც ჩავარდნილა, ამგვარი გამბედაობა კი, ალბათ, ერთეულებს თუ გამოუჩენიათ, – ისევ პროტესტი გამოთქვა გუგამ.

– რა თქმა უნდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დანარჩენებისთვის არ იყო ის ტკივილი თუ ტრაგედია კულმინაციური, ანუ, უკიდურესი წერტილი, – ხელახლა განუმარტა ხნიერმა პატიმარმა.

პატიმრები გაჩუმდნენ. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. ყველა საკუთარ თავში ჩაღრმავა ამ საუბარმა. ბოლოს ისევ გუგამ ამოიღო ხმა:

– საოცარი კაცი ხარ. მე არ ვიცი, შენ ვინ დაგაყენა ჭეშმარიტების გზაზე, მაგრამ, პირადად მე რომ შენ უნდა გიმადლოდე ადამიანებისადმი რწმენის დაბრუნებას, ეს უდავოა... შენ და, კიდევ რამდენიმე ნამდვილ ადამიანს, ამათი ჩათვლით, – გუგამ დანარჩენებზე მიუთითა, – საკუთარი თავის რწმენა კი მაშინ უბრუნდება კაცს, როცა, ზოგადად, ადამიანების, უფრო სწორად, ადამიანობის არსებობის რწმენა უჩნდება. მაგრამ, ყველაზე საოცარი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ის არის, რომ, ამ რამდენიმე ნამდვილი ადამიანიდან, ორის გარდა, ყველა ციხეში შემხვდა – ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში, სადაც, წესით, ეს არ უნდა მომხდარიყო. მანამდე კი ამის ბედნიერება ერთხელაც არ მქონია.

– ესეც უფლის ნებაა. ეტყობა, ამ კედლებში ნანახ სიკეთეს უფრო დიდი ძალა აქვს, – დაასკვნა ერთ-ერთმა პატიმარმა.

– მართალი ხარ, ნამდვილად ასეა და, მე თითქმის უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო აქედან გასვლის შემდეგ, ოღონდ, ამისთვის მომზადება დამჭირდება, – გადაწყვეტით თქვა გუგამ, – ამას ახლა, ამწუთას მივხვდი.

– ჩვენ არ გვეტყვი? – იკითხა გოგიტამ.

– ჯერ ვერ გეტყვით – ვაითუ, ვერ შევძლო და, არ მინდა, ტყუილი გამომივიდეს. თუ მანამდე გამოხვალთ, ხომ გნახავთ და, თუ არა, როგორმე გაიგებთ ჩემს ამბავს.

– ის ორი ადამიანი ვინ არის? – ჩაეკითხა გოგიტა.

– ვინ ორი ადამიანი? – ვერ მიხვდა გუგა.

– ის ორი ნამდვილი ადამიანი, ვინც ციხის გარეთ შეგხვდა, – დაუზუსტა ბიჭმა.

– ის ორი ადამიანი არის პროფესორი ქებაძე და დიმიტრის ძმა, რომელთა საქციელითაც ახლაც გაოცებული ვარ.

– შენ პროფესიით ვინ ხარ? – მოულოდნელად ჰკითხა მიშამ.

– პროფესიით არავინ, – მწარედ გაეღიმა გუგას, – დიპლომით კი ოდესღაც კიბერნეტიკოსი ვიყავი, თუმცა, ეს შორეულ წარსულში იყო, წინა ცხოვრებაში. შენ?

– არ გაგეცინოს, მაგრამ, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი უნივერსიტეტში, თუმცა, დიპლომამდე რომ მივედი, თავი დავანებე სწავლას.

– რატომ? – გაუკვირდა გუგას.

– ეს ცალკე თემაა. არ გეწყინოთ, მაგრამ, ამაზე არსად არ ვლაპარაკობ, უახლოესმა მეგობრებმაც კი, დღემდე არ იციან რეალური მიზეზი.

– ეტყობა, იმიტომაც ხარ ასეთი ნაკითხი, – ღიმილით უთხრა გუგამ.

პატიმრებმა ჩუმად გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ, არაფერი უთქვამთ, რადგან, ყველა მაშინვე მიხვდა, რომ ამის მიზეზი ქალი უნდა ყოფილიყო, ამიტომ, თემა შეცვალეს და გუგას ჰკითხეს:

– როდის დაგიძახებენ?

– არ ვიცი, ალბათ, მალე.

– ცოტა აზრზე რომ მოხვალ, როგორმე გაგვაგებინე, როგორ იქნები.

– როგორ უნდა გაგაგებინოთ? – შეწუხდა გუგა, – დარეკვით ვერ დაგირეკავთ, ისე კი ვინ გადმოგცემთ ჩემს დანაბარებს?

– ჩვენ ხომ გვაქვს ორ კვირაში ერთხელ დარეკვის უფლება, ჰოდა, ჩვენ თვითონ დაგირეკავთ, – გამოსავალი იპოვა გოგიტამ.

– ჰო, მაგრამ, მობილური აღარ მაქვს, სანამ დამიჭირდნენ, მანამდე დავკარგე, – ჩაფიქრებით თქვა გუგამ.

– მისმინე, – მიუბრუნდა მას მიშა, – არ მინდოდა, წინასწარ მეთქვა, მაგრამ, საქმე მოითხოვს ასე და იმიტომ გეუბნები: რომ გახვალ, გარეთ ჩემი მეგობარი დაგხვდება თეთრი „ვოლვოთი“ და სახლამდე მიგიყვანს. გამოართვი მობილურის ნომერი და კონტაქტი იქონიე მასთან. მაგას ვურეკავ ხოლმე და შენს ამბავსაც ეგ შემატყობინებს. ტელეფონი როცა გექნება, დაურეკე და შენი ნომერი ჩააწერინე. რომ დავურეკავ, მიკარნახებს და მერე შენც დაგირეკავ. გაიგე?

– გავიგე. დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

ამ საუბარში ისე გავიდა რამდენიმე საათი, ვერც კი იგრძნეს. დღიით შემოწოდებული საჭმელი ხელუხლებლად იდო მაგიდაზე. თითქოს ბევრი რამ ჰქონდათ სალაპარაკო, მაგრამ ხმას ვეღარ იღებდნენ.

– გარეთ ვინმესთან ხომ არაფერს დამაბარებთ? – ჰკითხა გუგამ, როცა კარის საკეტის ხმა გაიგო.

– ჩვენების ტელეფონის ნომრებს გეტყვით, თუ დაიმახსოვრებ, დაურეკე და უთხარი, რომ კარგად ვართ; კიდევ, ცოტა ხილი და

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ | | უ | | კ | | ო | ს | ო | ს | | ე | | ე | |
| ა | ლ | ი | ტ | რ | ო | ტ | | ა | | ა | | ს | ი | ქ | ა |
| მ | უ | ს | ა | | რ | | ა | ი | ძ | ნ | ა | ტ | | ს | |
| ა | | ი | რ | ა | ნ | უ | | გ | | ე | | ა | რ | კ | ს |
| ს | ა | ლ | ო | მ | ე | | | ა | ი | რ | ე | მ | | უ | |
| ი | | ვ | | უ | ი | მ | ა | კ | | გ | | პ | ე | რ | ო |
| ა | ს | ი | ა | რ | | ე | | ი | მ | ე | დ | ი | | ს | ე |
| | ვ | | ნ | ი | ს | ი | ა | | ა | | ა | | ს | ა | დ |
| დ | ა | ფ | ა | | ა | | რ | | რ | ა | ღ | ა | | ნ | ო |
| | ნ | | ნ | ა | ნ | ო | კ | | კ | | მ | | რ | ტ | რ |
| მ | ი | თ | ი | | ა | | ა | რ | ა | ტ | ა | პ | | ი | |
| ე | | ა | | ი | რ | ი | დ | ა | | ო | |  | | | |
| ს | ა | მ | ა | ს | ი | | ი | ნ | ა | რ | კ | | | | |
| ა | | ა | დ | ი | ა | ვ | | დ | | ტ | | | | | |
| მ | ა | ს | რ | ა | | ი | | ა | დ | ი | ა | | | | |
| ე | | ა | ი | დ | უ | ტ | ს | | რ | | | | | | |
| | ძ | | ა | | ლ | ი | ე | | ა | კ | ს | | | | |
| ა | ნ | ე | ნ | | ე | | ი | ს | მ | ა | რ | ბ | | | პ |
| რ | ა | | ი | ხ | ვ | ი | | ა | ი | რ | | ა | მ | ჩ | ა |
| მ | | ქ | | ა | ი | ლ | ე | მ | | ა | ზ | ბ | | | ი |
| ა | ც | ნ | ა | ლ | | უ | | ო | ი | ბ | ო | ლ | | ა | ჭ |
| ნ | | ა | კ | ი | რ | ე | მ | ა | | ი | რ | ი | ჩ | | ა |
| დ | ა | რ | ი | | ქ | | კ | | უ | ნ | გ | | ა | მ | ძ |
| ო | | ი | ლ | უ | ა | რ | ა | ყ | | ი | ე | რ | ი | | ე |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 1 | 8 | 4 | 6 | 3 | 5 | 9 |
| 4 | 3 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 6 | 8 |
| 8 | 6 | 5 | 9 | 3 | 2 | 1 | 4 | 7 |
| 5 | 9 | 6 | 3 | 7 | 1 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 4 | 3 | 6 | 8 | 9 | 7 | 1 | 5 |
| 1 | 7 | 8 | 4 | 2 | 5 | 9 | 3 | 6 |
| 9 | 8 | 4 | 1 | 6 | 3 | 5 | 7 | 2 |
| 3 | 5 | 7 | 2 | 9 | 4 | 6 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 2 | 7 | 5 | 8 | 4 | 9 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 6 | 9 |
| 2 | 3 | 8 | 6 | 9 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 6 | 9 | 5 | 4 | 7 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 5 | 7 | 9 | 2 | 3 | 6 | 1 | 8 |
| 8 | 6 | 9 | 1 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 |
| 3 | 1 | 2 | 8 | 6 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 7 | 4 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 9 | 3 |
| 9 | 2 | 3 | 7 | 1 | 6 | 4 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 1 | 3 | 4 | 9 | 2 | 7 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ქრისტეფორე კოლუმბი. 2. დიონისე – ღვინის ღმერთი. 3. კონფეტი – გალაქტიკებია. სამყარო ცენტრიდან მიისწრაფვის – ფართოვდება. 4. ყინულით – მაცივრის გამოგონებამდე. 5. გრაფიტი. 6. ფაბერჟეს კვერცხი. 7. ორიგამა – ქაღალდისგან ფიგურების შექმნის ხელოვნება. 8. შავ ჭირს, რომელიც შუა საუკუნეებში მძვინვარებდა. 9. პიკასომ – მტრედს (მშვიდობის მტრედი). 10. მტერს მანეკენები მებრძოლები ეგონათ და ისრებს ესროდნენ. ამ ისრებს ალყაში მყოფები იყენებდნენ.**

სუფთა თეთრეული შემოგვიგზავნონ და რამე თანხა გადმოგვირიცხონ, რომ სიგარეტი მაინც ვიყიდოთ, – უთხრეს პატიმრებმა და ნომრები უკარნახეს.

– დღეს, შეიძლება, ვერ მოვახერხო, მაგრამ, ხვალ აუცილებლად დავურეკავ საიდანმე, – შეჰპირდა გუგა და საკნის კარიც გაიღო.

– სანებლიძე, წამოდი! – თქვა ყურებამდე გაღიმებულმა ვახომ.

– სვეშჩამი არა?! – გაუკვირდა გოგიტას.

– ჰო, სვეშჩამი, მაგრამ, სად აქვს სანებლიძეს ბარგი? – ხმამაღლა გაეცინა ვახოს.

– მაინც ეგრე უნდა გეთქვა, ძმაო, რა დაგვიხეთქე გულები! – უკმაყოფილება გამოთქვა ბიჭმა და პირველი ის გადაეხვია გუგას, – აბა, სზოგომ!

მერე დანარჩენებიც გამოემშვიდობნენ და, რამდენიმე წუთის შემდეგ, რაღაც ფორმალობების გავლის მერე, გუგა ციხის ჭიშკრის გარეთ აღმოჩნდა. უცებ ვერც კი მოეგო გონს, გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით და, ალბათ, კარგა ხანს იდგებოდა ასე, უცხო მამაკაცი რომ არ დასდგომოდა თავზე.

– გუგა თქვენ ხართ? – ჰკითხა სასიამოვნო ბარიტონით.

– დიახ, – გამოერკვა უკვე ყოფილი პატიმარი.

– წამოდით, სახლამდე მიგიყვანთ, – თქვა უცნობმა და იქვე მდგარი თეთრი „ვოლვოსკენ" გაემართა. გუგა მორჩილად გაჰყვა და მძღოლის გვერდით დაჯდა. იმდენი ხანი იყო, ასეთ მანქანაში არ მჯდარა, ეხამუშა კიდეც.

– სად მივდივართ? – ჰკითხა კაცმა და ღვედი გაიკეთა. გუგამაც მიჰბაძა და მერე უთხრა მისამართი.

მთელი გზა ისე გაიარეს, ხმა არ ამოუღიათ. ძალიან სერიოზული და სიტყვაძუნწი კაცი ჩანდა, თუმცა, გუგას ერჩივნა კიდეც, რომ ჩუმად ყოფილიყვნენ. ემოციებისგან გული ყელში ჰქონდა მობჯენილი და არავისთან ლაპარაკის თავი არ ჰქონდა.

ეზოს შესასვლელთან რომ მოვიდნენ, „ვოლვო" გაჩერდა. გუგამ ღვედი მოიხსნა, მანქანიდან გადავიდა და მძღოლისკენ დაიხარა, რომ მადლობა ეთქვა, მაგრამ კაცმა ხმის ამოღებაც კი არ აცალა, ჯიბიდან თეთრი კონვერტი ამოიღო და გაუწოდა.

– ეს რა არის? – გაუკვირდა გუგას.

– წარმოდგენა არ მაქვს. მიშამ მთხოვა, გადაეციო და მის დავალებას ვასრულებ.

– კი მაგრამ, მიშა საკანში არ დავტოვე?!

– არ ვიცი, ძმაო, ერთმანეთში თვითონ გაარკვიეთ საქმეები. უკაცრავად, მაგრამ, ძალიან მეჩქარება, გამომართვი!

გუგამ მექანიკურად გამოართვა კონვერტი და დამშვიდობებაც ვერ მოასწრო, რომ „ვოლვო" ადგილს მოსწყდა და კვამლი და მტვერი შეაფრქვია.

გუგამ მექანიკურად ჩაიდო კონვერტი შარვლის ჯიბეში და ჭიშკარში შევიდა. მეზობლებთან შეხვედრისა და ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და ძალიან გაუხარდა, ეზოში არავინ რომ არ ჩანდა. გასაღები ისევ იქ დახვდა, სადაც ყოველთვის დებდა ხოლმე. კარი გააღო და ოთახში შევიდა. იქაურობა არეული და დამტვერილი იყო. სხვა დროს, შეიძლება, ვერც კი შეემჩნია ან ყურადღება არ მიექცია, მაგრამ ახლა, რატომღაც, ისე გააღიზიანა ამ არეულობამ, ხელებიც კი არ დაუბანია, მაშინვე ოთახის მოწესრიგებას შეუდგა. დაახლოებით ორი საათი მოანდომა მიყრილ-მოყრილი ნივთებისთვის თავისი ადგილის მიჩენას, გამოგვასა და მტვრების გადაწმენდას. ბოლოს ამაყად მოათვალიერა დალაგებული ოთახი და დაღლილ-დაქანცული ჩაეშვა სავარძელში. ცოტა ხანს ასე იჯდა. მერე წამოდგა და სააბაზანოსკენ გაემართა, თან გზადაგზა იხდიდა ყველაფერს, რაც ტანზე და ფეხზე ეცვა. ტრუსების ამარა რომ დარჩა, უჯრიდან ერთი დიდი პარკი ამოიღო, რაც გაიხადა, ყველაფერი ერთად ჩაყარა შიგ, თავი მოუკრა და კართან დადო, რომ მერე გაეტანა და ნაგავში გადაეგდო. სააბაზანომდე მისული, უკან დაბრუნდა, კარადა გამოაღო და თავისი ღარიბი გარდერობი შეათვალიერა. როგორც იქნა, ამოარჩია შედარებით ნორმალური მაისური და შორტები და სააბაზანოში შევიდა. საათზე მეტხანს იდგა შხაპის ქვეშ. ალბათ, ათჯერ წაისვა ტანზე საპონი, რამდენჯერმე აიქაფა თმაზე შამპუნი და, ბოლოს, როგორც იქნა, შეელია იქაურობას – კმაყოფილი ფრუტუნით გადაივლო წყალი, პირსახოცი წელს ქვემოთ შემოიხვია და ონკანის თავზე დაკიდებულ პატარა სარკეში ჩაიხედა.

– წვერს მერე გავიპარსავ. თმაც შესაკრეჭი მაქვს, მაგრამ, არა უშავს, რამეს მოვახერხებ, – ჩაილაპარაკა თავისთვის და ოთახში გამოვიდა. კართან დადებულ, ძველი ტანსაცმლით სავსე პარკს რომ შეხედა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ იმ კაცის მოცემული კონვერტი შარვლის ჯიბეში ჩაიდო. მაშინვე ამოაძრო პარკიდან ჭუჭყიანი ჯინსი და ჯიბიდან კონვერტი ამოიღო. რატომღაც, მოლოდინისგან გული აუჩქარდა. სავარძელში ჩაჯდა და კონვერტი გახსნა. თვალებს არ დაუჯერა – იქ ათი ცალი ორმოცდაათლარიანი იდო. კარგა ხანს იჯდა გაოგნებული. კიდევ ერთხელ იგრძნო უზარმაზარი მადლიერება მიშას მიმართ და ფული მაგიდაზე დადო. უცბად საშინლად მოუნდა მოწევა. გაახსენდა, რომ სამზარეულოს მაგიდის უჯრაში ჰქონდა შენახული რამდენიმე ღერი „შავი დღისთვის" და თითქმის სირბილით გავიდა მოსატანად. სიგარეტი ძალიან იყო გამომშრალი, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სასწრაფოდ მოუკიდა და ხარბად მოქაჩა. მერე პატარა ქილაში ჩარჩენილი ყავაც იპოვა, ჯეზვეში მოადუღა და ისეთივე ნეტარებით დალია, როგორც დილით, საკანში.

უცბად იგრძნო, რომ საშინლად შიოდა. სახლში პურის ერთი ნამცეცეიც კი არ ებადა. ამიტომ, ძალიან კი ეზარებოდა, მაგრამ, სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა ჩაეცვა და მაღაზიაში გასულიყო. ის იყო, შორტები ამოიცვა და მაისური გადაიცვა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. იმდენად არავის ელოდა, რომ ამ ფრთხილმა დაკაკუნებამ გული გაუხეთქა. რატომღაც, გაიფიქრა, ისევ პოლიციიდან ხომ არ მომაკითხესო. დაძაბულმა გამოაღო კარი და გაოცდა – ზღურბლთან სიმპათიური ახალგაზრდა ქალი იდგა და იღიმებოდა.

– ვინ გნებავთ? – გაუკვირდა გუგას.

– თქვენ გუგა არ ხართ? – კითხვითვე მიმართა მოსულმა.

– დიახ... – დაიბნა კაცი.

– ჰოდა, თქვენთან ვარ. თუ შეიძლება, მომეხმარეთ და ეს პარკები შემომატანინეთ, – კარს უკან დაწყობილ რამდენიმე სავსე პარკზე მიუთითა ქალმა, თვითონ კი ერთ-ერთს წამოავლო ხელი და ოთახში თამამად შევიდა.



– ვინ ხართ? – მთლად დაიბნა გუგა, – ან, ეს რა პარკები მომიზიდეთ?

– შემოიტანეთ და ყველაფერს გეტყვით, – ისევ გაუღიმა უცხო სტუმარმა. როცა გუგა მექანიკურად დაემორჩილა და პარკები ოთახში შემოზიდა, ქალმა სკამი გამოწია და ჩამოჯდა, მერე გაოცებულ მასპინძელს შეხედა და უთხრა: – ძალიან მძიმე იყო და დავიღალე. ასე ნუ მიყურებთ, მოჩვენება არ ვარ. ამ პარკებში ცოტაოდენი სურსათია და რაღაც-რაღაც საჭმელები. თავიდან გეყოფათ, მერე კი თვითონ მიხედავთ თავს.

– მგონი, სიზმარში ვარ, – ჩაილაპარაკა გუგამ და თვითონაც ჩამოჯდა, – ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში მომისმენია ბავშვობაში... თქვენ კეთილი ფერია ხართ? – გუგას ეგონა, ჰალუცინაციები დამეწყოო და ძალიან შეეშინდა.

– არანაირი ფერია, ცოცხალი ადამიანი ვარ, მზია მქვია, თქვენთან კი ეს ყველაფერი ბატონმა გიორგიმ გამომატანა.

– ბატონი გიორგი ვინ არის? – იკითხა გაოგნებულმა კაცმა.

– გიორგი ჩაჩავა, – თქვა გოგომ.

– დიმიტრის ძმა?! – თვალები შუბლზე აუვიდა გუგას.

– დიახ.

– რა იცოდა, რომ სახლში ვიყავი?

– არ ვიცი, საიდანღაც გაიგო და, თქვენთვის უხერხულობა რომ აეცილებინა თავიდან, იმიტომ არ მოვიდა თვითონ.

– რაში სჭირდებოდა ეს მასკარადი? – უცებ გაბრაზდა გუგა, – მაგათი არაფერი მინდა! იმ ფულსაც დავუბრუნებ უკან ცოტა ხანში, რაც ჩემ გამო შეიტანა და, საერთოდ, დამანებონ თავი ამ ჩაჩავებმა, არ შეიძლება?!

– ძალიან გთხოვთ, ნუ ბრაზობთ, – მშვიდად უთხრა მზიამ, – მე კარგად ვიცნობ ბატონ გიორგის. ის საოცარი ადამიანია და ეს ყველაფერი გულის კარნახით გააკეთა. თანაც, მეც შემიბრალეთ, ამხელა პარკები ტყუილად მოვათრიე აქამდე? – შემრიგებლურად გაუღიმა ქალმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**სიმაღლეში ზრდის საუკეთესო პროგრამები**



**სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად, კურსით 3-5 სანტიმეტრის მომატებით 2-25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. გახდომა-გასუქება 3-დან 15 კილოგრამამდე თვეში, ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით,**

**100%-იანი შედეგით.**

**მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №154 (მწვანე ოფისი).**

**ტელ.: 558-156-333, ექიმი ნინო, 218-46-08.**

# ყველა კაცი ერთნაირია

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-22(701)**

**დაარტყი, შეუყვარდები!..**

მუშტი და ცემა-ტყეპა პრობლემას მხოლოდ აღრმავებს. ჯერ არავის გაურკვევია ურთიერთობა ძალისმიერი მეთოდებით. სიტუაცია არაპროგნოზირებადი ხდება და სრულიად წარმოუდგენელი შედეგით მთავრდება...

***

– რა ხდება აქ? – მკაცრად იკითხა ლევანმა, შეჯგუფებული ხალხი ხელით მისწიმოსწია და გასისხლიანებული ვახოს დანახვაზე გაოცება ვერ დამალა.

– შენ?! კი მაგრამ, ასეთი რა შეიძლებოდა, მომხდარიყო? ჩხუბი? ჩემს რესტორანში? ასეთ სიტუაციაში? გაოგნებული ვარ... გაუშვით, რას გაგიკავებიათ?! – გაუბრაზდა დაცვის თანამშრომლებს, რომლებსაც მაგრად ჰყავდათ ჩაბღუჯული ვახოც და გიგიც.

– პოლიციის გამოძახებას ვაპირებდით, – უთხრა ლევანს დაცვის ერთ-ერთმა ბიჭმა.

– საჭირო არ არის, ორივე გაუშვით და თქვენს ადგილებზე დაბრუნდით.

– ჰო, მაგრამ, ბატონო ლევან...

– გააკეთეთ, რაც ვთქვი. მე ვარ პასუხისმგებელი, რომ ჩხუბი აღარ გაგრძელდება. ამათ მე მივხედავ. ლიზა, სტუმრები დიდ ოთახში მიიპატიჟე, თქვენ კი წამომყევით... სამივე!

ლიზამ ქმრის ხმაში ისეთი ფოლადი იგრძნო, რომ უსიტყვოდ შებრუნდა სტუმრებისკენ, შეშფოთებული სახეებით და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით რომ აკვირდებოდნენ მოვლენების განვითარებას. ლევანის ტემბრი მათთვისაც გაფრთხილება აღმოჩნდა – უხალისოდ შებრუნდნენ და ლიზას გაჰყვნენ. „ბრძოლის ველზე" ლევანი, თომა, ვახო, გიგი, ქეთი და ნინიღა დარჩნენ. მოშორებით გაჩერებულ თიკოს დაცვის ერთ-ერთი წევრი ამოუდგა გვერდში, აქაოდა, თუ რამე მოხდება, აქ ვარო. სინამდვილეში, თიკოს უმზერდა შეფარვით და რამდენჯერმე კეთილგანწყობილი ღიმილიც არ დაიშურა...



– იქნებ რომელმე თქვას, ეს ხელჩართული ბრძოლა ვისი ინიციატივით დაიწყო და, მიზეზიც მაინტერესებს. იმიტომ არა, რომ ზედმეტად ცნობისმოყვარე ვარ, უბრალოდ, რადგან ჩემს ტერიტორიაზე, თანაც, სრულიად შეუფერებელ გარემოში მოხდა, ვალდებულები ხართ, მითხრათ, – თქვა ლევანმა იქ მყოფები შეათვალიერა და ვახოზე შეაჩერა მზერა.

– განსაკუთრებული არაფერი. პატარა გაუგებრობა იყო, – უხალისოდ განუმარტა ვახომ.

ლევანმა წარბი შეიკრა:

– ეს პასუხი არ არის. პატარა გაუგებრობისთვის ასეთ ადგილას ჩხუბს არავინ ტეხს, მით უფრო, შენგან სრულიად წარმოუდგენელი იყო. ამიტომ...

– ჩემთვისაც წარმოუდგენელი იყო... სწრაფად შეაწყვეტინა ვახომ და ცოლს მიუბრუნდა, – წავიდეთ აქედან!

– არა, არა... ასე ადვილად ამ სიტუაციიდან ვერ გამოძვრებით! – მოულოდნელად გაცხარდა ლევანი, – ვახო, გიგი, ჩემს კაბინეტში ავიდეთ და იქ გავარკვიოთ.

– ბატონო ლევან, გასარკვევი მართლაც არაფერია, – გასისხლიანებული ტუჩი ხელის ზურგით მოიწმინდა გიგიმ და ნინის შეჰლიმა, – ბოდიშს გიხდით ამ ინციდენტისთვის და მივდივართ. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა.

– ნინი, ქეთი, თქვენ მაინც მითხარით, რა მოხდა? ასე როგორ შეიძლება? – ხელები გაშალა ლევანმა, – ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ – ჩხუბი? თანაც, ცხვირ-პირის დასისხლიანებით?! არ ვიმსახურებდი თქვენგან ამას. თბილისი პატარაა, ხვალ ეს ამბავი მთელ ქალაქს ეცოდინება და უამრავ უსაფუძვლო და არასასიამოვნო ჭორს დაუდებს სათავეს, რაც, ჩემს ოჯახს, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემას შეუქმნის. ამიტომ, სიმართლე უნდა ვიცოდე, გესმით, ხომ?

– რა თქმა უნდა, ბატონო ლევან, მაგრამ გარწმუნებთ, იმას, რაც მოხდა, თქვენს ოჯახთან არანაირი კავშირი არა აქვს, – მოლუშულმა ჩაილაპარაკა ვახომ.

– შეიძლება, მაგრამ, ეს მარტო შენ იცი და გიგიმ. მეც უნდა ვიცოდე, რა იყო ჩხუბის მიზეზი, – უკან არ დაიხია ლევანმა, – თქვენ, მგონი, ნინის საქმრო ხართ, არა? ხომ არ მეშლება? – პირქუშად შეხედა თომას, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩუმად იდგა და სევდიანად ადევნებდა თვალს, როგორი ალერსიანი მზერით „ელაპარაკებოდნენ" ერთმანეთს ნინი და გიგი. ლევანის შეკითხვამ გამოარკვია.

– არა, მე არავინ არ ვარ, შემთხვევით მოვხვდი თქვენს წვეულებაზე და, ძალიან ვწუხვარ, რომ ზეიმი ჩაგიშალეთ. მომხდარის მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე ვიღებ.

– გამაოგნებელი ამბავია! რას ნიშნავს არავინ ხარ და აქ შემთხვევით აღმოჩნდი? ეს რა პასუხია?

– სამწუხაროდ, სხვა პასუხი არ მაქვს. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს. კარგად ბრძანდებოდეთ, – თომას ნინისთვის აღარ შეუხედავს, შებრუნდა და, ნელა, თითქოს ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, იქაურობას მოშორდა.

– ჩვენც წავიდეთ, – ვახომ ცოლს მკლავში მოჰკიდა ხელი და გამეტებით მოუჭირა, – წავიდეთ-მეთქი!

ლევანი კიდევ აპირებდა რალაცის თქმას, მაგრამ, სწორედ ამ დროს მასთან დაცვის უფროსი მივარდა და რაღაც ჩასჩურჩულა. ლევანი შესამჩნევად გაფითრდა და აღმოხდა: – ეგ რაღა უბედურებაა კიდევ? ვინ არის და რა უნდა?

– ვერ გავარკვიეთ, ბატონო ლევან. მგონი, გიჟია... ფლეშ-მობი მოგვიწყო რესტორნის წინ, სკვერში და გულის ფორმის ფანრებს უშვებს.

– ღმერთო, რაღა მაინცდამაინც ჩემი რესტორნის წინ დაემართა სიგიჟის შეტევა? ფლეშ-მობი რაღა ოხრობაა?!

– რამდენიმე ადამიანი შეიკრიბება და ცეკვავს, – აუხსნა დაცვამ.

– რა?! ყველამ პირი შეკარით თუ რაშია საქმე? წამოდი ერთი, მაჩვენე...

– პოლიციაც ხომ არ გამოვიძახოთ? – შესთავაზა დაცვამ.

– ჰო, პოლიციაც და პრესა-ტელევიზიაც არ დაგავიწყდეთ... შენც გაგიჟდი თუ სალი აზროვნების უნარი დაკარგე? გეუბნები, სკანდალი არ მჭირდება-მეთქი! გგონია, ბევრს ვუყვარვარ და მტრები არ მყავს? არავინ იცის და წარმოდგენაც მიჭირს, რა კუდს გამოაბამენ ამ ყველაფერს.

– მაშინ, საერთოდ ნუ მივაქცევთ ყურადღებას და ეგ იქნება.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ – კარგია. ბიჭები წაიყვანე და უხმაუროდ გაწმინდე ტერიტორია. რას მიყურებ? არ მითხრა, უხმაუროდ არ გამოვაო, თორემ, ახლავე დაგითხოვ სამსახურიდან...

ვახომ ცოლს წუთით ხელი უშვა და გიგის ხმადაბლა გადაულაპარაკა:

– ეს თუ ზუკას ნამოქმედარი არ იყოს, თავს მოვიჭრი და სკანდალი ახლა ნახე.

– მეც მაგას ვეჭვობ და, აზრზე არ ვარ, რა უნდა მოვიმოქმედოთ.

– ჰო, ვერც მე ვფიქრობ. თიკო მივუშვათ... მიდი, უთხარი!

თიკოს საერთოდ არ ესმოდა, რა ხდებოდა მის გარშემო. ბოლომდე შეირგო სიმპათიური ბიჭის ყურადღება და კეკლუცად პასუხობდა მის შეკითხვებს. სულაც არ გაუხარდა, გიგიმ მკლავში რომ მოკიდა ხელი და გვერდზე გაათრია.

– რა გინდა? – შეუბღვირა მაშინვე, – ხელს რატომ მიშლი ურთიერთობის აწყობაში?

– რა დროს ურთიერთობაა, მალე აქაურობა დაინგრევა. მოჰკიდე ხელი მაგ შენს რაინდს და წადით, ზუკა დააოკეთ, თორემ, წეღანდელი ჩხუბი მონაგონი იქნება.

– ზუკას აქ რა უნდა? – თვალები ფართოდ გაახილა თიკომ, – რაღაც გეშლება.

– არაფერიც არ მეშლება. რასაც გეუბნები, გააკეთე, – მოუჭრა გიგიმ და ისევ ნინისთან დაბრუნდა. თიკომ მხრები აიჩეჩა, აქაოდა, ვერაფერი გავიგეო, მაგრამ, გიგის ნათქვამის შესასრულებლად მაინც წავიდა და თავისი ახალგამოჩეკილი თაყვანისმცემელიც თან გაიყოლა.

ლიზამ საკმაოდ გვიან გაიგო იმის შესახებ, რაც რესტორნის წინ ხდებოდა, უფრო სწორად, მაშინ, როცა დარბაზში შეგროვილი ხალხის ყურადღება გარედან შემოსულმა ხმა-

ურმა მიიპყრო: „უი, შეხედეთ... იქ ვილაც მღერის და ცეკვავს“; „შეხედეთ, შეხედეთ... განათებული გულები მიცურავს ცისკენ...“ „ყოჩაღ, ლიზა, ეს სიურპრიზი, ალბათ, ლევანმა მოგიწყო...“ ლიზა გაოგნდა. გულმა უსიამოვნოდ დაუწყო ძგერა და, ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილი, აივანზე გავიდა... ზუკას გაბრწყინებული სახე და ჰაეროვანი კოცნა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მუხლებში სისუსტე ეგრძნო... შეშინებული მოებღაუჭა აივნის რიკულებს და შეჰკივლა...

ლევანს ცოლის ცუდად გახდომის ამბავი მაშინ აცნობეს, როცა რესტორნიდან გასვლასა და სიტუაციაში გარკვევას აპირებდა. ყველაფერი მიატოვა და იქით გაქანდა, სადაც გულწასული ლიზა ეგულებოდა. მისთვის მხოლოდ ცოლის და მომავალი შვილის ჯანმრთელობა იყო მთავარი, დანარჩენი საერთოდ არ ადარდებდა. გულგახეთქილი მივარდა ლიზას, ხელში აიტაცა და მანქანისკენ გააქანა. მთელი მისი ყურადღება ცოლის გაფერმკრთალებული სახისკენ იყო მიპყრობილი და გარშემო მყოფებს ველარც ამჩნევდა.

მასპინძლების გარეშე დარჩენილმა სტუმრებმა ნელ-ნელა დაიწყეს დაშლა, თან ჩურჩულებდნენ.

თიკო ზუკასთან მიიჭრა:

– გაგიჟდი? რა ჯანდაბას აკეთებ, ეს სისულელე რამ მოგაფიქრა?

ზუკამ დამცინავად შეხედა აფოფრილ გოგოს.

– ოჰო, შენც აქ ყოფილხარ... რაო, იცეკვე და იკუნტრუშე? კარგია ბომონდურ თავყრილობაზე ყოფნა? ეს აყლაყუდა ვინ არის? ყოჩაღ, როგორც იქნა, დაგადგა საშველი?

– ენას კბილი დააჭირე და ეს შენი მოხტუნავე გოგო-ბიჭები აქედან გაიყვანე, სანამ პოლიცია არ გამოუძახებიათ. პრობლემებს ნუ შეიქმნი, ძალიან გინდა, ხულიგნობისთვის დაგიჭირონ?

– რატომ უნდა დამიჭირონ? მე არავის კერძო საკუთრებაში არ ვიჭრები. ქუჩა კი ყველასია. კანონს არ ვარღვევ, საყვარელო...

– ახალგაზრდავ, გოგონა სიმართლეს გეუბნებათ. აქედან უნდა წახვიდეთ ყველა, თანაც, დაუყოვნებლად. ბატონი ლევანის მოთხოვნაა და ჩვენც იმიტომ ვართ აქ, რომ ტერიტორია გავწმინდოთ, – თიკოს წამოეშველა დაცვა და დანარჩენებიც მის გარშემო მოგროვდნენ.

ზუკამ მხრები აიჩეჩა:

– რა გაეწყობა, წავალთ. პრინციპში, მე უკვე გავაკეთე ჩემი საქმე. სულ კარგად ბრძანდებოდეთ... მშვენიერო თიკო, სამსახურში შევხვდებით! – ზუკა შებრუნდა და მოცეკვავე გოგო-ბიჭებს ხელები აუქნია: – წავედით! ყველას დიდი მადლობა...

– ვინ არის, შენ იცნობ? – ჰკითხა თიკოს განცვიფრებულმა დაცვამ.

– ჩემი თანამშრომელია, – ამოიოხრა გოგომ და ბიჭს დამნაშავესავით შეხედა.

– ესე იგი, ეს ყველაფერი შენ გამო მოაწყო? – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

– არა, მე არაფერ შუაში ვარ. მართლა. გგონია, ვუყვარვარ და ამ ფორმით ამიხსნა სიყვარული? ზუკას სულ სხვა უყვარს. ჩვენ მხოლოდ თანამშრომლები ვართ. ოღონდ, ნუ მკითხავ, ვინ არის ის ქალი. ჩემი საიდუმლო არ არის და არ მაქვს მისი გამხელის უფლება.

– არც მაინტერესებს, – გაუბრწყინდა სახე ბიჭს, – გულზე მომეშვა და ეს არის მთავარი.

თიკოს თვალები აუციმციმდა:

– მართლა? ანუ, გეწყინებოდა, ზუკა ჩემი შეყვარებული რომ აღმოჩენილიყო? – ჰკითხა დაუფარავი სიხარულით.

– გულახდილად გითხრა? – შეყოყმანდა ბიჭი.

– აუცილებლად... – შეაგულიანა თიკომ.

– კი, ძალიან მეწყინებოდა... იმიტომ რომ მართლა მომეწონე. მგონი, ერთი ნახვით შეყვარების შესაძლებლობასაც ვიჯერებ. მაგრამ, შენ რომ ჩემთვის სახელი არ გიკითხავს? ეს ნორმალურია?

– მოვასწრებ, რა მეჩქარება? – კეკლუცად გაუღიმა თიკომ, – გამაცილებ დღეს?

– რა თქმა უნდა. ოღონდ, ცოტა ხანს უნდა დამელოდო – ერთ საათში შევიცვლები და წავიდეთ... თან, მანქანით ცოტას გაგასეირნებ. მინდა, მეტი ვიცოდე შენზე... ისე, აჩიკო მქვია.

თიკომ თავი დაუქნია.

– ბარში ვიქნები, აჩიკო... მშვენიერი სახელია, არ დამავიწყდება.

– კოქტეილზე მე დაგპატიჟებ, – აჩიკო ბედნიერებისგან დაფრინავდა.

... რესტორანში ხალხი თითქმის აღარ იყო. ბართან რამდენიმე სტუმარი ტრიალებდა. მომსახურე პერსონალს დაბნეული და დამფრთხალი სახეები ჰქონდა.

– კიდევ მოხდა რაიმე? – იკითხა აჩიკომ.

– ქალბატონი ლიზა გახდა ცუდად. საავადმყოფოში წაიყვანა ბატონმა ლევანმა, – უპასუხა ბარმენმა.

– რას ამბობ? რა დაემართა?

– რა ვიცი, ეტყობა, ზემოთ, დარბაზში უჰაერობა იყო და გული გაუხდა ცუდად. აივანზე კი გასულა, მაგრამ მაინც არ უშველა. ბატონი ლევანი ლამის გაგიჟდა, ხელი დაავლო და თავისი მანქანით წაიყვანა.

– უჰაერობა? როგორ, ვენტილაცია ჩართული არ იყო? – კიდევ უფრო გაუკვირდა აჩიკოს.

– რა ვიცი, აბა, – მხრები აიჩეჩა ბარმენმა, – შეიძლება, სხვა მიზეზიც არის, მაგრამ, მე ვინ მეტყვის?

– მდაა, არ არის კარგი ამბავი...

თიკოს ცუდად ენიშნა ლიზას ცუდად გახდომის ამბავი, გულის სიღრმეში შეებრალა კიდეც. ლევანზე კი ისევ გაბრაზდა... მაგრამ, აჩიკოს ღიმილმა ორივე მალე დაავიწყა.

– დაგელოდო, ხომ? – გაეცინა და ბარის სკამზე მოკალათდა.

– აუცილებლად... შევთანხმდით?

***

კლინიკის ფართო დერეფანში სიჩუმე იყო. ბოლთას მხოლოდ ლევანი სცემდა... სავარძლებზე ნინი, გიგი, ვახო და ქეთი ისხდნენ. ქეთი სუნთქვაშეკრული ელოდა, როდის ეტყოდა ვახო რამეს, მაგრამ ის დუმდა



და ცოლს საერთოდ არ უყურებდა... გიგის ნინის ხელები ეჭირა და ნაზად ეფერებოდა. ნინიმ რამდენჯერმე შეხედა მის შესიებულ წარბს, გახეთქილ ტუჩს და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

– გიჟი ხარ, ნამდვილი გიჟი... – უთხრა ხმადაბლა.

გიგი გაიბადრა:

– მორჩა, სისხლი დავღვარე შენთვის. მეტი როგორლა დაგიმტკიცო, რომ მიყვარხარ? თუ გინდა, ხმამაღლაც ვიყვირებ!

– ჩუმად, სირცხვილია... ნეტავი, როგორ არის? ეს ყველაფერი ზუკას დანახვის გამო დაემართა... კიდევ კარგი, ლევანი ვერაფერს მიხვდა.

– ჰო, დებილია ეგ ზუკა. ნეტავი, იცის, რა შედეგი გამოიღო მისმა მონო-სპექტაკლმა? უნდა დავურეკო.

– ჯერ გავიგოთ ლიზას ამბავი და მერე. უხერხულია... ნახე, ლევანი მკვდარს ჰგავს, ფერი აღარ ადევს სახეზე.

– ასეთები ხართ ქალები, გვანერვიულებთ, – გიგიმ ალერსით მოუჩეჩა ნინის თმა და შუბლზე აკოცა.

საორდინატოროდან ექიმი გამოვიდა:

– პაციენტის მეუღლე რომელია?

– მე ვარ. რა ხდება, როგორ არის ჩემი ცოლი?

– გონს მოვიდა, მაგრამ, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო... ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ნაყოფის გადასარჩენად, თუმცა, ვერაფერს დაგპირდებით!..

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



## იპოვე ორი ერთნაირი რვაფეხა



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## მენახშირე და ტანსაცმლის მწმენდავი (იგავ-არაკი)

მენახშირემ ერთ ტანსაცმლის მწმენდავს უთხრა:

– ობლადა ვართ, მოდი, ერთად დავსახლდეთ, გავმხიარულდებითო.

– მაგით არა გამოვა რა, ძმაო, – მიუგო ტანსაცმლის მწმენდავმა, – რასაც მე გავათეთრებ, შენ გააშავებო.

ორი საწინააღმდეგო აზრის ადამიანი საერთოს ვერ იპოვისო, – ამბობს არაკი.

## რიცხვრებუსი

ბ+ ,5,, ,2, ,,5



# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-22(701)

პოდპოლკოვნიკი ქიბრონაშვილი ბრიყვ მილიციელზე სამჯერ უფრო ბრიყვი იყო. მას აშკარად ეტყობოდა, რომ ამხელა ჩინი და პოსტი ქრთამისა და სადიზმის წყალობით ჰქონდა მოპოვებული. მე მას თვალი თვალში გავუყარე და ვუთხარი:

– სროკი ბოლომდე მოვიხადე. ნადზორი არ მაქვს და პროფილაქტიკა არ მეხება.

– ეგ მე ვიცი, რა გეხება და რა არა, – უხეშად შემაწყვეტინა ქიბრონაშვილმა, – ჩემს ტერიტორიაზე ჩეპეები არ მჭირდება. თუ არ დამემორჩილები, ციმბირს უკან დაგატოვებინებ და ჭკუას გასწავლი.

– ციმბირით მაშინებთ?

– შენ რა, არ გეშინია? – კითხვითვე მიპასუხა პოდპოლკოვნიკმა და სახეზე იდიოტური ღიმილი აღებეჭდა, – იქ სულ ყინვაა და თეთრი დათვები დადიან.

– იარონ, მათი ტერიტორიაა და ვინ დაუშლის? – ჩამეცინა მე.

– შენ ჭკვიანად იყავი, თორემ, სულ მალე ერთად ივლით! – აენთო ქიბრონაშვილი, რაზეც მშვიდად ვუპასუხე:

– გმადლობთ, არ მინდა. მთელი ის მხარე მოვიარე და ახლახან დავბრუნდი იქიდან.

– ჰოდა, ისევ უკან გაგიშვებ, თუ ჭკვიანად არ იქნები.

დაახლოებით ვხვდებოდი, რა უნდოდა პოდპოლკოვნიკს ჩემგან, მაგრამ, ეს მისგან მინდოდა გამეგო და ვუთხარი:

– მაინც, რა უნდა გავაკეთო, ეს რომ არ მოხდეს?

– რომ არ გაგაციმბირო? – დააზუსტა პოდპოლკოვნიკმა.



– დიახ, – დავუდასტურე მე.

– ჭკვიანად უნდა მოიქცე და დამიჯერო.

– უფრო ზუსტად?

– ჩვენთან უნდა ითანამშრომლო და პოლნი წილში გაგვიყვანო.

– მაინც, რას გულისხმობთ თანამშრომლობასა და პოლნი წილში?

– ოპერატიული ინფორმაცია უნდა მოგვაწოდო და, რასაც იჩალიჩებ და მოიპარავ, იმისი ნახევარი მოგვცე. სამაგიეროდ, ხელს ვერავინ გახლებს.

– წილზე გასაგებია, მაგრამ ოპერატიული ინფორმაციის მოწოდება რაღაა?

– რა და, თუკი სადმე რამე მოხდება, უნდა გაიგო და შემატყობინო. მაგალითად, თუ ვინმემ ვინმე მოკლა ან დაჭრა, რამე მოიპარა, ან, თუნდაც ანტისაბჭოთა რაღაც თქვა.

– ანტისაბჭოთა რას ნიშნავს?

– ვინმემ თუ პარტიას, მთავრობას ან თანამდებობის პირებს შეაგინა, – განმარტა პოდპოლკოვნიკმა და თავისი საქციელით კიდევ ერთხელ დამიმტკიცა საკუთარი სიბრიყვე, ხეპრეობა და გონებაშეზღუდულობა.

– ეგ რაში გჭირდებათ?

– რა? – მკითხა ქიბრონმა.

– აი, ეგ, ანტისაბჭოთაა თუ რაღაც ჯანდაბა.

– ჩემს ტერიტორიაზე რომ სრული წესრიგი იყოს, იმაში.

„ვაი შენს პატრონს“, – გავიფიქრე გულში, პოდპოლკოვნიკს კი ვუთხარი:

– ამდენს ვერ შევძლებ. კიდეც მოვიპარო, კიდეც ოპერატიული ინფორმაცია მოგაწოდოთ და, თანაც, ანტისაბჭოთა ლაპარაკიც დავიმახსოვრო.

თავისი მოკლე ჭკუით, პოდპოლკოვნიკმა იფიქრა, დავავერბოვკეო და უფრო დამინაჟიმა:

– კაი ცხოვრება თუ გინდა, უნდა შეძლო. არადა, ისევ თეთრ დათვებთან მოგიწევს დაბრუნება.

„დროა, ამ ცირკს ბოლო მოვუღო“, – გავიფიქრე გუნებაში, პოდპოლკოვნიკს კი ვუთხარი:

– სანამ პასუხს გაგცემდეთ, მანამდე ერთ კაცს უნდა დავურეკო და დაველაპარაკო.

– ასე გვიან ვის ურეკავ?

– ჩემს კარგ ნაცნობს. თუ არა და უარს ვამბობ.

– კარგი, დაურეკე.

მე ტელეფონის ყურმილი ავიღე, ნომერი ავკრიფე და როდესაც მიპასუხეს, ვუთხარი:

– ძია ბესო, გეძინა?

– კობრა, შენ ხარ? – მკითხა ბესარიონ აბრალავამ, რომელსაც პირველად და უკანასკნელად დავურეკე სახლში.

– დიახ, მე ვარ.

– არა, არ მეძინა. ახლა შემოვედი. რამე მოხდა?

– ძია ბესო, რაღაცა უნდა გკითხოთ.

– მკითხე.

– ძია ბესო, საგიჟეთში ნაცნობი თუ გყავთ?

– თუ საჭიროა, მოვძებნი ვინმეს... ნაღდად რაღაცაშია საქმე. ვინმე გაწუხებს?

– როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერს ხვდებით.

– მილიცია დაგადგა?

– დიახ.

– რამე სისულელე გითხრეს?

– უარესი.

– ახლა მანდ არიან?

– დიახ.

– ვინაა?

– დაელაპარაკებით?

– აბა, ერთი, ყურმილი მიეცი, – მითხრა აბრალავამ. მე ქიბრონაშვილს ტელეფონის ყურმილი მივაწოდე და ვუთხარი:

– დაელაპარაკეთ.

– ვინაა? – შეცბა ქიბრონა.

– თვითონვე გეტყვით. გამომართვით ყურმილი, – ვუთხარი დაბნეულ პოდპოლკოვნიკს, ტელეფონის ყურმილი ძალით შევაჩეჩე ხელში და განზე გავდექი.

ორიოდე წუთის შემდეგ ქიბრონაშვილმა ყურმილი დაკიდა, ზანტად შეტრიალდა და თავის ხელქვეითებთან ერთად ჩემი სახლი სამუდამოდ დატოვა... მავანს რომ ეჭვი არ შეეპაროს ჩემში და, თუნდაც მილიციის ოპერების „ჩაშვებაში“ არ დამდოს ბრალი, გავიმეორებ, რომ მე აბრალავას მხოლოდ საგიჟეთი ვუხსენე, დანარჩენს ის თავად ჩახვდა, თავის ხელქვეითთან ლაპარაკი თავადვე მოითხოვა და დღემდე არ ვიცი, რა უთხრა. ფაქტი კი ისაა, რომ სულ მალე ქიბრონაშვილი კვლავ რაიონში დააბრუნეს სამუშაოდ. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის მერე შევხვდი მას, თანაც, სრულიად შემთხვევით. იმ პერიოდში, არეულ-დარეულ თბილისში ერთი ჩემი ძმისა და კოლეგის დასაფლავებაზე ვიყავი ჩამოსული, რომელიც ბეზპრიძელშიკებმა მოკლეს. კუბო საფლავში რომ ჩავასვენეთ და ჭირისუფლები წავიდნენ, რამდენიმე ქურდი შევყოვნდით, რომ, წესისამებრ, თითო ჭიქა წაგვექცია. როდესაც შესანდობარი შევსვით და პურიც გავტეხეთ, მესაფლავეები ვიხმე და ვუთხარი:

– საქმეს როცა მორჩებით, მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ, – მერე შევტრიალდი და, უკვე წასვლას რომ ვაპირებდი, ერთერთმა მესაფლავემ მითხრა:

– ბოდიში, თქვენ კობრა არ ხართ?

მტვერში ამოგანგლული, ნიჩაბმომარჯვებული მესაფლავე შევათვალიერე და მივუგე:

– პოდპოლკოვნიკი ქიბრონაშვილი?

– დიახ, მე ვარ, – დამიდასტურა ქიბრონამ.

– მილიციაში აღარ მუშაობთ? – ირონიულად ვკითხე ჩემს ყოფილ „ვერბოვშჩიკს“.

– ან მილიცია სადღაა, ან იქ მუშაობა, – ხელი ჩაიქნია ქიბრონაშვილმა.

– პოლიცია ხომ არის? – ვთქვი მე და დავამატე: – თქვენისთანა გამოცდილი კადრები სანთლით საძებარია. სადღაა ახლა თქვენნაირი ვერბოვშჩიკები!

ნაპოდპოლკოვნიკარმა ჩემს დაცინვას ყურადღება არ მიაქცია და მითხრა:

– რა მეგამოცდილება და მევერბოვკება, როცა უქეროდ და უსახსრებოდ დავრჩი, ყელამდე ვალებში ვარ და ღამეს აქ, ღია ცის ქვეშ ვატარებ?!

„აბა, რა გეგონა, ციმბირს უკან რომ მატოვებინებდი და თეთრ დათვებთან მიშვებდი", – გავიფიქრე გუნებაში, მაგრამ, გაუბედურებული ქიბრონა მაინც შემეცოდა და ვკითხე:

– რატომ, რა შეგემთხვათ?

– რაც შემემთხვა, ახია ჩემზე. ცოლ-შვილი მივატოვე და ერთ ჩათლახს გადავეკიდე, რომელმაც მთელი ჩემი ქონება თავის სახელზე გადამაფორმებინა. შემდეგ ყველაფერი გაყიდა და ამერიკაში გაიქცა თავის საყვარელთან ერთად. ღირსი ვარ, მეტის ღირსიც ვარ და, რაც დავთესე, იმას ვიმკი.

– აი, ძმაო, გამომართვი, – ქიბრონას ორმოცდაათდოლარიანი ჩავუდე ხელში, – მეტი არ მაქვს. გირჩევ, ოჯახში დაბრუნდე, ყველაფერი მოინანიო და პატიება ითხოვო. ახლა კი წავედი, კარგად იყავი.

– კარგად იყავი, კობრა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს და მაპატიე, მაშინ ასე ცუდად რომ მოგექეცი, – მითხრა ქიბრონამ, რომელსაც გავუღიმე, ხელი დავუქნიე და სასაფლაოდან წამოვედი.

– ქიბრონაშვილს ელაპარაკებოდი? – მკითხა ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ, როდესაც მანქანაში ჩავჯექი.

– შენც იცნობ? – ვკითხე კოლეგას.

– ვიცნობ. ჩვენს რაიონში მუშაობდა მილიციის უფროსად და ყველაფრის წილში იყო. ერთხელ თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა, რასაც მოიპარავ, შუაზე გამიყავიო.

– მეც მასე მითხრა, – გამეცინა მე.

– მერე, რა ქენი?

– შენ? – კითხვა შევუბრუნე კოლეგას.

– იძულებული გავხდი, რომ რაიონიდან წამოვსულიყავი.

– მე კი, პირიქით, – ვუთხარი კოლეგას, საგიჟეთის ამბავი მოვუყევი, – დღემდე არ ვიცი, რა უთხრა აბრალავამ, მაგრამ, უკანმოუხედავად წავიდნენ.

– ძმებო, ის წითელი „მერსედესი" ძალიან საეჭვოდ მოგვყვება, ჯერ კიდევ კუკიიდან დაგვაჯდა კუდზე, – გვითხრა მძღოლმა და დაამატა: – რა ვქნა?

– ნეტავ, ვინ არიან, „ძაღლები"? – თქვა ჩემმა კოლეგამ.

– „ძაღლები" თუ არიან, არა უშავს, – მივუგე კოლეგას, – მაგრამ არა მგონია.

– აბა, რას ფიქრობ? – მკითხა კოლეგამ.

– ქილერები არ იყვნენ, – ვთქვი მე.

– ქილერები? – გაიმეორა კოლეგამ.

– ჰო. ქილერები, – ვთქვი მე და მძღოლს ვუთხარი:

– სიჩქარეს მოუმატე და შეეცადე, მოუტყდე. შეძლებ?

– მე მგონი, კი. თბილისის ძველი ქუჩების ტუპიკებს კარგად ვიცნობ, – მითხრა



მძღოლმა და სიჩქარეს მკვეთრად მოუმატა.

სიჩქარეს წითელმა „მერსედესმაც" მოუმატა და უკვე აშკარად გამოგვეკიდა.

– მგონი, სროლას აპირებენ, – ვთქვი მე, რადგან, დავინახე, რომ „მერსედესში" მჯდომმა ერთ-ერთმა მგზავრმა ავტომატი მოიმარჯვა.

– სროლას? – გაიმეორა ჩემმა კოლეგამ. მე კი მძღოლს ვუთხარი:

– ქილერები არიან და არავის მოერიდებიან. ამიტომ, ხალხმრავალ ადგილებს მოერიდე და ისე ეცადე, რომ მოუტყდე.

ჩვენი მძღოლი საკმაოდ მარჯვედ მართავდა მანქანას და მართლაც მშვენივრად იცნობდა ძველი თბილისის ჩიხებს. მან ისეთი მანევრები ჩაუტარა მდევარს, რომ წითელი „მერსედესი" ერთ-ერთი ჩიხის ქვაფენილში ჩაბეტონებულ რელსს შეაჯახა, მწყობრიდან გამოიყვანა და შეაჩერა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთ-ერთმა ავტომატმომარჯვებულმა ქილერმა წინა შუშა თავით გაიტანა და ავტომატიანად ქვაფენილზე დაენარცხა.

– ყოჩაღ, ეს რა მაგრად გაუჩალიჩე! – შეაქო მძღოლი ჩემმა კოლეგამ, მე კი ვთქვი:

– ეგენი არ მოგვეშვებიან. ვიღაცამ ჩვენი მოკვლა შეუკვეთა და თბილისიდან რაც შეიძლება მალე უნდა გავემგზავროთ.

– მართალი ხარ, – დამეთანხმა კოლეგა, მძღოლმა კი იკითხა:

– რა ვქნა, საით წავიდე?

– ჯერ ქელეხში წავიდეთ, – ვთქვი მე, – მაგრამ, ფრთხილად, გამორიცხული არაა, რომ იქაც გველოდებოდნენ.

ჩემი ეჭვები არა თუ გამართლდა, არამედ, ყველაზე უარესი რამ მოხდა. ქელეხში რომ მივედით, იქაურობა მილიციით სავსე დაგვხვდა. როგორც გავიგეთ, ავტომატებით შეიარაღებული ორი ნიღბიანი მამაკაცი ორ ჩვენს კოლეგას თავს დასხმია და ერთი ადგილზევე მოუკლავს, მეორე კი საავადმყოფოში მიყვანასთანავე გარდაცვლილა.

– რა ვქნათ, კობრა, შენი თქმის არ იყოს, ეგენი არ მოგვეშვებიან და აქედან დროზე უნდა მოვეტყდეთ, – მითხრა ჩემმა კოლეგამ, როდესაც ჩვენი ორი მოკლული ძმის ამბავი გავიგეთ.

– პირველ რიგში, უსაფრთხო ადგილს უნდა შევაფაროთ თავი, შემდეგ კი შეუმჩნევლად გავაღწიოთ საქართველოდან, – ვუთხარი ჩემს კოლეგას და მძღოლს მივუბრუნდი:

– სოლოლაკში წაგვიყვანე. შემდეგ კი წადი, მაგრამ, ფრთხილად იყავი – ქილერებმა შენი მანქანა იციან და ძებნა არ დაგიწყონ.

მე და ჩემი კოლეგა ერთ პატარა ქუჩაზე ჩამოვედით, ჩიხებით სხვა ქუჩაზე გავედით და ჩემი ბავშვობის ძმაკაცს მივადექით.

– სახლში მარტო ხარ? – ვკითხე ჩემს მასპინძელს.

– მარტო ვარ. ცოლ-შვილი სოფელში ისვენებს. შემოდი, კობრა.

მე ჩვენი ამბავი მოვუყევი და ვუთხარი:

– შეგიძლია, ერთი ღამე შენთან დაგვტოვო? ხვალ აუცილებლად წავალთ.

მასპინძელს მართლა ძალიან ეწყინა ჩემი სიტყვები და მითხრა:

– არ გრცხვენია, ამას რომ მეუბნები? რამდენიც საჭიროა, იმდენ ხანს დარჩით ჩემთან.

– ბოდიში, არ მინდოდა შენი წყენინება. მე უნდა გავიდე და ორ-სამ საათში მოვალ, ჩემს ძმას კი შენ გიტოვებ, – ვუთხარი მასპინძელს და წამოვედი.

– საით, კობრა? – მკითხა კოლეგამ.

– ჩვენი გამგზავრების ამბავს მოვაგვარებ.

– ფრთხილად იყავი, ისევ არ დაგადგნენ.

– ნუ გეშინია. არ მოიწყინო და მალე მოვალ, – მივუგე კოლეგას.

სოლოლაკიდან მთაწმინდაზე გადავედი, საიდუმლო გვირაბის მეშვეობით ჩემს სახლში შევედი და, სულის მოსათქმელად და მოსაფიქრებლად საწოლზე წამოვწექი. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საკმაოდ მალე მივხვდი, ვინ ნადირობდა ჩვენზე და მოგვიანებით მას ადეკვატური პასუხი გაეცა... იმ მომენტში კი მე და სოლოლაკში დამალულ ჩემს კოლეგას სწრაფად და უსაფრთხოდ უნდა გაგვეღწია თბილისიდან, რაც, საბოლოო ჯამში, გამოგვივიდა კიდეც. თუმცა, გამომგზავრების წინ ერთი გაუთვალისწინებელი ინციდენტი მაინც მოხდა. მართალია, ამას ჩვენთან კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ, ჩვენ ეს არ ვიცოდით...

ჩემს ბინაში ნახევარი საათი გავჩერდი, შემდეგ შევინიღბე, მზის სათვალე გავიკეთე, დაზაგაუნიკებული ათასი დოლარი ჯიბეში ჩავიდე და საიდუმლო გვირაბითვე დავბრუნდი უკან. მერე ჩემი ძველი ნაცნობი მოვინახულე და ვუთხარი:

– მე და ჩემი ძმაკაცი სასწრაფოდ უნდა



გავემგზავროთ მოსკოვში, თანაც ისე, რომ არავინ შეიტყოს. შეგიძლია, მოგვიხერხო?

– ხვალ დილის თერთმეტ საათზე მიფრინავს ერთი რეისი მოსკოვში და, შემიძლია, გაგიშვათ. ეს ყველაფერი კი ოთხასი დოლარი დაჯდება.

ჩემს ნაცნობს ოთხი ცალი ასდოლარიანი იქვე მივეცი და ვკითხე:

– სად და რა დროს უნდა მოვიდეთ?

– დილის ცხრა საათზე მზად იყავით. მითხარი, სად მოვიდე და ჩემი მანქანით გამოგივლით, წაგიყვანთ და ბილეთებსაც მოგცემთ.

– ზუსტად ცხრაზე ლენინის მოედნის მეტროსთან ვიქნებით და იქ მოდი. ჩვენ დამალულები ვიქნებით და თვითონ მოვალთ მანქანასთან, შენ კი ტაქსების გაჩერებასთან შეჩერდი და მანქანიდან გადმოდი, რომ დაგინახოთ. რა მანქანით მოხვალ?

– თეთრი „ნოლ-სემით“, – მითხრა ჩემმა ნაცნობმა და მკითხა: – კობრა ქილერებს გაურბიხართ, ხომ?

– შენ რა იცი?

– მთელი თბილისი ლაპარაკობს, ქურდები ჩაცხრილეს, კობრა და მისი ძმაკაცები კი სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს.

– მართალია, მაგრამ, საიდან გაიგეს? – მხრები ავიჩეჩე მე, – ქილერები მანქანით დაგვეხვოსტნენ კუკიის სასაფლაოდან და ერთ ტუპიკში მოვუტყდით ისე, რომ სროლაც ვერ მოასწრეს.

– ვიცი.

– საიდან იცი?

– ერთი ქილერი ადგილზევე დაბრედილა – დაჯახებისგან კისერი მოსტეხია, დანარჩენები კი გაქცეულან. რა გიკვირს? თბილისი პატარა ქალაქია და ყველა ამბავი ძალიან მალე ვრცელდება.

– კარგი, წავედი. ხვალ დილით არ დაიგვიანო, – ვუთხარი ჩემს ნაცნობს და ფოსტისკენ ავიღე გეზი, რომ მოსკოვში დამერეკა.

საქმე ის იყო, რომ ერთი ჩემი კოლეგა უნდა შემემოწმებინა. როგორც მე გავაანალიზე, ორი ქურდის მკვლელობა და ჩვენზე თავდასხმა მისი და იმჟამად თბილისში მყოფი ერთი ქურდის მიერ იყო ორგანიზებული. მე არ მინდა მათი ნამდვილი სახელების ხსენება და პირობითად, მათ „იქს-ერთს“ და „იქს-ორს“ ვუწოდებ. სწორედ იქს-ორს დავურეკე ფოსტიდან და ვკითხე:

– როგორ ხარ?

იქს-ორმა, სავარაუდოდ, უკვე იცოდა იქს-ერთისგან, რომ მე და ჩემი კოლეგა ცოცხლები გადავრჩით. ის ჩემს ზარსაც ელოდა და საკმაოდ მშვიდად და აუღელვებლად მითხრა:

– არა მიშავს, კობრა, ხომ მშვიდობაა?

– არა, რა მშვიდობა.

– რა მოხდა? – ვითომ აღელდა იქს-ორი, თუმცა, მაინც შევატყვე სიყალბე ხმაში და ვუთხარი:

– ჩვენი ორი ძმა მოკლეს, ავტომატით ჩაცხრილეს, ჩვენ კი ძლივს გადავრჩით. კაროჩე, სასწრაფოდ მოსკოვში მივემგზავრებით და ჩვენებს შეატყობინე ვლადიკავკაზში, რომ ხვალ შუადღისთვის ავტოვაგზალზე დაგვხვდნენ. გასაგებია?

– კობრა, რაღა მანქანით მოდიხართ. ხომ იცი, რა საშიშია ასეთი მგზავრობა ამ არეულ დროში. თვითმფრინავით გადმოფრინდით დღეს საღამოს ან ხვალ დილით.

– არა, თვითმფრინავით უარესია. ვინც ჩვენი მკვლელობა შეკუკვეთა, ის, ალბათ, უკვე აძებნინებს ჩვენს თავს ქილერებს და თვითმფრინავებსაც გაჩითავენ. მოკლედ, როგორც გითხარი, ისე მოიქეცი და ვლადიკავკაზში მალევე გადარეკე.

– კარგი, ახლავე გადავრეკავ. თქვენ კი ფრთხილად იყავით და თავს გაუფრთხილდით, – მითხრა იქს-ორმა და ყურმილი გათიშა.

იქს-ორი საკმაოდ ეშმაკი კაცი იყო და, რომ არაფერს მივმხვდარიყავი, ჩემთვის არ უკითხავს, თავს სად აფარებთო... მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ვლადიკავკაზში ჩავდიოდით და, ჩემი ვარაუდით, ან გზაში დააპირებდა ჩვენს მოხელთებას, ან – ვლადიკავკაზში... სოლოლაკში რომ დავბრუნდი, ყველაფერი ჩემს კოლეგას მოვუყევი და ვკითხე:

– რას იტყვი?

– რა უნდა ვთქვა, – გაეცინა კოლეგას, – ეშმაკური კომბინაცია მოგიფიქრებია და შედეგებს დაველოდოთ.

– იმედია, შედეგი არ გაგვაწბილებს, – ვთქვი მე, ჩემმა კოლეგამ კი დაამატა:

– მაქამდე თუ მივიდა საქმე, გაწბილებასაც კი ვერ მოვასწრებთ, ისე მოგვიღებენ ბოლოს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება და მოსკოვში მშვიდობიანად ჩავაღწევთ. აქ კი უკვე ყველაფრის ორგანიზებას მოვახერხებთ და დამნაშავეებსაც დავსჯით.

მეორე დღეს ჩემმა ნაცნობმა აეროპორტში მიგვიყვანა, გაფრენის წინ ბილეთები გადმოგვცა და გვითხრა:

– ბედნიერი მგზავრობა. აბა, თქვენ იცით, კარგად იყავით.

– კარგად იყავი. დიდი მადლობა, – გამოვემშვიდობეთ ჩემს ნაცნობს და თვითმფრინავში ავედით.

იმ პერიოდში, მართალია, მოსკოვის მიმართულებით ჯერ კიდევ დაფრინავდნენ თვითმფრინავები, მაგრამ, გრაფიკები უხეშად ირღვეოდა ხოლმე და გაფრენა ყოველთვის იგვიანებდა. იმ დღეს კი, შესრულდა თუ არა თერთმეტი საათი, თვითმფრინავის კარი დაიკეტა. სტიუარდესამ ქამრების შეკვრა გვთხოვა, თვითმფრინავი კი ნელ-ნელა ადგილიდან დაიძრა. ჩემმა კოლეგამ შვებით ამოისუნთქა და მითხრა:

– ვსიო, კობრა, ახლა უკვე ნამდვილად გადავრჩით და, თუ თვითმფრინავი არ ჩამოვარდა, მოსკოვში ვართ...

ის იყო, ჩემს კოლეგას უნდა დავთანხმებოდი, რომ პოლიციის მანქანების სირენის ხმა გაისმა, ჩვენი თვითმფრინავი კი გაჩერდა. მე და ჩემმა კოლეგამ ილუმინატორში გავიხედეთ და „სპეცნაზის“ ფურგონები დავინახეთ, რომლებიც ჩვენს თვითმფრინავს მოადგნენ. მართალია, ვერ ვხედავდით, რა ხდებოდა გარეთ, მაგრამ, თვითმფრინავის კარი გაიღო და ჩემმა კოლეგამ მითხრა:

– მორჩა, კობრა! ჩვენს ასაყვანად მოვიდნენ და, ან გზაში დაგვბრიდავენ, ან – ციხეში. არ გაჭრა შენმა კომბინაციამ, იქს-ორმა გაგვშიფრა.

ამ დროს თვითმფრინავში ოთხი შეიარაღებული სპეცნაზელი შემოვიდა. მათ ტიტანისგან დამზადებული, საშუალო ზომის ყუთი შემოიტანეს და სალონის ბოლოში მოთავსდნენ. შემდეგ კარი ისევ დაიხურა და თვითმფრინავი მოსკოვისკენ გაფრინდა. ახლა უკვე მე ამოვისუნთქე შვებით და ვთქვი:

– აი, ახლა კი ნამდვილად გადავრჩით, თუ, რა თქმა უნდა, თვითმფრინავი არ ჩამოვარდა.

– არ ჩამოვარდება, ნუ გეშინია, – მხიარულად მითხრა ჩემმა კოლეგამ, – ნეტავი რა მიაქვთ მოსკოვში?

როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მოსკოვში



## თენგიზ ვარშანიძის

### ტკივილიანი გახსენება

გილოცავ შვილო დაბადების დღეს 20 ივნისს, რომელსაც მეორედ ვხვდებით უშენოდ შენი გაუბედურებული მშობლები, უსაშველო ტკივილთან ერთად... 35 წელი შეგისრულდა გაუსაძლისი თვეები, ცრემლებით გალუმპული დღეები და ღამეები. უსაზღვრო ტკივილი შენი დაკარგვისა... მოგონებები მხოლოდ წარსულში... გამორჩეული იყავი შენი კეთილშობილებით, შენი გული ყველას სიყვარულს იტევდა. ასე მგონია, უფალს რასაც შესთხოვდი ყველაფერს გისრულებდა – მხოლოდ დღეგრძელობა არ გარგუნა, ალბათ არ გითხოვია, რადგან სიცოცხლით სავსეს ვერ წარმოგედგინა ასე ულმობლად თუ დაგამარცხებდა სიკვდილი, ასე მოულოდნელად შეწყდებოდა შენი განდაგანა... ჩვენ, შენი მშობლები ფიზიკურად დავრჩით აქ, ამ სამყაროში თორემ გულით გონებით მუდმივად შენთან ვართ. იცოდე ჩვენ არც მიცვალებულთა სიაში ვართ და აღარც ცოცხალთა სიაში. შეგვინდე შენს მშობლებს უშენოდ არსებობა. უფალს შევთხოვთ ნათელში გამყოფოს...

**დედა და მამა**

ოქროს ზოდები მიჰქონდათ, რომელიც რუსეთის მთავრობას ჩვენი მთავრობისგან შეუძენია და შეიარაღებული „სპეცნაზიც" ამიტომ აცილებდა.

ვნუკოვოში რომ დავეშვით და მიწაზე დავდგით ფეხი, ჩემმა კოლეგამ მითხრა:

– ახლა კი იქს-ორით დავიწყოთ და სიმართლე დავადგინოთ.

დღის ორი საათისთვის უკვე ზუსტად ვიცოდით, რომ იქს-ორი და იქს-ერთი ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებდნენ და ქურდების მკვლელობა მათი ორგანიზებული იყო. ჩვენი ვლადიკავკაზელი ძმების ხალხმა ორი ავტომატიანი ქილერი შეიპყრო, რომლებმაც პირდაპირ იქს-ორზე გაგვიყვანეს.

– ყველაფერი იასნია. ყველამ თავისი უნდა მიიღოს. შევუზეროთ, – ვუთხარი ჩემს კოლეგას, როდესაც ყველაფერი გაირკვა.

– შევუზეროთ, – დამეთანხმა კოლეგა და მოქმედების შემდეგ ეტაპზე გადავედით.

იქს-ორი რომ არ გაგვქცეოდა, ჩვენს ხალხს ის გავაკოჭინეთ და პოდმოსკოვიეს ერთ-ერთ კერძო აგარაკზე დავამწყვდევინეთ, სადაც სხოდკა უნდა შეკრებილიყო. სანამ მეორე დღისთვის იქ ოცზე მეტი ქურდი მოვიდა, ვლადიკავკაზიდან ორი ქილერიც ჩამოიყვანეს. ისინი „რაზბორკის" დროს პირზე დაადგნენ იქს-ორს და თქვეს, რომ ჩემი და ჩემი კოლეგის მოკვლა მისგან ჰქონდათ დავალებული. ამის მერე იქს-ორი საბოლოოდ მოტყდა და აღიარა, რომ იქს-ერთთან ერთად მოქმედებდა. ყველაფერი რომ გაირკვა, სხოდკამ ორივე ქურდს და ქილერებსაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რომელიც ნაწილობრივ მალევე იქნა სისრულეში მოყვანილი, იქს-ერთი კი ორი დღის შემდეგ თბილისში ჩაცხრილეს ავტომატით... მავანს, შეიძლება ძალიან უარყოფითი წარმოდგენა შეექმნას ჩვენზე და სასტიკ მკვლელებადაც კი მოვეჩვენოთ, მაგრამ, ეს მართალი არ იქნება. ადამიანის სიკვდილით დასჯა ჩვენს წრეში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხდება და, გარწმუნებთ, ასეთი რამ სულაც არ გვგვრის სიამოვნებას, თუმცა, ეს აუცილებელი ზომაა და ქურდული პრინციპების შესანარჩუნებლადაა საჭირო. ადრეც ხშირად მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ქურდული პრინციპების დარღვევას სიკვდილი მირჩევნია და ჩემი რწმენა არაერთხელ დამიცავს საკუთარი სიცოცხლით. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ერთხელ ერთმა ჩემმა ძველმა ძმაკაცმა, რომელსაც დღესდღეობით მაღალი იერარქიული საფეხური უჭირავს სარწმუნოებაში, თავისთან დამიბარა და მითხრა:

– ადამიანი ცოდვილია, მაგრამ, ღმერთი მოწყალეა და, თუკი გულწრფელად მოინანიებ, მიგეტევება.

ძველი ძმაკაცისთვის ძველებურად მიმართვა არ გამოდიოდა და მისსავე სტილში ვუთხარი:

– დიდება უფალს, მამაო. ბრძანეთ, რისთვის დამიბარეთ.

– გიორგი, შვილო, – მითხრა მან, თუმცა ჩემზე ბევრად უმცროსია, – დროა, რომ შენი სულის გადარჩენაზე იზრუნო და დედაეკლესიაში მოსვლას გთავაზობ. მერწმუნე, ეს ერთადერთი გზაა ღმერთისკენ, ღმერთი კი ჭეშმარიტებაა და ყველა კარგი კაცი ჭეშმარიტებას უნდა ნდა ემსახურებოდეს.

– აბსოლუტურად გეთანხმებით, მამაო, მაგრამ, მე უღირსი ვარ და დედაეკლესიის წიაღში მსახურებისთვის არ გამოვდგები, – დიპლომატიურად უარვყავი შემოთავაზება, თუმცა მან მითხრა:

– თუ არ სცადე, ვერ გაიგებ, ღირსი ხარ თუ არა. ამიტომ, უნდა სცადო ეს და მე ყოველმხრივ შეგიწყობ ხელს.

– არა, მამაო, არაფერი გამომივა, მე თავისუფალი კაცი ვარ და შეზღუდვებს ვერ შევეგუები.

მოძღვარს გულიანად გაეცინა და მითხრა:

– მაპატიე, შვილო, მაგრამ, ეგ შენი სიტყვები სასაცილოდ და არადამაჯერებლად ჟღერს.

– რომელი სიტყვები, მამაო?

– შეზღუდვებზე რომ თქვი, ვერ ვიტანო. მრავალი წელი თავისუფლება გქონდა შეზღუდული, თანაც, რამდენი ციხე ჩამოვთვალო, სადაც შენ სასჯელი მოიხადე და, ახლა ამბობ, რომ ეკლესიურ შეზღუდვებს ვერ შეეგუები?! არ მჯერა ეგ, ტყუილია. შენ, უბრალოდ, ჯეროვნად ვერ აფასებ საკუთარ თავს. ნარკომანი შენ არ ხარ, რომ წამალმა მოგტეხოს, არც სხვა პათოლოგიური ნაკლი გაგაჩნია და, ეკლესიას რატომ ვერ შეეგუები?

– ციხე სხვაა, მამაო, ეკლესია კი – სულ სხვა

– ეკლესიაც ციხეა, ჩვენი ვნებების ციხე და ჩვენი წიაღი იძლევა მეტი დატყვევების საშუალებას. ამიტომ, ეკლესიაც ციხეა და, შენ წარმოიდგინე, ბევრად უფრო მკაცრი.

მე არც მამაოს წყენინება მინდოდა და არც გზის შეცვლა, ამიტომ მოძღვარს ხუმრობით ვუთხარი:

– კარგი, რა, მამაო, ციხიდან ახალი გამოსული ვარ და ისევ ციხეს მთავაზობ?

– გიორგი, შვილო, გასაგებია, რომ ქურდული ცხოვრებისთვის თავი გაქვს გადადებული და ასრულებ თქვენს კანონებს, მაგრამ, მერწმუნე, რომ, რასაც მე გთავაზობ, ერთადერთი ჭეშმარიტებაა. მართალია, ძალიან რთულად შესასრულებელი, მაგრამ, მას თუ დაძლევ, ბოლომდე გახვალ. რაც შენ ქურდული საქმისთვის გიწვალია, იმდენი რომ ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის გაგეკეთებინა, გებრძოლა და თავი დაგედო, უკვე განწმენდილი იქნებოდი.

– გმადლობ, მამაო, კეთილი რჩევისა და თანადგომისთვის, მით უმეტეს, ამ სიტყვებისთვის, მაგრამ ქურდი ვარ და ქურდად მოვკვდები.

– გასაგებია, მაგრამ, ქურდად ხომ არ დაბადებულხარ? ღვთის ხატად იშვი და დაუბრუნდი შენს პირველქმნილ და ჭეშმარიტ სახეს. მოდი ეკლესიის წიაღში.

– არა, მამაო, ტყუილს არ ვიკადრებ. მართალია, ქურდად არ დავბადებ-



ულვარ, მაგრამ, ქურდად მოვკვდები, – ვუთხარი მოძღვარს და ჯვარზე ვემთხვიე, – დიდი მადლობა, რომ დრო დამითმეთ, მაგრამ, ჩემს რწმენას არ შევიცვლი.

– ნახვამდის, კობრა, გფარავდეს ღმერთი, – მითხრა მოძღვარმა და გამომისტუმრა.

მავანს ჩემი საქციელი, შეიძლება, ჯიუტ ახირებად მოეჩვენოს, მაგრამ, მე არც ვმეტიჩრობ, არც ბრიყვი ვარ და, მით უმეტეს, არც ურწმუნო. მე ვარ ქურდი, მიმაჩნია, რომ ჩემგან სასულიერო პირი არ გამოვა და ქურდად უნდა მოვკვდე. თუმცა, არასოდეს დამიძრახავს ის ხალხი, ვინც ქურდობაზე უარი თქვა და ეკლესიის წიაღში წავიდა. ვიმეორებ, რომ ჩემთვის ეკლესიაა ის ერთადერთი რამ, რაც ქურდობაზე მაღლა დგას. თუმცა, მე ამ სიმაღლეების ღირსად არ მიმაჩნია საკუთარი თავი და ვამჯობინებ ამ სტატუსში დავჩრე სიცოცხლის ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ჩვენი ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას ვასია ბრილიანტმა მითხრა:

– ჩვენ, ქურდები, ძალიან ჯიუტი ხალხი ვართ და, არ გვსურს, შევიგნოთ ელემენტარული ჭეშმარიტება: საკმარისია, ეკლესიაში მივიდეთ, მოვინანიოთ, ბერად აღვიკვეცოთ და მთელი ჩვენი რესურსი და გამოცდილება იმ სფეროს მივუძღვნათ, რომ დიდი მოღვაწეები გავხდებით და უამრავ გზააბნეულ სულს გადავარჩენთ დაღუპვისგან.

სწორედ ძია ვასიას ეს სიტყვები გამახსენდა, როცა მამაოსგან მოვდიოდი და სწორედ იმ მომენტში შევიცანი მათი ჭეშმარიტება. პატიოსანი ქურდული ცხოვრება, მთელი თავისი ატრიბუტიკით, უდიდესი სკოლა და გამოცდილებაა ადამიანისთვის და, თუკი პიროვნება უნაკლოდ გაივლის ამ გზას, მისთვის პროფესიის შეცვლაც დასაშვებია და ადამიანების დამოძღვრაც.

**გაგრძელება შემდგე ნომერში**



**ქრონოფარმაკოლოგია მედიცინის სპეციალური დარგია, რომელიც სწავლობს ბიოლოგიური რიტმების გავლენას წამალთა შეთავსებაზე. ყველამ კარგად იცის, რომ წამლის მოქმედება ინდივიდუალურია, თუმცა ცოტას აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წამლის მოქმედება, ამა თუ იმ ორგანოზე, დღის გარკვეულ საათებში განსხვავებულია. თქვენ წარმოიდგინეთ, არასწორ დროს დალეულმა წამალმა, შესაძლოა, დადებითი ეფექტის ნაცვლად, ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაც კი გამოიწვიოს და ეს მისი გარდაცვალების მიზეზიც კი გახდეს.**

**როგორც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი რამაზ გახოკიძე ამბობს, წამალში მრავალი საიდუმლოა ჩადებული და ის გარკვეული წესით უნდა მივიღოთ. ეს კი უნდა იცოდეს ექიმმაც და რასაკვირველია, პაციენტმაც. თუ რომელი წამლის დალევა იკრძალება ნაბახუსევზე, რა დროს რა მედიკამენტი უნდა მიიღოთ და ზედ რა მიაყოლოთ, ამაზე ბატონი რამაზი საკმაოდ სასარგებლო ინფორმაციას მოგაწვდით.**

# რატომ უნდა შეარჩიოთ სწორად წამლის მიღების დრო და რა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს არასწორად დალეული სამკურნალო აბები

**რამაზ გახოკიძე:** წამლებით მკურნალობისას ადამიანზე ზემოქმედების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია ბიორიტმების გავლენა. ორგანიზმის თითოეული უჯრედი გრძნობს დროს, დღე-ღამის მონაცვლეობას, წელიწადის დროების ცვლილებას. ადამიანის ორგანიზმის 300-ზე მეტ ფიზიოლოგიურ ფუნქციაზე, კერძოდ, არტერიულ წნევაზე, პულსის სიხშირეზე, სხეულის ტემპერატურაზე, სისხლში ჰორმონების კონცენტრაციაზე, ღვიძლისა და თირკმელების მუშაობის აქტიურობაზე და ასე შემდეგ, ზემოქმედებს დღეღამური და სეზონური რხევები.

**– ხშირად, მსმენია ექიმებისგან, რომ არსებობს წამლების ჩამონათვალი, რომელთა მიღება ჭამის წინ, ან ჭამის შემდეგ უნდა მოხდეს, რათა უფრო ეფექტურად იმოქმედოს კონკრეტულ დაავადებაზე. ამაზე რას გვეტყვით?**

– წამლის მოქმედება, უპირველესად, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ხვდება ის ორგანიზმში. წამლები ძლიერად მოქმედებს მშიერ კუჭზე, ჭამის შემდეგ მისი მიღება კი ორგანიზმისთვის ნაკლებად საზიანოა, თუმცა ეფექტი ბევრად ნაკლებია. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ჭამამდე ის წამლები უნდა მივიღოთ, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებისთვის, მაგალითად, ანტიბიოტიკები, ონკოლოგიაში გამოყენებული პრეპარატები. ხოლო, ტკივილგამაყუჩებელი წამლების მიღება კი ჯობია ჭამის შემდეგ, რადგან ძლიერად მოქმედებს კუჭის ლორწოვან გარსზე. ცხიმში ხსნადი ვიტამინების, როგორებიცაა: A, D, E, F და K მიღება აუცილებელია ჭამის შემდეგ ცხოველური და მცენარეული ცხიმებით მდიდარ საკვებთან ერთად. ეს აჩქარებს მათ შეწოვას. წყალში ხსნადი C და B ჯგუფის ვიტამინები კი, ჭამამდე ან ჭამის დროს უნდა მიიღოთ. რაც შეეხება კომპლექსურ პოლივიტამინურ პრეპარატებს, ისინი ჭამისთანავე უნდა დალიოთ. ასპირინი აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, ამიტომ მიიღეთ ჭამის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იზრდება ისეთი დაავადებების რისკი, როგორიცაა: გასტრიტი, კუჭის წყლული და ასე შემდეგ. ასპირინის მიღებამდე, ერთი საათის განმავლობაში, არ უნდა ჭამოთ ცხარე საკვები და ციტრუსები. არ შეიძლება, ასპირინს დააყოლოთ ფორთოხლის ან სხვა მჟავე წვენი. წამლის უმრავლესობა ინიშნება ჭამამდე 30-40 წუთით ადრე, რადგან ამ დროს კარგად ხდება მათი შეწოვა. მაგალითად, ჭამამდე ინიშნება კორდარონი, პულსნორმი, ობზიდანი, ტრაზიკორი, პანანგინი, იზოპტინი, ჭამის დროს – პეფსინი, ფესტალი, დიგესტალი, პანზინორმი და სხვა მსგავსი პრეპარატები, რომლებიც საჭმლის მონელებას უწყობს ხელს. ჭამის დროს უნდა მიიღოთ ასევე, ანტიარითმიული და მალარიის საწინააღმდეგო საშუალებები, ასთმის საწინააღმდეგო საშუალება, ლევომიცეტინი – ფართო სპექტრის მოქმედების ანტიბიოტიკი. კვების დროს კუჭის მჟავიანობა ძალიან მაღალია, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს წამლების მდგრადობასა და სისხლში მათ შეწოვაზე. მჟავა გარემოში ქვეითდება ერითრომიცინის, ლინკომიცინისა და სხვა ანტიბიოტიკების მოქმედება.



მკურნალობის ეფექტზე შეიძლება გავლენა მოახდინოს წყლის ტემპერატურამაც

**– ჭამის შემდეგ რამდენი დრო უნდა გავიდეს, რომ წამალი მივიღოთ და მან სასიკეთოდ იმოქმედოს?**

– წამალი თუ ჭამის შემდეგ არის დანიშნული, საუკეთესო თერაპიული ეფექტის მისაღებად, დაიცადეთ არანაკლებ ორი საათი. ჭამისთანავე, ძირითადად, ისეთ პრეპარატებს იღებენ, რომლებიც აღიზიანებს კუჭისა და ნაწლავების ლორწოვან გარსს. ასეთებია, მაგალითად, ფუროსემიდი, ასპირინი, ბუტადიონი, ასკოფეინი, ციტრამონი, სტრეპტოციდი, ფტალაზოლი, ალოხოლი, დიგიტოქსინი და ასე შემდეგ.

**– აქვს თუ არა გავლენა წამლის მოქმედებაზე, იმ საკვებს, რომელსაც ადამიანი მკურნალობის პერიოდში იღებს?**

– რასაკვირველია, აქვს, რადგან წამლის ეფექტურობა დამოკიდებულია, ასევე, საჭმლის შედგენილობაზე. ზოგიერთი წამალი ადვილად შეიწოვება და კარგად მუშაობს ცხიმიან საკვებთან ერთად, სხვა კი, პირიქით. მკურნალობის ეფექტზე შეიძლება, გავლენა მოახდინოს წყლის ტემპერატურამაც.

**– იმას თუ აქვს მნიშვნელობა, წამალს წყალს მივაყოლებთ, ყავას, წვენს თუ რძეს? ახდენს თუ არა გავლენას ეს, მკურნალობის ეფექტურობაზე?**

– გეტყვით, რომ სითხე, რომელსაც აყოლებთ წამალს, პირდაპირ არის დამოკიდებული კონკრეტული წამლის თვისებებზე. წამლის თვისება კი განსაზღვრავს, თუ რა უნდა დავაყოლოთ მას უკეთესი სამკურნალო ეფექტის მისაღებად. დაუშვებელია, სამკურნალო პრეპარატების მიღება სპირტიან სასმელებთან ერთად, რადგან ეს იწვევს ტრაგიკულ შედეგებს. მაგალითად, ალკოჰოლი ინსულინთან ერთად, იწვევს ჰიპოგლიკემიურ კომას; არტერიული წნევის დამწევ პრეპარატებთან ერთად კი, სისხლძარღვების კოლაფსს, გონების დაკარგვას; პარაცეტამოლთან ერთად ღვიძლის დაზიანებას; ასპირინთან ერთად გასტრიტს და კუჭის წყლულოვან დაავადებას. ზოგიერთი წამალი კი წყლის ნაცვლად, სხვა სითხესთან ერთად უნდა მიიღოთ. მაგალითად, ინდომეტაცინზე ან რეზერპინზე, ქიმიური თავისებურებების გამო, რეკომენდებულია რძის მიყოლება. ეს ეხება იოდის პრეპარატებსაც. ტუტემინერალური სასმელების მიყოლება რეკომენდებულია ასპირინზე. არ შეიძლება რძის მიყოლება ტეტრაციკლინზე, რადგან ამ დროს სუსტდება პრეპარატის აქტიურობა. ხილის, განსაკუთრებით კი, მჟავე წვენები ეფექტს უკარგავს ანტაციდურ, ანუ კუჭის მჟავიანობის შემამცირებელ პრეპარატებს. არ შეიძლება, წვენების ან კომპოტების მიყოლება საგულე გლიკოზიდებსა და სულფანილამიდებზე, რომლებიც წარმოადგენს ტუტეს თავისი ქიმიური ბუნებით. ასევე, არ შეიძლება, პენიცილინისა და ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებსა და რკინის შემცველ პრეპარატებზე რძის, ყავის, კოკა-კოლას, ბროწეულის წვენის დაყოლება. ციტრამონის და ასპირინის მიღებამ ყავით კი, შესაძლოა, გამოიწვიოს ღვიძლის და სხვა, სასიცოცხლო ორგანოების მდგომარეობის, კიდევ უფრო გაუარესება.

**– ჩაის სამკურნალო თვისებებზე ბევრი იწერება. ის თუ შეიძლება წამალს მივაყოლოთ?**

– გირჩევთ, ნუ დააყოლებთ წამლის აბებს ჩაის, რადგან, მასში შემავალი ტანინი წარმოქმნის უხსნად ნივთიერებებს და გამოლექავს ბევრ წამალს. აბების დასაყოლებლად ერთადერთი უნივერსალური საშუალება ოთახის ტემპერატურის და არა მაცივარში გაყინული წყალი.

**– რაც შეეხება წამლის მიღების წესებს?**

– ახლავე მოგახსენებთ დროს, როცა ადამიანმა უნდა მიიღოს ამა თუ იმ ორგანოს და სისტემის სამკურნალო აბები: პირველიდან 3 საათამდე ფილტვების, 3-დან 5-მდე მსხვილი ნაწლავის; 5-დან 7-მდე კუჭის; 7-დან 9-მდე ელენთის, კუჭქვეშა ჯირკვლის; 9-დან 11-მდე გულის; 11-დან 13-მდე წვრილი ნაწლავის; 13-დან 15-მდე შარდის ბუშტის; 15-დან 17-მდე თირკმელების; 17-დან 19-მდე სასქესო ორგანოების, სისხლძარღვების; 19-დან 21-მდე სასუნთქი სისტემის, საჭმლის მომნელებელი სისტემის, სასქესო ორგანოების; 21-დან 23-მდე ნაღვლის ბუშტის; 23-დან 1-მდე ღვიძლის; ხოლო სადღეღამისოა შარდსასქესო, საჭმლის მომნელებელი, სასუნთქი, ცენტრალური ნერვული სისტემების.

**ნონა დათეშიძე**

**„მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება", „რა დილა თენდება", „საყვარელო ჩემო თბილის-ქალაქო"... – ეს სიმღერები ყველა ქართველს ულამაზებს ყოფას; ნებისმიერმა იცის, უყვარს, ღიღინებს... თუმცა, ალბათ, ძალიან ცოტა თუ იცნობს მათ ავტორს. პირადად მე, ის დღეს გავიცანი. ძალიან გამიჭირდა ინტერვიუზე მისი დაყოლიება. ბოლოს მესიჯი გავუგზავნე – თბილისს გაფიცებთ, უარი არ მითხრათ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ საჭირო სიტყვებს მივაგენი და, შედეგად, ჩვენს რუბრიკაში ამ გაჰიტებული და ნებისმიერი თაობის წარმომადგენლისთვის ერთნაირად საყვარელი სიმღერების ავტორი, გია გორდეზიანი გვესაუბრება.**

# როგორ გახდა გია გორდეზიანი ცნობილი სიმღერების უცნობი ავტორი, რომელმაც ნოტების წერაც არ იცის და ვინ არის მისი მუზა

**– ბატონო გია, თქვენი სიმღერები მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ, მათი ავტორი – თითქმის არავინ.**

– ვერ ვიტყოდი ასე, იმიტომ რომ, დიდი სამეგობრო წრე მყავს.

**– და, მაინც, მხოლოდ დიდმა სამეგობრო წრემ იცის, საზოგადოებამ კი – ნაკლებად.**

– ჰო, ალბათ, იმიტომ, რომ მაინცდამაინც არ მიყვარს ინტერვიუები.

**– ერთი ვაკელი ბიჭი იყო, რომელსაც ქეიფი და დროსტარება უყვარდა. ნოტების წერაც კი არ იცოდა, მაგრამ, მუზა რომ ეწვეოდა, სიმღერას დაამღერებდა და შემდეგ ეს სიმღერა ჰიტი ხდებოდაო, – ეს შევიტყვე თქვენ შესახებ. მართალია?**

– დაახლოებით ეგრე იყო ***(იცინის)***, მაგრამ, განსხვავება ისაა, რომ ეგ „ბიჭი" უკვე ბაბუაა და მესამე შვილიშვილს ელოდება.

**– მოდი, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.**

– დავამთავრე 57-ე სკოლა. ვიზრდებოდი ჭავჭავაძეზე, ატენის ქუჩის ჩასახვევთან. ჩვენ, ჩვენი სამეგობრო, სიმღერამ შეგვაკავშირა – ცნობილი ექიმი მერაბ თევზაძე, თავგასა – დათო გოგიაშვილი, ერთი წლით უფროსი იყო ჩვენზე. დავამთავრეთ სკოლა და ჩავაბარე აკადემიაში. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები სწორედ აკადემიაში მაქვს გატარებული. თავის სიმღერებით, ქეიფებით, მუშაობით, ხატვით... მაშინ თითქმის იქ ვცხოვრობდით.

არანაირი მუსიკალური განათლება არ მაქვს. იყო ჩვენი მეგობრის, ნინო გიორგობიანის ბიძა – ჯანიკო გიორგობიანი, შესანიშნავი გეოლოგი, უნიკალური ტიპი. ის იყო ჩვენთვის უფროსი, საოცარი ადამიანი რომ შეგხვდება და გზას გაგიკვალავს. ძალიან ვუყვარდით. განსაკუთრებით – მე და მერაბ თევზაძე, იმიტომ, რომ ჩვენ ვმღეროდით. თუკი ვინმე იყო იმ პერიოდში, ყველა ჯანიკოსთან იკრიბებოდა სახლში – ჯანო კახიძით დაწყებული, თემიკო ჩირგაძე იყო თამადა სულ. ცნობილი თამადა იყო. მოკლედ, ისეთი პიროვნებები იყვნენ, რომ დაჯექი და უსმინე, მეტი არაფერი. სწორედ იმ სუფრებზე მოვუსმინე პირველად ზაურ ბოლქვაძეს, იქ იყვნენ: მიშიკო შენგელია, გიზო ბერაძე, ჯემალ ჭკუასელი... მაშინ ავმღერდი მეც.

კარგი პერიოდი იყო... ბოლოს გაუგებარი დაავადება შეეყარა ბატონ ჯანო გიორგობიანს. საფრანგეთში ჰყავდათ და უთხრეს: თუ არ მოწევ, არ დალევ და არ ინერვიულებ, შეიძლება, ორი წელი კიდევ იცოცხლოო. რომ ჩამოვიდა, სულ გვკრებდა და ძალიან ბევრ დროს ატარებდა ჩვენთან. ერთ-ერთი ბოლო ქეიფი იყო ოქროყანაში, მათ აგარაკზე, ძალიან ვიწრო წრეში. რაღაც გამოსათხოვარი სუფრასავით გააკეთა, კი არ დაარქვა ასე, მაგრამ, მაინც... თავის ძმაკაცებს, ჩვენთვის სათაყვანებელ პიროვნებებს უცებ გამოუცხადა: მე მინდა, რომ წახნაგა იყოს თამადაო.

**– წახნაგა?**

– ანუ – მე ***(იცინის).*** ტკბილი, გემრიელი საღამო ჩავატარეთ. ჩვენი მღერაც უკვე თანდათან, – თავის ქება კიტრად ღირსო, – მაგრამ, ღირდა მოსასმენად.

ჩვენ, შვიდი კაცი დავდიოდით მთელ თბილისში და იმისთანა ქეიფებს ვაწყობდით: მე, დათო გომართელი, გიო ხუციშვილი, მერაბ თევზაძე, წიკო, თავგასა და ირაკლი ჭანტურია. შვიდ ხმაში ვმღეროდით – თანამედროვეს, ხალხურებს, ათასნაირ პოპურებს ვაკეთებდით. შეიძლება ითქვას, წარმოდგენებს ვდგამდით. დღემდე ასე ვართ. ყველას უხარია ჩვენთან ერთად სუფრასთან მოხვედრა. ჩვენი განუყრელი მეგობარი იყო ალეკო კვაშალი. ბავშვობის მეგობრები ვართ პრაქტიკულად ყველა. სპორტულად ვცხოვრობდით, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერიც იყო და არა მარტო სპორტი. ძალიან ლაღი პერიოდი იყო. დღემდე ვცდილობთ, რომ ასე გავაგრძელოთ. მე, მაგალითად, სანამ სარკეში არ ჩავიხედავ, ვერ ვხვდები, რამდენი წლისა ვარ.

**– გახსოვთ, რომელი სიმღერა დაიწერა პირველად?**

– „რა დილა თენდება" – რაჭაში ყოფნისას დავწერე. დილას გავიღვიძე – გადასარევი ეზო, სიმწვანე, სიგრილე, სილამაზე და – სიმღერაც დაიწერა. 18-19 წლის ვიქნებოდი მაშინ.



**„რა დილა თენდება" რაჭაში ყოფნისას დავწერე. დილას გავიღვიძე – გადასარევი ეზო, სიმწვანე, სიგრილე, სილამაზე და – სიმღერაც დაიწერა. 18-19 წლის ვიქნებოდი მაშინ**

**– კი მაგრამ, ნოტები რომ არ იცოდით?**

– გიტარაზე დაკვრა ვისწავლე ჩემით. პაკო დე ლუსია არა ვარ, მაგრამ, რაღაცას ჩემით ვპორჭიკობ. თბილისში რომ ჩამოვედი, მოვასმენინე ფიჯეროს – დათო ერისთავს, გაგიჟდა – ეს ჰიტიაო. წავედით მერე ჩვენს ერთ მეგობართან წოდორეთში და, იქ, ქეიფის დროს, დავაწესეთ, რომ ყოველი მეოთხე სიმღერის შემდეგ ეს სიმღერა უნდა გვემღერა, ამიტომ, თავიდან „რა დილა თენდებას" ერქვა „მეხუთე". მერე ტელევიზიითაც შევასრულეთ. მერე იყო „საახალწლო", „მოწყენილ სახეებს" რომ ეძახიან და, მერე – „საყვარელო ჩემო თბილის-ქალაქო". პირველი სამი სიმღერა ეს იყო, დანარჩენების თანმიმდევრობა აღარ მახსოვს.

**– ჩემი მეუღლე ჩემი მუზააო, წელან ბრძანეთ.**

– ასეა. ნინო გავიცანი ჩვენს მეგობართან. მაშინ ის 16 წლის იყო მე – 21-ის. როგორი შეყვარებული ვიყავი... ასე ვარ დღემდე. რომანტიკულ რაღაცეებსაც ვაკეთებდით ხოლმე – ფანჯრებთან ვუმღეროდით. ნინო მართლა ჩემი ბედი იყო, იმიტომ რომ, ზუსტად ბედობა დღეს შევხვდი და, ერთი დანახვით მივხვდი, ეს გოგო ნამდვილად ჩემი გახდება-მეთქი. მერე ნინოსაც შევუყვარდი და მას შემდეგ მოვდივართ ასე.

**– ტრადიციულად დაქორწინდით?**

– არა, წავედით წყნეთში და ხმები დავყარეთ, რომ ვართ თელავში. მერე საქორწინო მოგზაურობაში წავიყვანე რაჭაში. რაჭას დღემდე მაგის გამო ვერ იტანს ***(იცინის)*** – არა წყალი, არა დენი, საერთოდ არაფერი... ნინოს ხათრით გავაკეთე ყველაფერი ჩემი ხელით; დიდი კი არაფერი, მაგრამ, ელემენტარული კომფორტი შევქმენი. ჩვენი შვილები იქ გაიზარდნენ და, ავადმყოფობა რა არის, არ იციან. უნიკალური ადგილია.

**– სპორტიც იყო და ყველაფერიც იყოო, ბრძანეთ. ჩხუბიც იყო?**

– როგორ არა. მახსოვს, მეგობარს მოსწონდა ერთი გოგო და ავედით კიკეთში მის მეგობართან, იქ მოვიყარეთ თავი. მერე მოვიდნენ მასპინძლის სხვა, ნასვამი, მეგობრები და დაიწყო სუფრის ჩაშლა. ამას მოჰყვა ჩხუბი. მოკლედ, ვცემეთ ბიჭი, რომელიც 2 და 10 იყო სიმაღლეში. ვცემეთ რა, ხელი რომ გეკრა, თავისით წაიქცეოდა, ისეთი მთვრალი იყო. მეორე დღეს დაგვიბარა საბურთალოზე. ვისაც უშუალოდ უნდა შეხვედროდა, ის ელოდა, ელოდა და წავიდა. ჩვენ დავრჩით და მოვიდნენ ორი მანქანით. ვაი შენ წახნაგას ***(იცინის)...*** გავიდეთო და, მე მარტო მერაბ თევზაძე გამომყვა. უკან ხომ არ დაიხევ?! რატომ მცემეო, – მკითხა. ღირსი იყავი-მეთქი, – ვუპასუხე. დამიჭირა, თავი მიმარტყმევინა კედელზე და დავრეტიანდი. ავტოფარეხი იყო და იქვე დიდი ზომის ქვა იდო, მაღალი. ჯერ ცხვირზე მიკბინა და მერე ჩამტენა ამ ქვასა და ავტოფარეხს შორის ***(იცინის).*** მერაბი ცაკლე ეგდო.

**– გცემათ?**

– გვცემა რომელია, დედა გვიტირა ***(იცინის).*** ვითომ მერე ვუსაფრდებოდით, მაგრამ, ჩვენი შეხვედრა ვერ მოხერხდა – ეტყობა, ჩვენც არ გვინდოდა ძალიან ***(იცინის).*** გავიდა დრო, დრო კი მართლაც ყველაფრის მკურნალია, თუ, რა თქმა უნდა, ბოლმიანი ადამიანი არ ხარ. მეცინება და არანაირი წყენა არ მაქვს გულში ჩარჩენილი. გარკვეული ხნის შემდეგ მერაბს ცალკე შეხვდა ეს 2 და 10-იანი ბიჭი და მე – ცალკე. ჩავეხუტეთ ერთმანეთს. მე მგონია, რომ სიცივე და გულქვაობა სპობს ადამიანებს. ერთი სიმღერა მაქვს, სადაც ასეთი ფრაზაა: „ღიმილი და წყენის დავიწყება, ეცადე, იცოდე, დაგჭირდება" – ჩემთვის ეს კრედოა.

**– სულ რამდენი სიმღერის ავტორი ბრძანდებით?**

– ოცდახუთზე მეტი სიმღერის ავტორი ვარ. ჩემი საქმე მხატვრობაა, სიმღერა – ჰობია.

**ეკა სალაღაია**

**„ერთი თვე დამჭირდა იმისათვის, რომ დავრწმუნებულიყავი, სახელმწიფო სამსახურში აღარ ვიმუშავებდი," – ამბობს პროფესიით ეკონომისტი გიორგი ჯანელიძე, რომელსაც შორეულ ოთხმოცდაათიანებში, ქუთაისის საგადასახადო სამსახურში მუშაობის გამოცდილება აქვს. თუ როგორ განვითარდა ამის შემდეგ ცნობილი იუმორისტისა და სცენარისტის ცხოვრება, მოსინჯავდა თუ არა ის ძალებს პოლიტიკაში და რა შეხედულება აქვს მარიხუანის ლეგალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, ამას ჩვენს ინტერვიუში წაიკითხავთ.**

# რა აზრისაა გიორგი ჯანელიძე „დაბოლილებზე" და რა დაასკვნა მან ქუთაისის საგადასახადო სამსახურში ერთთვიანი მუშაობის შემდეგ

**– რას საქმიანობს ამჟამად გიორგი ჯანელიძე? ვიცი, რომ რამდენიმე გადაცემაში ხარ ერთდროულად.**

– ვარ გადაცემა „ოთხი ოთხზეს" ერთ-ერთი წამყვანი. ასევე, დაკავებული ვარ „ღამის შოუს" რაღაც-რაღაც პროექტებში. ზოგან სცენარისტი ვარ, ზოგგან – პროდიუსერი, „TV11-ისთვის" „ქლაბ 11-ში" მონოლოგებსაც ვკითხულობ.

**– ქუთაისიდან დავიწყოთ თქვენი გაცნობა. როგორც ვიცი, იქ დაიბადეთ.**

– დიახ, 23 წლამდე ქუთაისში ვცხოვრობდი. ოჯახში ყველა ინჟინერი იყო.

**– როგორი მოსწავლე იყავით?**

– კარგი მოსწავლე ვიყავი. ქების სიგელებიც მაქვს ერთი 5 ცალი. ნიჭიერი ბავშვი ვიყავი. ჩემზე უკეთესებიც იყვნენ სკოლაში, მაგრამ მეც კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი.

**– როგორც ვიცი, სფერო, რომელშიც დღეს მოღვაწეობთ და თქვენი პროფესია, აბსოლუტურად განსხვავებულია ერთმანეთისგან.**

– დიპლომი მაქვს ეკომონისტის, მაგრამ ჩემი პროფესია არასდროს ყოფილა ეკონომისტობა. უმაღლესი განათლება მაქვს, მაგრამ პროფესია ის არის, რითაც ფულს აკეთებ. ფული არასდროს მიშოვია ეკონომისტობით და ბუღალტრობით.

**– მაშ რით იშოვეთ?**

– შოუ-ბიზნესით, ტელევიზიით, იუმორის კეთებით.

**– რატომ მოინდომეთ მაინცდამაინც ეკონომისტობა?**

– იმიტომ ავირჩიე, რომ 1994 წელს დავამთავრე სკოლა და მაშინ აზრი არ ჰქონდა, სად ჩააბარებდი, თან, ქუთაისის უნივერსიტეტში. არც ერთ სფეროს არ ჰქონდა ფული, რომ აგერჩია: აი, ეს თუ გამოვედი – კარგად ვიცხოვრებ და თუ ეს – ნაკლებად კარგადო. არავის ჰქონდა ფული, ყველა გაჭირვებული იყო. თან, აქეთ იყო „მხედრიონი," ესაისა... პერსპექტივასაც ვერ დაინახავდი ვერსად. ამიტომ, სადაც ყველაზე დაბალი კონკურსი იყო, იქ ჩავაბარე.



**ვინც „დაბოლილია", ისინი უფრო ნაკლებად საშიშები არიან**

**– მგონი, მცდელობაც გქონდათ თავიდან ამ პროფესიით დასაქმებულიყავით.**

– ქუთაისის საგადასახადოში ვიმუშავე ერთი თვე. რომ გითხრათ, ძალიან მომეწონა და მინდოდა იქ დარჩენა, ასე არ იყო. ეს იყო შევარდნაძის დროს, როცა საგადასახადო არაფრით განსხვავდებოდა პოლიციელისა და გამომძალველი კრიმინალისგან. ეს ერთი თვე დამჭირდა იმისთვის, რომ დავრწმუნებულიყავი, სახელმწიფო სამსახურში აღარ ვიმუშავებდი.

**– ბრაზიანი ხართ?**

– არა, თავშეკავებული ვარ. ვერავინ გაიგებს ჩემს გინებას. ხანდახან წამომცდება ხოლმე მანქანაში, ოღონდ, ისე, ხმადაბლა.

**– როდესმე გიოცნებიათ ტელევიზიაში მუშაობაზე?**

– არა, არასდროს. ტელევიზიაში მუშაობა ჩემი ოცნება არ ყოფილა და არც მიფიქრია ამაზე. იმიტომ რომ, როცა ტელევიზორს ვუყურებდი, მაშინ იქ არავინ ჩანდა ისეთი, რომლის გამოც გადაწყვეტდი: ვა, მეც ტელევიზიაში უნდა ვიმუშაოო. ჩანდნენ მოხუცი კაცები, ნელა ლაპარაკობდნენ, ცენზურა ჰქონდათ გავლილი და იხსდნენ საცოდავი სახეებით. ასეთი ადამიანი ვერ მოგანდომებს ტელევიზიაში მუშაობას.

**– რა გასწავლათ, ან რა გამოცდილება შეგძინათ ამ სფეროში მოღვაწეობამ?**

– არაფერი. ქართველებს სფეროების 90 პროცენტზე არასწორი შეხედულება და სტერეოტიპები გვაქვს. აი, ტელევიზიაში ყველა ყველას საყვარელია და პატრონი უნდა გყავდეს. ჩემ ირგვლივ ასეთი რამ არ ხდება. ანუ, ესეც არის მიდგომა დაბოლმილი, უნიჭო ხალხის, ოღონდ ძველის. როდის გაჩნდა, არ ვიცი. სანამ ტელევიზია არ გაჩნდა, მანამდე ვერ გაჩნდებოდა. სადღაც მერე გაჩნდა. ახლა უკვე ეჭვი მაქვს, რასაც სხვა სფეროებზე ამბობენ, რა ხდება თეატრში, პოლიტიკაში და ასე შემდეგ, არც იქ არ იქნება მართალი. იქაც ბევრი ნორმალური ხალხი იტრიალებს.

**– არ გიფიქრიათ, მოგესინჯათ თქვენი ძალები თეატრში, ან თუნდაც პოლიტიკაში?**

– თეატრში – არა, ნიჭი არა მაქვს. პოლიტიკაშიც, არა, იმიტომ რომ, ბევრი კომპრომატის პოვნა შეიძლება ჩემზე, ეს ერთი და მეორე – პირველივე, რასაც იტყვიან: აი, კიდევ ერთი კლოუნი დაემატა პოლიტიკოსებს, რადგან იუმორის სფეროდან მომიწევს იქ მისვლა. ჩვენთან ხომ სერიოზულად არ უყურებენ იუმორისტებს, უყურებენ, როგორც კლოუნებს.

**– როგორ იქცევიან მაყურებლები, როცა გცნობენ? როგორ გამოხატავენ სიყვარულს და პატივისცემას?**

– როგორებიც არიან, ისე. ზრდილობიანები – ზრდილობიანად, უზრდელები – უზრდელად, თავხედები – თავხედურად. მაგალითად, გუშინწინ მანქანით ვმოძრაობდი დიღომში. გვერდით მანქანა ამომიდგა და ფანჯარა ჩაუშვიო, მანიშნა. ჩავწიე და იჯდა ცოლ-ქმარი: საჭესთან – ქმარი, გვერდით – ცოლი. ქმარი მეუბნება: ბოზიშვილი ვიყო, შენ მაგარი კაცი ხარო. ამოწია ფანჯარა და წავიდა.

**– ვერ გავაკეთებ კომენტარს...**

– ან ვიღაცეები მოგადგებიან – ჰე-ჰე, გაღრეჭილები და – თქვენ, ყველანი დაბოლილები ხართ ხომ იქ, გადაცემის წინ?

**– რა სისულელეა?!**

– ჰოდა, სულელები სულელურად გეუბნებიან თავის აზრს და ნორმალურები – ნორმალურად. ნორმალურები ძირითადად თავს იკავებენ.

**– რადგან დაბოლილები ვახსენეთ, თქვენზე ითქვა, რომ გუშინ აქციაზე იყო მარიხუანის ლეგალიზაციასთან დაკავშირებითო, მართალია?**

– მე არ ვყოფილვარ აქციაზე, „ქლაბ 11-ის" ჩაწერა მქონდა. თუმცა, ვფიქრობ, იქ რა მოთხოვნაც იყო, სწორია. შვიდიდან თერთმეტ წლამდე სასჯელი არ უნდა იყოს მარიხუანის მოწევისთვის.

**– მაშასადამე, იზიარებთ მარიხუანის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით წამოყენებულ მოთხოვნებს?**

– მინახავს ბევრი ადამიანი, ვისაც მარიხუანა მოუწევია, მინახავს ბევრი მთვრალიც. მათ შორის განსხვავება თუ არის, არის მწეველთა სასარგებლოდ. ვინც დაბოლილია, ისინი უფრო ნაკლებად საშიშები არიან. ამიტომ, როცა არ ისჯება დალევა, ღვინის შენახვა და მოყვანა. მარიხუანის გამო კი ისჯებიან შვიდიდან თერთმეტ წლამდე, მიმაჩნია, რომ ეს არასწორია. ამიტომ, მარიხუანას თემაზე სასჯელი უნდა შემსუბუქდეს.

**– ბევრი რამ შეიცვალა ოცდამეერთე საუკუნის ტელევიზიაში. როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება რამდენიმე წელში ქართული ტელევიზია?**

– არ ვიცი, როგორი იქნება რამდენიმე წელში ქართული ტელევიზია, მაგრამ ზოგადად, ტელევიზიას ახლა კრიზისი უდგას, ყველანაირს. იმიტომ რომ, ინტერნეტი აძევებს. როგორც თავის დროზე ვიდეომ მოკლა რადიოვარსკვლავები, მალე ინტერნეტი მოკლავს ტელევარსკვლავებს.

**– მალე?**

– დაწყებულია ეს პროცესი. თქვენ რომ ნახოთ არხების რეიტინგი, თუნდაც საქართველოში, რა იყო 10 წლის წინ, 5 წლის წინ, 3 წლის წინ და რა არის დღეს – ყურებადობა არის ჩამოწეული, ქვემოთკენ მიდის, დინამიკაც უარესისკენაა.

**– რამდენიმემ მითხრა, ადამიანები საკუთარ სოციალურ პრობლემებს, გაშარჟებულ ვარიანტში რომ უყურებენ, უფრო ხშირად ამაზე ეცინებათო. ასეა?**

– არიან ალბათ ეგეთებიც. მაგაზე უფრო ხუმრობენ თვითონ. ანუ, სადაც არის პრობლემა, იქ ჩნდება ხუმრობა. თუ ისეთი პრობლემაც გაქვს, რომელსაც თვითონ ვერ მოაგვარებ, ამ დროს ხდება, რომ იხუმრო ამაზე და რაღაცნაირად გადაიტანო, ან გონება შეაგუო.

**– სექტემბრისთვის ბევრი ახალი გეგმა გქონიათ დასახული.**

– სექტემბრისთვის მართლაც ბევრი სიახლეები ხდება ხოლმე ტელევიზიებში. „TV 11-ის" ფორმატი უნდა განახლდეს. აქამდე, რაც მოვედით, ნორმალური იყო, რეიტინგიც მზარდია. სექტემბრისთვის, ხალხი, ვინც ახლა გვიყურებს, ვისაც მოსწონს ეს ტელევიზია, ელოდება რაღაც ახალს – ალბათ, უფრო ახალ სახეებს. მაგრამ, მეორე მხრივ, არის ჯერ კიდევ ქვეყანაში ადგილები, სადაც ამ ყველაფერს ვერ უყურებენ, იმიტომ რომ, საკაბელო არხია და ყველგან არ არის კაბელი. რაც ახლა გადის, ჩვენ რომ ეს სულ ავხსნათ, დაკარგულია, ვერასდროს ნახავენ. ამიტომ, მოგვიწევს რაღაცნაირი ბალანსის პოვნა, ძველის გამეორების ზოლიც რომ იყოს და ახალი პორდუქტიც შეიქმნას. რადგან მაშინ იმას დაკარგავ, ვინც გიყურებს. მაგრამ, არსებობს ამის გაკეთების მეთოდი ისე, რომ ძველი მაყურებელიც შეინარჩუნო და ახლებმაც უყურონ. 2015-ში ქვეყანა გადადის მაუწყებლობის ციფრულ გავრცელებაზე და იმედი გვაქვს, უკვე ყველაგან შეეძლებათ ჩვენი ნახვა. ბევრი ვერ გვიყურებს. სამაგიეროდ, ამას ის პლუსი აქვს, რომ ძალიან ბევრი ნახვა გვავს ინტერნეტში. youtubee-ზე 3 მილიონზე მეტი ნახვა გვაქვს. ამიტომ ვამბობ, ინტერნეტი კლავს ტელევიზიას. ინტერნეტით მომხმარებელთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება, ტელემაყურებელთა – იკლებს.

**ეკა სალაღაია**

# როდის მიდის რქებით „მის თბილისი“ და რის გამო გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას „მისტერ თბილისი“

***28 მაისს სამოდელო სააგენტო „ბესტ მოდელის“ და მისი ხელმძღვანელის, კახი ხაბეიშვილის ორგანიზატორობით, ჩატარდა სილამაზის კონკურსი „მის და მისტერ თბილისი“. „მის თბილისი“ სალომე ხუხია გახდა, ხოლო „მისტერ თბილისი“ – გიორგი კენჭია. სალომე ახლო მომავალში გაემგზავრება კონკურსზე „მის პრინცესა“, რომელიც თურქეთში ჩატარდება, ხოლო გიორგი – „მისტერ კონტინენტალზე“. მანამდე კი დასასვენებლად პარიზში გაემგზავრებიან.***

**სალომე ხუხია**: ბიზნესის მართვაზე ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. დედა ჩემს გადაწყვეტილებას ყოველთვის პატივს სცემს, ეთანხმება. ერთად ვმსჯელობთ, რჩევას მაძლევს. ასე იყო კონკურსის შემთხვევაშიც და მიხარია, რომ მივიღე მონაწილეობა მასში და გავხდი „მის თბილისი“. როდესაც კახი ხაბეიშვილთან მოვედი „ბესტ მოდელსში“, მაშინვე გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი. აქ ძალიან თბილი გარემოა, ბევრ ჩვენებაში ვიღებ მონაწილეობას, დავდივარ ქასთინგებზე და ახლა უკვე „მის თბილისი“ ვარ. საკმაოდ მიზანდასახული ვარ, ფარ-ხმალს არასდროს ვყრი. ძალიან მიყვარს ცხენით ჯირითი. არ ვარ მშიშარა, როცა რაღაცას ვაკეთებ, ყოველთვის „რქებით ვაწვები”. ექსტრემი მიყვარს და იმედია, ამ მხრივაც გამოვცდი საკუთარ თავს.

**– როგორი ბიჭები მოგწონს?**

– სიმპათიური და მამაკაცური. მთავარია, კარგი შინაგანი სამყარო დაგანახოს, თუმცა, არ უნდა მოტყუვდე, სიფრთხილე უნდა გამოიჩინო. კარგად უნდა გაიცნო და დააკვირდე. ცანცარა ბიჭები არ მომწონს. ჩამოყალიბებული აზროვნება უნდა ჰქონდეს, უნდა იცოდეს, როგორ მოგხიბლოს. ასაკზე არ მაქვს გართულება, მთავარია, მამაკაცმა, რომელსაც გოგონასთან აქვს ურთიერთობა, იცოდეს, რა უნდა. მხოლოდ სიყვარული ხომ არ არის მთავარი. სიტყვებითაც უნდა მოგაწონოს თავი, ქცევითაც და ყურადღებითაც. თუ ბიჭს უყვარხარ, ის ყველაფერს გააკეთებს, დაგირეკავს და ინიციატივასაც გამოიჩენს.

**გიორგი კენჭია**: ამჟამად ვსწავლობ ჯავახიშვილში, მედიცინის ფაკულტეტზე. პარალელურად, დავდივარ „ბასეინზე”, აქტიურად ვვარჯიშობ. ფიტნესით დიდად არ ვარ დაკავებული, მაგრამ ახლა აქტიურად მინდა დავიწყო ვარჯიში, რადგან მალე „მისტერ კონტინენტალზე“ მივემგზავრები და უფრო მეტი პასუხისმგებლობა მაქვს საკუთარ თავზე აღებული. კარგად უნდა წარვადგინო საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს სახელი. იმედიანად ვარ განწყობილი, თუმცა, ჯერჯერობით ადრეა ამაზე საუბარი. აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კახი ხაბეიშვილს იმ შრომისა და ძალისხმევისთვის, რაც მან ამ კონკურსში ჩადო. მიხარია, რომ ყველაფერი ძალიან კარგად ორგანიზებული და ლამაზი იყო. ეს ყველაფერი კი სწორედ კახის დამსახურებაა.



**– დიდი ხანია, მოდელი ხარ?**

– საკმარისი გამოცდილება მაქვს. ახლა „ბესტ მოდელსში“ ვარ და ამ სფეროში საკმაოდ ვაქტიურობ. ადრე ერთ-ერთ კონკურსში გამოვედი, იქაც გავიმარჯვე. „ბესტ მოდელსის“ კონკურსში ახლა პირველად გავედი. თავიდან არ ველოდებოდი, თუ გავიმარჯვებდი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ პესიმისტურად ვიყავი განწყობილი. სადღაც ბოლოსკენ, უკვე ვფიქრობდი, გავიმარჯვებ-მეთქი. ძალიან კარგი და სასიამოვნოა ის შეგრძნება, რომელიც გამარჯვებას მოჰყვა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელებში ამდენ თბილ მილოცვას ვიღებ. მაგრამ, იმავდროულად, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

**– სალომეს, ანუ „მის თბილისს“, აქამდე იცნობდი?**

– ჩემი მეგობარია სალომე, ძალიან კარგი გოგონაა, ინტელექტითაც, ვიზუალითაც, ყველაფრით კარგი გოგოა. ძალიან მიყვარს სალომე. ვინც მას გაიცნობს, ყველა დარწმუნდება, რომ სწორედ ის უნდა გამხდარიყო „მის თბილისი 2014“, ძალიან საყვარელი გოგონაა.

**– ასეთი გოგონები მოგწონს?**

– ზოგადად, მოდელი გოგონები არ მომწონს, მაგრამ სალომე, როგორც მოდელი და მოდელობის გარეშეც მომწონს. მოდელი გოგონები უფრო გამხდრები არიან და მე უფრო ბიონსესნაირი გოგონები მომწონს.

**– ფორმებიანი, ყველაფერი თავის ადგილზე, რომ აქვთ?**

– კი, ასეთები მომწონს. ბიჭისთვისაც და გოგონასთვისაც გარეგნობას მაინც პირველი ადგილი უკავია. თუმცა, მას სხვა რაღაცეებიც უნდა მოჰყვებოდეს: ინტელექტი, საზოგადოებასთან ურთიერთობა. როცა ვიღაც მომწონს, რა თქმა უნდა, თავიდან გარეგნობას ვაქცევ ყურადღებას, მერე კი, სხვა დანარჩენს. იმედი მაქვს, ისეთ გოგონას ვიპოვი, როგორიც მე მომწონს. თუმცა, ამ მხრივ, ცოტა პესიმისტურად ვარ განწყობილი. რაც შეეხება ხასიათს, შებოჭილი და ჩარჩოებში მოქცეული არ უნდა იყოს. პირიქით, გოგონა თავისუფალი და ლაღი უნდა იყოს. მე თუ ვინმე მომწონს, არასდროს მიჭირს ჩემი ემოციების, გრძნობების გამოხატვა. თუ მომწონს, პირდაპირ შემიძლია, ვუთხრა და არ დავიწყო შემოვლითი გზების მოძებნა.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**



# როგორ ძარცვავდნენ საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები

*არაერთმა რუსმა საეკლესიო ჩინოვნიკმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქართველ ხალხს და ქართულ ეკლესიას. გთავაზობთ ფაქტებს ცნობილი რუსი პატრიოტის ნ. ნ. დურნოვოს წიგნიდან „ქართული ეკლესიის ბედი", რომელიც ავტორმა 1907 წელს გამოაქვეყნა რუსულ ენაზე.*

*ჩვენი განმარტებანი ფრჩხილებშია მოცემული ან მაქსიმალურად მცირეა, რადგან მკითხველმა თავად რუსი ადამიანისგან შეიტყოს სიმართლე. აქ მხოლოდ ნაწილს ვაქვეყნებთ, დანარჩენს შემდეგში შემოგთავაზებთ.*

*მაქსიმალურად ვეცადეთ ნ. ნ. დურნოვოს ნაშრომის კომენტარისაგან თავი შეგვეკავებინა და ჩვენი ემოცია არ გამოგვეთქვა საქართველოს ეკლესიის, ქართველი ხალხის, საერთოდ კაცობრიობისა და მეტიც, ღმერთის წინააღმდეგ ჩადენილ საშინელ დანაშაულებზე.*

*ნ. ნ. დურნოვო გვიამბობს:*

„გარყვნილი თეოფილაქტე (მიტროპოლიტი თეოფილაქტე რუსანოვი, საქართველოს ეგზარქოსი 1817-1821 წლებში), რომელიც ავიწროებდა და სულს ართმევდა ყველა ადგილობრივ მღვდელმთავარს, თხრიდა საფლავებს, თავისი უწმინდური ხელი შეახო თვით საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლის, წმიდა ნინოს საფლავს.

მანამ არ მოისვენა, სანამ ღვთის განგებამ ბოლო არ მოუღო მის ავკაცობასა და თავაშვებულობას: ის მოკვდა წმიდა ნინოს საფლავთან დამბლის დაცემით და ჭიებმა შეჭამეს.

ევგენი ბაჟენოვი (იგულისხმება მთავარეპისკოპოსი ევგენი ბაჟენოვი, საქართველოს ეგზარქოსი იყო 1834-1844 წლებში) - მონასტრებისა და უდაბნოების გამჩანაგებელი.

ისიდორე (იგულისხმება მიტროპოლიტი ისიდორე ნიკოლსკი, საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წლებში), რომელიც ეკლესიებს კუთვნილ მამულებს ართმევდა და ამით დასაბამი დაუდო საეკლესიო სიღატაკეს და სავანეების გატიალებას.

ევსევი ილინსკი – უკიდურესად გარყვნილი, ცხოვრებაში თავშეუკავებელი, ავხორცი. ფული რომ დასჭირდა, თავისი დამქაშების მეშვეობით კათალიკოსების ყოფილი საპატრიარქოს საეკლესიო სალაროს მთელი განძეულობა გაყიდა. შესამოსლებს, მიტრებსა და ხატებს ძვირფასეულობა მოხსნა და ხელი შეუწყო გელათის მდიდარი საეკლესიო სალაროს გაფლანგვას.

გელათის სალაროდან გაქრა ოქროს ხატის მოჭედილობა, მთელი მსოფლიოს მეცნიერთათვის ცნობილი თავისი ძვირფასი ტიხრული მინანქრით. ამის შემდგომ ევსევიმა ასეულობით ათასები ჩაიჯიბა.

მის საეგზარქოსოში (საქართველოში) დატაცებული იქნა ორ მილიონზე მეტად ღირებული საეკლესიო განძეულობა (მაშინდელი ორი მილიონი დღევანდელი ასეულობით მილიონია)...

„გელათის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა მილიონებად ღირებული განძეულობა: მათ შორის იყო:

1) ოქროთი მოჭედილი, ტიხრული მინანქრით განყობილი მეთერთმეტე საუკუნის უძველესი ქართული სახარება.

ეს სახარება ეგზარქოს ევსევის ნებართვით, გელათიდან გაიტანა ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშევმა, რომელმაც ოქროს მოჭედილობა მოხსნა და საზიკოვის იაფფასიანი ვერცხლის ნახელავით შეცვალა.

ამჟამად (1907 წელს) ეს ძვირფასი ოქროს მოჭედილობა ინახება პეტერბურგში, სტროგანოვის მუზეუმში, სადაც ის გრაფ პანინმა ჩაიტანა.



ინგლისელები სახარების ოქროს მოჭედილობაში იძლეოდნენ ასი ათას ფუნტ სტერლინგს (სავაჭრო ფუნტი ინგლისში უდრიდა 0, 4336 კილოგრამ სუფთა ოქროს. ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი თანხა იყო. თუმცა, ჩვენთვის ის საგანძური შეუფასებელი და წმინდა გახლდათ).

2) ოქრომკედით მოქარგული და მსხვილი მარგალიტებით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისგან შეკერილი იმერეთის კათალიკოსების პატრიარქის შესამოსელი...

ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინეპოლის დაცემამდე (1453) იყო დამზადებული. მისგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გულქანდების დასამზადებლად გამოიყენეს (რუსული ფუნტი უდრიდა 0.4095 კილოგრამ სუფთა ოქროს).

განძეულის დატაცებასა და შეცვლაში ადანაშაულებენ გრაფ პინინსა და გენერალ ლევაშევს, რომლებმაც ნებართვა ეგზარქოს ევსევისგან აიღეს.

ამავე დროს, ეგზარქოს ევსევის ხელშეწყობით სიონის ტაძრიდან, ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის ძვირფას მორთულობასთან ერთად, გაქრა მრავალი ძვირფასი ნივთი და სალვდელმთავრო ამფორებიდან და ბისონებიდან ფუთობით (ფუთი 16 კილოგრამია) მოხსნილი თვალ-მარგალიტი.

ზუსტად ასევე გაქრა, აურაცხელი ძვირფასეულობა:

ოქროს ჭურჭელი, ჯვრები, და სხვა განძეული მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის და სხვა საკათედრო ტაძრებიდან.

ამათ მიჰყვა განძეულობა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოდან, ჯუმათის, შემოქმედისა და სხვა მონასტრებიდან..."

ცოტა ხნის წინათ, ეპისკოპოს კირიონის (შემდეგში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე) თქმით, სიონის ტაძრის საეკლესიო სალაროში ინახებოდა მინიატურებიანი ხელნაწერები. „ისინი, ეგზარქოსის ნებართვით, წაიღო გრაფმა ბობრინსკიმ; ხელნაწერებიდან ამოჭრა მინიატურები. დაიკარგა მინიატურებიც და ტექსტიც, რომელიც მინიატურების უკანა მხარეს იყო მოთავსებული" (იხ. საეკლესიო უწყებები. 1906, # 47, გვერდი 16).

„იმერეთის კათალიკოსის ... მარგალიტით მოოჭვილი მიტრა დამშვენებული იყო ბრილიანტის ჯვრით, რომელიც ერთ დროს მეფე ვახტანგის (446-491) გვირგვინს ამკობდა. ეს მსხვილი ბრილიანტი ვახტანგ მეფემ სპარსეთში ლაშქრობების დროს მოიპოვა (აქ ვახტანგ პირველი გორგასლის ცხოვრების წლები არასწორადაა მოცემული. უფრო სწორი უნდა იყოს 442-502).

ჯვარი, რომელიც იმერეთის კათალიკოსს მიუძღოდა წინ, მთლიანი ლალისა იყო. ამჟამად სარდიონის ქვითაა შეცვლილი. ეგზარქოს პავლეს დროს მეტეხის ეკლესიიდან გაქრა ოქროთი მოჭედილი მეტეხის ღვთისმშობლის (ბეთლემის) სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც ღირდა 50 ათასი მანეთი. მასში ჩაწყობილი გახლდათ წმინდანთა ნაწილები. წმიდა ხატი ცხრაკლიტულში იყო გადამალული. 1891 წელს, ეგზარქოს პალადის დროს (იგულისხმება მთავარეპისკოპოსი პალადი რაევი, ეგზარქოსი 1887-1892 წლებში), ის იპოვეს ამავე ეკლესიის სხვენზე, მაგრამ მოჭედილობა აღარ ჰქონდა.

ეგზარქოს პავლეს დროს სიონის ტაძრიდან გაქრა ნინოწმინდის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც ძვირად ღირებული ოქროს მოჭედილობა ამშვენებდა.

საქმე უკეთესად არ იყო ეგზარქოს პალადის დროსაც. მან „თავის საყვარელ მხატვარ სომეხ საბინგუსს, თითქოსდა ახალი მოჭედილობის გასაკეთებლად, ნება დართო, სამეგრელოსა და გურიის მონასტრებიდან გაეტანა უძველესი ხატების საუკეთესო და ძვირფასი მოკაზმულობა. საბინგუსმა მარტვილის, ხობის, ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებიდან წაიღო ძვირად ღირებული და ოსტატურად შესრულებული მომინანქრებული ხატები. მანამდე კი, გელათის მონასტრის ხატებიდან „აწპანა" არაჩვეულებრივი ტიხრული მინანქარი.

მონასტრებიდან წამოღებული მთელი განძეულობა საბინგუსმა ეგზარქოს პალადის წარუდგინა, მან კი ნება მისცა, ყველაფერი ეს გაეყიდა".

ნაწილი მინანქრებისა შეიძინა ცნობილმა სიძველეთა მოყვარულმა გრაფმა ზვენიგოროდსკიმ. ამჟამად (1907 წელს) საქართველოს საუკეთესო და მდიდრული მანუსკრიპტები ინახება ლონდონის, პარიზის, ვენის, ბერლინის, რომის ბიბლიოთეკებში, სადაც ისინი საღდებოდა ფულის მოყვარულ ეგზარქოს ევსევის დროს. სამაგიეროდ, თბილისის მუზეუმებში შეიძლება, ნახოთ მინიატურებამოჭრილი უამრავი მანუსკრიპტი. ამას აკეთებდა ბევრი რუსი მაღალი წოდების პირი".

**გიორგი მახოზეშვილი**

## თინა შანიძის გახსენება

უეცარ წახვედი ჩვენგან... ისეთი კეთილი და სიყვარულით სავსე იყავი, რომ არ გვეთმობოდი იმქვეყნისთვის... ძნელი იქნება უშენობა... გაგვიჭირდება შენი მეგობრული, თბილი ღიმილის გარეშე... დააკლდები ოჯახს, ახლობლებს... შენს აღზრდილებს. სასუფეველში დაიმკვიდრებს ადგილს შენი ნათელი სული. შენ ხომ ამისთვის ყველაფერი გააკეთე... ისე იცხოვრე, რომ შენგან დანატოვარ სახელს ვერაფერი წაშლის და გააქრობს.

**მეგობრები და თქვენი აღზრდილები**

# როგორ ჩამოვიდა მეფე მირიანის თხოვნით ქართლში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველი მთავარეპისკოპოსი - იოანე პირველი და როგორ აზიარა მან სიკვდილის წინ წმიდა ნინო

2014 წლის 3 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგი კრება გაიმართა. კრებას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა და მათ შორის ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კი იყო, წმიდა სინოდის განჩინება: „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი მთავარეპისკოპოსი იოანე პირველი შეირაცხოს წმიდანად და ეწოდოს წმიდა იოანე პირველი – მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად ივერიისა; დაიწეროს მისი ცხოვრება, ხატი და შეიქმნას წმიდანის ტროპარ-კონდაკი“.

როგორც ცნობილია, ღვთისმშობელმა მაცხოვრის ამაღლებიდან მეათე დღეს მონაწილეობა მიიღო წილისყრაში და მას წილად ერგო საქართველო. ისიც ნათქვამია, რომ ღვთისმშობელმა სამჯერ მიიღო ამ წილისყრაში მონაწილეობა  და მას სამჯერვე საქართველო ერგო. ამიტომაც მიიჩნევა საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყნად და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი – საქართველოს მფარველად. მაცხოვრის ნებით, ღვთისმშობელი იერუსალიმს დარჩა, საქართველოში კი გაემგზავრა წმიდა ანდრია პირველწოდებული, რომელსაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. წმიდა მოციქული ანდრია მოდიოდა იმ ქვეყანაში, რომელიც ინახავდა ძველი აღთქმის დიდ საუნჯეს – წინასწარმეტყველ ელიას ხალენს, რომელიც აქ ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილმა ებრაელებმა ჩამოიტანეს. ასევე, ქრისტიანობის უდიდეს სიწმიდეს – უფლისა და



მაცხოვრის ჩვენის, იესო ქრისტეს უკერავ კვართს, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმის მოწმე ებრაელმა, ელიოზმა ჩამოიტანა ქართლის დედაქალაქ მცხეთაში. მოციქულთა დროს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ორი ქართული სახელმწიფო არსებობდა: აღმოსავლურ ქართული – ქართლის სამეფო (ბერძნულად იბერია) და დასავლურ ქართული  – ეგრისის სამეფო (ბერძნულად კოლხიდა). მოციქულმა ანდრიამ იქადაგა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. დაბა აწყვერში ქადაგებისა და ხალხის მოქცევის შემდეგ, მან აქ დატოვა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც შემდეგში, საუკუნეების განმავლობაში ესვენა აწყვერის (აწყურის) საკათედრო ტაძარში. დასავლეთ საქართველოში მოციქულ ანდრიასთან ერთად, ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა მოციქული სვიმონ კანანელი. მოციქული  მატათა კი დაკრძალულია გონიოში. უძველესი ქრისტიანული წყაროები მიუთითებენ ასევე, მოციქულების – ბართლომესა და თადეოზის ყოფნას აღმოსავლეთ საქართველოში.

ქრისტიანობა ქართლში სახელმწიფო სარწმუნოებად  მეოთხე საუკუნეში გამოცხადდა. წარმოშობით კაბადოკიელი, წმიდა გიორგის ახლო ნათესავი, წმიდა ნინო იერუსალიმიდან მოვიდა ქართლში, რათა ღვთისმშობლის ნება აღესრულებინა (რაც მათ გამოცხადებით ეუწყა) და წმიდა მოციქულთა შემდეგ, კიდევ ერთხელ ექადაგა და განემტკიცებინა ქრისტიანობა ამ მხარეში.



ქრისტიანული საქართველოს საეკლესიო ცენტრი ოდითგანვე მცხეთა-თბილისის ეპარქია იყო და საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში მისი მნიშვნელობა იმდენად დიდი გახლდათ, რომ ზოგჯერ, ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში, საქართველოს ეკლესია შემოკლებით „მცხეთის კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის“, „მცხეთის საყდრის“, „მცხეთის საპატრიარქო ტაძრის“ ან, მარტივად, „მცხეთის ეკლესიის“ სახელით იხსენიებოდა. ერთიანი საქართველოს ეკლესიასთან მცხეთა-თბილისის ეპარქიის გაიგივების ტრადიციას, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე, აქაური მღვდელმთავრის საქართველოს საეკლესიო საჭეთმპყრობლად აღიარების დაწყებამ ჩაუყარა საფუძველი. მეფე მირიანის ნათლისღებით და საქართველოში ქრისტიანობის დახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით, საბოლოოდ განისაზღვრა ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და აღმსარებლობითი ორიენტაცია. საქართველოს ეკლესიას პირველ ეტაპზე, ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდე და კათოლიკოსის ინსტიტუტის შემოღებამდე, მთავარეპისკოპოსი მართავდა. აქედან მოყოლებული მცხეთის მთავარეპისკოპოსი საქართველოს ერთიანი ეკლესიის მწყემსმთავრად  მიიჩნეოდა.

ქართული წყაროების მიხედვით, წმიდა ნინოს მიერ ქრისტიანობაზე ახლად მოქცეულმა ქართლის მეფე მირიანმა ელჩები გააგზავნა კონსტანტინე დიდთან და სთხოვა მღვდლების გამოგზავნა. იმპერატორმა მცხეთაში გამოაგზავნა იოანე ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და ერთი დიაკვანი.  იოანე მთავარეპისკოპოსი  იყო ქართლის პირველი ეპისკოპოსი 326 წლიდან მეოთხე საუკუნის 40-იანი წლების ჩათვლით. ქართულ საისტორიო წყაროებში – მისი სახელის ფორმა არის „იოვანე“. ამასთან, „მოქცევაი ქართლისაიში“ იხსენიება, როგორც ეპისკოპოსად, ასევე მთავარეპისკოპოსად, ხოლო „ცხოვრება ქართუელთა მეფეთაში“  – მხოლოდ ეპისკოპოსად. ეპისკოპოსის და მღვდლების ჩამოსვლისთანავე მოინათლნენ მირიან მეფე, ნანა დედოფალი და მთელი მათი სახლეულობა. სამეფო ოჯახის ნათლობის შემდეგ, იოანე ეპისკოპოსმა და ხუროებმა მოახსენეს მეფეს და ეპისკოპოსს, რომ სურდათ, ეპოვათ  ერთი სურნელოვანი ხე, რომელსაც სხვა ხეებისგან განსხვავებით, ფოთლები არ სცვიოდა. როგორც „მოქცევაი ქართლისაიდან“ ვიგებთ, ეს ხე მოჭრეს 25 მარტს, პარასკევ დღეს. მოგვიანებით, მაისში, მისგან დაამზადეს სამი ჯვარი, რომლებიც ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში აღიმართა. რადგან 326 წელს 25 მარტი პარასკევი დღე იყო, ამ ქრონოლოგიური მონაცემებით მტკიცდება ქართლის მოქცევის ზუსტი თარიღი და შესაბამისად, იოანეს მოღვაწეობის დასაწყისი ქართლის მთავარეპისკოპოსის რანგში. მაშასადამე, კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილი სამღვდელოების ქართლში ჩამოსვლა და სამეფო ოჯახის ნათლობა უნდა მომხდარიყო 326 წლის მარტში. სამეფო ოჯახის ნათლობისა და ჯვრების აღმართვის შემდგომ, მირიან მეფემ გააგზავნა ელჩობა კონსტანტინე დიდთან, ამჯერად, ქვისმთლელთა და კირით-ხუროთა სათხოვნელად, ეკლესიების ასაშენებლად. ელჩობის შემადგენლობა არ არის ნათელი, თუმცა, შესაძლოა, სწორი იყოს „მეფეთა ცხოვრების“ ვერსია, რომლის მიხედვითაც მასში იოანე ეპისკოპოსი და ერთი ვიღაც წარჩინებული შედიოდნენ. როდესაც მირიან მეფემ და მისმა სამეფო კარმა მიიღო ქრისტიანობა, იმპერატორმა კონსტანიტინემ საქართველოში საჩუქრად გამოგზავნა მაცხოვრის ფეხთაფიცარი, ძელიცხოვლის ჯვრის ნაწილები, რომელზეც ქრისტე გააკრეს და ორი სამსჭვალი. კონსტანტინე იმპერატორმა გამოგზავნილ პიროვნებებს დაავალა, სადაც პირველად შეხვალთ, იქ ააშენეთ ეკლესია და შეინახეთ ისინიო. მათაც ერუშეთში დატოვეს ფეხთაფიცარი, ხოლო მანგლისში ააშენეს ეკლესია, სადაც დატოვეს სამსჭვალი.  ეს აზრი მტკიცდება სხვა გარემოებითაც: „წარგზავნილებმა უკანა გზაზე ჯერ ერუშეთში ჩაყარეს ეკლესიის საძირკველი და იქ მაცხოვრის ფერხთაფიცარი დატოვეს, ხოლო შემდეგ მანგლისში და იქ სამსჭვალნი დატოვეს“. ამ ამბით შეწუხებული მირიან მეფე იოანე მთავარეპისკოპოსმა ანუგეშა. უთხრა, რომ სამაგიეროდ, მცხეთაში ინახებოდა მაცხოვრის კვართი და ელია წინასწარმეტყველის ხალენი. ამ ამბის შემდეგ იოანე ეპისკოპოსი იხსენიება სოჯი დედოფლის ამბავში, რომელიც შემორჩენილია მხოლოდ „მოქცევა ქართლისაის“ ჭელიშურ და სინურ ვერსიებში. ბოდში ნათელღებულმა სოჯი დედოფალმა სასიკვდილოდ დასნეულებული წმიდა ნინოსგან მირიან მეფეს და იოანე მთავარეპისკოპოსს წერილები მცხეთაში ჩამოუტანა. იოანესადმი მოწერილი წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია, ხოლო რაც შეეხება მეფისადმი წერილს, მასში წმიდა ნინო მეფეს სთხოვდა: მისთვის ბოდში გაეგზავნა მთავარეპისკოპოსი საზიარებლად, რადგან გრძნობდა, რომ მისი გარდაცვალების დრო მოახლოებულიყო. იოანე მთავარეპისკოპოსი მეფეს მიუვლენია ბოდში წმიდა ნინოს მოსაკითხად და მცხეთაში წამოსაყვანად. იოანეს თანდასწრებით მიუცია ნინოს სალომე უჯარმელისთვის ელენე დედოფლის  წერილი, რომელშიც ქართლის განმანათლებელს, მახარებელსა და მოციქულს უწოდებდა და ნანა დედოფლისთვის გადასაცემი ძელიცხოველი. ამის შემდეგ იოანე მთავარეპისკოპოსმა აზიარა ნინო ქრისტეს სისხლსა და ხორცს. თავად იოანე მთავრეპისკოპოსი კი გარდაცვლილა მირიანის შემდგომი მეფის დროს – „მოქცევაი ქართლისაის“ ყველა ვერსიის თანახმად, ბაკურ რევის ძის მეფობის ხანაში.

**მოამზადა**
**ნათია უტიაშვილმა**

**ბუნებრივი, თავისუფალი, ნიჭიერი, ინდივიდუალური, საყვარელი, ცნობილი – ასეთია საზოგადოებისთვის მსახიობი მიშა მესხი. ჩემი მხრივ, კიდევ იმას მივამატებდი რომ გახსნილი, გულახდილი და საინტერესო რესპონდენტია. თუ რას იხსენებს ის თავის წინაპარ მიშა მესხებზე, საკუთარ კარიერასა და გუკა რჩეულიშვილსა და ნუცა კუხიანიძესთან ერთად გატარებულ ამერიკულ დღეებზე, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა ცხოვრებისეული ტკივილები განიცადეს უფროსმა მიშა მესხებმა და რას შეაგუა მამამ წინასწარ უმცროსი მიშა მესხი

**მიშა მესხი**: ბაბუაჩემიდან დაიწყო ჩვენი სახელისა და გვარის ასპარეზზე გამოსვლა. ყველას მოეხსენება, რომ მიშა მესხი 2000 წელს საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი გახდა.

**– მისი ქება, სიყვარული ყველგან გესმის, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.**

– აქ უფრო დაივიწყეს ბაბუაჩემი, ვიდრე სხვაგან. ბავშვობაში ვიყავი ჩასული მექსიკაში აცტეკას სტადიონზე. შიგნით მუზეუმივით არის გაკეთებული და რომ შევედი, ბაბუაჩემის დიდი სურათი ეკიდა – მონახაზი, რომლითაც ნაჩვენები იყო მისი ლეგენდარული ფინტი. ძალიან გახარებული ვიყავი, რომ ცენტრალურ ამერიკაში ახსოვდათ ბაბუაჩემი.

**– მამაზე რას გაიხსენებ?**

– მამა იყო უნიჭიერესი, რომელმაც როგორც მსახიობმა თავისი მოღვაწეობა 6 წლიდან დაიწყო. ფილმებშიც თამაშობდა და ძლიერი ფეხბურთელიც იყო. სულ ამბობენ, გენი ისვენებს მამიდან შვილის შემდეგო, რაც არ ითქმოდა მამაჩემზე. ძველი თაობის გულშემატკივრები იმასაც ამბობენ, რომ მამას უფრო მეტი მონაცემი ჰქონდა, ვიდრე – ბაბუას. ძალიან ბევრსაც მუშაობდა, უბრალოდ, თავისუფალი ადამიანი იყო. მისი მოღვაწეობა 80-იან წლებს დაემთხვა, ჯინსების თაობას. თითქოს ეროვნულობისა და თავისუფლების აფეთქება ხდებოდა იმ პერიოდში. არავის ეწყინოს და ძალიან ცოტა ფეხბურთელი მეგულება განათლებული. მამაჩემი უსაზღვროდ განათლებული ტიპები რომ არიან, აკადემიკოსის ხარისხში რომ აიყვანო, ეგეთი განათლებული იყო. თან, ძალიან მაგრად „ლადაობდა". რეჟიმს კი არ უყვარდა ეგეთი ადამიანები. ვინც მაშინ რეჟიმის გარეთ გადიოდა, დიდი პორბლემები ექმნებოდა. ამის მაგალითი გახლდათ მამაჩემი. კრება იყო და ისეთი რაღაცეები თქვა, რომ თბილისის „დინამოდან" გააგდეს. ამის შემდეგ მოსკოვის „სპარტაკში" აიყვანა ბესკოვმა, უძლიერესმა მწვრთნელმა. მამაჩემი გახდა „სპარტაკის" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ამის მერე იმდენი უჩიჩინეს, მაინც ჩამოიყვანეს თბილისში და კიდევ არ ათამაშებდნენ. ნიჭიერი იყო, მაგრამ არ გაუმართლა ცხოვრებაში, ზღუდავდნენ და პატარა ბიჭს, ბორბლებში ჯოხს უდებდნენ. ბაბუაჩემიც სულ 29 წლის იყო, ფეხბურთიდან რომ გაუშვეს. ამბობდა, დუბლებში მაინც მათამაშეთო და პასუხობდნენ – მერე ხალხს რა ვუთხრათო.



დაბადების დღე ჰქონდა დედას. სუფრასთან ვისხედით, ვსვამდი. უცებ მომეხვია და მითხრა: ერთად ვართ გაზრდილებიო. პატარები, 17-18 წლის იყვნენ, მე რომ დავიბადე

**– ფაქტობრივად, გააგდეს.**

– ჰო. პორტუგალიის გუნდთან ჰქონდათ თამაში. პირველი ტაიმის შემდეგ, თურმე, ზურგზე შეისვეს და წრე დაარტყმევინეს. პორტუგალიის გუნდის ხელმძღვანელს უკითხავს: ეს რა წესი გაქვთ, ვინც ყველაზე კარგად თამაშობს ასე გაგყავთ პირველი ტაიმიდანო? ამათ კი უპასუხიათ: არა, ეს ფეხბურთელი მიდის ფეხბურთიდანო. ეგ მიდის და ესენი რჩებიანო?! – უთქვამს პორტუგალიელს *(იცინის).* მეც თავისუფალ ტიპად გამზარდა მამაჩემმა იმ კომუნისტურ რეჟიმში. ყველაზე მეგობრული და ძმაკაცური ურთიერთობა მამაჩემთან მქონდა. 12 თუ 13 წლის ვიყავი, რომ გაიგო, სიგარეტს ვეწეოდი და ისე დამელაპარაკა, სულ დავანებე თავი, რომ გარდაიცვალა იმის მერე დავიწყე მოწევა. იცით, რა არის მთავარი? – მარტო რომ დავრჩი მამის გარეშე, 20 წლის ვიყავი, იმდენად შემაჩვია მის მაგალითზე, რომ რაღაცეები მოხდებოდა და მეც შემექმნებოდა წინაალმდეგობები გარემოსთან, მეგობრებთან დაკავშირებით, მეტწილად, შეგუებული და მომზადებულიც კი ვიყავი ამისთვის. ეგუები რაღაცეებს, რადგან იცი რომ ჭიდაობა არ ღირს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ჩემს ცხოვრებაში მოულოდნელობები ნაკლებად იჩენს ხოლმე თავს.

**– თანამედროვე მიშა მესხს არ უფიქრია ფეხბურეთელის კარიერაზე?**

– კი და იგივე ბარიერები მხვდებოდა მეც, რაც მამაჩემს. თან დღიურები ჰქონდა და რომ ვკითხულობდი, რამდენი მურტალი რაღაც გაიარა... მამაჩემმა ფეხბურთზე არ შემიყვანა შეგნებულად. 12-13 წლის ვიყავი, როცა ჩემით მივედი ვოვა ელოშვილის სკოლაში. კატეგორიულად არ უნდოდა, მეც იგივე ტკივილი განმეცადა.

**– ისე, როგორ ფიქრობ, რა პროფესიის უნდოდა, რომ გამოსულიყავი?**

– უპირველესად, კაცი უნდოდა, რომ გამოვსულიყავი.

**– მსახიობის მონაცემებს თუ ხედავდა შენში?**

– იცი, როგორ იყო?.. ბოლო „ყარაბახის" პრემიერაზე რომ მივდიოდი, მოწყენილი ვიყავი, ცრემლები წამომივიდა. დედაჩემი შემოვიდა, რა გჭირსო, მკითხა. მაგრად მინდოდა, რომ დღეს მიშიკო კინოში ყოფილიყო-მეთქი. ფილმებზე თვითონაც ტიროდა. გულჩვილი იყო, სენტიმენტალური – არა.

**– როგორ ფიქრობ, შენი და იას შვილიც მიშა მესხი იქნება?**

– არ ვიცი... ჩემს ბავშვზე ჯერ არ ვფიქრობ, სადღაც ერთ თვეში ბიძა გავხდები და ძალიან გახარებული ვარ, რომ მარი, ჩემი და ფეხმძიმედაა. ისეთი ბედნიერი ვარ, ბიჭს ველოდებით. მე შევურჩიე სახელი – გადაწყვეტილია, რომ საბას ვარქმევთ. ბავშვები ძალიან მიყვარს, საბას „იმენნა" მე გავზრდი.

**– ვიცი, რომ ერთად ცხოვრობთ შენ ია და დედაშენი.**

– ახალგაზრდა ქალია დედაჩემი. დაბადების დღე ჰქონდა დედას, სუფრასთან ვისხედით, ვსვამდი. უცებ მომეხვია და მითხრა: ერთად ვართ გაზრდილებიო *(იცინის).* პატარები, 17-18 წლის იყვნენ, მე რომ დავიბადე. პატარა გოგოსავით გამოიყურება. სადმე ვინმეს რომ გავაცნობ, დაჩემია-მეთქი, ზოგს არ სჯერა. რაც შეეხება იას, მის ნიჭიერებაში, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება. ია წელს, თეატრალური სამყაროს გამოკითხვის შედეგად, საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობად დასახელდა, რითაც ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ.

იას და მანანას ძალიან მეგობრული ურთიერთობა აქვთ. გამომდინარე ჩემგან, მაგრამ ჩემზე ვაეჭვიანებ ხოლმე. ცოტა ეგოისტი ვარ... *(იცინის).*

**– ეს უნდა მიამბო... როგორ აეჭვიანებ?**

– რომ მოვყვე, მერე ველარ ვაეჭვიანებ, ჭკუას ისწავლიან *(იცინის).*

**– „ცეკვავენ ვარსკვლავებში" სანამ მიიღებდი მონაწილეობას, თუ გქონდა ცეკვასთან რაიმე კავშირი.**

– ბავშვობაში კარგად ვცეკვავდი. მამაჩემი რომ დალევდა, მეუბნებოდა: იცეკვე, იცეკვე... ჯერ ვცეკვავდი, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... გავიზარდე. 14-15 წლისას რომ გეუბნებიან, იცეკვეო – როგორია?! ერთხელაც ვუთხარი: არ ვიცეკვებ-მეთქი. მურტლად ღადაობდა ხოლმე, გაბრაზდა და მითხრა: შენ, ამერიკაში, დაჟე პადიეზდშიც არ გაცეკვებენო *(იცინის).*

გავიდა წლები. ჩავდივართ ამერიკაში მე გუკა რჩეულიშვილი და ნუცა კუხიანიძე. მოვხვდით ლოს-ანჯელესის რაღაც კლუბში. სადაც ბარის დახლს, ზემოთ, მთელ გაყოლებაზე 6-7-კაციანი სცენაა, ზემოდან კი ამერიკის დროშაა აკრული. მაგარი მთვრალი ვარ და ავიწყვიტე, ისე ვიცეკვე თავის დროშებზე დაკიდებებით, თან ქვემოდან გოგოები რომ გექაჩებიან და ამოგყავს... იმ კლუბში ისე მაგრად „გავკლასე", ჩემს სახელს ყვიროდნენ. რომ მოვრჩით, მოვდივარ და მაგრად ვბლატაობ, – ცხონებული მამაჩემი მეუბნებოდა: შენ, ამერიკაში, დაჟე, პადიეზდშიც არ გაცეკვებენო, და ნახეთ რა ვქენი-მეთქი.

გადის კიდევ 2 კვირა და ნიუ-იორკში ვართ, ჩემი დაბადების დღეა. რაღაცა კლუბში შევედით. ცოტა დავლიეთ. ახსოვდათ 2 კვირის წინანდელი ამბები და მიშა, მიდი, ახლა გაკლასეო, მითხრეს. მეც ერთი ტიპი გავწიე, მერე – მეორე, სცენაზე ფეხი დავდგი და რას ვხედავ, ტიპები, რასაც მე ფეხებით ვაკეთებ, ამოტრიალებულები ხელებით აკეთებენ. შემრცხვა, მუხლი ამიკანკალდა. ცხონებული მამაჩემი მართალი ყოფილა, მე აქ პადიეზდშიც არ მეცეკვება-მეთქი *(იცინის).*

**– რომელიმე პერსონაჟი თუ გგავს კინოროლებიდან?**

– რა თქმა უნდა, ჩემხელა ადამიანს ვასრულებ, დაახლოებით იგივე მანერებით, როგორიც რეალობაში მაქვს – ვგულისხმობ „გასეირნება ყარაბახში", პირველს და მეორეს. მესამეში კი უკვე დიდი ვართ. როგორაა იცი? მე და „ყარაბახები" ერთად ვიზრდებოდით *(იცინის).*

ამ ფილმებში ძალიან ბევრი ტექსტია ჩემი მოგონილი. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი პერსონაჟის თანასცენარისტი ვარ.

**– რუსული განგებ დაამახინჯე?**

– მოსკოვში ვარ გაზრდილი და რუსულად ძალიან კარგად ვლაპარაკობ *(იცინის).* „რუსულის მასწავლებელი როგორ გამიბახე ბიჭო?!" – ეგეც ჩემი მოგონილია *(იცინის).*

**– ახლა თუ გიღებენ რომელიმე ფილმში?**

– გადაღება არ მაქვს და მაგიტომაც დავთანხმდი „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობაზე. ნოემ მთხოვა, სულაბერიძემ, პროდიუსერმა.

**– მშვენივრად მიიწევთ ფინალისკენ. მგონი, ამ წლის ბინა თქვენ გელოდებათ.**

– გმადლობ. ღმერთმა ქნას.

**ეკა სალაღაია**

ახალგაზრდა ქალბატონს, ლია ხეოშვილს, სასწრაფოდ ესაჭიროება თირკმლის გადანერგვა. ჯერჯერობით, ასაკი ხელს უწყობს, ჩაუტარდეს ოპერაცია, წინაალმდეგ შემთხვევაში, ესეც დაგვიანებული იქნება. დიალიზზე მყოფი ველარ უძლებს საშინელ ტკივილებს. უმორჩილესად გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და თუნდაც 1 ლარით დაეხმაროთ ქალბატონს. წინასწარ გიხდით მადლობას.



**„ლიბერთი ბანკი" ა/ა 412572002498083б, ლია ხეოშვილი**
**ტელ.: 571-77-76-76 – ლია, 574-77-76-76 თამრიკო – დედა.**

**რეპერი შავი პრინცი, უკვე წლების განმავლობაში ქმნის მსმენელისთვის ქართული რეპის პროდუქტს. უფრო მეტიც, ის შეიძლება, ქართული რეპის ფუძემდებლადაც კი ჩაითვალოს. გასულ წელს მან მსმენელს თავი პროექტ „ნიჭიერით" შეახსენა. თუმცა, მაშინ ის არა „შავი პრინცის," არამედ „პრინციპის" ფსევდონიმით იღებდა მონაწილეობას. როგორც თავად აღნიშნა, ეს ორი ფსევდონიმი მისთვის საკმაოდ ბევრს ნიშნავს და მის პიროვნებაში ორივეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამჯერად მან გადაწყვიტა, 12 რეპერი გაეერთიანებინა და მსმენელის წინაშე „ძებნილების" სახელით წარმდგარიყვნენ.**

# რატომ გაცვალა შავმა პრინცმა „შავლეგო" რეპზე და რატომ იყო მისი პირველი სიმღერა „ეს საწყალი კურდღელი"

**– რამდენიმე წლის წინ, რეპერები საკმაოდ აქტიურობდით. მერე თითქოს ყველა გაჩერდით და ახლახან შევიტყვეთ, რომ შენ „ძებნილები" შექმენი და დიდი გეგმებიც გაქვთ.**

– „ძებნილები" სულ ახალი თაობით არის დაკომპლექტებული. ძებნილებში 12, ყველასთვის უცნობი წევრია შესული, ახალი სახეები არიან. ბიჭები მუშაობენ სტუდიაში, ქმნიან ახალ ჰიტებს და მალე მსმენელის წინაშეც წარდგებიან და რეპის მოყვარულებს სიახლეს შესთავაზებენ.

**– 12-კაციანი შემადგენლობა სიმბოლურად წელიწადის 12 თვესაც ხომ არ უკავშირდება?**

– ნამდვილად ასეა. ჩემი სურვილი იყო, რომ ძებნილები 12 წევრისგან ყოფილიყო შემდგარი. მართალია, გაცილებით მეტნი იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ, 12-ზე მეტი ვერ შევარჩიე. წელიწადში 12 თვეა, თან ჩვენი ზეციური მამის ციფრია. 12 მოსწავლე ჰყავდა და მეც ამიტომ მივანიჭე ამ ციფრს უპირატესობა. გავაკეთეთ ჩვენი სტუდია, სადაც გაერთიანებულია, ხმის ჩამწერი, ვიდეო და ქორეოგრაფიული სტუდიები. ძალიან დაკავებულები ვართ. ვმუშაობთ, ვშრომობთ და გვინდა, ახალი ნაბიჯი გადავდგათ ქართულ რეპსამყაროში.

**– წლებია, რაც მსმენელს თავი გააცანი. გიცნობდნენ როგორც შავ პრინცს, მერე სახელი გადაირქვი და გახდი – პრინციპი. ამჯერად რა ხდება, შავი პრინცის ფსევდონიმი დაიბრუნე?**

– ორ პროექტს შევეჭიდე. ერთი პრინციპის პროექტია, რომელიც უფრო ღრმა ტექსტებით არის დატვირთული, ხოლო მეორე შავი პრინცის, რომელიც გაცილებით მარტივ თემებზეა დაყრდნობილი. ორდისკიან ალბომზე ვმუშაობ, სადაც პრინციპის და შავი პრინცის თემა ერთად იქნება შესული. ჩემი აზრით, მხოლოდ ჩემში კი არა, ყველა პიროვნებაშია ორი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვანაირად აზროვნებენ. არც ის არის გამორიცხული, რომ ერთ ადამიანში, ის ორი ერთმანეთს უპირისპირდებოდეს. მინდა, ეს ყველაფერი ხალხს რეალურად „დავუდო" თვალწინ. ასე რომ, მხოლოდ მედალს კი არა, ადამიანსაც ორი მხარე აქვს.

**– გასულ წელს პროექტ „ნიჭიერში" მიიღე მონაწილეობა, რითაც ერთგვარად, მაყურებელს თავი შეახსენე. ამ პროექტში შენი სათქმელი ნამდვილად თქვი.**

– ცოტა მიჭირდა ისეთ პროექტში მონაწილეობა, როგორიც „ნიჭიერია." ამიტომ, რაღაცნაირად, ცოტა შებოჭილი ვიყავი. მინდოდა, იმ თაობას დაენახა ჩემი შემოქმედება, რომელიც 15 წლის წინ საერთოდ არ იყო დაბადებული ან ძალიან პატარები იყვნენ. სწორედ ეს იყო ჩემი მოტივი. ამას ისიც ერთვოდა, რომ ჩემი აზრით, ხელოვანმა ხანდახან ისეთ პროექტებშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა, არ აქვს მნიშვნელობა ეს „ნიჭიერი" იქნება, „ორი ვარსკვლავი" თუ „ცეკვავენ ვარსკვლავები." ჟიურის წინაშე დგომა რაღაცნაირი განცდაა. შეიძლება, შენზე ბევრად უმცროსი და ნაკლებად გამოცდილი გაფასებდეს შენს საქმეში, მაგრამ მაინც სხვა განცდაა და მინდოდა, გამომეცადა. ბავშვობაში ოლიმპიადებზე რომ გამოვდიოდი სიმღერით, იგივე განცდა დამეუფლა ახლა, 40 წლის ასაკში, რაც ძალიან გამიხარდა.



ორ პროექტს შევეჭიდე. ერთი პრინციპის პროექტია, რომელიც უფრო ღრმა ტექსტებით არის დატვირთული, ხოლო მეორე – შავი პრინცის, რომელიც გაცილებით მარტივ თემებზეა დაყრდნობილი

**– ბავშვობიდან მღერი?**

– 7 წლის ვიყავი მუსიკალურში რომ ჩავაბარე. პირველად „ეს საწყალი კურდღელი" მამღერეს. მერე სკოლის გუნდში ქართულ ხალხურ სიმღერებს ვმღეროდი.

**ცოტა მიჭირდა ისეთ პროექტში მონაწილეობა როგორიც „ნიჭიერია". ამიტომ, რაღაცნაირად ცოტა შებოჭილი ვიყავი. მინდოდა იმ თაობას დამენახა ჩემი შემოქმედება, 15 წლის წინ საერთოდ რომ არ იყო დაბადებული, ან ძალიან პატარები იყვნენ**

**– ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო ჩემთვის.**

– მაშინ რეპი არ იყო. 16 წლის ასაკში, შემთხვევით ვნახე რუსულ არხზე, „მუსიკალური ფოსტა" იყო გადაცემა და მასში როსტოვიდან ბრეიგდანსის მოცეკვავე იღებდა მონაწილეობას. ამის შემდეგ უკვე ბრეიგდანსით დავინტერესდი. დავიწყე ვიდეომასალების მოპოვება, ვარჯიში და ჩემით დავეუფლე ამ ცეკვას. ბრეიგდანსი ხომ ჰიპ-ჰოპის ერთ-ერთი ფესვია. ძიებ ძიებაში მივაგენი ერთ კარგ და საინტერესო შემსრულებელს – გურუს, რომელსაც თავისი გადაცემა ჰქონდა „ბლექ თაიმი" და კაბელურზე ღამის 1 საათზე გადიოდა. ჩავუსაფრთდი და რეპშემსრულებლების რამდენიმე ვიდეო გადმოვწერე. ამის შემდეგ, სურვილი გამიჩნდა, ამ საქმიანობაში მეც მიმეღო მონაწილეობა. საკუთარ თავზე მუშაობა დავიწყე და „შავლეგოდან" რეპში გადავედი.

**– როგორც ამბობენ, რეპერები ნამღერში ყოველთვის თავის სათქმელს ამბობენო და „ძებნილების" შემთხვევაშიც ასეა?**

– ეს არის სწორედ ჩვენი ერთ-ერთი მიზანი. 12-ვე წევრს საკუთარი სიტყვა აქვს, მაგრამ ყველა აუცილებლად სიმართლეა. მართალი სიტყვა ყოველთვის მწარეა. ხულიგნები ნამდვილად არ ვართ, ძალიან ზრდილობიანი და თავშეკავებულები ვართ. თავმდაბალ ხალხს კი უფრო მეტი სათქმელი აქვს, ვიდრე ხულიგნებს.

**– შავი პრინცი, ძებნილები... ისეთი სახელებია, რომ...**

– „ძებნილები" მაინცდამაინც კრიმინალთან არ ასოცირდება. ჩვენ ერთმანეთს ვეძებდით, რადგან, უპირველესად, გვინდოდა, ქართული ჰიპ-ჰოპი საქართველოში წარმატებული ყოფილიყო. მარტო, ერთი ადამიანი ამას ვერ შეძლებს. ჩემი აზრით, წარმატება ერთიანობას, შრომას და მეგობრობას მოაქვს. ამ ერთიანობის ძებნაში, ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ. ძველი ძებნილებიც ასე იყო და ახალიც ასეა. ვეძებეთ ერთმანეთი, ვეძებეთ და ერთი დიდი გუნდი და ოჯახი გავხდით.

**– რაც შეეხება შავი პრინცის ფსევდონიმს?**

– შავი პრინცი რამდენიმე სიმპათიური ქალის არჩევანი იყო, მაგრამ მე მხოლოდ ერთის დავიჯერე.

**– კარგია, რომ მუშაობთ, მაგრამ სიმღერის დაწერას და ჩაწერას, თანხებიც სჭირდება.**

– ამ მხრივ ჩვენ პრობლემა არ გვაქვს, რადგან, როგორც უკვე გითხარით, საკუთარი სტუდია გვაქვს. შევიძინეთ აპარატურა, ვისწავლეთ ყველაფერი და თავად ვასრულებთ ყველა სამუშაოს. ასე რომ, ფულს ვხარჯავთ ცოტას, სამაგიეროდ, ვაკეთებთ ბევრს და ხარისხიანს.

**– ზაფხულის გეგმები როგორია?**

– ვგეგმავთ ბევრ და კარგ „ჰიპ-ჰოპ ფართს" ზღვისპირა ქალაქებში. ასე რომ, მსმენელს წინ ბევრი საინტერესო რამ ელის. ერთი მინდა, ვთქვა, რომ ჩვენ მხოლოდ ქართულ ჰიპ-ჰოპს ვმღერით და არა უცხოურს. ამით კი, მე კმაყოფილი ვარ.

**– მოკლედ, შავი პრინცი შავ ზღვაზე „ჰიპ-ჰოპ ფართზე" ეპატიჟება მსმენელს.**

– შავი პრინცი „ძებნილებთან" ერთად.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**კვინტილიანე**: უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენ არა თუ ვერ გაგვიგონ, არამედ ვერ შეძლონ, არ გაგვიგონ.

**ჰეროდოტე**: უკეთესია, შურის საგანი იყო, ვიდრე თანაგრძნობისა.

**ლინკოლნი**: არასოდეს თქვა, რომ ღმერთი შენს მხარეს არის, უკეთესია ილოცო, რომ შენ იყო ღმერთის მხარეს.

**ლაროშფუკო**: ჭეშმარიტი მჭევრმეტყველება ისაა, რომ თქვა ყველაფერი, რაც საჭიროა, და არა ის, რომ თქვა მეტი, ვიდრე საჭიროა.

**ლაო ძი**: ღირსეული კაცი თავის დამარცხებას საკუთარ თავს აბრალებს, უღირსი – სხვას.

**ფრიში**: ადამიანის ღირსება მის არჩევანშია.

**კანტი**: ადამიანის ღირსება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ავლენს საკუთარ მეს თავის ქცევებში.

**პანინი**: ადამიანისთვის საკმარისი არ არის ცოდნათა შეძენა; უნდა იცოდე ცოდნის სარგებლით გაცემაც.

**ჰიუგო**: არმიის შემოჭრას შეიძლება, შეეწინააღმდეგო, იდეის შემოჭრას ვერ შეეწინააღმდეგები.

**მამარდაშვილი**: ერი არის თვითქმედითი, თვითშემქმნელი არსი, რომელიც ყოველ წუთს იბადება ჩვენი ძალისხმევით. ეს ნიშნავს, რომ ამ ძალისხმევის შიგნით იბადება რაიმე არსი, რომელიც არის ადამიანთა გარკვეული რიცხვის ერთობა ისტორიული ბედისწერის წინაშე. ეს არის ერი.

**ვოლტერი**: ენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ მისი საშუალებით ჩვენი აზრების დაძლევა შეგვიძლია.

**პასკალი**: დრო მხოლოდ იმიტომ კურნავს მწუხარებას და შეურაცხყოფას, რომ ადამიანი იცვლება: ის უკვე სხვაა და არა ის, რაც უწინ იყო. არც შეურაცხმყოფელი და არც შეურაცხყოფილი აღარ ჰგავნან თავიანთ თავს. ძალაუნებურად გახსენდება შეურაცხყოფილი ხალხი; შეხედეთ მას ორი თაობის შემდეგ: ესენი კვლავ ფრანგები არიან, მაგრამ არა იგივე ფრანგები.

**ბეკონი**: იმედი კარგი საუზმეა, მაგრამ ცუდი ვახშამი.

**დოვლატოვი**: იმედი მიზანია და არა საშუალება.

**ჰესე**: ის, ვინც ცხოვრებაში საკუთარი გზით მიდის, გმირია; ის, ვინც ახორციელებს იმას, რისი ნიჭიც გააჩნია, გმირია...

**ცვაიგი**: ზოგს იმის გამო თვლიან მამაცად, რომ შეშინდა და გაქცევა ვერ მოახერხა.

**ავრელიუსი**: მოიკვეთე წარმოდგენა და მოიკვეთ დრტვინვას იმის გამო, რომ ბოროტი გიყვეს. მოიკვეთე დრტვინვა ბოროტის გამო და მოიკვეთ თვითონ ბოროტებასაც.

**როდა**: მამაკაცები მეტს აღიარებდნენ, რომ იცოდნენ, რამდენი რამ იციან ქალებმა.

**გასეტი**: ქალი მტაცებელი ცხოველი კი არა, მსხვერპლია, რომელიც მტაცებელ ცხოველს უსაფრდება.

# თუ გამოიცნობთ

1. ამ ადამიანის ძეგლი ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ბევრ ქალაქშია. მაგრამ 2009 წელს ვენესუელის პრეფექტმა წინადადება წამოაყენა, აღლოთ ძეგლები, რასაც პრეზიდენტმა უგო ჩავესმა მხარი დაუჭირა: „გენოციდის ჩამსახველის ადგილი ვენესუელაში არ არის". **დაასახელეთ ამ სიტყვების ადრესატი.**

2. დიადემა – ბერძნულად თავზე მოხვეულს ნიშნავს. დროთა განმავლობაში ის მეფეთა ღირსების გამომხატველი გახდა. პროფესორი მაკიუნის აზრით, ეს სიტყვა იმის სახელიდან წარმოიშვა, ვინც დიადემას ნაბახუსევზე იყენებდა. **ვინ იყო ის?**

3. ედვინ ჰაბლი თავისი ჰიპოთეზის ასახსნელად ოპონენტებს მარტივ ცდას სთავაზობდა: ბუშტში ჩაეყარათ კონფეტები და შემდეგ გაებერათ. ბუშტის გასკდომისას ქაღალდის წრეები ადგილზე არ რჩება, არც ნარნარად ეშვება, არამედ სხვადასხვა მხარეს გაიფანტება. **რომელი ჰიპოტეზის ავტორია ჰაბლი?**

4. ისრაელის მთის ხერმონის სიმაღლე ზღვის დონიდან 2 კილომეტრს აღწევს. სწორედ ამიტომ გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე ვაჭრები იქიდან დიდ მოგებას ნახულობდნენ. **რით?**

5. პირველად ეს ნივთიერება ინგლისში, კამბერლენდის საგრაფოში აღმოაჩინეს. თავდაპირველად, ტყვია ეგონათ და სცადეს მისგან ტყვიები ჩამოესხათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მერე ცხვრების დასანიშნად გამოიყენეს. **დაასახელეთ – რა?**

6. ერთ-ერთი მათგანი სახელწოდებით – „ფიჭვის გირჩა" 1900 წელს შეიქმნა, მასში სიურპრიზის სახით იდო პატარა სპილო მარეკით – დაახლოებით ისე, როგორც დღევანდელ „ქინდერ სიურპრიზში". **დაასახელეთ მათი ზოგადი სახელი?**

7. ფიგურების აწყობის ხელოვნება, მისი შემქმნელის, იაპონელი მათემატიკოსის, ფუმიაკი ფუძიტის სახელს ატარებს. ის 7 ძირითად გეომეტრიულ პრინციპზეა დამყარებული. **რა?**

8. სამაგიდო თამაშის „რატუსის" სცენარი შუა საუკუნეების ევროპაში ვითარდება. თამაშში მონაწილე ათეულობით მარკერი ვირთხების სიმბოლოებია. **რას გამოსახავს შავი ფიშკა, რომელიც თამაშის დროს მუდმივად გადაადგილდება?**

9. ცნობილი ესპანელი აღნიშნავდა, რომ ისინი ძალიან სასტიკები არიან და შეუძლიათ, მოკლან კიდეც თავიანთი მოძმეები. თუმცა, თვითონ სულ სხვა იმიჯი შეუქმნა მათ მსოფლიო მასშტაბით. **ვინ?**

10. 756 წელს იუნციუსთან ბრძოლისას ალყაში მოქცეული არმია თავის საბრძოლო მასალას მანეკენებით შოულობდა, რომლებსაც შეუმჩნევლად უშვებდნენ კედლებზე. **როგორ?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

### გილიოტინა დოქტორმა გილიოტენმა გამოიგონა

ეს სიკვდილის მომტანი მანქანა არამც და არამც არ არის ფრანგი ექიმის, ჟოზეფ გილიოტენის (1738–1814) გამოგონება. თუმცაღა, მართლაც მის სახელს ატარებს. ჯერ კიდევ ძველ სპარსეთში და შუა საუკუნეების გერმანიაში სიკვდილით დასჯისათვის ზემოდან ვარდნილ ცულს იყენებდნენ.

საფრანგეთში გილიოტინა მოხვდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მეტცელი ექიმის ანტონ ლუისის რეკომენდაციის წყალობით. ამიტომ თავიდან ამ მანქანას „ლუიზეტას" ანდა „პატარა ლუიზონს" უწოდებდნენ. პირველი პროტოტიპის კონსტრუქტორი იყო გერმანელი, გვარად შმიდტი, ხოლო პირველი მსხვერპლი – ქუჩის ავაზაკი, სახელად პელისიე.

თავისი ამჟამინდელი სახელწოდება გილიოტინამ, თავისი პრემიერიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიიღო. 1789 წლის ეროვნული კრების ოქმებში ვხვდებით მოქალაქე გილიოტენის შეკითხვას იმის შესახებ, რომ მართებული ხომ არ იქნებოდა სიკვდილის დასჯის ყველა აქტი საფრანგეთში ერთნაირი წესით ჩატარებულიყო. მიუხედავად იმისა, თუ რა წოდებრივი მდგომარეობისა იყო ბრალდებული. ამისათვის ყველაზე უმჯობესე იარაღად სახელდებოდა ყველაზე ჰუმანური საშუალება – ზემოდან ვარდნილი ცული. ამგვარად, დოქტორ გილიოტენს არაფერი ჰქონია საერთო ტერორთან, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დროს მძვინვარებდა. ხოლო გილიოტენის შვილებმა იმით თავზარდაცემულებმა, რომ სიკვდილით დასჯის იარაღს სახელწოდებად მათი მამის სახელი დაერქვა, დოქტორის გარდაცვალების შემდეგ 1814 წელს თავიანთ შთამომავლობას გვარი შეუცვალეს.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh6-e3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ელოდა, ელოდა ქალი თეთრ რაშზე ამხე-




დრებულ პრინცს... ბოლოს მოვიდა ფოსტალიონი და მოუტანა პენსია...

***

პლაჟზე რომ კარგად გამოჩენილიყო, მაკამ თებერვლიდანვე დაიწყო თავისი დაქალის გამოკვება.

***

– რომელი ჯობია – „ვალიდოლი“ თუ „ვალერიანკა“, ქმრისთვის მინდა?

– და რა პრობლემა აქვს?

– ფეხსაცმელები – 220 ლარი.

***

„ჩებურაშკა“ – თავისი არსით ქალია, ფუმფულა, თბილი, უყვარს ყურებით და მთელი თავისი სიცოცხლე ნიანგთან ცხოვრობს.

***

– გოგონა, გოგონა... ერთი წუთით, იცით, თქვენ ფრანგ მსახიობს მაგონებთ!

– მართლა?! ვის? – მობრუნდა გოგო.

– დდდარტანიანის ცხენს...

***

– მამა, შენ რა გინდოდა, რომ გამოვსულიყავი – ბიჭი თუ გოგო...

– ეჰ, საერთოდ, მე მხოლოდ დროის გატარება მინდოდა...

***

ტიპი ძმაკაცს უყვება.

– ბიჭო, გუშინწინ მივდივარ სახლისკენ, უკვე კარგად ბნელა, ვხედავ გაზონთან ბაყაყია დასკუპებული. ავიყვანე ხელში, სახლში მივიყვანე და საწოლში ჩემ გვერდით, ბალიშზე დავსვი. დილით გავიღვიძე და... რას ვხედავ, ულამაზესი ქერათმიანი გოგო არ წევს?! ჩემი გჯერა?

– როგორ არა.

– აი, ჩემი ცოლი კი ვერაფრით დავაჯერე.

***

– წარმოგიდგენია, ჩემს კატას თაგვი დასცინის...

– ეს როგორ?

– სათაგურში ყველს „ვალერიანკას“ უსვამს...

***

ზის ყვავი ხეზე, ნისკარტში ყველის ნაჭერი უჭირავს. ჩამოიარა მელიამ.

– შენზე ამბობენ კარგი ხმა აქვს, მაგრა




მღერისო, მეც მინდა, გავიგონო, იმღერეო.

და როგორც არის, რა... ყვავმა დააღო პირი, გამოუვარდა ყველი... დასტაცა მელიამ პირი და გაიქცა...

მეორედ გამოიარა მელიამ. ყვავს კიდევ ყველი უჭირავს პირში...

– აბა, ყვავო, იმღერებ? – შესძახა მელიამ. ყვავი ხმას არ იღებს.

– ვა, ჭკუა გისწავლია!

– აბა, როგორ?!

***

სამსახურიდან სალონში გამოვიარე, გაფუჭებული მალვიძარა გამოვიტანე. გამახსენდა, ცოლმა ასანთი დამაბარა – ვიყიდე გაზის გრძელი სანთებელა. სახლს ვუახლოვდები, გამვლელი მომიახლოვდა და მთხოვა, სიგარეტს ხომ ვერ მომიკიდებო. მეც ამოვიღე გაზის სანთებელა და მოვუკიდე. ტიპი დაიბნა და სახეზე რომ არ შეტყობოდა, რომელი საათიაო მკითხა, მეც მაღვიძარა ამოვიღე...

***

ეკითხება, ერთხელ, კაცი ღმერთს:

– რატომ არის, ღმერთო, რომ გოგონები ასეთი კარგები არიან, თბილები, ალერსიანები, ნაზები...

და მიიღო პასუხი:

– გოგონებს მე ვქმნი, ქალებს კი იმათგან თქვენ აკეთებთ.

***

ცოლ-ქმარი ჩხუბობს... ბოლოს ქმარი დაიღალა და ეუბნება ცოლს.

– ჯანდაბას, იყოს ისე, როგორც შენ გინდა!

– არაფერიც, უკვე გადავიფიქრე.

***

ცოლ-ქმარი დასაძინებლად დაწვა.

– ჩემო სიყვარულო, მოდი, ისე გავაკეთოთ, როგორც ფილმებშია, – ეუბნება ცოლი ქმარს...

ქმარმა მოსინჯა ყველაფერი და კმაყოფილი გადაბრუნდა.

– ეჰ, ეტყობა, ჩვენ სხვადასხვა ფილმს ვუყურებთ, – ამოიოხრა ქალმა.

***

– მამი, მე რომ გავთხოვდები, არსადაც არ წავალ, თქვენთან ვიცხოვრებ.

– რატომ მემუქრები?!

## ცნობილი ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

გრიგოლ დადიანმა აკაკი სადილად მიიწვია და სხვათა შორის, თავის მამულის ღვინო – „კალოშისა“ დაალევინა.

– როგორ მოგწონს, აკაკი, ეს ღვინო?

– ახლა, ბატონო, კახური მირჩევნია, მაგრამ ზამთარში კი კალოში უნდა სჯობდესო, – უპასუხა აკაკიმ.

***

თბილისის ქუჩაზე ორი კაცი მასლაათობდა. ამ დროს წინ გამოუტარეს მიცვალებული ქართველი თავადიშვილი. პატარა ხანს შემდეგ სომხის მიცვალებულიც გაატარეს. ერთმა მეორეს უთხრა:

– უთუოდ ამ კნიაზს ამ სომხის ვალი ჰმართებია, უკან რომ გამოსდგომიაო...




***

ი. ა-მ სთხოვა აკაკის: მარაოზე ლექსი მინდა დავაწერო და გამომითქვიო.

აკაკიმ უპასუხა:

– თუ ლამაზი ქალისთვის გინდა, ეს დააწერეო:

„ხელში აიღე მარაო,

ნუ მენაზები, კმარაო!“

***

ქუთაისში ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ პრინცი, ბეგი და კნიაზევი. იმ ხანებში გუბერნატორმა ჰკითხა აკაკის:

– რა აზრისა ხარ ჩემს გუბერნიაზეო?

– დიდი არისტოკრატიული გუბერნიააო, – მიუგო პოეტმა, – აქ სამსახურში ამწესებენ პრინცებს, ბეგებს, კნიაზებს და საწყალი ქართველისთვის ადგილი აღარ რჩებაო.

***

საბჭოთა პერიოდის პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მოწოდებები, მათ შორის ასეთიც იყო: „ყველამ მივბაძოთ ამხანაგ ჩერნენკოს! (მაშინდელი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას გენერალური მდივანი)“.

ნოდარ დუმბაძე იმ პერიოდში უკვე ძალიან ავად იყო, მაგრამ არც ამჯერად უღალატია ჩვეული იუმორისთვის. ჰოდა, საბჭოთა პრესის ამ მოწოდებას ასე გამოეხმაურა:

– მე, რაც შემიძლია, ვბაძავ, ძმა: ველარ დავდივარ, ველარ ვლაპარაკობ და ველარც ვსუნთქავ...

# როგორ გაიპარნენ ფეხბურთელები პაემანზე გუნდურად და რატომ შეეცოდათ თბილისის დინამოელის სახლში შესულ ქურდებს ბინის პატრონი

### სიჭაბუკის „ცოდვები“

მაშინ საფეხბურთო სკოლაში ვთამაშობდი. საკავშირო ჩემპიონატზე უკრაინის ერთ „ქვანახშირულ“ ქალაქში გვაქვს ადგილობრივ გუნდთან შეხვედრა. დავბინავდით სასტუმროს მეორე სართულზე. მკაცრი უფროსი გვყავდა – ელოშვილი, თითქმის ყოველ საათს გვამოწმებდა, რომ განრიგი და საერთოდ, დისციპლინა არ დაგვერღვია. მაგრამ, მოგეხსენებათ, ქართველი ბიჭები და უკრაინელი გოგოები ისტორიულად „უგებენ“ ერთმანეთს და ესროდნენ ეს ნაზი სქესის წარმომადგენლები წვრილ კენჭებს ჩვენს ფანჯრებს (პაროლი, გამოწვევა).




სასტუმროს შემოსასვლელი მკაცრად იყო დაცული, მთელი ჩვენი უფროსობა იქ იყო და გასვლა გამორიცხული გახლდათ. ერთი მეკარე გვყავდა, რაციონალიზატორი იყო ამ საქმეში. გადააბა ერთმანეთს რამდენიმე „პროსტინა“ და პირსახოცი. ამოდის ჩვენს სართულზე მწვრთნელი და... სადღა არიან ბიჭები?! მარტო მე და წურწუმია (თანაგუნდელი) შევრჩით ხელში. გაგიჟდა კაცი, ხან აქეთ ეცა, ხან – იქით და გადაიხედა ყოველი შემთხვევისთვის ფანჯრიდან. კინაღამ დასაბმელი გახდა, გადაბმულ „ლიფტზე“, ერთ ქართულ მულტფილმში რომ გინახავთ, წრუწუნები როგორ ეხმარებიან ქვევრში ჩავარდნილ გმირ წრუწუნას – ისე გადაბმულან მთელი ჩვენი გუნდის ბიჭები და „გუნდურად“ მიდიან პაემანზე.

ატყდა ამბავი, მაგრამ ახალგაზრდები იყვნენ და ამჯერად აპატიეს. ჩვენც შეგვაქეს, კარგი ბიჭები ხართ, მაგათ რომ არ აჰყევითო.

არ ავყევით კი არა... ვერ მოვასწარით.

### „ვაი, შე გაჭირვებულო“

მაშინ ოროთახიანი ბინა მივიღე და გავფართოვდი. გაფართოება, იცოცხლე, კარგია, მაგრამ, რად გინდა? ცეკვა დიდად არ მიტაცებდა და რად მინდოდა ცარიელი ოთახები? რაზე ვამბობ, ჩემო ბატონო და რომ გადავედი, მგონი, მთელი მეზობლები ჩემზე იცინოდნენ. ჩემი ძველი ბინიდან წამოღებული ბარგი-ბარხანა ორ გზობაზე ავზიდე „გრუზავიკიდან“ მარტომ. მოკლედ, ამ ოროთახიან ბინაში განვათავსე ორი საწოლი მოწყობილობა – ერთი ტახტი და ერთ „სეტკიანი კრაოტი“, ორი სკამი – „სტუმრის და ჩემი“, ერთი „ტუმბოჩკა“ და 39 თეფში და ჭიქა.

„დინამოს“ ფეხბურთელებზე მაშინ ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, მილიარდერები თუ არა, მილიონერები მაინც რავა არ იქნებიანო.

ასეთი წარმოდგენის ხალხი საქართველოს მასშტაბით არცთუ ცოტა იყო და ალბათ, ამის ბრალიც გახლდათ, რომ ვიღაცას წამოსცდა, ალბათ, ფირუზ კანთელაძის ბინაში განძი ინახებაო.

ერითხელ, გასვლითი თამაში რომ გვქონდა რუსეთში, გამოვკეტე ამ ახალმიღებული ბინის კარი და წავედი ორი დღით.

ვაი, იმ ჩამოსვლას, რომ დავბრუნდი.

კარი ღია დამხვდა.

შევედი და რას ვხედავ? – ყველაფერი არეულ-დარეულია. ლეიბ-საბანი და ბალიში სულ დეტალ-დეტალ დაუმუშავებიათ.

ყურადღება მიიქცია ქურდების მიერ მაგიდაზე დატოვებულმა წერილმა:

„ბატონო ფირუზ! არ გვეგონა, თუ ისეთ გაჭირვებულ ფეხბურთელს ვძარცვავდით, როგორიც თქვენ ბრძანებულხარ. გიტოვებთ 10 მანეთს საჭმლისთვის, ერთი ორი დღე გეყოფათ, მერე რამეს მოვიფიქრებთ თუ მანამდე არ დაგვიჭირეს. თუ დაგვიჭირეს, შენით უნდა მოიპოვო შენი ლუკმა.

პატივისცემით, „ა“, „ბ“ და „შ“ – მეგობრები...“

ის ათი მანეთი დღესაც შენახული მაქვს.

**თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელის ფირუზ კანთელაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**

**მურმან მერკვილიშვილმა**

---

(მე-10 გვერდიდან)

არ მქონია. „რუსთავი 2-ზე” „ნანუკას შოუ” ძალიან ფრთხილად დავიწყე. იმ სიგიჟეებით აქ ძალიან ამოვარდნილი ვიქნებოდი. ნელ-ნელა მივეპარე „რუსთავი 2-ს”, ბოლო პერიოდში ძალიან მოვეშვი, მეტი იუმორი, სითამამე და სილაღე შევუშვით. სექტემბრიდან ალბათ, იტყვიან, რომ გიჟი ნანუკა დაბრუნდა.

**– „რუსთავი 2-დან” წავიდა შენი უახლოესი მეგობარი ნინო შუბლაძე. ეს დისკომფორტს არ გიქმნის?**

– კი, როგორ არა. ყველა სამშაბათს მგონია, რომ უნდა შევუარო და მოვუყვე, რა ჩავწერეთ და როგორ. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ სამშაბათის შეხვედრები თითქოს ტრადიციული იყო. აქ ნინო მაკლია მეც და აკლია ყველას. თუმცა, ობიექტურად გეტყვით, რომ ნინოს ახლა უფრო სცალია ჩვენთვის, რაც ჩვენ, მეგობრებს ძალიან მოგვწონს. ჩვენ არ ვყოფილვართ „რუსთავი 2-ის” მეგობრები. ის ჩემი საუკეთესო „კომპანიონია” ცხოვრებაში, ცხოვრება კი მოიცავს ყველაფერს – პრობლემებს, ბედნიერებას, უბედურებას. მე მყავს ისეთი ახლო მეგობრები, როგორიც არის ნინო. თითოეულ მათგანზე მგონია, რომ ის ყველაზე ახლო მეგობარია. მყავს ახლად შეძენილი მეგობრებიც, რომლებთანაც რამდენიმე წელი მაკავშირებს, მაგრამ ძალიან თამამად ვეძახი ახლო მეგობრებს.

**– როცა მეგობრები გყავს სტუმრად, „ჩიტებიც” აღარ გჭირდება, როგორ ართმევ თავს მეგობრებთან წამყვანის როლს?**

– ძალიან გულწრფელად ვამბობ, რომ ის ჩემი მეგობარია. მათთან არ მჭირდება ჩიტი, ყველაფერი ვიცი, ხანდახან ვერც კი ვხვდები, სად უნდა მოვზომო, რა უნდა ვკითხო და რა – არა. ეს დამემართა გოგოლა კალანდაძესთან, თეონა კონტრიძესთანაც, მაგრამ მგონი,

# ვისთან დაშორება გაუჭირდა ნანუკა ჟორჟოლიანს და რა მოიგონა მან მარტოობის დასაძლევად

ყველა შემთხვევას კარგად „დავუძვერი”. საიდუმლოებები არ გამითქვამს, ზედმეტი შეკითხვები არ დამისვამს.

**– ახლო მეგობრები გყავდა წინა ხელისუფლებაშიც. ისინი ისევ იმ „ადგილებზე” არიან, სადაც იყვნენ?**

– რა თქმა უნდა. ბოლო პერიოდში ძალიან ბევრჯერ ვნახე გაკვირვებული ადამიანების პოსტები: შენ იმიტომ გვიყვარხარ, რომ ასეთი გოგო ხარ და დარჩი ამ ადამიანების მეგობრად! ვერაფრით გავიგე, რატომ არის დასაფასებელი თვისება, არ დაკარგო ადამიანი მას შემდეგ, რაც ირგვლივ ბევრი რამ იცვლება. თუ თქვენ ჩემს ექსმაღალჩინოსან მეგობრებში გულისხმობთ, მაგალითად, დათო კეზერაშვილს, ის ჩემთვის ერთადერთი მეგობარია, რომლისგანაც დიდ ადამიანურ ძალას ვგრძნობ. ასეთი რამ არც ერთი მეგობრისგან არ მიგრძნია. მას შეუძლია, ყველაზე მაგარი რჩევა მოგცეს ყველაზე რთულ დროს; ყველაზე კარგი გამოსავალი გაპოვნინოს ყველაზე გამოუვალი სიტუაციიდან. სულ რამდენიმე ადამიანია, ვისაც შეუძლია, გავლენის ქვეშ მომაქციოს. მათ შორისაა კეზერაც, რომელსაც შეუძლია, დამარწმუნოს, რომ მე ვარ შავგვრემანი და ხუჭუჭთმიანი.

**– ახალ ხელისუფლებაშიც გყავს მეგობრები?**

– ახალ ხელისუფლებაში მეგობრები არ მყავს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც პატივს ვცემ. არ მინდა, რომ ხალხს იმედი გაუცრუონ, მინდა, კარგ ტიპებად დარჩნენ. ძალიან ვგულშემატკივრობ სერგეენკოს, კახი კალაძეს. მგონი, ყველაზე მეტად გაიზარდა ეს ფეხბურთელი ბიჭი, ყველაზე დიდი პათოსი აქვს. რიკოშეტით გაასწრო ბევრს. როგორ არ უნდა ვცე მას პატივი? ტიპს არ უტყდებოდა მეტყველების პედაგოგთან სიარული. ყველაფერი გააკეთა, რომ საკუთარ თავზე მეტი ემუშავა. პატივს ვცემ ირაკლი ალასანიას, დათო უსუფაშვილს. რაც არ უნდა ბრალი წაუყენონ ირაკლი კოდუას, ამ ხალხს პატივს ვცემ და რა ვქნა? პოლიტიკის მიღმა არის ადამიანური ურთიერთობები, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი დრო მაქვს ადამიანური ურთიერთობებისთვის. ადრე ხშირად ვერ ვიცლიდი ამისთვის, ახლა სიამოვნებით ვეკონტაქტები უცხოებს, ვისმენ მათ ისტორიებს. ის დრო, რასაც ირაკლის ვუთმობდი, ახლა ეთმობა სხვა ადამიანებს, რაც ძალიან საინტერესოა. წარმოიდგინეთ, ახლა ისევ ისე რომ ვცხოვრობდეთ – ირაკლი ამდგარიყო დილით, წასულიყო მოდულის შენობაში, ისევ იმ სამსახურში, ისევ უნდა გაეკრიტიკებინათ, რადგან პოლიციელის საქმიანობით კმაყოფილი არავინაა. ეს კარგი საქმეა, ქურდებისგან და ნარკოტიკების რეალიზატორებისგან გაწმენდილ ქვეყანას რა ჯობია. სწორედ ამიტომ დარჩნენ ეს ადამიანები ამ იმიჯით, მაგრამ მე როგორც ცოლი ახლა ადამიანურ რეფლექსებზე ვსაუბრობ. საღამოს შევხვდებოდით მე და ირაკლი ერთმანეთს, წავიდოდით სადმე. გავიდა ასე ექვსი წელი. ახლა? ავდექი, წავედი სამსახურში, მერე შევხვდი უამრავ ადამიანს, მერე ჩავჯექი თვითმფრინავში, გავფრინდი, იქ მელოდებიან ჩემი საყვარელი ადამიანები... ეს კარგია. ამ ქვეყანაში კარგი და ცუდი მითები მალე ინგრევა. ეს ყველაფერი ადამიანებს მისცემთ საშუალებას, დაინახონ თეთრი და შავი.

**თამუნა სამადაშვილი**

**სულ ცოტა ხნის წინ „მის საქართველო“ – თამთა შედენია და ერეკლე მანგოშვილი პატარა, უსაყვარლესი და ულამაზესი გოგონას მშობლები გახდნენ. მია ძალიან ლამაზი და მშვიდი ბავშვია, დედასაც ჰგავს და მამასაც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარაა, მასთან ურთიერთობა ძალიან დიდი სიამოვნებაა.**

# აპირებენ თუ არა ახლო მომავალში თამთა შედანია და ერეკლე მანგოშვილი ჯვრისწერას და ვისთან ურთიერთობა გახდა „მის საქართველოსთვის“ ყველაზე დიდი სიამოვნება

**თამთა**: მია ძალიან მშვიდი და ადვილად გასაზრდელი ბავშვია. ამან უფრო გაგვიმარტივა ყველაფერი – ხელს გვიწყობს და ეს მშობლებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. დედობამ ჩემს ცხოვრებასა და პიროვნებაში თითქმის ყველაფერი შეცვალა. მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება – დედობა, საოცარი შეგრძნებაა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ პირველივე წუთებიდან ვაცნობიერებდი, შვილი რომ მყავდა. მაგრამ, პასუხისმგებლობის გრძნობა მისი დანახვისთანავე გამიჩნდა: ვიცოდი, რომ უნდა მომევლო, ჩემი გასაზრდელი იყო; ღამე თუ იტირებდა, გაიღვიძებდა, მე უნდა მიმეხედა. ერთი კვირის შემდეგ უფრო მეტად აცნობიერებ იმას, რომ ეს შენი შვილია – ის, ვისაც 9 თვე მუცლით ატარებდი და მის მიმართ სიყვარულიც უფრო გიძლიერდება. ახლა ისე ვგიჟდები მიაზე, არ შემიძლია, ერთი წუთით დავტოვო.

**– ერეკლე, ძალიან ყურადღებიანი მამა ხარ, ეს შენს თითოეულ მოძრაობაში, გამოხედვაში იგრძნობა. ალბათ, როგორ გიჭირს საქმეებზე გასვლა და პატარა მიას დატოვება.**

**ერეკლე**: სულ ვრეკავ სახლში და ვკითხულობ: თამთა, როგორ ხარ, ბავშვი როგორ არის? ძალიან მენატრება ხოლმე და მაქსიმალურად ვცდილობ, თავისუფალი დრო შვილთან ერთად გავატარო.

**თამთა**: ერეკლე, შეძლებისდაგვარად, ცდილობს, ადრე მოვიდეს სახლში, თავისი როლი შეასრულოს – მამობა გაუწიოს ბავშვს. ძალიან კარგი მამაა. მშობიარობის მერე რამდენიმე ღონისძიებაში მომიწია მონაწილეობის მიღება და ბავშვიც დაიტოვა, მოუარა, გამოუცვალა, აჭამა, ჩაბანა, ყველაფერი გაუკეთა. არ ველოდი, ასეთი კარგი მამა თუ იქნებოდა, რადგან, ძირითადად, მამებს ეშინიათ, ბავშვი ხელში აიყვანონ, მოვლაზე რომ არაფერი ვთქვათ. ერეკლემ ეს შიში გადალახა. ძალიან უყვარს მია და პირიქით, ინიციატივებსაც იჩენს: მოდი, ასე გავაკეთოთო. ძალიან კარგად ვუვლით და ჯერჯერობით, არ მინდა, დამხმარე მყავდეს. რომ ვიმშობიარე, იმის მერე არანაირი სურვილი არ მქონია, ვინმე დამხმარებოდა. დედაჩემიც კი არ მინდა, რომ დამეხმაროს. ბავშვის მოვლით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. ჩემი შვილია, ვუვლი და აბსოლუტურად ყველაფერი დამავიწყა. სალონში გასვლაც კი არ მინდა. ყოველ მეორე დღეს რომ სალონში ვიყავი, ახლა კვირაში ერთხელ შეიძლება, წავიდე. საოცარი შეგრძნებაა შვილთან ურთიერთობა და ვერ წარმომიდგენია, ბავშვის გაზრდაზე უკეთესი რა უნდა გავაკეთო.

**ერეკლე**: ჩემი აზრით, სუსტი სქესის ყველა წარმომადგენელი ამ ქვეყანაზე იმისთვის არის მოვლენილი, მომავალი შექმნას, შვილი გააჩინოს, დედა გახდეს. მიას დაბადების შემდეგ, თამთა პიროვნულადაც შეიცვალა, რა თქმა უნდა, კარგისკენ. ის, რომ დიდი პასუხიმგებლობა დაეკისრა, კარგად გააცნობიერა და აუღო ალღო. ჩვენს ურთიერთობასაც უფრო მეტად მიეცა ოჯახის სახე. ყველაფერს აკეთებს ქმარ-შვილისა და იმისთვის, რომ მაქსიმალური კომფორტი შეგვიქმნას. მეც მაქსიმალურად ვცდილობ, ყველაფერში ხელი შევუწყო. რა თქმა უნდა, მისი გრაფიკი შეიცვალა, უფრო გადაიტვირთა. ბავშვს ბევრი რამ უნდა და მაქსიმალურად ვცდილობ, ეს გრაფიკი შევუმსუბუქო.

**– არ გაგიჭირდა, ასეთ პატარა ბავშვთან პირველად რომ დარჩი მარტო?**

– ჩემი დეიდაშვილის შვილი, დათა შვანგირაძე „ჩემი შვილია.” მასთან ურთიერთობაში დიდი გამოცდილება მაქვს, ხშირად ვიტოვებდი ხოლმე. ძალიან მსიამოვნებს, ჩემს შვილს რომ ვიტოვებ. ასეთ დროს, ძირითადად, ეზოში ჩავდივართ, ჩემს ძმაკაცებს ვურეკავ: მოდით-მეთქი და ყველანი ერთად ვერთობით. გოგოა, მაგრამ ბიჭივით ვზრდი.

**თამთა**: როგორც მამაჩემმა გამზარდა ბიჭივით – თავის მეგობრებში დავყავდი, ასე ზრდის ერეკლეც მიას. მამა სულ მეუბნებოდა: ასეთი ცხოვრებაც უნდა ნახო, რომ მერე არ გაგიჭირდესო. მიხარია, რომ ერეკლეც ასე ზრდის, რადგან მამაჩემის ჩემდამი დამოკიდებულება – ის, რაც მასთან ერთად მინახავს, შემდეგში ცხოვრებაში ბევრ რამეში დამეხმარა.

**ერეკლე**: ყველაზე სასაცილოა ის, როცა ცოტათი წამოიტირებს და მე ვუებნები: მამა, გოგო კი ხარ, მაგრამ არ უნდა იტირო, „დასტოინად“ მოიქეცი!

**თამთა**: მია რომ ტირის, გიჟდება, სახლიდან გადის ხოლმე. რომ ავცერით, ცოტა გაღიზიანებული იყო და ერეკლე მასზე მეტად გაღიზიანდა.



**ერეკლე: „ახლა ჩვენს ცხოვრებაში სულ სხვა ეტაპია. ჩვენ აღარ გვაქვს თამაშის, სიმსუბუქის უფლება, ანუ ჩვენკენ სიმარტივე აღარ არის მოდაში“**

15 დღის იყო მია, რაღაცაზე ტიროდა და ერეკლე სერიოზული ხმით, როგორც დიდ ადამიანს, ისე ეუბნება: გაჩერდი, მამა, ტირილი არ შეიძლებაო. რას ეუბნები, ხომ იცი, არაფერი ესმის-მეთქი, – ვუთხარი.

**ერეკლე**: ჩემი ყველაფერი ესმის.

**– ძალიან ბევრი მამა არათუ არ იტოვებს ერთი და 2 თვის ბავშვს, მისი ხელში აყვანაც კი უჭირს. შენ, პირიქით, მშვენივრად გიჭირავს და როგორც გავიგე, მას ყველაფერს უკეთებ.**

– პირველი არ ხარ, ვინც ამას მეუბნება. ჩემი შვილია და მაქსიმალურად მსიამოვნებს მასთან ყოფნა, მისთვის რაღაცის გაკეთება. იცი, რამხელა სიამოვნებას მანიჭებს, როცა ვუცვლი, ვაჭმევ. პატარა, ხშირად იღვიძებს ღამე და ვცდილობ, მე მივხედო და თამთამ დაიძინოს, რადგან მერე, მთელი დღე მასთან ერთად უნდა იყოს.

**თამთა**: ბევრს ეშინია შვილის ხელში აყვანის, დაბანის, გამოცვლის. მიხარია, რომ ერეკლეს ამ კუთხით მასთან მიმართებაში, არანაირი დისკომფორტი არ ჰქონია. პირიქით, სულ მეხმარებოდა. რომ ვიმშობიარე, მშობიარობის სტრესი ჩემს ჯანმრთელობაზე, ფსიქიკაზე იმ მხრივ აისახა, რომ ვერ ვიღვიძებდი პირველი ორი დღე. მია რომ ტიროდა, ერეკლე იღვიძებდა, აჭმევდა – ეს უფრო მეტად რეაგირებდა იმ დროს, ვიდრე მე.

**– ერეკლე, ხომ არ დაესწარი თამთას მშობიარობას?**

**ერეკლე**: შემომთავაზეს, მაგრამ ვერ დავესწარი, არ შემიძლია ასეთი რაღაცეები. ამაყად შევსულიყავი და მერე იქ, მე უფრო საპატრონო, მისახედი ვყოფილიყავი, ვიდრე თამთა. ეს ნამდვილად არ მინდოდა.

**თამთა**: მეც არ მინდოდა, რომ იმ მდგომარეობაში ვენახე. დედაჩემსაც კი არ მინდოდა, ვენახე იმ სიტუაციაში, მით უმეტეს – ერეკლეს. ისე, ერეკლე რომ შემოსულიყო, ალბათ, ის ჩემზე უფრო ადრე „იმშობიარებდა“ და მისახედი გახდებოდა.

**ერეკლე**: რომც ეთხოვა თამთას, მაინც ვერ შევიდოდი. ისედაც მასთან ერთად განვიცადე ყველაფერი. გარეთ ველოდებოდი და შოკში ვიყავი. რომ იმშობიარა და დედა-შვილი ვნახე, იმ ემოციას, ვერ აღვწერ, რაც მაშინ განვიცადე.

**თამთა**: როგორც კი მია მკერდზე დამიწვინეს, მაშინვე შემოვიდა ერეკლე. შოკში იყო, ვერაფერს აკეთებდა.

**– გარეგნობით ორივეს გგავთ.**

– კი. თუმცა, სულ იცვლება. ჩემი ბავშვობის ფოტოებს რომ ვუყურებ, ცხვირის ზემოთ მე მგავს. თუმცა, ძალიან მინდა, ერეკლეს ჰგავდეს, მისი იერი ჰქონდეს. ქერა იქნება ორივესავით და ალბათ, ორივეს დაგვემსგავსება.

**ერეკლე**: რა თქმა უნდა, მამას ჰგავს: მშვიდი, წყნარი და გაწონასწორებული გოგოა. მინდოდა, გარეგნობით თამთას დამსგავსებოდა და ალბათ, დაემსგავსება კიდეც. თუმცა, ის ფაქტიც მსიამოვნებს, რაღაც დოზით მეც რომ მგავს.

**– ჯერ არ მოგინათლავთ?**

– არა. ამ თემას ცოტა სხვანაირად ვუყურებ. არ მინდა, ტრაფარეტულად მონათლოს ვინმემ, მხოლოდ ნათლია იყოს და ეს არის. ჩემი მიას მომავალი ნათლია უკვე ჩამოვიდა, უბრალოდ, არჩევნებზე ვართ დამოკიდებული, ერთ-ერთი კანდიდატია. როგორც კი ჩაივლის, მერე გადავიხდით პომპეზურ ნათლობას.

**თამთა**: ნათლობაზე ჯვისწერასაც ვგეგმავთ. თუმცა, იმდენჯერ გადაგვედო, ჯერ არ ვიცით ზუსტად. ნათლობაც გარკვეული მიზეზების გამო გადავდეთ, ერეკლეს მეგობრები უცხოეთში არიან და მათ ჩამოსვლასაც ველოდებოდით.

**– ხშირ შემთხვევაში, ბავშვის დაბადება, ორ ადამიანს შორის ურთიერთობას კიდევ უფრო ამყარებს, მათ უფრო მეტად აახლოებს. ზოგჯერ პირიქითაც ხდება. თქვენ შემთხვევაში, მგონი, უფრო პირველი ვარიანტია?!**

**ერეკლე**: რა თქმა უნდა, უფრო მეტად გაამაყარა. ახლა ჩვენს ცხოვრებაში სულ სხვა ეტაპია. ჩვენ აღარ გვაქვს თამაშის, სიმსუბუქის უფლება, ანუ ჩვენკენ სიმარტივე აღარ არის მოდაში. უკვე ჩამოყალიბებული ქართული ოჯახია, როცა ოჯახზე უფრო მეტს ფიქრობ, ვიდრე გართობაზე.

**თამთა**: ურთიერთობაში გარკვეული კრიზისი, სირთულეები ჩვენც გადავლახეთ. ვარდებით მოფენილი არ ყოფილა შეყვარებულობისა და ოჯახის შექმნის პერიოდი. მაგრამ, ეს ყველაფერი ერთობლივად გადავლახეთ. გაჩნდა ჩვენი სიყვარულის ნაყოფი – მია და მან უფრო განამტკიცა ჩვენი ურთიერთობა, სხვა ეტაპზე გადავედით და იმაზე ვფიქრობთ: რა გავაკეთოთ ბავშვისთვის. ერთი საზრუნავი და საერთო მიზნები გვაქვს ორივეს – იგივენაირად გვიყვარს ერთმანეთი, უბრალოდ, ამან უფრო სერიოზული გაგვხადა, მეტი პასუხიმგებლობის გრძნობა გვაქვს.

**– ცოტა რთულია წინასწარ იმის თქმა, რამდენი შვილის ყოლას აპირებთ. მაგრამ, მაინც, რას ფიქრობთ ამ მხრივ?**

– ჯერ ერთზე გავჩერდებით, მერე ვნახოთ, რა იქნება.

**ერეკლე**: ჩვენი ერისა და ქვეყნის ვიზუალურ განვითარებაზე ვფიქრობ, ამიტომ ერთ შვილზე არ ვაპირებ გაჩერებას. მაქსიმალურად შევეცდები, სილამაზის განვითარებას შევუწყო ხელი და მგონი, „მის საქართველო 2034“ იქნება მია.

**ნათია უტიაშვილი**

სიახლე!

ბილაინი®

Alcatel 1046




- VGA →
- 1.5 MB შიდა / 16 GB-მდე ბარე →
- BLUETOOTH →
- FM RADIO →
- MUSIC PLAYER →

# შეიძინე დუოსი

## მხოლოდ 30 ლარად!

www.beeline.ge

11 01 01